

967/3

მეცნიერებათა აკადემია

114/3

1967

5

მნათობი

ქართული
ლიტერატურა

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 44-ე

№ 5

მაისი, 1967 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა კ რ ს ი

საიუბილეო წლის მწერალთა საკავშირო ფორუმი	3
ირაკლი აბაშიძე — *** ლექსი	7
რევაზ ჭაფარიძე — მოსული კაცი. მოთხრობა	9
ნიკოლას ვილიენი — ლექსები. თარგმანი გურამ გოგიაშვილისა	41
ედემერ ყაფიანი — წითელი ღრუბლები. რომანი. ნაწილი პირველი. გაგრძელება	45
ბესიკ ხარანაული — ლექსები	91
პოლიკარპე კაკაბაძე — მეფე ბაგრატ მეშვიდე. დრამა ოთხ მოქმედებად	94
რეზო ამაშუკელი — თეთრი რვეული. ლექსები	121
ელგუჯა მაღრაძე — ცხოვრება გრიგოლ ორბელიანისა. მხატვრულ-ისტორიული ნარკვევი. გაგრძელება	125

პ რ ი ბ ი ა და ლ ი ბ რ ა ბ უ რ ი ს მ ო დ ე ნ ო ბ ა

გიორგი ლომიძე — ზოგადაკობრიულის, ინტერნაციონალურის და ეროვნულის დიალექტიკა მწერლობაში	145
გურამ გვერდწითელი — შენიშვნები რეზო ჭეიშვილის პირველ რომანზე	158

კ უ ლ ი ა ც ი ა

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი — სიტყვა წარმოთქმული შ. რუსთაველის სახელობის თეატრის საიუბილეო საღამოზე 1934 წ.	165
--	-----



მხელილ კვებელაჲ — ათასი ფუთი ბრალდება. ვანცდილი და გაგონილი. გაგრძელება . . . 169

წიგნების მიმოხილვა

- ა. ჩხარტიშვილი — „რუსთაველის ესთეტიკური სამყარო“ 189
 დიმიტრი თუხარელი — კიდევ ერთი ფურცელი რუსეთ-საქართველოს ლიტერატურული
 ურთიერთობიდან 189
 შალვა რადიანი — განახლებული სამშობლოსა და ხალხთა მეგობრობის მომღერალი . . . 191



მთავარი რედაქტორი გრიგოლ აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

- დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი, ე. შალვაძე, ბ. ელენტი, ა. ხულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შან-შიაშვილი, ვ. წულუყიძე, გ. ჭიბლაძე.

ტიპოგრაფია რ. ჩაყვებაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/V-67 წ. ქალაქის ზომა 70x108. ანაწყოების ზომა 7 1/4 x 12 1/2. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობითი ფორმათა რაოდენობა 16.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

უე 02107. ტირაჟი 8.300. შეკვ. № 1582.

ტელეფონები: რედაქტორის — 8-55-11, პ/მგ. მდივნის — 8-55-18, განყოფილებების — 8-55-15, 8-55-17, 8-55-20.

საქ. კბ ცვ-ის გამომცემლობის პ/კომბინატო, თბილისი, ლენინის ქ. № 14.



საიუბილეო წლის მწერალთა საკავშირო

ფორუმი

მიმდინარე 1967 წლის 22 მაისს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში იხსნება საბჭოთა მწერლების სრულიად საკავშირო მე-4 ყრილობა.

ის ფაქტი, რომ ყრილობა იმუშავებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის საყოველთაო-სახალხო მზადების დღეებში — მთელი საბჭოთა ხალხის სამეურნეო და პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში, მწერალთა საკავშირო მე-4 ყრილობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ ძირეული გარდატეხა მოახდინა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყოველ სფეროში. ძირფესვიანად გარდაიქმნა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარე. განუყოფლად და სამუდამოდ დამკვიდრდა სოციალისტური საკუთრება, მშრომელთა ამხანაგური თანამშრომლობა; აღმოიფხვრა ეროვნული ჩაგვრა, შეიქმნა თავისუფალ და თანასწორუფლებიან ერთა ურღვევი, ძმური კავშირი, საზოგადოების ყველა წევრი ჩაება სოციალისტურ წარმოებაში; საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ცხოვრების საშუალებათა მოპოვების ერთადერთ წყაროდ იქცა. სოციალიზმმა საბჭოეთის მრავალმილიონიან მშრომელ მასებს მოუტანა განათლება და კულტურის ყოველი სიკეთე, აამდიდრა და გაამდიდრა ხალხის სულიერი ცხოვრება, შექმნა ყველაზე ხელსაყრელი პირობები ადამიანის პიროვნების ჰარმონიული განვითარებისათვის.

მასებში კულტურის დანერგვა და ფართოდ გავრცელება, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა საყოველთაო-სახალხო კუთვნილებად გადაქცევა გახდა სახელმწიფოებრივი ზრუნვის საქმედ ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებიდანვე.

მთელი საბჭოთა ხალხის მხარდამხარ მწერლები აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის გრანდიოზულ საქმეში, ამდიდრებდნენ თავიანთ შემოქმედებას სოციალიზმის მშენებელი ადამიანების დიდი პრაქტიკული გამოცდილებით. ამიტომაც საბჭოთა მწერლების საუკეთესო წიგნები იქცნენ საბჭოთა სახელმწიფოს დიადი ნახევარსაუკუნოვანი ცხოვრების ამაღლვებულ, მკაფიო მატრიანედ.

„სოციალისტური კულტურა, ლიტერატურა და ხელოვნება, რომლებმაც შეითვისეს წარსულის საუკეთესო მიღწევები, — ნათქვამია ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, — გახდნენ განუყოფელი ნაწილი საერთო პროლეტარული საქმისა, აქტიურად ხელს უწყობენ კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ყოველმხრივ განვითარებას“.

საბჭოთა მწერლობის განვითარების მთელი გზა მჭიდროდ იყო და არის დაკავშირებული სოციალისტური საზოგადოების შენების ნახევარსაუკუნოვან ისტორიასთან. ამიტომაც მწერალთა სრულიად საკავშირო ფორუმი, ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის წინა დღეებში მოწვეული, რა თქმა უნდა, ვერ შემოიფარგლება მხოლოდ მე-3 ყრილობიდან მე-4 ყრილობამდე მიმდინარე ლიტერატურული ცხოვრებისა და ლიტერატურული პროცესების მიმოხილვითა და ანალიზით, განზოგადებით და შეფასებით. საიუბილეო წლის მწერალთა ამ ფორუმზე გარკვეული და გააზრებული იქნება მთელი გზა, რომელიც მრავალწლოვანმა საბჭოთა ლიტერატურამ განვლო თავისი ჩასახვის პირველი დღეებიდან დიდი ოქტომბრის სახელოვან იუბილემდე.

განვლილი ნახევარი საუკუნე აღსავსეა დიადი საკაცობრიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებით, მძაფრი სოციალური ბრძოლებით, ძალზე დრამატული და ტრაგიკული კონფლიქტებით. საბჭოთა მწერლებმა, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, გაიარეს ეს დიდებული გზა, მასთან ერთად განიცადეს სიხარულიც და მწვავე სულიერი ტკივილებიც, რაც მთელი სიცხადითა და მღვლეარებით აღიბეჭდა საბჭოთა ლიტერატურის ამჟამად უკვე კლასიკურად აღიარებულ ქმნილებებში.

დღეს — დიადი საიუბილეო თარიღის წინააღმდეგ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ საუკეთესო საბჭოთა ნაწარმოებებმა გაუძლეს ყველაზე მკაცრ გამოცდას — დროის უღმობელ გამოცდას, გაუძლეს იმიტომ, რომ საბჭოთა ლიტერატურა თავისი განვითარების ყოველ საფეხურზე, თვით უმძიმეს წლებშიც კი, უსაზღვროდ ერთგული დარჩა ლენინის პარტიის მაღალი იდეალებისა და მუდამ შთაგონებული აყო ჩვენი ეპოქის მოწინავე ადამიანთა დიადი საქმეებით, მათი შემოქმედებითი შემართებით, შრომითი პათოსით და ზნეობრივი სიმტკიცით.

ლენინის იდეებით და მილიონების საგმირო საქმეებით შთაგონებულ საბჭოთა ლიტერატურაზე, რომელიც ამკვიდრებდა აქტიურ, ქმედითს ჰუმანიზმს, სოციალური უკუღმართობისა და რასობრივი ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლ კაცთშოყვარეობას, აღიზარდნენ სოციალიზმის მშენებელთა და სოციალისტური სამშობლოს მედგარ დამცველთა მთელი თაობები, დიდი სამამულო ომის უკვდავი ჯარისკაცები და კოსმოსის დღევანდელი დამპყრობნი.

ხალხურობა, ცხოვრებისეული სიმართლე, პარტიულობა, ნამდვილი ინტერნაციონალიზმი, მაღალი მოქალაქეობრივი მგზნებარება, ხალხთა ძმური მეგობრობა და ურთიერთშოყვარული, საბჭოთა ადამიანის ეროვნული გრძნობების პატივისცემა, — აი, რა მაღალი იდეურ-მორალური თვისებით აღიჭურვა განვლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე მრავალენოვანი საბჭოთა ლიტერატურა, რომელიც სწორედ ამ თვისებების მეშვეობით იქცა მშვიდობისა და პროგრესისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, ახდენდა და ახდენს რა ამით ზემოქმედებას მსოფლიოს პროგრესული ლიტერატურის განვითარებაზე.

სასიხარულოა, რომ ძირითადად ამ დიდებულ ტრადიციებზე იზრდებოდნენ და იზრდებიან სოციალისტური კულტურის შემოქმედთა ახალი თაობები. უკანასკნელ ათწლეულში, მეორე და მესამე ყრილობის შემდეგ, საბჭოთა ლიტერატურას შემოემატნენ ახალი ნიჭიერი ძალები, რომელნიც იდეურად გამოიწვრთნენ და შემოქმედებითად დავაყვაცდნენ იმდენად, რომ ამჟამად მზარში უდგანან უფროსი და საშუალო თაობის წამყვან მწერლებს. პირველ ნაწარმოებშივე საუკეთესოებმა ახალგაზრდებს შორის გამოამტლანენს ნოვატორული ძიება, გარკვეული ტენდენცია — გამოიმუშავონ გამოსახვევითი ხერხების თავისი სისტემა, თავისი ახალი პოეტიკა, რომელიც უპირისპირდება რა სტანდარტს და ბანალობას, ბუნებრივად ავლენს ავტორის შემოქმედებით თავისებურებას, პოეტურ ინდივიდუალობას. ბევრი ახალგაზრდის შემოქმედებაში ვხვდებით ნაყოფიერ ცდებს ფილოსოფიურად გაიზიარონ და განაზოგადონ ცხოვრების რთული მოვლენები, ჩვენი ეპოქის ადამიანის სულში მომხდარი მორალურ-ეთიკური ძვრები. თავს აღწევდა რა ლიტერატურულ შტამებს და პრიმიტივს, ნიჭიერი ლიტერატურული ახალგაზრდობა ქმნიდა და ქმნის მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებიც თავისი იდეური მიზანსწრაფვით და მხატვრული სტრუქტურით უპასუხებს პარტიულობის სულისკვეთებით გამსჭვალული ხალხური ლიტერატურის მაღალ დანიშნულებას.

მწერალთა მეთოთხე საკავშირო ყრილობა მოწოდებულა საფუძვლიანად განიხილოს, გაანალიზოს და განაზოგადოს საბჭოთა ლიტერატურის მონაპოვარი ყველა ჟანრში, პრაქტიკასა და თეორიაში. კერძოდ, ყრილობა თავის ავტორიტეტულ სიტყვას იტყვის საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურაში მომხდარ ძვრებზე და მიღწევებზე.

ასლა ყველასათვის ცნობილია, ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე, კულტურის, კერძოდ, მხატვრული ლიტერატურის სფეროში, რა დიდი პროგრესი განიცადეს ევროპულ ფორმებზე მცირე ხალხებმა, მათ შორის, იმ ხალხებმა, რომლებსაც ოქტომბრის დიდ რევოლუციამდე თავისი საკუთარი დამწერლობა არ ჰქონდათ, ამჟამად კი ჰყავთ პროფესიული, მაღალკვალიფიციური, ღრმად ერუდირებული მწერლები, რომლებიც ინტელექტუალურად და მხატვრული ოსტატობით უკვე უტოლდებიან მრავალსაკუნოვანი კულტურის მქონე ხალხთა მოწინავე მწერლებს. ამ ე. წ. მცირე ხალხთა ლიტერატურა, რომელიც რეალისტურ და ხალხურ საფუძვლებზე ვითარდებოდა, უკვე ავიდა საკმაოდ მაღალ დონეზე; წარმოიშვნენ და აღიზარდნენ უაღრესად თავისებური, თვითმყოფი სიტყვის ოსტატები, რომელთაც აქვთ მრავალფეროვანი საკუთარი პალიტრა, წერის მანერა, ერთნული კოლორიტი, ყველაფერი ის, რაც საჭიროა ლიტერატურაში მანამდე არარსებული, განუყოფელი მხატვრული ნაწარმოებების შესაქმნელად. ეს მწერლები, რომლებსაც მომადლებული აქვთ ნიჭი ღრმად ჩაწვდნენ ცხოვრების არსს, ადამიანის სულის მოძრაობას, თავიანთ თხზულებებში აყენებენ და წყვეტენ არა მარტო თავისი წარმომშობი ხალხისათვის საინტერესო-სასიცოცხლო საკითხებს, არამედ საკავშირო და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემებს.

სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო ეს ფაქტი მეტყველებს, თუ რა ცხოველყოფილი ძალა აღმოაჩნდა სოციალისტურ წყობილებას, რომელმაც გადაშენებისაგან იხსნა და იდურ-ინტელექტუალური განვითარების, ახალი ცივილიზაციის, ახალი კულტურის მშენებლობის ფართო გზაზე გამოიყვანა თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის ბატონობის პირობებში დასაღუბად განწირული ხალხები.

თუ საბჭოთა რესპუბლიკების ხალხები ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირდნენ, სულიერად დაუახლოვდნენ, ერთი მისწრაფებით და ერთი იდეალებით განიმსჭვალენ, ეს იმითაც უნდა აიხსნას, რომ ამ 50 წლის მანძილზე გაჩაღებული იყო ინტენსიური მთარგმნელობითი მუშაობა. მთარგმნელი წიგნების საშუალებით ხალხები ასლო გაეცნენ ერთმანეთის ისტორიულ წარსულს, დღევანდელ ცხოვრებას, ეკონომიურ და კულტურულ ვითარებას, ერთმანეთის ხასიათსა და მისწრაფებებს.

მთარგმნების საშუალებით ურთიერთგაცნობის და ურთიერთკულტურული გამდიდრების ასეთივე პროცესი მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის ხალხებსა და სასლვარგარეთის ქვეყნების ხალხთა შორის. ამრიგად, მთარგმნელი-ლიტერატორი, მთარგმნელი-შემოქმედი, გახდა ამ დიდი პროცესის ცენტრალური ფიგურა, ხოლო მხატვრული მთარგმნის ამალეებისა და სრულყოფის საკითხის ჯეროვანი მოწესრიგება — დიდი პოლიტიკურ-კულტურული მნიშვნელობის საქმე, რომელსაც მწერალთა მე-4 ყრილობა, უნდა ვიფიქროთ, განსაკუთრებული გულისხმიერებით მოეკიდება და თავისი გადაწყვეტილებით ხელს შეუწყობს მთარგმნელობითი საქმის შემდგომ გაუმჯობესებასა და აღმავლობას.

ეჭვს გარეშეა, რომ ყრილობაზე გაიმლება ვრცელი და საფუძვლიანი საუბარი მხატვრულობის პრობლემების გარშემო.

ღრმად არგუმენტირებული მსჯელობა მხატვრული ოსტატობის საკითხებზე დიდ სარგებლობას მოუტანს, როგორც პროზაიკოსებს, პოეტებს, დრამატურგებს, ასევე კრიტიკოსებს, რომლებიც მოწოდებული არიან ღრმად ჩაწვდნენ ყოველი განსახილველი ნაწარმოების ესთეტიკურ-მხატვრულ თავისებურებას.

საბჭოთა ლიტერატურა მუდამ, ყოველი თავისი ნაწარმოებით, უნდა ამართლებდეს და უპასუხებდეს თავის დანიშნულებას, თავის მოწოდებას — იყოს სოციალისტური ეპოქის ადამიანის გულისთქმის და სინდისის გამომხატველი. ამას უნდა ამკვიდრებდეს არა მარტო თავისი მიზნებითა და იდეებით, არამედ მათი გამოსატვის მაღალი ესთეტიკური დონით.

დასაფლეთის რეაქციული იდეოლოგია განაგრძობს იერიშების მიტანას სოციალისტურ რეალიზმზე და ამ მეოთხით შექმნილ ლიტერატურაზე. ამიტომ არ შეიძლება მე-4 ყრილობის ტრიბუნიდან არ გაჩაღდეს ცეცხლი იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს სახელი გაუტეხოს სოციალისტურ მწერლობას და ყალბად წარუდგინოს მკითხველებს საბჭოთა ლიტერატურული სინამდვილე. ყრილობაზე ერთხელ კიდევ გაირკვევა ჩვენი ლიტერატურას მტრების არგუმენტაციის უსუსურობა.

კომუნისტური პარტია, რომელიც მუდამ ზრუნავდა და ზრუნავს საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის ბედისა და მომავლისათვის, მოგვიწოდებდა და მიგვითითებდა, რომ აუცილებელია ბრძოლა როგორც ესთეტიკურ-ფორმალისტური ტენდენციების, ასევე ნატურალისტური ფსევდორეალიზმის წინააღმდეგ, რომელიც დიდი გრძნობების და იდეების გამოშხატველ ნამდვილ ხელოვნებას ცვლის ფოტოგრაფიზმით.

ჩვენი ლიტერატურის განვითარების სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს, რომ მე-4 ყრილობამ გზა გადაუღოს პრიმიტიულ სქემატიზმს და ფოტოგრაფიზმს, რომელსაც ქეშმარიტ ხელოვნებასთან საერთო არაფერი აქვს. სოციალისტური რეალიზმის მიღმა უნდა დარჩეს ყოველი უსიცოცხლო, იდეურ-ფილოსოფიურ სიღრმეს მოკლებული სქემატურ-ნატურალისტური ნაწარმოები, რომელიც ერთ დროს გასაღებული იყო პირველი რიგის მხატვრულ ნაწარმოებად მხოლოდ მისი გარეგნული აქტუალობის გამო.

კომუნისტური პარტია მოუწოდებს მწერალთ და ხელოვანთ, მისცენ ხალხს ნაწარმოებები, რომლებიც აღძრავს ნამდვილი ესთეტიკური სიამოვნების გრძნობას და დიდ სისარულს, აამაღლებს და გააკეთილმობილებს ადამიანს და წარმართავს ადამიანების ენერჯიას იმპერიალისტური მწაგვრელების წინააღმდეგ, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და დემოკრატიის დამკვიდრებისათვის, ჩვენი დროის ყველაზე ნათელი და მაღალი იდეალებისათვის საბრძოლველად.

სოციალისტური რეალიზმის პრობლემების გარკვევით და საფუძვლიანი გაშუქებით ყრილობა გაფანტავს ბევრ გაუგებრობას და ბუნდოვანებას ამ სფეროში, ხელს შეუწყობს მწერალთა შემოქმედებით აქტივობას, დარაზმავს მათ იმისათვის, რომ შეიქმნას თანამედროვეობის დიდი ეპოქი, რომელიც გზნებითა და პათოსით წარმოგვისახავს მსოფლიოში ყველაზე პუმანური საზოგადოების ცხოვრებას და დაგვისხატავს კომუნისმის მშენებელ ადამიანს მთელი მისი სიღიადითა და მშვენიერებით.



• • •

ლექსს,

ჯერ უოქმელ ლექსს,

უოქმელ ოცნებას,
ჩემად რომ სადღაც ძარღვში ატარებ;
სტრიქონს, რომელიც გთხოვს გაცოცხლებას,
ჯერ უოქმელ სტრიქონს

რას შეადარებ?

იქნებ ძველ განძით სავეე ყორღანებს,
იქნებ ყუმრანის დაფლულ მოძღვრებას,
იქნებ არმაზის მკვდარ აგურხანებს —
სადღაც მთებთან რომ გთხოვს

გაცოცხლებას?

იქნებ დამარბულს ტრიალ კოლხეთში
შუბებს,

სატევრებს,

ფიწლებს,

სამწვერებს...

იქნებ მიწისძვრით კლდეზე მოხლეჩილ
ვანის ქვაბებთან ჩაშლილ წარწერებს?

იქნებ ძველ მცხეთის

დამწვარ კელაპტრებს,
დამწვარ იმედებს, ლოცვებს, ოცნებას?

იქნებ, ო, იქნებ...

იქნებ ყველაფერს,
რაც კვლავ, რაც ისევ გთხოვს

გაცოცხლებას?

მაგრამ შენ არა...

შენ ნუ ისეხებ...


შენ ნუ სდევ ქვეყნის

დახშულ დარაბებს,
შენ შენს ლექსს აძლევ პირველ სიცოცხლეს,
შენს ლექსს შენ ურჩევ სხვა შედარებებს.

სხვას —
 რაც სიცოცხლედ ჯერ არ დამწვარა,
 რაც არ დაფლულა, არ დავსებულა;
 სხვას —
 რაც ოდესღაც გზად არ გამწყდარა,
 არ დანთებულა, არ არსებულა.

ლექს,
 ჯერ უთქმელ ლექსს,
 უთქმელ სტრიქონებს,
 გზა რომ სრულქმნისკენ
 ჯერ ვერ მონახეს,
 ო, შენ,
 შენ ტინის ნატებს ამგვანებ
 ქვას, ცად ავარდნილ კლდის ჩამონახებს.

ქვას,
 გაცოცხლებას რომ გთხოვს მუდართით
 და გულს სრულყოფის სწავას აღმოღება;
 კლდის ძირს, რომელსაც აქვს საბუდარი,
 ძევს...
 და შენს სიკვდილს რომ ელოდება.



მოსული კაცი

მოთხრობა

1

ანგია ხინველს ნიგვზნარელები „მოსულ კაცს“ ეძახდნენ. თვით ანგია არსადიდანაც არ იყო მოსული. ის აქ, ნიგვზნარაში, დაიბადა და გაიზარდა. აქედანვე დატანტალებდა ხურუთის დაწყებით სკოლაში, ვიდრე კურსი არ დაასრულა და სწავლის გასაგრძელებლად ონში არ გადაიყვანეს.

ზედმეტი სახელი ძველთაგანვე მომდინარეობდა და რაკი ოჯახის ყველა წევრს „მოსული“ ერქვა, იგივე სახელი ანგიასაც მიაკერეს.

მართლა მოსული პაპა აგული იყო. აგული ხინველი, მარჯვენანაკურთხი კალატოზი და მებუხრე, ნიგვზნარელებს უხსოვარ დროს შემოჰკედლებოდა და საფლავის ორი ადლი მიწაც ხურუთის გორაზე მიეზომა.

კალატოზის საფიქარ შვილიშვილს, ანგიას, მაინც შემორჩა ზედმეტი სახელი „მოსული“. ეს სახელი ადრე გულს უსივებდა. იგი ტოლებში ანგიას მეტს არავის ერქვა და ამიტომ დამამცირებლად მიაჩნდა. შემდეგ და შემდეგ შეეჩვია. „მოსულმა“ თანდათან დაკარგა ძველი მნიშვნელობა და უწყინარ სიტყვად გადაიქცა. სიტყვის ძველი აზრი მხოლოდ ანგიას ახსოვდა, ახსოვდა და ჩუმ-ჩუმად თავსაც იწონებდა: რაკი მოსულია, მაშასადამე, ის განსხვავებულია ყველასაგან, ისეთი არ არის, როგო-

რიც სხვები და, რადგანაც სხვაა, მოპყრობა და დაფასებაც სხვაგვარი ეკუთვნის.

განსხვავებულობისა და საკუთარი ღირსების შეგნებამ ყველაზე უფრო მაშინ იჩინა თავი, როდესაც ძველი, სამსახურიდან ნებაყოფლობით გამამდგარი რწმუნებულის მაგიერ ბრილში ახალ რწმუნებულს ნიშნავდნენ. განყოფილებაში ბევრი იმსჯელეს და იჯაყყაყეს. ბოლოს, არჩევანი „მოსულ კაცზე“ — ანგია ხინველზე შეჩერდა. ანგია ახალგაზრდა იყო, გაბედული, დაუზარელი, ვაგლაზად ვერც ვერაფერს დაიჭაბნებდა...

გამამდგარი რწმუნებული, ვანო გუგუშაშვილი, ბრილიდან გამოქცევის ნამდვილ მიზეზს არ ამხელდა. გულში ჩაგუბებული ბოდმისაგან გასიყვებული იყო. სადაც გასურდეთ, გამგზავნეთ, თუ საქმე მოითხოვს, კამჩატკაზე მიკარით თავი და ბრილში კი ფეხის დამდგმელი აღარ ვარო. წყალსა და მეწყერს წაუღია იქაურობა, სულ აღარ მინდა სამსახური, ბატონო, აღარ მომეშვებითო?

გუგუშაშვილის, მეტად გამგონე და დამყოლი კაცის, ეს გაჩქება და გააფთრებული უარი დამაფიქრებელი ვახლდათ.

რა უნდა შემთხვეოდა იქ ასეთი?

რას უნდა გამოეწვია ბრილის ამგვარი ათვალწუნება?

ზოგს ეკვი დაებადა: ვაითუ რაიმე ჰქონდა დაშვებული გუგუშაშვილს და

შურისძიებისა ემინოდა? მაგრამ მომჩივანი და გადაბრუნებული სიტყვის მთქმელი რომ არავინ იყო? არც ჰგავდა გუგუშაშვილი იმნაირ კაცს...

ბრილის ახალ რწმუნებულად ანგია ხინველის გამწესების ამბავი წინა საღამოს გამოიტანეს ბიჭებმა უფროსის კაბინეტიდან.

ანგია აქამდეც რწმუნებული იყო. ისიც რა მყუდრო ადგილზე — სოფელ პიბილეთში, სწორედ სახელმწიფო გზასთან, სადაც ყოველგვარი ტრანსპორტი ზამთარ-ზაფხულ განუწყვეტლივ მიდმოდის. ახალმა დანიშნვამ მაინც სიხარული მოჰგვარა. ვის გადაისვრიან ჩამორჩენილი უბნის წამოსაწევად? რასაკვირველია, მხოლოდ გამოცდილ და საქმეში ჩახედულ მუშაკს. განყოფილების ზელმძღვანელობას სწორედ ერთ ასეთ მუშაკად მიაჩნდა ანგია ხინველი, რაჯ მას, თუ ბიჭების ნალაპარაკევი მართალი იყო, ეგზომ პასუხსაგები მოვალეობა დააკისრა.

ანგიას მით უფრო მოსწყურდა საკუთარი ძალისა და უნარის გამოცდა, როცა ზოგიერთმა თანამშრომელმა ბრილს წასვლა და იქ სამსახურის დაწყება არ ურჩია.

კეთილის მსურველთა რჩევა-დარიგებას გონივრული ანგარიში და ფხიზელი წინდახედულება როდი აკლდა. ჯერ იყო და, ანგია ავერ მსახურობდა, ყურისძიარში. როცა კი მოისურვებდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, დაჰკრავდა ფეხს და უკვე შინ იყო. დაუშლიდა ვინმე თუ? ბიჭი ხარ და, აბა, ბრილიდან სცადე ასე შენს ჰკუთხე წამოსვლა! ზამთრისა და აღრიანი გაზაფხულის თვეებში თავისუფალ მოძრაობაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. ბრილის მკვიდრთ და იმათ სტუმრებს არც შემოდგომაზე ადგიათ უკეთესი დღე. თუ ღმერთი გაწყრა და ცამ ერთი მოიქუფრა შუბლი, მორჩა, კოკისპირული წვიმა მთელი თვე აღარ გადაიღებს. მერე რა გულის გამაწვრილებელი წვიმა იცის მთაში! მოიმატებენ ღელეები, ავსებენ ჩამოხრამულ

კალაპოტებს, წამოიღებენ ქვასა და ლოდს...

არქონული

ამ მეორედმოსვლის გახსენებამ გულფიცები ანგია კიდევ უფრო ააპილია. ის დარწმუნებული იყო, რომ ვანო გუგუშაშვილი სწორედ მუშაობის სიძნელემ და თავისებურებამ გამოაქცია. მაგრამ რა ასეთი დიდი და გადაუღახავი სიძნელე უნდა ყოფილიყო უგზობა? მოთოვს, იწვიმებს, გზები შეიკვრება? რა გაქვს საჯავრო და თავსატეხი. დაჯე შინ და იყავი. ჰერში ხომ წყალი არ ჩამოგიდის. ბოლოსდაბოლოს, არ იქნება, ერთ მშვენიერ დღეს არ იკიატოს და არ გამოიდაროს.

მერე, მე შენ გეტყვი, ცხენს დაუწუნებდი ანგიას! მისი ფეხმარდი ცაგურა მნახველს თვალსა სჭრიდა. ქუთაისს აქეთ, შემოყოლებაზე, ვინ უნდა გენახა, ანგია ხინველის ფრთამალი ბედაური რომ არ სცოდნოდა. ცაგურა, მართალია, წმინდა სისხლის იორლა არ იყო, მაგრამ ნამდვილ არაბულ ცხენს არც ტანის სიმსუბუქით, არც თავის დაქერით და არც სიკოხტავით ტოლს არ დაუგდებდა.

მთის მიუვალ სოფლებში უტყენობა ძალიან ძნელია. ჯერ კიდევ უამრავია ადგილი, სადაც, სამუხბაროდ, მანქანის გზა არ გაუყვანიათ. ყველგან ვერც გაიყვანენ, განა ასე ადვილია გზის გაყვანა? თუ გზა არ არის, მანქანა გინდ გყოლია და გინდ არა. დაილოცოს ისევე ცხენის მადლი! იმას არც მოკირწყლული გზა სჭირდება და არც ბილიკი. რა ადგილიც არ უნდა შეხვდეს, თუ შენ გაივლი — ფხეწებში და კლდე-ღრეებში ნავალი კაცი, არც ის დაიხვეს უკან.

ანგია გახალისდა. კიდევ რომ არ გამოართლებულიყო ბიჭების ნათქვამი, ახლა იქნებ თავადვე მოეთხოვა ბრილში წასვლა.

ხომ არ აჯობებდა, ვიდრე განყოფილებაში დაიბარებდნენ, ვანო გუგუშაშვილი მოენახულებინა და საქმის ყოველი წვრილმანი გამოეკითხა? ვანო, მართალია, ცოტა ღჭუ და ჭუჭუნა კი იყო, მაგრამ გული კეთილი ჰქონდა. ჯერ მისი ენით დაზარალებული კაცი არავის

ენახა. ვანო არც ანგიას უყურებდა აღმაცერად. მამ რატომ დაუშალავდა და არ ეტყოდა ნამდვილ მიზეზს, რის გამოც ბრილში დაბრუნებაზე უარი განაცხადა? აი, ანგია მიდის, ქვეყანამ იცის, რომ მიდის, სარწმუნოდ კი ვერ შეუტყვია, რა მოხდა. მერე ამას ჰქვია ამზანავობა?

გუგეშაშვილის მოსანახულებლად წასვლა ანგიამ მაინც ვერ გადაწყვიტა. რა იყო საჩქარო! ჭერ დანამდვილებით არც კი იცოდა, მართლა აგზავნიდნენ თუ არა ბრილის რწმუნებულად, და ნიადაგის მოსინჯვას რის გულისათვის შესდგომოდა? ამას გარდა, ვინ იყო თავდები, რომ ვანო უსათუოდ მოინდომებდა, მის შემცვლელ რწმუნებულს თავი გამოეჩინა „იმ დასამეწყვრავ და წყალწასაღებ ბრილში“ მუშაობით?

განყოფილებაში დილაადრიან დაიბარეს. ცხენი კიდე უფრო ადრე შეკაზმა, მაგრამ, ჩვეულებისამებრ, პიპილეთის გზას არ გასდგომია. გამოძახებას ელოდა...

განყოფილებაში ჭერ უფროსის მოადგილე ისაობრა. ფრთხილად შეაპარა, რას იზამ, საქმემ რომ ასე და ასე მოითხოვოსო.

ანგიას გაუკვირდა.

მოადგილეს პირდაპირ და როყიოდ არ უხსენებია ბრილი. ისე ეუბნებოდა, ზოგადად...

უფროსმაც მოადგილის მსგავსად მიუკიბ-მოუკიბა და მხოლოდ დიდი დიქინის შემდეგ უთხრა, რასაც ანგია ხინველი ეს მესამე დღეა ფარული სიამაყითა და სიხარულით ელოდა.

გაგებული კაცი უფროსის კოკმანის მიზეზს ადვილად მიხვდებოდა. თავისი ნება-სურვილის მიხედვით მას ვისიმე გადაყვან-გადმოყვანის და მოხსნა-დანაშენის ნება არ ჰქონდა. სამაგიეროდ, ანგია უფლებამოსილი იყო, ადგილის მონაცვლებაზე უარი განეცხადებინა და ამის გამო კაცი-ქრისტიანი პასუხს ვერ მოსთხოვდა.

ანგიას, როგორც ჰქვიან და წინდახედულ მუშაკს შეეფერება, საკუთარი ფი-

ქრი და ზრახვა ხმამაღლა არ გამოუმეტლავებია და ჭერ უფროსის მოადგილეს, ხოლო შემდეგ მოადგილეს თავგაღუნული უხსენებდა. ვითომ უკმაყოფილოც იყო, მაგრამ უფროსების ხართი ხმის ამოღების ნებას არ აძლევდა. წასვლის სურვილი გულში კიდევაც რომ არ ჰქონოდა ამოჭრილი, უარი მაინც არ გაუვიდოდა. კანონი, მართალია, კანონია, მაგრამ კანონის გარდაც ბევრი რამ არსებობს ქვეყანაზე სავალდებულო და ანგარიშგასაწევი...

ანგია აღარ ჩასძიებია, ვის აძლევდნენ მის ადგილს. ვანო გუგეშაშვილი, ალბათ, სადმე სხვაგან დაინიშნებოდა და იმ „სხვას“ გადმოიყვანდნენ პიპილეთში. აქეთ სიხარულით იზამდა პირს ყველა, ოღონდ კი ადგილი აღმოჩენილიყო.

ანგია პიპილეთს მშობლიურ ნიგვზნარასავით შესჩვეოდა და ახლა, რაკი გადაწყდა მისი გადაყვანა, გული ეთანადრებოდა, რომ სისხამ დილით სამასაბურში მიმავალი აღარ გადაუხვევდა ჭეკორის რიყისაკენ და მეფეე წყალთან, ძველი ციხის ძირას, პიპილეთის აღმართს აღარ შეუდგებოდა. ცაგურაც შეჩვეული იყო პიპილეთის გზას. სადავეს მიუშვებდი და გონიერმა პირუტყვმა უკვე იცოდა, საით გაეტია...

ამჯერად ანგია ხინველსაც და მის ცხენ ცაგურასაც ახალი საზრუნავი გაუჩნდათ: ძველი გზა უნდა მიეტოვებინათ და ახალ გზას უნდა დასდგომოდნენ. იგი რიონის ხეობას აღმა, მამისონის უღელტეხილისაკენ მიჰყვებოდა, საგლოლოზე, სადაც კლდესა და კლდეს შუა ძველისძველი რკინის ხილია გადებული, მარცხნივ უხვევდა და ქიორის ატეხილი ჭალებით პირდაპირ ბრილისაკენ მიემართებოდა.

ანგია იმავე ღამეს მოემზადა და მეორე დღეს, დილას, უნავიორის ღვედებით გაქაჩულ ცაგურას კონჭრისაკენ წაუძღვია. ონის გრძელი და ვიწრო ქუჩები

უკაცური იყო მხოლოდ ხიდისუბრში დაინახა ორადორი აბუხული მგზავრი. ეტყობოდა, შორეული სოფლიდან აღრიხანად შეყენე ჩამოსული და თბილისისაკენ მიმავალ ავტობუსს უცდიდნენ.

თბილისის ავტობუსი ცხრის ნაბეჯარზე აივლიდა ხოლმე პიპილეტის ხიდთან. მგზავრებით საესე ავტობუსის ავლა და ჩამოვლა მთელი თავშესაქცევი სანახაობა იყო ანგისათვის, რომელსაც მდინარის გაღმა ნაპირზე პატარა ფიცრული ოთახი ეკავა წვიმაში თავის შესაფარებლად და ღამის გასათევად. გამოვიდოდა და უფრო ცნობისმოყვარეობის დასაქმყოფილებლად, ვიდრე საქიროების გულისათვის, საქმიანად დაათვალიერებდა, ვინ მიდიოდა და ვინ მოდიოდა.

სადმე მიმავალი ან საიდანმე მომავალი ნაცნობები და უცნობები თავისთავს არ ჰგვანდნენ, რალაც სხვანაირი, უცხო იერი ჰქონდათ მიღებული და ანგისაც ფარულად იტაცებდა ცნობის წადილი. თუ ვინ როგორი იყო...

ღიღი გზის გადასახვევთან ვილაც ცხენოსანი შემოხვდა. შემდეგ მთელი საათი ისე იარა, აღარავინ დაუნახავს. მხოლოდ საკაურას ხიდს ზემოთ მოხშირდნენ მანქანებიც და ქვეითად მოსიარულეებიც. აქედან ვიწრო ხეობის ორივე კალთაზე შეფენილი სოფლები იწყებოდა: გომი, ნაკიეთი, უწერა... ვიდრე უკანასკნელ სოფელსაც აივლიდა და საგლოლოს ხიდთან გაჩნდებოდა. შემოდგომის უძალო მზე კიდევ ამოვიდა და კიდევაც გადაიხარა ცის დასავალზე გაწოლილ ღრუბლებში.

ხიდთან ანგია ჩამოქვეითდა და ცხენი კილომეტრების მაჩვენებელ რკინის ბოძზე გამოაბა.

რიონგაღმა, მწვანე ტაფობში, საიდანაც ელექტროხერხის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხრიალი ისმოდა, საფოსტო განყოფილება ეგულებოდა. ანგამ წინა საღამოსავე დააწყო გეგმა, რომ თავისი დანიშვნის ამბავი და მისვლის ზუსტი დრო ბრილის სასოფლო საბჭოსათვის წინასწარ ეცნობებინა და ამით, ასე ვთქვათ,

მომავალი მუშაობის საფუძველზე ჩაეყარა.

ბრილში, თქმა არ უნდა, მიდგებ-მოდგებოდნენ, ერთმანეთს ეტყოდნენ, ასე და ასე ყოფილა საქმეო, ვანო გუგუშაშვილის სანაცვლოდ განყოფილებას ახალი კაცი გამოუგზავნია და ისიც აგერ-აგერ სოფელში შემოვა, რადგან საგლოლოს ხიდთან უკვე ამოუვლიაო. სხვები იმას იკითხავდნენ, თუ ვინ და როგორ შეიტყო ახალი ამბავი. საგლოლოდან დარტყესო, იტყოდა თვით იორამ ლობჯანიძე, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, ან ის, ვინც იორამის მაგიერ უპასუხებდა ანგის ბრილის ტელეფონით.

ფოსტის აივანზე ვილაც უცხო კაცები დაინახა. ორი მათგანი ისე ჰგავდა ერთმანეთს, რომ უთუოდ მამა-შვილი უნდა ყოფილიყო. მესამე, ტყავისპალტოიანი ახმახი კაცი, მოშორებით იდგა აივნის ბოძთან და რკინის ხიდქვეშ მობუხბუხე მორევს ჩაპყურებდა.

— გამარჯობათ, ხალხო! — საერთო სალაში თქვა ანგამ და აივანზე ავიდა. პასუხი მხოლოდ მამა-შვილმა გაიმეტა. ტყავისპალტოიანი კვლავ გაუნძრევლად იდგა აივნის ბოძთან და შემოხედვის ღირსადაც არავის თვლიდა. შემოხედვით არც მამასა და შვილს შემოუხედიათ. ანგია მიხვდა: მამა-შვილი და ის უკარება ტყავისპალტოიანი წაკიდებულ იყვნენ.

— ხომ არავინ გაწყენინათ, კაცო? — სიტყვის მასალად ჰკითხა მან მამა-შვილს. შეეძლო, ცხადია, სულაც არაფერი ეკითხა და ტელეფონისტის ოთახში შესულიყო თავისი საქმის გასარჩევლად, მაგრამ, ერთი მხრივ, უბრალო აღმნიანურმა ცნობისმოყვარეობამ და, მეორე მხრივ, პატივმოყვარულმა სურვილმა, ვისმე სახელდახელო დახმარება აღმოუჩინოო, შეაჩერა და ეს აკითხვინა.

ნეტამც ხმა გაეკმინდა. მამამ და შვილმა, თითქოს არც კი გაეგონათ, რა თქვა უცნობმა ახალგაზრდამ, პასუხი არ გასცეს ანგის და ათრეულა ნაბ-

ჯით ტყავისპალტოიანს მიუახლოვდნენ.

— ყურა ხომ არ გაკლიათ? — თავი არ მოუბრუნებია, ისე მოსკრა ტყავისპალტოიანმა, — ვერა ვთქვი და გავათავე! რამდენი უნდა მალაპარაკოთ!

— რა მოხდა, შე კაცო, ფული ხომ არ ღირს შენი ლაპარაკი! — გულდაწყვეტილად შენიშნა იმ მთხოვნელმა, რომელიც მამა უნდა ყოფილიყო.

— იქნება ქვე ღირს, რა იცი! — უფრო კუშტად ისროლა ტყავისპალტოიანმა, — ჰმ, არ წაიგრძელეს, ბიჭო, ენა?

— ენის წაგრძელება რა შეუაშია! — ახლა შეიღო ჩაერია უსიამოვნო საუბარში და, ასე გასინჯეთ, ხმაც კი აიმაღლა, — თუ ღირს, ქვემანც გვითხარი, რამდენი ღირს და... რას გვიბნევ გზას! ნუკი გგონია, ვერა ვხვდებით, რა გინდა. გამქცევები ნუ გგონივართ!

— გამქცევები! გაიქციე, თუ გინდა! გიყურებ, სადამდე ირბენ. ვის აკვირვებთ, ბიჭო, თქვენი ფულით! — ტყავისპალტოიანი უცებ ვაცხარდა, მობრუნდა და ანგია დაინახა, რომ ის პირხმელი, შავტუხა კაცი იყო და საგრძნობლად წინ წამოქანებული ჭიანი კბილები ჰქონდა. ეცნაურა. ალბათ, ონში ეყოლებოდა ნანახი. — ფულის პატრონები აქ არ დაიარებიან. მასალის მეტი რა ყრია რაიკავშირის საწყობებში!

— თუ ყრია, პატრონიც ყავს. ჩემთვის არ არის ის!

— გამარჯობა შენი!

— აბა, რა ექნათ, ვიყოთ ასე?

— წადი და თავრობას უთხარი, მე რას მეუბნები!

— კაი, კაი, თუ მავნაირი იმით რაიმე ხეირი ნახო...

— შენგან რა ხეირი უნდა ვნახო, ბიჭო, მე? აგრე წამიხდა საქმე? უყურე ერთი ამას!

— თუ ადამიანობის და ოჯახიშვილობის გწამს რამე, გაგვიშვი! — რაკი შეატყო, ტყავისპალტოიანმა წყალი საბოლოოდ გადაგიწურაო, სხვა მხრიდან მოუდგა ხანშიშესული მთხოვნელი, თუმცა შეიღო უკვე მოთმინებას ჰკარგავდა და შემდგომ მუდარასა და თავის

დამცირებას უკვე ზედმეტად თვლიდა,

— კაცი შეუხვედრელი არ არის...

— ახლა დამეჭადნეთ კიდე! — წინ წამოქანებული ჭიანი კბილები ტყავისპალტოიანმა ისევ გამოაჩინა, — გითხარით მე, რაც სათქმელი იყო! ბილეთი! გაქვთ? არა! აბა, რის საფუძველზე გავიშვით? სხვამ სახლი აიშენოს და მე ციხეში ჩავჯდე? სინჯეთ ერთი, რავარია!

ანგია ტყავისპალტოიანს დააკვირდა. მოეწონა, ციხის ამოდენა რიდი და კრძალვა რომ ჰქონდა. დაუცადა, სანამ ის სათქმელს ბოლომდე ჩამოფქვავდა და, როცა გაჩუმდა, ამხანაგური შეთამაშებით ჰკითხა:

— რა უნდათ, კაცო, რას გთხოვენ?

ტყავისპალტოიანმა კისერი მოღრიჯა, ავღებულად შეავლო თვალი ანგიას — ეს კიდეც ვინ არამკითხე მეამბე მოგვმატებიაო, და ისევ რკინის ბიდექვეშ მობუყბუყე მორეცს მიაპყრო მზერა.

უყურადღებობით გაწილელულმა ანგიამ ობტიბარი მიინც არ გაიტეხა და, თუმცა ტყავისპალტოიანის უშნო ბლენძიობა ყელში ძაღლივით ეცა, ისევ მამა-შვილს მიუბრუნდა:

— რას თხოვთ მიინც, არ ითქმის, კაცო?

— რას ვთხოვთ, ბატონო... — უმისამართოდ დაიჩვილა მამამ, — ჩემდა ჭირად და საკვდავად პატარა მასალა შევიძინე გლოლაში. აქამდინ ვერ მოვახერხე წამოღება. ნედლი იყო. ახლა, რავარც იქნა, ვიშოვნე მანქანა და...

— რა უყავი მასალა? — უფრო გაბედულად ჰკითხა ანგიამ.

— ეგერ არ მიწყევია მანქანაზე?

— მერე? — ანგიამ ტაფობს გაძხედა და ხიდის მახლობლად მართლაც დაინახა გზიდან გადაყენებული საბარგო მანქანა, რომელიც ფიცრებითა და მოკლე სწრაფილებით იყო დატვირთული.

— მერე და მერე! — მშვიდობიანად დაასრულა მამამ, — დავაკავა ამ ოჯახქორმა, არ გვიშვებს...

— რატომ?

— კითხე, რა ვიცი. თუ ჩვენებურ კაცს რაიმე უფლება ჩაუვარდა ხელში,

ისე რაღა იზამს, თუ თავისიანს სული არ ამოაძრო. ბილეთი არ გაქთო, ბოშო. შე კაი დედ-მამიშვილო, ვინ მომცემდა ბილეთს! გეუბნები: კერძოდ ვიყიდე. არ გჯერა კაცის სიტყვა? — მამამ ისევ ტყავისპალტოიანს მიმართა და თავისი სიმართლის მტკიცება განაგრძო, თუმცა ატყობდა, რომ ამას რაიმე სასარგებლო შედეგი უკვე აღარ მოჰყვებოდა, — მოვატრიალოთ, ბატონო, მაქანა! — ის ამ სიტყვის წარმოთქმის დროს წინა ნარს სტოვებდა და ამიტომ „მაქანა“ გამოსდიოდა, — მოვატრიალოთ და ავბრუნდეთ გლოლაში!

— გლოლაში კი არა, იქ წამიყვანე ახლა! — უნდილად ისროლა ტყავისპალტოიანმა.

— რა გიყო, აბა?

— რა უნდა მიყო! ხიდზე უსაბუთოდ მასალას ვერ გავუშვებ. ამისთვის ვდგავარ აქ მე! გამიგეთ, თუ ისევ თავიდან დავიწყით?

— ისე, შენ მართალი ხარ! — ანგიამ წელანდელ ნაწყენობას სძლია და კვლავ ამხანაგური შეთამაშებით მიმართა ტყავისპალტოიანს, — მარა, მე მგონია, არც ეს კაცი უნდა იყოს მტყუანი. მასალა ძველია. ვერ ხედავ? ეტყობა, მართლა უყიდა.

— მართლა, აბა, ტყუილი? — ხეტყის პატრონს იმედი გაეღვიძა — მგონი საქმე ჩვენს სასარგებლოდ შემობრუნდესო და უნებლიედ ხმა წაიწვრილა, — ახლავე მოვატრიალოთ, ბატონო, მაქანა. ნახეთ ი ოჯახაშენებულო. რაღაი მოჭრა და დაამზადა, ბილეთიც ექნება და...

— ხო, ხო, გოუშვი! — მოულოდნელი დაფასებითა და კაცად ჩაგდებით ნასიამოვნებმა ანგიამ კვერი დაუტრა, — რა ბევრი ეგ არის! ხანდახან...

— მამიშენის ქონება გაატანე! — ერთბაშად აფეთქდა ტყავისპალტოიანი და აფეთქდა სწორედ იმ დროს, როცა ყველას ეგონა, დავა უკვე მშვიდობიანად მთავრდებოდა, — ვინ გამოგზავნა შენ აქ სხვის საქმეებში ცხვირის ჩასაყოფად!

ანგია სახტად დარჩა. ამდენს როდით მოელოდა. მაინც რა უთბრა ასე გულმოსასველები და გადასარევი! ჭერე გუხევდა, ნუთუ ყველაფერ ამას მართლა მე მეუბნებოდა, მერე შუბლი შეეკრა და ხახაში ნერწყვებამშრალმა ძლივს ამოილულულა:

— გაგ... გაგაგებინებ!

ტყავისპალტოიანი მთელი ტანით შემობრუნდა და ცხვირწინ აეტუზა:

— გამაგებინე!

ანგიამ იგრძნო, ყურის ბიბილოები როგორ წამოუხურდა. ყოველთვის ასე მოსდიოდა ზედმეტი აღელვების დროს. მის თვალწინ ერთბაშად გაიელვა ყველაფერმა, რაც ახლა შეიძლებოდა მომხდარიყო. მეტყვევ უსათუოდ ხელს შემოუბრუნებდა. თავადაც ვეღარ დარჩებოდა ვალში. განყოფილების უფროსი დღესვე შეიტყობდა საგლოლოს ხიდთან მომხდარი ჩხუბის ამბავს. წადი და ამტკიცე, შენ იყავი დამნაშავე თუ ის! მამასა და შვილს, ვინ იცის, მეტყვევის მხარე დაეჭირათ და იმას დასდგომოდნენ მოწმედ. მაგათ თავიანთი ხე-ტყის ჭავრი აქვთ. ოღონდ ის გაიტანონ აქედან და... ისე კი, რა მოთმენა გჭირდება კაცს! რკინის ნერვებია საჭირო. ლეწე ახლა ამას ყურისძირში და ცხვირით ყამირი ახვენევი. ჰაი, დედასა!

— ოჰ, კაი, თუ ღმერთი გწამთ! — ხეტყის პატრონი გონს დროზე მოეგო და წაიწყლავებულებს შუაში ჩაუდგა, — ოჯახიშვილები არა ხართ, კაცო? რა გაჩხუბებთ! არ მინდა, ბატონო, გადმოვყერი ეგერ და იყოს! თუ ჩემი მასალის გამოისობით ვინმე ციხეში ჩაეარდება, ღმერთმა ნუ მამახმაროს ნურც ამისთანა მასალა და ნურც...

— იცოდე, არ იზნო მერე! — ანგიამ ხმას დაუდაბლა და მხოლოდ ერთი წამით გაუსწორა თვალი საჩხუბრად აფოფრილ ტყავისპალტოიანს.

— რა უნდა ვინანო? — ტყავისპალტოიანი დარწმუნებული იყო, სწორად ექცევიო და თავიც ამიტომ ეჭირა გამომწვევად. — ხეებს ვყიდი. ტყეს ვანიავებ თუ ქრთამს ვართმევ ვისმე? მე რა

უნდა ვინანო? მეტყევე ვარ და ჩემ მოვალეობას ვასრულებ. არ შევეასრულო, აბა?

— მეტყევე რომ ხარ... — ანგის რალაც შთაბეჭედავი დარიგების თქმა უნდა, მაგრამ ტყავისპალტოიანმა არ დააცალა და კვლავ დამცინავი მუქარით განაგრძო:

— ისედაც გაჩანაგებულია აქაურობა. შეხედე! ყველა, ვისაც ცხვირი თავდაღმა აქვს, ხეს ჭრის! მივცე ნება, უფრო გავაჩანაგებინო ტყე?

— ვინ გეუბნება, გააჩანაგებინეო?

— აბა, რას იჭიმები, რო იჭიმები, ვის ეშინია შენი ჭიმვის!

— მე არაფერსაც არ ვიჭიმები, ვილაცა ხარ შენ. ჩემ გზაზე მივდივარ. თუ არ გინდა თან წაგიყვანო, ლაპარაკი ისწავლო ის გირჩევნია!

— შენ ვერ მასწავლი მე ლაპარაკს. წამიყვანოს! ებოლტები არ ამყარო ერთბაშად. მამაშენმა არ დაგაბარა, სხვის საქმეში ნუ ჩაერევიო?

— შენი მყარალი პირის სახსენებელი: მამაჩემი?

— გაყევი, გაყევი გზას, — მეტყევე თავს გამარჯვებულად თვლიდა და ამ გრძნობამ, ეტყობა, სიმხნევე მოუმატა, — სადაურები ხართ? — სახეგაიჩინედილებულ ანგის ზურგი უჩვენა და ისევე მამა-შვილს მოუბრუნდა.

— სოფლები, ბატონო! — შვილს დაასწრო და საჩქაროდ მიუგო მამამ, რომლის გულშიაც მეტყევის ამ შეკითხვამ ზეღახლა გააღვიძა საქმის სასიკეთოდ შემოტრიალების იმედი.

— მერე აქ რა ეშმაკი მოგარბენინებთ, სორში არ არის ტყე?

— არის, მარა... — მამა რატომღაც შეყოყმანდა. იმის შეტყობა თუ მოიწადინა, სორის ტყის ამბავს რა განზრახვით უნდა მეკითხებოდესო და დაწყებული სიტყვა საქციელწამხდარი კაცის ორჭოფული ღიმილით დაასრულა: — იქ მუხა და წაბლია მარტო. უკეთ მოგეხსენება. ცველას და ფიჭუს ერთს ვერ ნახავ წამლად.

— საბუთი თუ გაქვთ რამე?

— ხომ გითხარი, შე კაცო, წყლან...

— საბუთი, პირადობის მოწმობა!

— ჰო, პირადობის მოწმობა... — ეკი-

ცი აწრიალდა, ჯერ შვილს შეახედა დაბნეულმა, თითქოს ხსნას იმისგან ელისო, მერე უბეზე გაიკრა ხელი და ისევ შვილს მიუბრუნდა, თან სულ ტყუილად იქეპავდა უბეს, — შენ ხომ არაფერი გაქ, ბიჭო?

— ტყეში რად მინდოდა! — ზიზღით გამოსცრა შვილმა.

— რა გიყოთ, ძმაო! — მეტყევემ თითები ისე უიმედოდ გადაფარჩხა, თითქოს წყალწალებულმა ფეხებთან გაუარა და ამოყვანაზე უარს ეუბნებოდა, — თავათ თქვენ ხართ თქვენი თავის მტრები და მე რა გიყოთ!

— მულამდღე თან დავათრევე ამ ოხერს და ტიელს! — ჯავრობდა მამა და ამოდ იქეპავდა ჯიბეებს, — ბელი არ უნდა? რალა ახლა მივატოვე!

— თქვენი თავი წარმოიდგინეთ ჩემ ადგილზე! — მეტყევე ფიცრულ მოაჯირზე ჩამოჯდა, გადახეხილი ნიდაყვებით მუხლებს დაეყრდნო და გრძელი ფეხები ძირს ჩამოუშვა, — რანაირად გაგატაროთ? ბილეთი გაქვთ? არ გაქვთ. პირადობის მოწმობა გაქვთ? არ გაქვთ. ვინ ხართ, რა ვიცი? იქნება სულაც... მანქანა ვისია?

— ჩვენი! — მამა გამოცოცხლდა, ჯიბეების ამო ქექვას თავი დაანება, — სორის კოლმეურნეობის!

— ნამდვილად?

— შვილი ნუ მამიკვდება! ნართვლევს შეეიპირე თავმჯდომარე. ეს ერთი მანქანა გეყავს და... სანამდი მოსავალი არ ჩაკარდება, ამის შემეყურე ვართ თელი სოფელი.

— შოფერი სად არის? გაიქცა?

— მანქანაშია, ბატონო!

— მოვიდეს აქ! ეგეც თავის ნებაზე იქნება წამოსული. ასე მიინც რაღა წახდა ხალხი! ძალდი პატრონს ვერ ცნობს. მიკვირს და გამკვირვებია: რაზე დგას ეს ქვეყანა!

— არიქა! — კაცმა თვალებით და მთელი სახის გამომეტყველებით ანიშნა.

შვილს, გაიქეციო, მაგრამ, სანამ ბიჭი გაინძრეოდა, ეს რატომღაც გადაიფიქრა. შოფერი თუ ჰყავდა დასაოკებელი. მოუსვენრად ჩააბიჯა კიბის საფეხურზე და ისევ თვითონ წაძუნძულდა მის მოსაყვანად.

3

ანგიამ წამი შეაჩრია, თავი დაანება აივანზე დარჩენილთ და კუდამოძულებულმა მორიგე ტელეფონისტის კარი შეადო. გულში ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ სხვისი გულისათვის ატეხილი შფოთი ასე მშვიდობიანად დამთავრდა და წყლიდან მშრალი ამოვიდა. მაგრამ ვინ არის თავდები, რომ მეტყვევებს დააყენებს! რა აქვს მეტი საქმე, დაჭდება ხიდისყურში და ყველა გამვლელ-გამომვლელს მოუყვება, ასე და ასე იყო. ანგია ხინველს, მამალი ინდაურით რომ იფხორებოდა, კუდით ქვა ვასროლინო. პირს ხომ ვერ აუკრავენას ძვალი არა აქვს და...

მწვანედ შეღებილი დარაბის უკან. კედელთან მიდგმულ ძველებურ კომპუტატორს ულვაშებწამოზრდილი შავ-შავი გოგო უჯდა და ყდებზემოცვეთილ წიგნს ჩაჰკირკიტებდა.

— მუშაობს? — უგუნებოდ ჰკითხა მას ანგიამ და თვალთ კომპუტატორზე ანიშნა.

— ონი გინდა? — გოგომ წიგნს თავი დაანება, შემოსულს მორჩილი თვალეზი მოაპყრო, ნეტა ვინ არის, აქამდე რომ არ მინახავსო, და დაძველებული აპარატის სახელურს მისწვდა.

— ბრილი მომეცი. საბჭო.

— თავმჯდომარეს თუ ეძებ, ძამია, რაიონშია წამოსული.

— უჰ, ეგ რა მითხარი! — ანგია კიდევ უფრო შეწუხდა და ისევ წამოუხურდა ყურის ბიბილოები, — არც მდინანია?

— ამ წუთში უძახოდენ. ვერ გავაგონე. თუ დოუცილი, ვსინჯავ კიდევ.

— აბა, რა გითხრა, იცი? — ანგიას თვალეზი გაუშტერდა: მოეცადა თუ და-

ებარებინა რამე? წამიერ ყოყმანს სძლია და უცებ გადაწყვიტა, — მე ვეღარ გავჩერდები, გვიანია. ვაითუ გზაში დამაღამდეს. დღისულ მინდა ბრილს ავიღე. ცოტა ხანი რომ გავა, დარევე და თუ ვინმე დაიჭირო ხაზზე, უთხარი, რწმუნებული მოდის რაიონიდან და დაუხვდით-თქო. მიხვდი?

— თქვენ ბრძანდებით რწმუნებული?

— კი. რავა?

— რწმუნებულად ვანო გუგეშაშვილი არ იყო ბრილში?

— კი, ის იყო. ახლა მე ვარ. გამიკეთებ ამ საქმეს, ხომ?

— ვსინჯავ, ძამია. თუ ვინმემ გამაგონა...

ულვაშებიან მორჩილ გოგოს ახალგაზრდა კაცთან ლაპარაკის საღერღელი აეშალა. კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა. ანგია უშელ გამოტრიალდა და სათქმელი სიტყვა პირზე შეატოვა.

აივანზე აღარავინ დახვედრია. მამაშვილი და მეტყვევ გზაზე იდგნენ. თავგადასორტილ შოფერს ბრჭყვიალა სახელური მოემარჯვებინა და ხე-ტყით დატვირთულ საბარგო მანქანას ზანტად ქაჩავდა. მამა სადღაც განზე ეპატიეებოდა მეტყვევს, ყელს უწევდა, ერთი ორჯერ კი იმდენად გათამამდა, ხელიც წაატანა, რასაც წელან ვერაფრის გულისათვის ვერ გახედავდა. მეტყვევ უარზე იდგა. უბის წიგნაკი ამოეღო და ძალზე საქმიანი იერით შიგ რაღაც დიდმნიშვნელოვანს წერდა. როდესაც ხიდისაკენ მიმავალი ანგია მიუახლოვდა, მან ფურცელი ამოჰხია უბის წიგნაკიდან და ხეტყის პატრონს გაუწოდა. კაცმა ფურცელი მოწიწებით ჩამოართვა და ახლა უკვე ორივეს — მეტყვევსა და ანგიას — ერთად შეეპატივა:

— შრანდელი ღვინო მაქ წამოღებულს. კი ვერ შემოგბედავდით, მარა... თითო ბოთლი ძლივს გამოგვივა.

ანგიამ გადაჭრით იუარა. ამოდენა გზის გამოვლის შემდეგ, მართალია, მოშვიებულიც იყო და პირიც უშრებოდა, მაგრამ არ უნდოდა ეს ყიამყარალი მეტყვევ ვაეცნო და მასთან პური გაეტეხა.

— ძალიან მეჩქარება. ხალხი მიცდის...

— ორი წუთი! — ხე-ტყის პატრონი გამოქეცილი კაცი ჩანდა. მიუხვდა; უარს რის გამოც ამბობდა, თვალი უყო — რა ვუყოთ მერე, ცხოვრებაში მაგისტანა ბევრი შეგხვდებოა, და მკლავში ახლა უფრო გაბედულად ჩასჭიდა ხელი, — დიდხანს არ გაგაჩერებთ!

ნათუბათევი სუფრა მწვანეზე გაიშალა, წყაროსთან. შოფერმა თავი მიანება მაიქანის ქოქვას, სახელური კაბინაში შეაგდო, კარი შიკაჩახუნა და ხე-ტყის პატრონის შვილს მიხვდა.

აგია წრიალებდა. ველარც წასვლა შეიკადრა, არადა, თვალი სულ მორიგე ტელეფონისტის ღია კარისაკენ ეჭირა, ახ ახლა მომამახებს და ან ახლაო.

— ვინ ხალხი გიცდის, ბიჭო? — მეტყევეს გულში ჩარჩენოდა ანგიას ნათქვამი და პანტა ვაშლის ღეჭვა-ღეჭვით ჰკითხა.

— მიცდიან... — ანგიამ ბუნდოვნად უბასუბა და თვალი მოარჩია.

— საით გაგიწევია? — მეტყევემ ვაშლი შეაბრუნა და ახლა მეორე მხრიდან ჩაასო წვრილი კბილები.

— ბრილში! — მოუჭრა ანგიამ მოკლედ.

— იქაური არ უნდა იყო.

— ვმსახურობ იქ... რწმუნებულად.

— რწმუნებულად? — მეტყევემ ყოველი მხრიდან შემოღრღნილი ნაღინკალი გადააგდო, ლუკმა გადაუღაბა და სველი ტუჩები ხელის ზურვით შეიწმინდა, — მერე ვანო? მოხსნეს? მოიხდებ, შე კაცო, მემდური?

— თავათ ითხოვა წასვლა.

— უყურე! მე კი არ ვიცოდი, როდის მოხდა ეგ ამბავი? გუშინწინ აგერ არ იყო? სახერხში ვიპურმარჩილეთ...

— სამი დღეა.

— ახლა მიდიხარ პირველად?

— კი.

— კეთილი! — მეტყევემ საგარეო სიტყვა გამოურია ლაპარაკში, ანგიას ხელი გამოუწოდა და ვიდრე ის თავის ხელს უკან წაიღებდა, მაგრად ჩამოართვა, —

გავიცნოთ ერთმანეთი. რაც უნდა იყოს, ორივე ერთ უბახს ვემსახურებოდე: გერვასი!

მეზღაპრული

— ახვია... წინველი.

— მოიცა, მოიცა, კაცო, შენ ის არა ხარ, ნიგვზიარელი მებუხრის შვილი-შვილი, რა ერქვა... მოსულს რომ უძახიან?

— კი, ის ვარ.

— ცხენი რომ ყავს...

— ის ვარ.

— რა უყავი მერე ცხენი?

— ეგერ მიბია გალმა.

— რაც მაგ ცხენს აქებენ... — პირ-

ქუში და დაკისრებული მოგალეობის უსახლვროდ ერთგული მეტყევე თვალდათვალ გამოიცვალა. წელანდელი უკარებლობისა ნიშან-წყალიც კი აღარ ემჩინოდა, — რა დაგიმალო და, მე ჯერ არსად მომიკრავს თვალი. ზღაპარივით ამბებს ყვებიან. მართალია? გადარეულია ხალხი!

— ნახე, ეგერ არის.

მაგრამ ამასობაში პურმარჩილი გაეწყო და ხე-ტყის პატრონმა სუფრასთან მიიპატიჟა ორივე. ღვინო მართლაც ცოტა ჩარჩენილიყო ტიკტორაში. ესეც როგორ გადაურჩათ! გლოლელებს ღვინოს მიუტან და უკან გამოგატანენ? ოთხ-ოთხი ჭიქა გამოსცალეს, სისხლივით წითელი ჰარხლის მწნილი და მშრალად მოხარული ხმოს ზორცი დააყოლეს და მანინე წამოიშალნენ. აქ ჯღომისა და ნაძალადევი სიამტკბილობის დრო სადღა იყო. სტუმრებსაც ძალიან ეჩქარებოდათ და მასპინძლებსაც.

— ვითომ მეც წამოვიდე? — მიმართა მეტყევემ ანგიას და ნიდაყვებზე გადახეხილი ტყავის პალტო, რითაც თავს იწონებდა, შეიბნია, — ზევით აღარაფერია ავლილი.

— ბრილში მოდიხარ?

— ჭიორაში. არ მიიქვამს წელან? ბინად ვდგავარ იქ. გადასახვევამდე ერთად ვივლით.

ისინი გზაზე გამოვიდნენ და ხიღს მიამურეს. კილომეტრების მაჩვენებელ რკინის ბოძზე აღვირით გამობმული

ცაგურა მოუსვენრად ჭიმავედა შვე ნეს-
ტოებს, ჭიხვინებდა და ამაყად ყელმო-
ღერებულ პატრონს უცდიდა.

— მოვკალი საწყალი შიმშილით! —
თქვა ანგიამ, აღვირი ბოძიდან ახსნა
და ცხენს ლურჯფორეჯებიან კისერზე
მოუთათუნა ხელი.

— აუ, შენ გენაცვალე, რა ცხენია! —
ცაგურას დანახვაც იყო და გერვასის
თვალები გაუბრწყინდა, — თუ კაცი
მქვია, ეს მართლა ქე ყოფილა საქება-
რი!

— არა უშავს, ცხენი კარგია, — თავ-
მღაბლად დაეთანხმა ანგია.

— თფუ, თფუ, თფუ... ღმერთმა არ
გვიწყინოს! მე ამისთანა არაფერი მინა-
ხავს ჯერ. თავი ნუ მოგიკვდება, რამდენ-
ი წლის არის?

— ხანი აქვს... — ანგიას დაეხარა
ცხენის ნამდვილი წლოვანების გამკლავ-
ვება და მხოლოდ ამ პასუხით დაკმა-
ყოფილდა.

— მაინც, მაინც? — გერვასი არ მო-
ეშვა.

— თორმეტის... — პატრონმა მაინც
იეშმაკა და ორი წელი მოიპარა.

— ვერაფრით ვერ იტყვი მაგას. ვე-
რა, აპ! თუ კაცი მქვია... შეხედავ, კვი-
ცი გეგონება. რა დეღამ გშობა ასე მალ-
ხაზი, შე დალოცვილო? ახლა, სათქმე-
ლი კი არ არის, მარა... — მეტყევე ისევ
საყვარელი ცხენის შექებით ნასიამოვ-
ნებ ანგიას მოუტრიალდა, — საქმე რომ
საქმეზე მიდგეს...

— ჰო.

— ხომ არ გეწყინება?

— თქვი, რას იტყვი მაგისთანას!

— რა უნდა მოგცენ, რომ შეელიო?

— სამაგისო რა გამიჭირდა!

— არა, არა! — მეტყევემ თავი გა-
მოიღო, — რა უნდა მოგცენ... როგორც
კაცი... ფიქრშიაც არ ვაგივლია?

— არ ვამივლია სწორედ.

— რა გითხრა, ანგო, აბა, იცი? — სა-
ათის თუ საათნახვერის წინ ისე მიუკა-
რებელი და სიტყვაძვირი კაცი სულ მო-
შინაურდა, — სახლ-კარი რომ გამაყი-
დვინო მაგცხენის საყიდლად. გელაპა-

რაცები, არ დამენანება. კარავში შეყვრი
ცოლ-შვილს!

— ცხენის გივი ყოფილა...
— ჰი, გივიო? ღმერთმა ერთ წუთსაც
ნუ მაცოცხლოს უცხენოდ! რას ამბობ,
კაცო, შენ!

— ახლა რატომ ხარ, აბა, ისე?

— ეგ არ მისივებს გულს? გასულ
ხუთშაბათს — რატომ არ დაიქცა ის-
დღე! — რევიზორები მოგვივიდა თბი-
ლისიდან. ხომ იცი, ჩამოვლიან და ხე-
ლებში გიყურებენ... თელი სატყეო აქ
იყო ამოსული. მე ფეხით გავყევი. ცხე-
ნი სტუმარს ვათხოვე. ისე შეჯდება ზედ.
მადლობასაც არ გეტყვის მამაშალო.
ასე გონია, ვალდებული ხარ. მოკლედ,
ნულარ გამახსენებ! სამი დღე და ღამე
გლოვა იყო ჩემ ოჯახში. ცხენი და თო-
ფი იმისთანა რამეა ორივე, ანგო, სხვას
არამცდაარამც არ უნდა ათხოვო. შეც-
დი, ათხოვე? — მეტყევემ ხელი ჩაიქ-
ნია, — მორჩა! შენსას ჯვარი სწერია...
ფეხი მომიტეხა, კაცო!

ანგიამ თანაგრძნობით ამოიხვნეშა, გუ-
ლში კი იმ მორჩილ გოგონაზე ფიქრობდა,
საგლოლოზე რომ ნახა. რატომ არ მოაწ-
ვდინა ხმა წელან? ნუთუ კიდევ არავინ
გამოჩნდა ბრილის სასოფლო საბჭოში!
მაგრამ ვაითუ ტელეფონის ხაზია დაზი-
ანებული. შენ მაშინ თქვი...

— არტაშენებით გავქაჩეთ... — მეტყე-
ვე უკაბედი მარცხის წვრილმანებს გა-
დასწვდა, — ბედი კიდევ, ბედი, მცოდ-
ნე კაცი გვაზღდა. დროით რომ არ მიე-
შველებოდი, გეუბნები, მეზარალეო-
და ცხენი. შენ რავა ჩამოუშვი ჩიჩვირი.
ღვინო ხომ არ მოგეკიდა? უზმონზე
იცის...

— წუხანდელი უძილო ვარ და...

— უპ, მაგაზე უარესი არაფერია!
მგზავრობაში მაინც. უნდა გამოგეძინა
და ისე წამოსულიყავი. რა ვეჩქარებო-
და? ბრილი კი არსად წავა ისე, ხომ
გივლია იქით?

— კი, ბევრჯერ! — ანგიამ იცრუა.
ბრილში, როგორც ცხრა მთას იქით გა-
დაკარგულ უცხო ქვეყანაში. დღეს პირ-

ველად მიდიოდა და მისი გასაჭირიც ეს იყო.

— ჩემად შურსა იტყვი და... — მეტყვევებ მსუხავი თვალეზი მიატარ-მოატარა არემარეს, — ნამეტანი სხვანაირი ხალხია.

ანგიამ ყურები სცქვიტა. მეტყვევებგონი, თავის პირით ეუბნებოდა იმას, რის გაგებაც ასე ძალიან უხდოდა. თვალად და ყურად გადაიქცა. გერვასის კი არ შეუქმნენვია ბრილის ახალი რწმუნებულის უცნაური დაინტერესება. სასხვათაშორისოდ განაგრძო, თან გზას არჩევდა, ზემოდან გადმოვარდნილ ღელეში ფეხი არ ჩაეკრაო.

— სხვანაირი ხალხია, სხვანაირი.

— რანაირი? — ანგიას მოუთმენლობა დაეტყო.

— უცნაური... — მეტყვევებ რაღაც გაუგებარს ამბობდა და აინუნშიაც არ მოსდიოდა, რომ ანგიას სული სძვრებოდა, სანამ რაიმე ახალს შეიტყობდა.

— მაინც, მაინც?

— რანაირად გითხრა, თავათ მიხვალ და... ვანოს არაფერი ულაპარაკია?

— არა, კაცო.

— მაინც რა თქვა, რაიო?

— არაფერი. სულ არ იღებს ხმას.

— არ კითხეთ?

— კვითხეთ, მარა...

— ძალიან გამწარებული იქნება.

— კამჩატკაზე წავალ და ბრილში ფეხს ველარ დამადგმეფინებთო.

— იტყოდა. სხვანაირი ხალხია, სხვანაირი...

— თუ იცი რამე, თქვი, რაღას აჯანჯლებ.

— არ უყვართ მოსული კაცი, — მეტყვევებ, როგორც იქნა, გატეხა ნავსი და ანგიას შემოჰხედა, — აქ ცოტა ვართო? რა სხვისი ზელმძღვანელობა გვჭირდებაო.

— ეგ ყველგან ავრეა! — თავი დაიხმედა ანგიამ.

— არა, არ დაიჭერო. აქ სხვანაირად იციან.

— იქნება კიი კაცია მოსული...

— სულ ერთია. გინდ კარგი იყავი და

გინდ გლახა. სხვანაირი ხალხია, ზომ გითხარი. შენ, ისე გატყობ, ცოტა, მგონია... — მეტყვევებ ცალკბად, გაიცინა და დაჭიანებული კბილები გამოუჩნდა, — კიდევაც შეგეშინდა!

— შეგეშინდა? — გაიმეორა ანგიამ და კბილები თავადაც გამოაჩინა. გერვასის ეს მზაკვრული შეკითხვა მთლად უსაფუძვლო როდი იყო, — შემეშინდა კი არა... რაზე მეტყობა?

— აქეთ, აქეთ, მანდ ფეხი ცურავს და წყალში არ ჩავარდე!

— მაგისთანებს თუ შევეშინდი... — ანგიამ ფრთხილად აუარა გვერდი გალიპულ ქვეს და გუბებს ვაღახტა, — აღარც ვვარგებულვარ კაცად და ეგ არის! შენ ეს მითხარი... ჭოროა კიდევ შორია?

— იმ ფერდობს შემოვევლით, ზვინები რომ ჩანს, და გამოჩნდება. ამაღამ კი ვერ გაგიშვებ. ჩემი სტუპარი უნდა იქნე.

— რას ამბობ, კაცო, აქამდე ამოვედი და მე ახლა ჭოროაში გამჩერებელი ვარ?

— დაგალამდება, გაწვალდება, თუ არა...

— რა დროც არ უნდა იქნეს, უნდა მივიდე.

— იცის ვინმემ, რომ მიდიხარ?

— გოგოს დავარკვინე საგლოლოდან.

— თუ დარეკა. ხაზი არ იყო წელან.

— შემპირდა, რაღაცას გავახერხებო.

— თუ არა აგერაც შეიძლებოდა დარჩენა. როგორც კაცი. დილას ადრე წახვალ.

— არა, არა, ახლავე ჯობია! — ეს უკვე თავისთავს უბრძანა შეფიქრიანებულმა ანგიამ, — ბარემ მოვეწყობი, მივიხედ-მოვიხედავ. ცხენუკას ნამეტანი მომიშივდა. თივას ხომ ვიშოვნი იქ?

— თივასო? რამდენსაც გინდა! რაც წრეულს სათიბები გაითიბა ბრილში, გაისადაც ეყოფა შავათ ხარ-მროხას. საკვების ნუ გეშინია. ცხენს არ მოგიშვივდება. ვინ ოხერი და მამამადლი მოაშვივებს ამისთანა მალხაზს!

მეტყვევებს გულმა ველარ გაუძლო, ცაგურას უკანიდან მოუარა და გავაზე მო-

უტყაბუნა ხელი. ცხენმა იუკადრისა, ეს როგორ გამიბედაო, გვერდზე გადახტა და მრისხანედ დაიფრუტუნა.

4

თვალწინ დაცემული ვაკე გადაიშალა. უკანა მხარეს, თეთრად აქათქათულ რიყეზე, რიონი მოედინებოდა, ხოლო წყალგაღმა ფიქსასვით მჭიდრო სოფელი მოჩანდა.

— მე აქ გადავუხვევ, — თქვა ჭიორელმა და ანგიას ხელი გაუწოდა, — თუ სადმე ჩვენკენ მოხვდეს, მიკითხე. სკოლასთან ვდგავარ. სახელი ხომ არ დაგაფიწყდა? გერვასი მქვია.

— კარგად იყავი!

— შეჯექი, შეჯექი, საათნახევარში იქ ხარ, არც კი მოუნდები!

„რას შეპატრეება ამ ჩემ ცხენზე!“ — გაიფიქრა ანგიამ, ცაგურას აღვირი დაუშოკლა, მარცხნივ დაუდგა, უზანგი შეუსწორა და თითქოს თავს აწონებს ვისმეო, თვალის დახამხამებაში უნაგირზე მოექცა.

— საბჭო რა ადგილზეა, თუ იცი? — გადმოსძახა თანამგზავს.

— წყალგაღმა ვახვალ და სულ აღმართ-აღმართ ივლი. იქ იკითხე და მიგასწავლიან.

ანგიამ ცხენი გააქენა. საბრალო ცაგურამ ძლივს თავისუფლება იგრძნო და მუხლები გამართა. ანგიას ისევე გაახსენდა, რომ ცხენი უქმელი ჰყავდა. გული დაეწვა. სადმე რომ შეეცადა და ბალახი მოეძოვებინა?

გზას ორთავე მხრივ სათიბებად გაშვებული მინდვრები გასდევდა. მხოლოდ აქა-იქ ხვდებოდა თვალს წინა გახატულზე აოშილი ყანები. ჭიორას თუ რომელიღაც სხვა სოფელს აქ კარტოფილი უნდა ჰქონოდა დათესილი. კარტოფილი კარგა ხნის ამოდებული იყო და მიწას დიდი და მცირე ღრმულები აჩნდა. ზეინები სულ აღმა და აღმა მისდევდნენ, მთის ოღროჩოღრო ფერდობებს და სამოვრების ზემოთ ნაადრევი თოვლით დაფარულ კლდეებს აღწევდ-

ნენ. სათიბში ახლადამონაყარი ბალახი წამოსულიყო.

ანგიამ ცხენი გზის მარჯვნივ მოაქენა, ჩამოხტა და ლაგამ-აგმარა წაჰყარა. მადლიერმა პირუტყვმა ერთი დაიფრუტუნა და მაშინვე ბალახს ეძგერა.

„სხვანაირი... სხვანაირი... — იმეორებდა ამ ერთადერთ სიტყვას ანგია და მოსვენება თანდათან ეკარგებოდა, — მაშ, მოსული კაცი არ ჰყვარებით? მე მაგათ ვაჩვენებ! აი, თურმე სად ყოფილა ძალღის თავი დამარხული!“

მაგრამ მეტყვევებ კიდევ რალაც იცოდა. რალაც იცოდა და ანგიას არ უთხრა. ანგია მის სიტყვებს ჩაუკირკიტდა. გაიხსენა და ყველა სათითაოდ ასწონდასწონა გონების სასწორზე.

უცებ წელანდელი წაქინკლავება გაახსენდა და ბრაზი წაეკიდა. იმის შემდეგ თავმოყვარე კაცი გერვასის ხმასაც არ გასცემდა. ანგია ხე-ტყის პატრონის ხართმა დააბა. ისე იქ რა გააჩერებდა!

დამდგარა შარა-გზაზე ყაჩაღივით და... არა, ამას სხვაც ბევრი შერება, გერვასი არც პირველია და არც უკანასკნელი, მაგრამ, მთავარია, კაცი ღორად არ გადაიქცე, რალაცამ გაგაძლოს, მუცელი ამოგიყოროს...

„არაფერი! — თავის დამშვიდება სცადა მან, — უშფოთველად და შეუწუხებლად მართო მკედლები ცხოვრობენ. კაცმა ფხა უნდა გამოიჩინო. სიძნელე რას მიქვია! სხვანაირი ხალხი კი არა, ის მოიგონონ! თუ სხვანაირები არიან, მეც სხვანაირი ვარ. ნახონ ერთი, თუ არა ვარ სხვანაირი!“

საიდანაც მანქანის გუგუნე შემოესმა. ანგიამ თვალი გააყოლა გზას. ეს, ალბათ, სალამოს ავტობუსი იყო. მწვანე ბრუნენტის ჩარდახით თავგადაკრული ავტობუსი „ონი — ბრილი“ მართლაც მალე გამოჩნდა. იგი ნელა მოდიოდა და გზადაგზა მტვრის უზარმაზარ ღრუბელს სტოვებდა.

იორამ ლობჯანიძეც უთუოდ ამ მანქანაში იჯდა. ანგია მოემზადა. აეწია ხელი, გაეჩერებინა მანქანა? არა, არა! მან უმაღლე უარყო ეს წინდაუხედავი გან-

ზრახვა. თუ მგზავრები ბევრი ჰყავდა, შოფერს იქნებ მანქანა სულაც არ გაეჩერებინა, როგორც პიპილეთის ხილთან შგრებოდნენ ხოლმე, ხოლო თუ შეაჩერებდა, მით უარესი: ანგია უამრავი ხალხის თანდასწრებით უნდა გამოემცნაურებოდა თავმჯდომარეს. ბევრმა, შეიძლება, არც კი იცოდა ვანო გუგუშაშვილის წასვლისა და მის ადგილზე ახალი რწმუნებულის დანიშვნის ამბავი. აქვე შინაურულად და ქირქილ-ქირქილით დაუწყებდნენ გამოკითხვას, თუ ღმერთი გწამს, დაწვრილებით მოგვიყვები, ეგ როგორ და რანაირად მოხდაო. ანგიაც ხომ აღამიანი იყო. იძულებული გახდებოდა ზოგი რამ ეთქვა და ამთავითვე, სურდა თუ არ სურდა, ბრბოში გათქვეფილიყო.

დაძველებულმა ავტობუსმა, რომელიც ათი წლის წინათაც ჩამოსაწერი იყო, ჯაყჯაყით გაიარა. შოფერს და მგზავრებს ყურადღება არ მიუქცევიათ, თუ აქ ვინმე იდგა. ანგისაც ეს უნდოდა. ახლა ისლა აკლდა, ავტობუსი გაეჩერებინათ და გამოკითხვა დაეწყათ!

წყნარი, უქარო საღამო იყო, მაგრამ მტვერი მაინც გზის მარცხენა მხარეს ეძალებოდა და მთელ სივრცე-სივრცეზე ჰფარავდა მინდორს.

ანგიამ რომ ცხენი დაიჭირა და ზედ შეჭდა, კარგა ხნის დაღამებული იყო. გზა აღარც კი ჩანდა. საამაგიეროდ, მარჯვნივ, ნაქარტოფილარი ყანის უკან, თეთრად ქათქათებდა რიყე და რიონიც ოდნავ უფრო ხშიანობდა.

ანგიას მძიმე ტვირთი მოეხსნა ვულისაგან. ცხენი უკვე მადლარი ჰყავდა. ახლა თუნდ გათენებამდე ივლიდა და ერთხელაც არ შეისვენებდა. ცაგურას ფაფარში შეუყო ხელი და მოეფერა. ცხენს კისერი მკვრივი და მხურვალე ჰქონდა, ოდნავ ნაშიანიც. ანგია ლოყით შეეხო დაკუნთულ კისერს. ცაგურამ თავი ასწია, წინა ფეხები აათამაშა, ჩუმად ჩაიხვიზინა და ნაბიჯს აუჩქარა.

წინ თეთრმა ფინიამ თუ ყურადღებამ გადაურბინა. ანგიამ მხედველობა დაძაბა და სიბნელეს დააკვირდა. გზის მარცხე-

ნა მხარეს ყვეთიკრის ჩაბნელებული სახლი მოჩანდა. ეს უკვე სოფელი იყო. განათებულ ფანჯარას, ფანჯარას, ვერც მგონი, მთელ აივანს. მხოლოდ უბნის თავში მოლანდა თვალი. გზა იქით არ ედო. გაღმა კიდევ ჩანდა ჩაბნელებული უბანი. ხის ბოგირზე ცხენი ფრთხილად გადაატარა.

ნათუ ყოველთვის ასე ადრე და მშვიდობიანად იძინებდა სოფელი? უჩვეულო სიმყუდროვე, რაც ნიგვზნარში ან პიპილეთში წამითაც კი არ ჩამოვარდებოდა ხოლმე, ანგიას გულს ესალბუნა. მაგრამ მალე წუხილმა გაჰკრა ბრჭყალი: ვინ გაეღვიძებინა, ვისთვის ეკითხა სასოფლო საბჭოს ადგილსამყოფელი?

ის იყო, დააპირა რომელიღაც კომისარის წინ შეჩერება, რომ ზემოდან ქვაზე ასხლეტილი ფლოქვის ქახანი და ურმის კრიალი მოისმა. ანგიამ შეიცადა, სანამ ურემი დიდრონ-დიდრონი ქვევით აჩონჩხილ თავდაღმართს ჩამოივლიდა და მხოლოდ ამის შემდეგ დასძრა ცხენი.

მარხილისებური ჩოჩიალა ურემი თევით ყოფილიყო დატვირთული. სიბნელეში თვალეზაბრიალებული ხარები წინ თავგამოდებით მოიწვედნენ და რიყის ქვევზე აგორებულ ურემს ძლივს აკავებდნენ.

ანგიამ ორ თუ სამ წუთს კიდევ იარა და ხელახლა შეჩერდა. გზა ქვეთიკრის სახლის ყურე კედელს მისდგომოდა. მეურმე არსად იყო. ვერც წინ გასასვლელი გზა იპოვა. ის ცხენიდან ჩამოხტა და კედელი ხელით მოსინჯა. ახლად გაარჩია: ვიწრო შუკა ერთიმეორეზე წაბმულ ქვეთიკრის კედლებს ვასდევდა.

ანგია ქვეითად გაჰყვა შუკას. ცხენი სადავით მიჰყავდა. მოპირდაპირე მხრიდან ვილაც მოაქანავებდა ნავთის ფარანს და აქეთ მოდიოდა. ანგიამ მოუცადა. მოქანავე ნათელმა წერტილმა კარგა ხანს იარა და როცა იმდენად მოახლოვდა, რომ ხმის მიწვდენა უკვე შესაძლებელი გახდა, ანგიამ ხმა დაიბოხა და გასძახა.

ნათელი წერტილი შედგა. რომელი

ხარო, გაისმა სიბნელეში ბერიკაცის მოგუდული ხმა.

ანგიამ ალვირი გაქაჩა და წინ წაივია.

წელში კანდრივით მოკაკეული ბერიკაცი, ბანჯგელიან პირისახესა და დროცამისაგან დაღუღლ მხარ-ბეჭს მადაროელის შუშაშემტრული ფარანი სუსტად რომ უნათებდა, ყორესთან იღვა და უცნობ მხედარს ნახევრადდაბრუციანებული თვალებით ზვერაგვდა.

— შენია ურემი? — ჰკითხა ანგიამ და გაჩერდა.

— რომელი ურემი, ბატონო?

— ბოგირთან რომ მიდის. ვითომ არ იცი! ხარებს უჭირთ. საპალნე არსად გადააგდონ!

— შე ახლა გამოვედი სახლიდან. ურემი არ დამინახავს. შენ ვინა ბრძანდები?

— ეს სოფელი ბრილია, ხომ?

— ბრილია, კი ბატონო. ვინა ბრძანდები?

— მოსული კაცი ვარ. საბჭოს ვეძებ

— შემოწმებაზე მობრძანდი თუ...

— სარიკაოდ არ მოვიდოდი!

— რასა წყრები, შე კაცო, გეკითხები, ხომ არაფერი წამირთმევია!

— საით არის საბჭო, იცი?

— ვიცი, რავე არ ვიცი, აქაურ კაცს საბჭო არ მეცოდინება?

— გამიძეხი წინ!

— მიჰერ თუ?

— დასაჰერი კი არა, ფეხებით ჩამოსაკიდებელი ხართ ყველა!

— იმე! — ბებერი მთლად გაოცდა, — რას გვემართლები, შე კაცო?

— ეგ შე ვიცი. მიდი, მიდი, გამიძეხი წინ!

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, შეილო, მარა... წამო, რა ვაეწყობა, მივიყვან საბჭოში.

— იორამ ლობჯანიძე იქ იქნება ახლა? — ადგილიდან დაძვრის წინ ჰკითხა ბებერს თავისი სიმკაცრითა და ბრილელი ბერიკაცის უსიტყვო მორჩილებით კმაყოფილება ანგიამ.

— ახალი ამბავი, რავარც გატყობ, ჯერ არ ვაგვიგია, — ბერიკაცმა ფარანი

ასწია და ნახევრადდავისილი ჩხია თვლები ისევ მხედარს მიაპყრო.

— რა ახალი ამბავი? — ანგიამ წაეწრო ბი სიმხურვალე იგრძნო ყურებში.

— სოფელი ცარიელია, შეილო. ვერა ხედავ?

— როგორ თუ ცარიელი? — ანგია ყველაფერს წარმოიდგენდა, ამას კი ვერა.

— ყველა წასულია.

— სად?

— რიონის სათავეში.

— იორამიც?

— ფეხად გაგასწრო.

— რა მოხდა, გლაზა ამბავია რამე?

— მართლა არაფერი ვაგვიგია? თუ... —

მოხუცმა ფარანი თვალების სიმალღებზე დაიკავა, რათა უცნობის სახე უკეთ დაენახა, — ცულნაკრავა დასცემია, ბოშო, ფერმას, ის ჩვენი ცოდვით საესე...

ანგიას ყურში კი ეხამუშა უცნაური სიტყვა „ცულნაკრავა“, მაგრამ სიამაყემ ნება არ მისცა თავისი უცოდინარობა გამოემჟღავნებინა. ნეტავი რა ჯანბას უნდა რქმეოდა, კაცს თუ ნადირს?

— ჯავრმა გაგვასავათა, — შეწუხებული ხმით განაგრძო ბერიკაცმა, — საქონელია გატაცებულიო. ორი მწყემსი დაშავებულა...

— ვინ შეგატყობინათ?

— კაცი ჩამოიჭრა. მერე ისევ გაყვა აქიდან წასულებს. ფერშალიც წეიყოლეს. თუ რამე უშველა... ერთი სიტყვით, აღარ ღირს ჩვენი სიცოცხლე, უფროსო. ყოველ წელიწადს ამისთანა ხარალი მოგვდის. ავიყაროთ, რავე ავიყაროთ. არ ავიყაროთ და...

ემვი არ იყო: „ცულნაკრავა“ რალაც მხეცს უნდა რქმეოდა. ანგია ოდნავ დამშვიდდა. მადლობა ღმერთს, ამას თვითონვე მიხვდა და გამოკითხვა არ დასპირვებია. არცოდნას ბერიკაცი ცოდვად ჩაუთვლიდა და მეორე დღეს სოფელს მოსდებდა, ბრილის ახალი რწმუნებული მთლად შუტუ ყოფილა, ისიც კი არ სცოდნია, ცულნაკრავა რასა ჰქვიაო.

ანგია ერთხანს გამტერებული იდგა.

ნადირის ღვეწა და სმწყესურში გარე-
კილი ხარ-ძროხის მოვლა-პატრონობა
მის მოვალეობას, რასაკვირველია, არ
შეადგენდა, მაგრამ აქ ვისთან ჩამომ-
ხტარიყო, თუკი სოფლის თავაკცთავან
შინ მართლა არავინ აღმოჩნდებოდა?
განა არ ჯობდა, ისევ რიონის სათავეში
წასულთ გასდგომოდა? იორამ ლობჯა-
ნიძეს ან გზაში ნახავდა, ან ფერმაშივე
აუსწრებდა...

— რამ შეგაწუხა, შე კაცო! — მოხუ-
ცი მიუხვდა, — სოფელი დიდია. ჩემსა
წამოდი. დამეს ვერ ვაგათევიანებ?

— გამყოლი რომ მეშოვნა ვინმე... —
ანგიას გული მოუღობო მოხუცის სტუ-
მართმოყვარეობამ და წელანდებურად
უკვე აღარ ცხარობდა.

— აჰ, ახლა მე შენ რიონის სათავეში
გაგიშვებ? შენ არ მომიკვდე! წამოდი,
ღარიბად კი ცეცხვრობ, მარა პატარა
პატარავს მეც ქე გცემ. შორი გზიდან მო-
ღიხარ. მშვიერიც იქნები. წამო, წამო!

— გამყოლს ვერავის ვიშოვნი? —
ანგია აღრევე შემძღარიყო ჯორზე და
ახლა ძირს ვეღარ ჩამოდიოდა.

— მართლა წასვლა ვინდა, თავი ნუ
მოგიკვდებო? — ჯერ შეიოცა მოხუცმა,
მერე კი მოუწონა გადაწყვეტილება, —
აფერუმ შენ ვაქცაცობას! მაგარი გულის
პატრონი ყოფილხარ! — ბოლოს, ხმას
დაუწია, თითქოს საიდუმლოს უმხელ-
სო. — ის ოხერი აღამიანისშვილსაც რო
ერჩის?

— იარალი მაქვს! — ანგიამ თქმობე
ხელი მოისვა.

— სროლა თუ მოასწარი... ვინ ვაგა-
ყოლო ახლა... მოიცა! აგერ დავიძახებ
ვაგაშლებში!

ამ სიტყვებზე ბერიკაცი შექანდ-შემო-
ქანდა. ვერ გადაწყვიტა, რომელ მხარეს
წასულიყო. მერე მიმართულება აირჩია
და ჩქარი ნაბიჯით, რის საშუალებასაც
კი დაუძღურებული მუხლები აძლევდა,
ყრუ კედლის გასწვრივ წახანხალდა.

ანგიას ღროის ანგარიში აერია. ამ
აღვილებში ფეხის დამდგმელი, ცხადია,

არ იყო. გზა სოფლიდან გამოსვლისთა-
ნავე დაპყარვა და სამი თუ ოთხი საათი
ალაღბედზე მოდიოდა. თავიწითელაქმე-
კი, ბებერმა რომ მეგვურად გამოაყოლა,
უკან მალე გაბრუნდა. გზაში სულ ჭუ-
ჭუუნებდა და ფეხის ტყვიელს იმიზეზებ-
და. ანგიამ თვითონვე მოიშორა თავიდან
და ახლა კი გული მოსდიოდა, რომ არც
ბებერსა და არც თავწითელა ბიჭს სახე-
ლი და გვარი არ ჰქიოთხა.

— მომატყუეს, ხომ? გამასულელეს,
ხომ? მოიცადონ! ყახაღები! ჭიბვირები!
ჯიბიდან გაეარდნილები!

უკანასკნელი საღანძღავი სიტყვა ახა-
ლი შემოსული იყო და ანგიას განსაკუ-
თრებით მოსწონდა, მაგრამ ასეთი და
ამის მსგავსი სიტყვების მთელი მარაგიც
რომ ჰქონოდა, ის მაინც არ ეყოფოდა
ცუღლუტი ბერიკაცისა და დებილი თავ-
წითელა ბიჭის შესამკობად.

ნაშუალამევს ექვებმა მთლად დასჯაბ-
ნეს, რის ცუღნაკარავა, რა ცუღნაკარავა.
საქმე არა ვაქვს? ერთი ორჯერ გული
ღამის ფრინველმა გაუხეტოქა და კინაღამ
ცხენიც დაუფრთხო.

უკან რომ დაბრუნდა, გათენება პოტა-
ნებული იყო. უფრო აღრეც დაბრუნ-
დებოდა, მაგრამ იმედმა შეიყოლია.
გულს არამც და არამც არ უნდოდა იმის
დაჯერება, რომ თვალმდავებულმა ბე-
ბერმა ასე სამარცხვინოდ გააბრიყვა და
ამ ბნელ ღამეში არარსებულ მტაცებელ
ნადირზე სათარეშოდ გამოისტუმრა.

„არ ვასკდები კაცი გულზე? — ფიქ-
რობდა ანგია, — ის თავწითელა ბიჭი მა-
ინც საღ ამირებს დამალვას! ყველა, ყვე-
ლა და ის მაინც ვერ დაიშალვება. ბებე-
რი, რაღა თქმა უნდა, ერთ სამ ღღეს
ეზოშიც არ გამოიხედავს. იმისი საქმეც
გადაწყვეტილია. ბიჭი იტყვის. ნუ
იტყვის, თუ ვაქცაცია!“

ამნაირად დაიმედებულმა ანგიამ
ცხენი მოატრიალა და პირდაპირ რიონ-
ში შეაგდო. წინ დამუქრებული მიიწე-
და, მოუთმენლობამ ისე მძლავრად დაჰ-
რია ხელი, რომ ამპარტავან ცაგურას მა-
თრახიც კი უცხუნა, რასაც ძალზე იშვი-
ათად სჩადიოდა ხოლმე.

გზაზე მეურმეებს დაეწია. თივა მიპქონდათ მთიდან. ანგია პირი მიიბრუნა და ისე გაიარა. მილი და გამარჯობა უთხარი ამისთანებს, აღამიანად ჩააგდე! გრძნობდა, თვალი როგორ გამოაყოლებს. ჩემი ჩაბთხითებაც დაეწია. იცინონ, თავიანთ თავს დასცივნონ! ჭერ დამსახურონ კაცური მოპყრობა და მერე გამოუყონ ენა ანგია ხინველს!

საწყალი ვანო! ვის ჩაუარდნია თურმე ხელში. იმისთანა ბუნხულა და უთქმელ კაცს აიგდებდნენ, აბა, რა იქნებოდა. ამათ რკინის მკვნიტელა რწმუნებული სჭირდება. ვასაძრავი ღონე რომ არსათ ექნეთ...

წინ, ქარაფზე, ბრილის განაპირა სახლები გადმომდგარიყვნენ. სოფელი ამ მხრიდან უფრო მიუვალი და ჩაკეტილი ჩანდა. ფრიადო კლდეს, რომლის წვერზეც კოშკისმაგვარი ქვითკირის სახლები იდგა, ძირში რიონი უვლიდა. გაღმაც სოფელი იყო.

ანგია აღმართს შეუდგა. ცხენზე გამართულად და თამამად იჯდა. კაცი იფიქრებდა, უდარდელი ცხოვრებით ვალაღებული სასეირნოდ გამოსულაო. პატრონის განწყობილება თითქოს ცხენსაც გადასდებოდა. აღმართში ისე მსუბუქად და თავმომწონედ მითობარკობდა, თათქოს ცოტა ხნის წინათ მათრახი სულაც არ მოხვედროდეს.

სოფელი დღისით მიმზიდველი სანახავი იყო. ქვითკირის ყრუ, სქელი კედლები მაინც რაღაცნაირ პირქულ იერს აძლევდა. პატარ-პატარა ეზოებში თივისა და ჩალის ზვინები იდგა. ზოგ-ზოგან შეშას აპობდნენ შავი თავსაფრით პირახვეული დედაკაცები და ცალი თვალი გზისკენ ეჭირათ.

„ნეტა რას უყურებენ? — ჯერობდა ანგია, — ჭერ უცხო კაცი არ უნახავთ?“ კითხვა აღარ დასჭირვებია. გზამ პირდაპირ საბჭოსთან გაიყვანა. ოდის პირველ სართულზე, რომლის ზედა ნახევარი საბჭოს და სახანძრო ინსპექციას ეკავათ, ფოსტა ყოფილიყო. შავი ხილაბანდით თავწაყრულ ტელეფონისტს ფანჯარა გამოეღო, რაფას დაპყრდნობდა

და საგლოლოს ემუდარებოდა, უწერაში გამიშვიო.

ანგოს უსიამოვნოდ გასცრა ტანში. ოდის მთელ მეორე სართულზე კაცის ქაპანება არ იყო. მეხანძრეები მაინც სად დაიკარგნენ? შეიძლება, საგუშაგოს ასე უპატრონოდ მიტოვება? იქნებ შესვენების დროაო, გაიფიქრა. რის შესვენება — ახალი გათენებული იყო! მოაჭირთან მივიდა და ეზოში გადაიხედა. კიბის სვეტზე გამოზმულ ცაგურას სკოლაში მიმავალი ქრელანთიანი გოგობიჭები შემოხვეოდნენ და თითქოს ცხენი პირველად უნახავთო, ცნობისმოყვარედ აკვირდებოდნენ.

ერთ პატარა ბიჭს, ეტყობა, ეკვი დებოდა, ხისაგან გამოთლილი ხომ არ არის, რომ არ ინძრევას, გონს დასწვდა, სამალავი მოათვალეირა და, რაკი მიხლოება ვერ გაუბედა, ცხენს შორიდან ესროლა. ცაგურა შეკრთა. ფეხები მოინაცვლა.

— რომელია ეგ? — დაიღრინა ზემოთ ანგია, — ხელები გეჭავენა?

ბავშვებმა მოგვიანებით დაინახეს საბჭოს აივანზე გადმომდგარი უცხო კაცი და, თუმცა ცაგურას წინაშე ყველას ერთნაირი ბრალი არ მიუძღოდა, უხალისოდ მოშორდნენ იჭაურობას.

ანგის დრო თავზე საყრელი ჰქონდა. გაიფიქრა, ძირს ჩავალ და ფოსტაში მაინც ვიკითხავ, სად უნდა იყვნენ წასული სასოფლო საბჭოს ან რესპექციის თანამშრომლებიო. ფეხებმა ეზოში ჩაიყვანეს. პატარა ბიჭი, რომელსაც ტანთან შედარებით დიდი ზომის ზოლიანი პიჯაკი და ასეთივე ფერის საგარეო შარვალი ეცვა, კვლავ დონჯემოდგმული იდგა და ცაგურას ალტაცებული უყურებდა. ანგია მიუახლოვდა და, სანამ რასმე ეტყოდა, ყურზე წაატანა ხელი. ბავშვი მკვიციხლად დაუსხლტა და უკან გადახტა.

— ვისი ხარ შენ? — კითხა ანგია.

ბავშვმა პასუხი არ გასცა, ერთი სინანულით გამოჰხედა კიბის სვეტზე გამოზმულ ცხენს, შეტრიალდა და წაივია.

— არ გესმის, ბიჭო? — დაადევნა ანგიამ.

პატარამ აღარ მოიხედა. ხელები უკან შემოიწყო და ისე განაგრძო გზა.

— იორამის ბავშვია. ვინდა რაზე, ბატონო? — მოისმა ამ დროს ფოსტის ფანჯარაში. ანგიამ მოიხედა. შავი ბილბანდით თავგაკრულ ქალს ლაპარაკი მოეთავებინა და სოფელში შემოსულ უცხო მხედარს შორიდან უთვალთვლებდა.

— რომელი იორამის, ლობჯანიძის? — ჰკითხა მას ანგიამ.

— იორამის სტუმარი ბრძანდები? ბიჭი! მოდი, თქვენი სტუმარია. მიყევი სახლში!

გაბუტული ბიჭი შეჩერდა. ანგიამ ცხენი აპხსნა და იქით წაიყვანა, სადაც ბიჭი უცდიდა, ბიჭს ხმა არ ამოუღია. უსიტყვოდ გაუძღვა წინ. თივისა და ქენჭების სუნით აქოთებული ვიწრო შუკა გაიარეს და ერთ პაწია მოედანზე, ყურთამდე მოღებულ ჰიშკართან გავიდნენ. ჰიშკართან ორი მსუბუქი და ერთი ც სატვირთო მანქანა იდგა. ანგიას პირკატა ეცა. მწვანე ეზოს სიღრმეში, ბრტყელი კრამიტით გადახურულ აივანზე, მთვრალი მამაკაცები ხორხოცებდნენ და ხელიხელგადახვეულნი ხმის შეწყობას ლამობდნენ.

— ესენი ვინ არიან? — წამოცდა ანგიას.

— მაყრები... — მიუგო ბავშვმა.

— ქალი მოიყვანა ვინმე თუ?

ბიჭმა მჯიღეები ამოისვა დაწითლებულ თვალებში და სატირლად დაიფხვლა.

6

თავის გარიღება ანგიას უკვე აღარ დასცალდა. აივნიდან თვალი მოჰკრეს და ხელი დაუქნიეს. ანგია, ვითომც არ დაენახოს, შაინც გაბრუნდა და ცხენი მიატრიალა. ოჯახის უფროსი და საქორწინო ღრეობაში, ალბათ, ერთადერთი ფხიხელი ადამიანი, იორამ ლობჯანიძე, სტუმარს შუკაში წამოეწია. იორამი, პირხმელი, თითქმის ლოყებჩაცვენილი, პატარა ტანის კაცი, რომელსაც წვერ-

გაპარსულსა და თმაშეკრევილს იშვიათად თუ სადმე გადაეყრებოდა უნდოდა ნანახი ჰყავდა. ცოტა უცნაურია! ხასიათისა იყო: დიდსა და პატარას ენას უჩლექდა. გამოგინახავდა, რატომ და რისთვის უნდა შეეკე და გაქებდა და გაქებდა. კაცის ქებას ვერ მოაწყენდი. ჩათავებდა და ისევ თავიდან დაიწყებდა...

— ეპეჰეი, სად მიხვალ, ჭუჭული? — დასწყვილა მან ანგიას, — მოსვლა რომ შენი საქმე იყო და გაშვება ჩვენი საქმე იქნება, ეგ არ იცი?

— ბოდიში, იორამ... — ანგიას აშკარად არ ესიაშოვნა საბჭოს თავმჯდომარის ამგვარი დახვედრა და აიპრიზა, — ჯერ არ მოვსულვარ და...

— თუ არ მოსულხარ, რა არი, აბა, ეს, კაცო?

— გლახა დროს მოვედი. საბჭოში დავიციდი. ჯობია...

— იორამმა იცის, რაც ჯობია! — ამჟამადაც წვერგაუბარსავმა და თვალეხაკიმციმებულმა ლობჯანიძემ ხმელო ხელი მხარზე გადაჰგვია და ღიღინის წამოწყება დააბირა, მაგრამ უცებ შენიშნა, სტუმარი სულაც არაა მხიარულების გუნებაზეო და, ცოტა არ იყოს, გაკვირვებულმა წამოიძახა: — მართლა არ გინდა ჩემ სახლში შემოხვიდე?

— მაგის დრო არ არის! ხალხი გვიყურებს...

— ვინ ხარ შენ, კაცო? ბოდიში და... კი ვერ გიცანი!

— ანგია ხინველი, ახალი რწმუნებული...

— აჰ! — იორამმა მარცხენა ხელით მაჯა დაუქორა, მარჯვენა კი მაგრად ჩამოართვა და ძველი მამაკაცოვით გადაეხვია, — სად დაგვეკარგე ჭუჭული? დაგვმტვირეს ტელეფონი რეკვით, ამოვიდა თუ არაო. ხელს გადაყევი? საგლოლოზე გიქეიფია, მითხრეს. კილამ საკავშირო ძებნა გამოვატყხადეთ!

ანგიამ არც ახლა გახსნა შუბლი.

— წამო, თუ ჩემი ძმობა გწამს, ოჯახი დამილოცე! — დაიღრიჯა იორამი და ადგილიდან დაძვრისთანავე ფეხი შეეშალა. დიდი შეტყობა არ უნდოდა: მას-

ზინძელიც გვარიანო ნასვამი იყო, —
 ზიტი-გვრიტი მოფრინავდა... დელიავ
 რახუ-ნი... — კრინით წამოიწყო მან
 და, — ჰე! — შეჰყვირა შუა სიძღვრასი,
 — ქორწილია, ქორწილი! ქალიშვილი
 გავათხოვე, ანგო. ბიჭი შემომყავს ზედ-
 სიძედ. ანგია არ გქვია?

— კი.

— აბა! ისე კი არ არის საქმე! წამო...
 ანგია ვეღარაფერი გაახერხა. აღვი-
 რის ბოლო ღობის სარზე ჩამოაცვა და
 მასპინძელს ეზოში შეჰყვა. აივანზე დი-
 დის ამბით მიიწ-მოიწიეს.

— ხალხო! — ხმახალლა დაიძახა მას-
 პინძელმა და ანგიას მხარზე დაჰკრა ხე-
 ლი ხელი, — ვინ იცნობთ ამას? ანგია
 ბინველია, აბალი რწმუნებული. ვანო
 გუგუშაშვილმა გვიღალატა, მართალია,
 მარა... გაუმარჯოს ანგია ბინველს, ჩვენ
 ძმას!..

ანგია უფრო ამირიზა. ეს უკვე მეტი-
 მეტი იყო.

— გაუმარჯოს... — აივანზე ღრიან-
 ცელი ჭყდა.

— სად მიგყავს, კაცო. დასვი აქ! —
 უყვიროდნენ იორამს.

— გვაცალე შენ, ჭუჭული!

— არ გემეტება, ხომ? გადაგიხდით,
 იორამ!

— მობრძანდი, მობრძანდი, ანგო,
 უფრო მყუდრო ადგილს მოენახავთ მე
 და შენ! — ამ სიტყვებით იორამმა ისევ
 მაჯაში ჩაავლო ხელი თავის აბალ სტუ-
 მარს და დარბაზში შეიყვანა. აქ კიდევ
 სამპირად გაეშალათ სუფრა. გარეთ,
 ალბათ, კაციშვილი აღარ იყო დარჩენი-
 ლი. ამ ბედნიერ დღეს დიდსა და პატა-
 რას იორამ ღობეჯანიძის ჰერკვეშ მოეყა-
 რა თავი.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! — მო-
 აგებეს შემოერთებულთ.

— ანგია ბინველი, მოკეთებო, აბალი
 რწმუნებული! — დარბაზში მყოფთაც
 გააცნო მოსული იორამ ღობეჯანიძემ, —
 ამას ვენაცვალე სულში: — და სტუ-
 მარს მოუბრუნდა, ერთხელ კიდევ გა-
 დაუხვია, წინდის ჩხირებივით მაგარი
 წვერებით დაუსხა, — შეტეღეთ, რა

გაეცაცია! კიდევ იტყვის ვინმე, ქარ-
 თველები გაღაშენების გუბეცადგდვარ-
 თო? სად გირჩევნია დაჯდომი ქუთუ-
 ლი?

— ეგ, მე მგონია, ზედმეტი მოგდის,
 იორამ. თუ გამიშვებ...

— მასბრობ თუ?

— გამიშვი! — პირქუშად გაუმეორა
 ანგია, — აქამდე ვარ, ა—და გაშლილი
 ხელისგული ყელზე მიიღო.

— ნუ დალევ, კაცო, კი არ გახრ-
 ჩობთ!

— საქმე ეგ არ არი!

— გამაგებინე, აბა, რა მოხდა, გაწყე-
 ნინა ვინმემ? ამ სოფელში ცოტა მეც
 შეკითხება.

— ჩემს საქმეს მე თვითონ გავართმევ
 თავს.

— ხეალ! დღეს ქორწილია...

— გამიშვი, იორამ!

— თქვი, კაცო, თუ საჭიროა, მეც
 წამოვალ!

— ჯერჯერობით არა ხარ საჭირო!

— რატომ შერები ამას, რატომ?

ანგია თავის მართლებასა და შემდ-
 გომ ახსნა-განმარტებას აღარ გამოჰკი-
 დებია. ვიღაც-ვიღაცები გატრუნული
 ისბდნენ და ყურს უგდებდნენ მათ ლა-
 პარაკს. მასპინძელს ხელი გააშვებინა
 და აივანზე გამოვიდა. აქედან ეზოში
 ჩავიღოდა და მაშინვე ჭიშკარს მიაშუ-
 რებდა, სადაც ცხენი ჰყავდა დატოვე-
 ბული. შემდეგ რა უნდა ექნა? თავწი-
 თელა ბიჭის ძებნას ახლავე შესდგომო-
 და?

დახე უბედურებას: აივანზე სწრაფად
 გავლა აღარ მოხერხდა. გზას გარდი-
 ვარდმო დადგმული მაგიდები და გრძე-
 ლი სკამები ღობავდა. იორამიც წამო-
 ეწია, ისევ ჩაეჭიდა მკლავში. ძალის
 ხმარება უადგილო იყო. ისედაც წამხ-
 დარი საქმე სულ გაფუჭდებოდა.

— წამო, ცოლ-შვილს ვაფიცებ, წა-
 მო! — ჩასჩურჩულა მასპინძელმა, —
 ჩემ ქალს არ ნახავ? გაბედნიერებას
 არ მიულოცავ?

ანგია ხელი ჩაიჭინა:

— იცოდე, ნახევარი საათით. ნახევარ

საათზე მეტს არ გავჩერდები!

შემოსწრებული სტუმროსათვის სუფრაზე უკვე გაეჩინათ ადგილი. კიკინებშექალარავებულ ახალგაზრდასა და კისერდანაოკებულ ბერიკაცს შორის ერთი თავისუფალი სკამი იდგა.

— დაჯექი აგერ! — ჩასძახა ანგიას ყურში იორამმა, — ღღეს ქორწილია ჩემ ოჯახში. ყველამ ჭერში უნდა კრას ქუდი! აბა! ჩიტი-გვრიტი მოფრინავდა... — მან ისევ კრინით წამოიწყო ამოჩემებული სიმღერა და ხმას თანდათან აუწია, — ოიდა რანუ-ნი... მე შროშანი მეგონაო, ოიდა რანუნი...

— სადაც კარგი ქალი ვნახე... — ვილაცემ მოძახილი თქვა და სუფრაც მსწრაფლ აგუგუნდა. — ოიდა რანუ-ნი... ყველა ჩემი მეგონაო, ოიდა რანუ-ნი...

— ჩიტი-გვრიტი, მარგალიტი... — თავიდან დაიწყო დედოფლის მამამ და ყელი მოიღერა.

ანგია დაჯდა. სიმღერის წამოწყება და მთელი სუფრის აყოლიება იორამის ეშმაკობა იყო. ამით ის ორ კურდღელს იჭერდა: სუფრასაც ამხიარულებდა და შემოსწრებულ სტუმარსაც უმტკიცებდა, აბა, რა სისულელეს შვრებოდი, წასვლას რომ აპირებდიო.

„სისულულე იყო თუ არა, ის მე ვიცი! — თავისთავს შეეკამათა ანგია, — ნახევარ საათზე მეტს აქ მაინც ვერ გამაჩერებ, თუ გინდა ბაწრით დამაბა!“

კიკინებშექალარავებულმა ახალგაზრდამ თეფშზე ჭიხვის უზარმაზარი ყანწი წამოაქცია და აქეთ გადმოდგა.

— სად დებ, ონოფრე! — უყვირებს მას იმათ, ვინც სხვადასხვა მიზეზის გამო სიმღერას თავს არიდებდა, — მიაწოდე და დაუსხი!

— მოიცაოთ ჯერ, კაცს ლუკმა არ აუღია.

— ქორწილში მთავარია სმა და არა ჭკამა!

— ორივე მთავარია.

— აბა, დალოს და მადანე მოვა.

— უნდა დავასხა, უფროსო, ბრძანება მოვიდა! — ახალგაზრდა ზანტად წამოდგა, ხორცის ნაჭრებზე ზურგი

გადაწოლილი ყანწი წამოაყენა, დანაკლულეებულ ღოქს მისწვდა და ყანწის ავსება დაიწყო.

— მიგერთმია რამე! — მარჯვნიდან ახლა ბერიკაცი გამოელაპარაკა, — ბატონს ზორცია, მშვენიერი, კაი მობარშული. აგერ კუჭმაქია, თუ ვიყვარს. ანგიამ ეკვიანად შეავლო თვალი ბერიკაცს და, როდესაც დაწმუნდა, „ის“ არ უნდა იყოსო, მისი ხელით მოწოდებული კერძი მხოლოდ ამის შემდეგ გადმოიღო თავის თეფშზე. ფეხზე მდგომ ახალგაზრდისათვის, ყანწს რომ უვსებდა, ყურადღება არ მიუქცევია.

— შენი სახელი გვაჩუქე, ყმაწვილო! სიმღერა შეწყდა. მთელი ღამის ნაჭიფარმა სუფრის წვევებზე ერთმანეთს გაჩუქებდა დაუწყეს. ანგიამ ყური მოიყრუა. განზრახ განზე გაიხედა. გრძობდა, სახელს სწორედ მას ეკითხებოდნენ, რათა სადღეგრძელოს შესმა შემოეთავაზებინათ.

— მოახედეთ, კაცო!

— მოახედეთ, — ახალგაზრდამ, ხელში რომ მისთვის განკეთვნილი ყანწი ეკავა, ნიდაყვი უბიძგა.

თავშებვეული ქალაჩა კაკი, უთუოდ სუფრის ხელმძღვანელი, მოპირდაპირე მხარეს იდგა და დაღლილი მხერა აქეთ მოეპყრო.

— სახელი შემოგვაწიე, ბატონო! — გაუმეორა მან ანგიას.

— ანგია

— გვარი?

— გვარი რა... ანკეტას მივსებთ?

— რა გგონია, აბა, შენ! ყველას, ვინც აქ ზის, ანკეტა აქვს შევსებული!

— მე არ მინდა!

— რა არ გინდა, კაცო?

— ამ ყანწს ვერ გამოვცლია.

— ნეფე-დედოფლის სადღეგრძელოს უარს ეუბნები?

— თუმცა... ამ ერთს დავლევ, — ანგია მოულოდნელად დაყაბულდა, — ოლონდ... — სუფრაზე ტაში დასცხეს. ახლა ყველა მას უყურებდა და ამხნევებდა, — ოლონდ... ყველაფერს აქვს თავისი მიზეზი. შედეგით, რასაკვირველია.

— ანგიამ თვალებით იორამ ლობჯანიძე მოძებნა და იქვე გვერდით იპოვნა. იორამს წარბები აეჭაჩა და სმენად გადაქცეულიყო — მე ახლა ამ მიზეზებზე არაფერს ვიტყვი არც შედეგზე. თავითაც იცით. მოსული და წასული... თავი დავენებოთ ამას ახლა! თუმცა... — ანგია საკუთარ თავს ექიდავებოდა. წააქცევდა, გააყრავდა ბეჭებით, წამოუხტებოდა, ისევე წააქცევდა, ბელახლა წამოუხტებოდა, — თუმცა რა!

— შენ, გეტობა, გეზარება მაგ ყანწის დაღევს! — შენიშნა ღვინითა და ქვიფით გაჯერებულმა ტოლუმბაშმა და ანგიას გასწვრივ ჩაწყაბულ ქველ ბიჭებს თვალს ჩაუყრა, — რა დროს უარია! შენ ჯერ ბავშვი კაცი ხარ და ერთ დაღვეაზე ქვევრი ღვინო არ უნდა გყოფნიდეს. შენი ხნის რომ ვიყავი... — ტოლუმბაში შიძიმედ შებრუნდა და ახლა სუფრის მარცხენა ფრთას ჩაუყრა თავალი.

— ღვინო ქვევრს ხეოქავს! — ესლა თქვა ანგიამ.

— უკან მაინც არ უნდა დაიხიო. აბა, რის ვაუკაცი ხარ!

— სწორია! — მოუწონეს ტოლუმბაშს. სუფრა ახორხოცდა. აქა-იქ ტაშმაღ გაიტაცუნა.

ქალარა ახალგაზრდას ანგიამ პირამდე გააპინებულს ყანწი გამოართვა და დარბაისლური მხერა იმ მხარეს მიაპყრო, სადაც ნეფე-დედოფალი ეგულეზობდა.

თეთრკაბიანმა გამხდარმა გოგომ, ოჯახის უფროსების გადიდებული სურათის ქვეშ რომ მოეკალათა ტახტზე კოკობულევაში ქაბუჯის გვერდით, მოიხედა და სწორედ ბავშვივით დაიქყანა. მამას თუ უღიმოდა. იორამი სუფრაზე გადმოიხარა. კონა ვაუგზავნა. დედოფალი უფრო დაიქყანა და თვალები ჩაუპაჭუნა მამას.

ანგია შექოქმანდა. რა ეთქვა? ამ პირველ სიტყვაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. ახლა უნდა გამოჩენილიყო მისი ქეუა და გონება. სწორედ ამ სიტყვით უნდა ეგრძნო ყველას, რომ

ანგია ხინველი, ბრილის ახალი რწმუნებული, სხვანაირი იყო და, თუმცა ნიგვზნარელები „მოსულ კაცს“ უძახოდნენ, ზოგიერთი მართლა „მოსულს“ არ ჰგავდა...

— მე, იორამ, — დინჯალ დაიწყო და ყანწი ასწია, — შენ ამ ორ კუქურს ვაღდეგრძელებ. როგორც იტყვიან...

— რასაო? — დარბაისის შორ კუთხეში ვერ გაიგონეს და ვილაკამ ხამამილა იკითხა.

— ორ კუქურსო...

— ვაღდეგრძელებ! — ანგიამ უფრო თამამად გაიმეორა.

— მადლობელი ვარ, ჩემო ანგი, შენი თავი ნუ მომიშალავს, — იორამმა დიდი ჭრელი ცხვირსახოცი ამოიღო და აწყლიანებულ თვალბეზე მოისვა.

— ვაღდეგრძელებ და ვუსურვებ... ვუსურვებ... დიახ...

— მადლობა, შენი ქირიმე!

— თუ მაცლი, ვიტყვი. მადლობას მერე ვერ მოესწრები?

— პირდაპირ ნეფე-დედოფალს მიმართე! — საქმეში ტოლუმბაში ჩაერია და ისევე შეუსწორა ანგიას, — აგერ არ არიან?

— ვის მივმართავ, აბა? სიტყვის თქმა მაცალით! როცა სხვა ლაპარაკობდა, მე ყურს ვუვლებდი!

— მართალია! — დემოწმენ სხვები და აქა-იქ კიდევ გაიტაცუნა ტაშმაღ ეს ტაში, მგონი, საჭირო არ იყო. ანგიას ჯერ სატაშო არაფერი უთქვამს. მან ქორის თვალები მოავლო განაურებულ სუფრას, რათა საერთო განწყობილება გამოერყვია და ჩაახველა.

— დაღე! — დაიძახეს აქეთა მხარეს, სადაც ახალგაზრდები ისხდნენ.

— არავის არ ვკითხავ მე, დავლევ თუ არა! — წყენა ახლა კი ველარ დამალა ანგიამ და ყურის ბიბილოები წაშოუხურდა.

— თუ აქ ტოლუმბაშია მბრძანებელი?

— ვაცალოთ, რა ამბავია!

— თქვას, თუ თქმა უნდა!

— მიდი, უფროსო, მიდი, ამით რა: უყურებ!

ანგიამ პირამდე გაბიძინებულ ყანწ-ში ჩაიხედა. ნეტავი სულაც არ ეცადა სიტყვის წამოწყება. მთვრალ ბალზში რას გააწყობ! ტოლუმბასაყ არ უნდა გამოკამათებოდა. არც ღვინისაგან ქვევრის გახეთქვის ხსენება იყო საჭირო. მაგათ სიტყვას ვინ მოუგებს! სუფრაზე ათენებენ და აღამებენ. იქნებ თავდაპირველად არც ყანწის გამოცლაზე უნდა ეთქვა უარი. უნდა სცოდნოდა, რომ მაინც არ მოეშვებოდნენ. უკლებლივ ყველას ყურადღება მიიქცია და ახლა ეს აღარცთუ ისე სასამოვნო იყო. მაშ, არავითარი ლაპარაკი! მთავარია დაღე-ვა...

ყანწის მოყულების წინ ღრმად ჩაი-სუნთქა და ღვინოს დაეწაფა. გემო კარ-გა ხანს ვერ გაუგო. ღვინო თითქოს პი-რის გაუგულად გადადიოდა ყელში. სუნთქვა თანდათან შეუკლებდა. პერი აღარ ჰყოფნიდა. ცოტაც და... იეშმაკა — ყანწის სატურეს, საიდანაც ღვინო ვაღმოდოდა, შიგნიდან ენა მიიბჯინა და ცხვირით შეისუნთქა. ახლო მჭდომებში ტაში დასცხეს. ანგია მიხედა, რომ მთე-ლი სუფრა თვალს ადევნებდა და მისი ცქერით თავს იყოლოებდა.

„ახია, ვერ გაეჩერდი?“

როდესაც ჩიხვა გამსუბუქება იწყო და შიგ ჩარჩენილი უკანასკნელი წვეთე-ბი ანგიამ ყელში გადაიწურა, ტაში კი-დეც გაიხმა, ოღონდ ამჯერად უფრო გა-ბედული და ერთსულოვანი.

დაცლოლი ყანწი ანგიამ იმავე მე-ზობელს დაუღო წინ, ვისგანაც მიიღო და ვალმოზდილმა თავისი ადგილი დაი-კავა ქორწილში, ბოლოსდაბოლოს, მთავარია დაცლა. რა ჰქუა აქვს, ვინ რას ილაპარაკებს. გულმოსულობა და-უტხრა. პირობაც ვადაავიწყდა, მხო-ლოდ ნახევარი საათით რომ იყო შემო-სული. მდულარეში ჩამქლეული ცხვრის ხორცის ნაჭერს სვაკივით დააცხრა.

— მიირთვი! — ბეროკაცმა სინებს-შუა მიმალული თეთრი სამარიალე მო-უქებნა და აქეთ გადმოუდგა. — სმას

ღროს უნდა ქამო, მამავ და შეილო! ეკ არის თავი და თავი! ისევე დაუფრუნ შეგძ-ლებია-ოპო-პო-პო... ერთსმოცუფრებაზე ამხელა ყანწის გამოცლას ემასხრები შენ?

— დაცალეს სხვებმაც?

— ორმა დაცალა. წუხელ. მესამე შენ იყავი.

— ღვინო ნამღვილია?

— ყურძნის წვენი. სუფთა. ამბროლა-ურის მარნიდან ამოიტანა იორამმა. იქ ქვისლი ყავს.

— რა გვარია?

— გავაშელი. შენც ქე გეცოდინება.

— ვიცი! — იცრუა ანგიამ და ხორ-ცის მეორე ნაჭერს მარილი მოაფრქვია. — ცოტა მოტკბო ღვინოა და იმაზე გკითხე.

— მამულს პატრონი იქნება.

— ვენახი მაქვს ნოვეზნარაში.

— გეტყობა. ხამი კაცი, აბა, ამხელა ყანწს საით გამოცლის. ხო, მართლა, ვე-ღარ გკითხე: ვანო სად არი ახლა, ვა-ნო?

— ვინ ვანო? — ანგიამ ყელზე დამ-ღვარი ლუქმა გადაყლაპა და ბეროკაცს მიაჩერდა.

— გუგეშაშვილი.

— რა ვიცი შე! არ დაგავიწყდათ, კა-კო? სუყველას პირზე ვაკერიათ!

— გუშინ აქანა იყო, მამავ და შეი-ლო, დღეს რაღანაირად დაგავიწყდებო-და. ძალიან შეგვაწუხა ვანოს წასვლამ. კაცს უკეთესს ვერ ნახავ. ადამიანის სული და გულია. შეასახელე, რაც გინ-და თან გადაეყვება, ციციბლში ჩადგე-ბა შენი გულმსთვის.

— მიტომაც დაუსწავლეთ პატივის-ცემამ!

— რა ბრძანე, ბატონო?

— მიტომაც დაუსწავლეთ... თუ ასე ძალიან მოგწონდათ...—ანგია გრძნობ-და, რომ უცვე ზედმეტი მოსდიოდა. მაგრამ სიტყვები თითქოს მისდა უკით-ხავად იზნეოდნენ.

— რავა, თქვა რამე თუ?

— რა უნდა ეთქვა?

— ისე...



— სხვანაირი ხალხიაო, სხვანაირი მოსული კაცი თვალთ არ დაენახებათო.

— ჩვენზე თქვა ეგ? რა დაგიძლოდა... მოსულ კაცზე არც სხვაგან ამოსდით მზე. შენ თავზე ნუ მიიღებ, ოღონდ...

— მე რა ვარ ვითომ?

— მუნჯის ენა დეღამ იცისო, ხომ გაგიგონია?

— მერე?

— მერე და კაცს ვერ გაამტყუნებ. რა ვუყოთ, უცხოს თავისიანი ურჩევნია. შენ არ გირჩევნია, ბატონო, შენინანი? რაზე ჩამოვარდა ახლა ეს სიტყვა...

— ვანო გუგუშაშვილზე.

— ხო, აბა, უკმაყოფილო დაგვიჩნა? საწყენია სწორედ. სწორედ საწყენია. პატრეს ვცემდით. რაც შეგვეძლო, რასაკვირველია. მეტი რა უნდოდა! ახლა, შეიძლება, სულ წითელი კვერცხი ვერ გიგოროს კაცმა ხელისგულზე, მარა... ძალიან პატრეს ვცემდით. ასე არ იყო, კაქუნია?

მეზობელთან შელაზღანდარაგებულმა ქალარა ახალგაზრდამ მოიხედა. და მოხუცებულს ყური მიუშვირა.

— პატივცემული სტუმარი ბრძანებს...

ანგია პირზე დაფარა ხელი:

— ქვეყანაზე გამოსაცხადებლად ვთქვი თუ?

— არა, რატომ! — მოხუცებული მთვრალი იყო. ეს აქამდე თითქოს არც ემჩინებოდა. ახლა გაჩივრდა და მოულოდნელად ენას მოუყიდა. — თუ აგ... აგ... აგრა, უნდა გაიგონოს ამანაც. ხომ... კაქუნია?

— ვინ აწყენია ქუხა ბაბუსა? — კაკოს იქით გაუხედნენ მოხვერივით კისერჩადგმულმა ბიჭმა გამოჰყო თავი, — ქუხა გავაშელს ვინ გვიწყენია?!

მთვრალმა მოხუცმა თვითონვე გამოაცხათა თავისი გაფუჭებული საქმე. შეზარბოშებული ახალგაზრდები ძლივს-ძლივობით დაამოშშინა, ჩემთვის საწყენი არავის არაფერი უკადრებიაო და ანგიას ბოდვი მოუხადა.

შემოსწრებულს სადღეგრძელო მოგვიანებით დაილია. მანამდე ანგია რიგინ-პირიანად დააჯარიმეს — როგორ თუ დაიგვიანო. ანგია ჯერ კიდევ კარვად იყო. ახალგაზრდებთან წაშიერმა შელაპარაკებამ და იქვე შერიგებამ ის თითქოს მოაშინაურა. როცა ტოლუმბაში მისი სადღეგრძელო ასწია, სუფრაზე სირუმე ჩამოვარდა. სადღეგრძელო მოკლე და ზოგადი გამოვიდა. ტოლუმბაში ანგიას მომავალ საქმიანობას და საერთო დამსახურებას არ შექხებია. ეს უკვე ძალიან მთვრალი იყო და, შეიძლება, აღარც კი ახსოვდა, ვის სადღეგრძელოს სვამდა.

ანგია სამადლობელზე ფიქრობდა. შეეძლო, სამადლობელში მადლობაც ეთქვა და საქმისათვის საჭირო ორი-სამი მოსაზრებაც გაეტარებინა. სხვა დროს იქნებ აღარც კი ჩავარდნოდა ხელში ამისთანა მარჯვე შემთხვევა...

სადღეგრძელოს ჩამოთავების შემდეგ სუფრის წევრთა ერთი ნაწილი ადგა — პაერზე გაივლ-გამოვივლით და ისევ შემოვალთო.

ანგიამ დემილი არჩია. ღირდა კი სამადლობელი სიტყვის თქმა? ვინ რაღას გაიგებდა! ადგნენ ნეფე და დედოფალიც. სუფრის გარშემო ხალხი მაინც ბლომად დარჩა. ტოლუმბაში გამსულელთ ემუქრებოდა, დაბრუნებისთანვე სატალახოს დავაღვევინებთ და. თუ თავი ვიყუართ, ფეხი არ მოიცივლოთო მოკლას ხარი თივამო, ნიბიბიბუნენ შექორიკებული მექორწილეები.

ვარედან ცეცხლზე შეფიცებული დაირის ბავაბუვი და გარმონის ყიპყიპი შემოიჭრა. ეზოში ვიღაცამ გაგრძელბულად დასკყივლა და იქ, აღმათ, ცეკვა გაიხალდა. სუფრას კიდევ მოაკლდა ხალხი. ანგიას მხარე სულ დაცარიელდა. იმ ადგილის მეზობლად, სადაც რამდენიმე წუთის წინ ნეფე და დედოფალი ისხდნენ, მარტო თავშეხვეული ტოლუმბაში იჯდა და თვლიდა.

ანგიამ წელი ათორია და აივანზე,

გამოვიდა. ღვინოს თავისი გაეტანა. მთელ ტანში უჩვეულოდ დამძიმებული იყო და ფეხები ეხლართებოდა. სუფრა აივანზეც აშლილი დახვდა. ხალხს სახლის წინ შეეკრა წრე და ცეცვა-თამაში გაეხურებინა. ანგია მოაჯირთან მივიდა და გადაეყუდა.

მაგრამ ცაგურა? ცაგურა არსად ჩანდა. იორამმა თუ შეაყვანინა ბოსელში-აგერ ვერ დააბეს? მასპინძელს წრეში მოჰკრა თვალი. იორამს თავი ზემოთ აეწია, ხელები გაეშალა და საერთო სიცილ-ხარხარში ვიღაც ხანშიშესულ მანდილოსანს აცეკვებდა. ცოლი თუ იყო ან მძახალი. იორამმა უცებ აივანზე გადმომდგარი ანგია დაინახა და ხელი დაუქნია, ჩამოდი, მანდ რას უღვებარო. მოცეკვავე ქალმა, ხელებს რომ მოუხერხებლად კვამწავდა, დრო იხელთა, ქორივით გადაფოფებულ იორამს გაუსხლტა და ხალხს შეაფარა თავი. ტაში უფრო გახურდა. დაირამ სულ დაჰკარგა გონი.

ანგია ბორძიკ-ბორძიკით ჩავიდა ეზოში. ცეკვა მაინც სცოდნოდა! ამას კი აღარ მოელოდა იორამისაგან! ვიღაცამ ზურგში უბიძგა და წინ წააგდო. უკან გააცეხლებულმა მოიხედა. ბიჭები ბევრნი იღვინენ და იკრიბებოდნენ. რას გაიკვებდი, რომელმა აიგდო თავი!

„შედი, იორამს გამოეთამაშე! — ჩასძახა შინაგანმა ხმამ, — აბა, რისთვის ჩამოხვედი!“

„თუ ჩემ დღეში არ მიცეკვია?“
 „რა ვუყოთ მერე! არც იორამია დიდი მოცეკვავე. ვერ უყურებ? ყველას ჰგონია, რომ იცეკვებ...“

„არა, მგათ ცეკვა კი არა, სეირის ყურება უნდათ. იციან, რომ წაებოროძიკდები...“

„თუ ავრეა, ისევ ზევით ადი და სუფრას მიუჭექი!“

„რა მინდა იქ, ჩემს მეტი ვინ იქნება!“
 სანამ ანგია ორქოფობას და ყოყმანს თავს დააღწევდა, წრეში ახალი წყვილი შეიჭრა.

— ქორწილია, ქორწილი! — ჩახლე-

ჩილი ხმით ყვიროდა იორამი, — ნეფე, დედოფალს გაუმარჯოს!

თეთრყაბიანი გამხდარი გოგო და გულზე ვარდმიბნეული კოკობულვანა-ტაბუკი ცეკვავდნენ. ანგია ნეფე და დედოფალი იცნო. ყველას ღიმილი დასთამამებდა სახეზე. ნეფეს თავმომწონედ და მონდომებულად გამოჰყავდა ცეკვის ყოველი ილეთი. დედოფალს თავი ჩაეღუნა და სახეს მხოლოდ ხანდახან გამოაჩენდა ხოლმე, რათა, წრეში თვალებით მამა მოეძებნა.

ჭიშკართან სატვირთო მანქანა ათუს-თუნდა. ვიღაცვიდაცები ძარახე მიძე-რებოდნენ.

„მიდიან თუ? — გაიფიქრა ანგიამ, — მეც წავალ. ახლა კი საკმარისია!“

იორამის პატარა ბიჭუნა, უფროსი დის გათხოვების გამო რომ იყო დანალგლიანებული და სახლს სიახლოვეს აღარ ეკარებოდა, ჭიშკართან იბოგნა. ბავშვი ფეხებში ეხლართებოდა აბან-ცალბებულ ხალხს.

— ბიჭი! — უთხრა ანგიამ, — ჩემი ცხენი სად არის თუ იცი?

ბავშვმა შემოაპხედა და ვერ იცნო. დღეს ძალიან ბევრი სტუმარი ჰყავდათ და ყველას ხომ ვერ დაიმახსოვრებდა! მერე უცებ მოაგონდა, ვინც იყო და შებლი შეიჭმუნა.

— არ იცი, ბიჭო, სად არის ჩემი ცხენი? — განმეორებით ჰკითხა ანგიამ.

— წაიყვანეს...

— წაიყვანეს? სად? რას ამბობ, კაცო?

— რა ვიცი მე, სად, ბიჭებმა წაიყვანეს.

— ვინ გაატანა?

— არავინ. თვითონ წაიყვანეს.

— მართალს ამბობ თუ ტყუილ? —

ანგია ისევ ყურს წაეტანა.

ბიჭმა იდროვა, გვერდზე გადასხტა და თვალეში ეშმაკური ღიმილი შეეპარა. ეტყობოდა, დარიგებული იყო, ასე თქვიო. შორს დამრიგებლებიც არ უნდა ყოფილიყვნენ. ანგიამ ფრთხილად მიიხედ-მოიხედა. ეზოდან სასაღვათო თუნასაღვათარი ბიჭები გამოზვავებუ-

ლოყენენ და გარს ეხვივნენ. ანგიამ კი-
კინებშევერცხლილი „კაკუნია“ და ის
მოხვერივით ჩაფსკვნილი და ტლანქი
ბიჭი იცნო, სუფრაზე რომ ყველაზე
მეტს ბლაოდა, ჭუხა პაბუსა ვინ გვიწ-
ყენინაო.

— რა ცხენი აბია სახლის უკან, პა!

— თქვა ერთმა, — ვინ ნახეთ, ბიჭებო?

— სად? — ჰკითხა მეორემ.

— სახლის უკან. არ გინახათ? ცხენი
კი არა, რაშია! რაში!

— ამისია! — გამოაცხადა „ჭუხა ბა-
ბუსა“ მოსარჩლემ და თვალეზი ანგიას
მიაპყრო.

— მართლა იქ აბია, ბიჭებო? — ან-
გიამ მოუსვენრად მოათვალიერა ირგვ-
ლივ შემოჭართულთა სახეები, — თავს
კი ნუ იგდებთ!..

— ლურჯი ცხენი, ტალეზიანი!..

— კი, ჩემია. წელან აგერ დავტოვე,
ჭიშკართან.

— შაგისთანა ცხენს მოვლა უნდა! —
თანატოლებს მიმართა ჭუხას მოსარჩ-
ლემ და ანგიას ზურგი უჩვენა, თით-
ქოს ამ საქმეში ის ყველაზე ნაკლებ
ყოფილიყოს გათვითცნობიერებული.

— მოვლა ყველას უნდა, — შეედადა
„კაკუნია“, — რომელ ცხენს არ უნდა
მოვლა!

— შაგას — ორმაგი!

— არ ვუვლი მერე? — ანგიას დამ-
ცინავად გაეღიმა, რადგან მიხვდა: ამას
მის გასაგონად ამბობდნენ, — რა იცი
შენ, ვუვლი თუ არა?!

— გეტყობა!

— არა, ბიჭო, არ მასწავლო ცხენის
მოვლა!

— მე იქნებ ვერც ზედ ჯდომა გას-
წავლო!

— წერამ აგიტანა? — ანგიამ გულზე-
ლი დიხტდო და მოკამათეს ზემოდან
დაჰხედა. ბიჭი ნიკაპამდე ძლივს სწვდე-
ბოდა, — ეგლა მაკლია, შენ გამიბედო
მეტოქეობა!

— ახლავე დაევიბროთ, თუ გინდა!
— ბიჭი ვაცხარდა, კისრის ძარღვები
დაებერა, — ვინც არა?!

— რის იმედით? ცხენი გყავს?

— გესმით, ბიჭებო, რას მეკითხება?
ხმამალლა ლაპარაკმა ეზთში გამოფე-
ნილი ხალხის ყურადღებამ მოქცევა მო-
ცეკავებების ირგვლივ შეკრულ წარეს
რამდენიმე კაცი გამოეყო და აქეთ წა-
მოვიდა. მალე სხვებმაც ამ მხარეს
ჰქნეს პირი. სულ ბოლოს თვითონ
იორამმა მოატანა. ვილაცას ხმა დაეგდო,
ჭიშკართან ჩხუბიაო. ის გაჭირვებით
მოიწვედა ჭიშკარისაკენ. აქ გავლა ახლა
ხუმრობა საქმე აღარ იყო. მოიწვედა და
თან ხმამალლა გაიძახოდა:

— არ გამომჭართ ყელი, ბიჭებო.
რომელია მანდ ახლოს, ჭუქული, ჩაუ-
ვარდით შუაში!

საულვაშეაქინქლულმა და ხმადაბო-
ხებულმა ახალგაზრდებმა მასპინძელს
დამშვიდება დაუწყეს და მიიწ-მოიწიეს:

— ვინ მოგატყუა, ჩხუბიაო, იორამ
ბიძია?

— აბა, რას ასეგია, ჭუქული, ეს ხალ-
ხი?

— შიუნია და უფროსი წალაპარაკ-
დნენ.

— ვინ უფროსი, ბოშო?

— ის, ხინველი!..

— აკი ჩხუბი არ არისო?

— არა, არა, ჩხუბი არ არის. გვინდა
პატარა დრო გავატაროთ. არ შეიძლება
თუ?

— დრო, რამდენიც გავგებარდებით,
იმდენი ვაატარეთ, ჭუქული, ჩემი თავი
თქვენ შემოგვევლოთ, ოღონდ უცხო
კაცს ნუ გამინაწყენებთ, ბიძაშვილობას!

ამასობაში ჭიშკართან დიდი გარიგე-
ბა მოხდა. ანგია და შიუნია, იგივე
შიო, რიონის რიყეზე უნდა ჩასულიყე-
ნენ და ამდენი ხალხის თანდასწრებით
ცხენები შეეჯიბრებინათ. ეს, თქმა რა-
ლად უნდა, მართო ცხენების შეჯიბრე-
ბა არ იქნებოდა. სიტყვიერი კენწლავო-
ბა პატრონებს მოუვიდათ და გამარჯვე-
ბაც რომელიმე მათგანს უნდა ხედომო-
და წილად.

შიოს საიდანღაც თეთრქაჩაჩებიანი
ნაცრისფერი ფაშატი მოჰგვარეს. ხალ-
ხი მიხვდა, რასაც აპირებდნენ. წინას-
წარ ახითხითდა. ფაშატს კვიცი ახალი

მოგებული ჰყოლოდა და დოდის დაწყების წინ ისიც თან ახლდა. კვიცი დაინახეს და სულ გადაირივნენ. ბევრი ჯერ კიდევ ვერ სცნობდა სახით ანგია ხინველს და ერთმანეთს ეკითხებოდა, თუ ლმერთი გწამს, დამანახე, რომელიაო.

მოწინააღმდეგის ცხენი ანგიას ჯერ ნანახი არ ჰყავდა. ცაგურას გამარჯვება მინც უყოყმანოდ მიიჩნდა. მაგრამ რად იყო ის ბიჭი თავისთავში ისე ღრმად დარწმუნებული? მოუსვენრობა და ორჭოფობა დაეუფლა. ცაგურა მთელი ღამის ნახედნი ჰყავდა. წინა დღეც ხომ გზაში გაატარა. ნასვენებ და ნაპატრეებ ცხენთან ვაითუ ვერა გაეწყო რა და უკან ჩამორჩენილიყო? ხალხი დიდხანს არ დაივიწყებდა რწმუნებულის მარცხს. აღარ ეღირებოდა ბრილში ანგიას ცხოვრება. მაგრამ ახლა სხვა გზაც რომ აღარ იყო? ნათქვამ პირობას უკან ხომ ველარ წამოიღებდა.

7

თვალისსეირის საყურებლად დარულ მეჭორწილეთ სხვაც ბევრი შემოუერთდა. მთელი სოფელი გამოვიდა. ვიწრო შეუკები გაიჭედა. ნემსის ჩასაგდებ ადგილს ველარსად იპოვნინდი. მეწინავეებს უკვე მოესწროთ კლდის ძირას ჩასვლა. სხვებს ზედ ქარაფზე დაეკავებინათ ადგილი, საიდანაც მთელი რიყე ხელისგულივით ჩანდა.

ანგია მარტოდმარტო მიაბიჯებდა. ამყად ყელმოღერებული ცაგურა გულშემატკივრებს მოჰყავდათ. ცაგურა, თითქოს რაღაც დიდ საშიშროებას გრძნობსო, დროდადრო შფოთიანად დაიკობინებდა ხოლმე. ცხენის საეჭვო კიბინი ანგიას არ გაუგონია და არც უკან მობრუნებულა. იმ კიბინსა და ჯიკავ-ჯიკავში რას გაიგონებდი!

კვიციანი ფაშატი რიყეზე დაუხვდათ. შიოც იქვე იპოვნეს. ირგვლივ ჰამქერის ბიჭები ერტყნენ.

დიდი დავა შეიქმნა იმაზე, თუ რა მანძილი დაენიშნათ. ერთნი გაიძახოდნენ, აქედან მთავე წყლამდე ათას ექვსასი

მეტრია, მთელი გზაც თვალწინაა და ეს მანძილი ვიკმართო. ათას ექვსასო მეტრი ცოტა იყო. დიდ მანძილზე, ქენებებს ჩვეული ცხენი მუხლის გაშლასაც ვერ მოასწრებდა. არამტუთ ათას ექვსასი, სამიათას ორასიც კი...

ანგიას მონაწილეობა არ მიუღია კამათში. თავი ისე ეჭირა, თითქოს მისთვის სულ ერთი იყო. და მართლაც: ცხენს თუნდ ფასის მთამდე აქენებდა, ოღონდ სიარული წუხანდელივით ღამე არ მოსწეოდა...

— აქედან მთავე წყლამდე და უკან! — შეთანხმდნენ ბოლოს შუამავლები და რაკი შიო თანახმა იყო, ახლა ანგიას მოუბრუნდნენ, შენ რას იტყვიო.

ანგია დაფიქრდა. ამ პირობაში ურიგო თითქოს არაფერი იყო.

— ჩემთვის სულ ერთია! — გულგრილად თქვა მან და სეირის საყურებლად მოგროვილ ზღვა ხალხს თვალი მოავლო, — მაგრამ ცხენს ვერ ვებდავ!

— რომელ ცხენს? — გაკვირდნენ შუამავლები.

— რომლითაც მეჯობრება! ფეხით მოდის?

— ამას ვერ ხედავ?

ანგიამ ათვალწუნებით ახედ-დაახედა თეთრქაჩაჩებთან უშნო ფაშატს. კიდევ კარგი, კვიცი არსად ჩანდა. ფაშატი განზე გამდგარიყო და რიყის ქვებსშუა ამოწერილ შწვანე ბალახს ზარამაცად წიწკნიდა. ცხენი უზომოდ გასუქებული იყო. თანთალა ზურგი კალოსავით გაბრტყელებოდა. ზედ, თუ გინდოდა, ძნასაც გალწევადი.

ანგია მიხვდა: შუამავლები ეხუმრებოდნენ, ამ პატარა, არცთუ ისე გონებაშეხილური ხუმრობის შემდეგ ცაგურასთან დასაჯობრებელი ცხენიც გამოჩნდებოდა. ანგია მოუთმენლად ელოდა ამ წუთს.

— მცდით, ხომ? — ნახევრადამყნავი ღიმილით ჰკითხა შუამავლებს, რაკი შეატყო, პასუხს უცდიანო.

— არ მოგეწონა?

— სამასხაროდ თქვენი თავი აივდეთ!

მართლა და მართლა, რომ არაფერს ვამბობ... ამას შეეჯიბრებ მე ცხენს?

— წუნობ? პირდაპირ თქვი!

მაყურებლებმა სული განაბეს. ვითთუ უბრალო წამოძახილსაც კი რაიმე გაფუჭებინა და საქმე ჩაფუჭდა.

— ნაგაზე თქვენი ფალავანი შეჯდეს! — ზიზღით თქვა ანგიამ, — კმ, არ მოიყვანეს ბედაური?

— ის ჯდება, აბა, შენ გაჯენთ, გგონია?

ანგიას ცეცხლი ეკიდა ყურებზე. გულცივ გამალებით უცემდა. სუფთა ჰაერზე გამოსულს ღვინო უფრო მძლავრად მოჰკიდებოდა. მიანც ატყობდა: შუამავლებს აშკარად შიოს მხარე ეჭირათ. ზისი გამარჯვება აქ, ცხადია, არავის გაეხარებოდა. მით უფრო უნდა ემარჯვა!

ხალხს მოთმინების ფაილა აევსო. თუ აქამდე სულგანაბელი იყო და ელოდა, რა მოხდებოდა, ახლა, რაკი არაფერი მოხდა, თანდათან აჩოქოლდა:

— რას შვრებიან?

— ვერაო, ვერ დავაჯიბრებო!

— ვინ აზბობს მაგას?

— უფროსი...

— შეშინდა თუ?

— შეშინდა, შეშინდა, ვერ ბედავს!

— ამას მოველოდით?

— აფსუს, რა ცხენს აცდენს!

ანგია ძლივს ჩერდებოდა ერთ ადგილზე. ვერ გადაეწვიტა, ბოლომდე მიეყვანა დაწყებული საქმე თუ რიყეზე სეირის საყურებლად ჩამოსული დიდი და პატარა პირში ჩალაგამოვლებული დაეტოვებინა.

— არ გინდა? თქვი! — ხელახლა მიმართეს შეუამავლებმა, — კი არ გაძალბებ. ასე არ არი, ხალხო?

— აგრეა, აგრე!

— თქვი, კაცო, გიცდით.

— შე უკვე ვთქვი! — წამოცდა ანგიას, თუმცა უარის გამოცხადება ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ ჰქონდა.

— იცოდე, დამარცხება ჩაგეთვლება! გაფრთხილებთ!

— აბა, რა გონია მაგას! — კვერი დაუკრეს სხვებმაც, — ამდენი ხალხი აქ

ჩამოგვიყვანა და ახლა გარბის? ბარემ იქავე ეთქვა, თუ ვერ გაგებდვარ, კლა აღარ წამოვიდოდით! *გონილი მოთქმა*

— რატომ ჩამეთვლება დამარცხება? ავერ ვარ და გამომიყვანეთ, ვინც გინდათ! — თქვა ისევ ანგიამ.

— ეგ სხვა საქმეა!

— აი, ეს კი მესმის!

— ვინდა გამოგიყვანოთ? შიუნიკას წუნობ?

— ცხენი არ არის და ისე...

— შენ რა გაწუხებს, უფროსო, არის თუ არ არის? — გაუხედნელი მოხვედრით ტლანქი შიო, აქამდე რომ გაჩუმებული იყო და ანგიას ქვეშ-ქვეშ ზვერავედა, ხალხს გამოეყო და წრეში შენოვიდა, — მე ამ ცხენზე შეეკვდები. შენ შენ ცხენს მოუარე. ჩემი ცხენის შემოწმება ვინ დავაგალა?! ზედ გაჯენ თუ? მერე ვნახოთ... კიდევ უნდა რამე პირობა? — შიომ ჩამყნული კისერი ნიატრიალა და ვაკეცური სიტყვის წარმოთქმით აშკარად მოხიბლულ ხალხს გადაჰხედა.

იმათ, ვინც გაიგონა, თავი დაუქნიეს, მეტი რაღა უნდა უნდოდესო და ანგიას მიაპყრეს მხერა იმის გასაგებად, თუ ის რას იტყოდა... ამით თითქოს ყველაფერი გათავდა. ანგია და შიო თავ-თავიანთ ცხენებს მიუტრიალდნენ. შუაქაცმა საგანგებოდ წამოძვანული ფილთა-თოფი შემართა. ბოლმავე მოსულმა ანგიამ — მე მაგათ ვუჩვენებ, როგორც უნდა ჯიბრიო — ორივე ხელი მოსჰიდა უნაგირს, მარცხენა ფეხის წვერი უზანგში შედგა და ის იყო, ტანის ამჩატებას და უნაგირზე გადაჯდომას აპირებდა, რომ ხალხმა ერთხმად იგრიალა. მოლაპარაკება და საშინაღისი, მადლობა ღმერთს, უკვე მოთავებული იყო. მამ რა ჰყრი შემორეოდით?

ანგიამ უკან მიიხედა, სადაც მისი მეტოქე თავის ცხენს პირში ლაგამს უდებდა. ის უკვე ამხედრებული იყო. ბრილის ფალავანი თავმოწონედ იჭდა უშნო ჯაგლაგზე და აქეთ-იქით გაბზეკილ მოკლე ფეხებს ცხენის გაბერილ მუ-

ცელს უზაუნებდა. ამგვარ უპატიურ მოპყრობას ჩვეული ჯაგლაგი, ეტყობოდა, ისე იყო თავმობზრებული, არც მხედარს აგდებდა რამედ და არც სიცილ-ხარხარით დაოსებულ ბრბოს. თავი ჩაქეინდრა და ლაგამს ლეკავდა.

— ჰე, რაღას უყურებთ? — ჩახლეჩილი ხმით დაიყვირა ვილაცამ.

— ვჯდები... ხომ ვჯდებოდი...

ანგიას ეს გაუბედავი სიტყვები რამდენიმე წუთის წინ შემომწყრალი და გულაცრებული ბრბოს კიეინამ უაფარა. თუ წელან მზად იყვნენ წასავლელად, ამჯერად ანგიას გარს შემოეხვიენენ, ხელებით წაებოტიენენ და ვიდრე ის რისამე მიხედვრას მოასწრებდა. ჰაერში აიტაცეს. ანგიას სახეები აერია. ახლა მხოლოდ შიშველ მაჭბესა და გაფარჩხულ ტაბიკა თითებს ხედავდა. დაბუეებული ქონიანი თითები და ხელისგულები ჰაერში ისროდნენ და წაღმუკულმა აბურთაებდნენ. მას თავბრუ დაესხა, თვალები აუქრელდა. ხან ეს იყო ქვეშ და ხანაც უცნაურად გვერდზე გადაქანებული დედამიწა. ყურისძირში თოფმა დაიკეკა. იმავე წამს საჯდონით რაღაც მაგარსა და სლიკინას შეეხო. ხელები ჰაერში გაასავსავე და სანამ ხეირიანად გაარკვევდა, თუ სად იყო და მის თავს რა ხდებოდა, ხალხი შუაზე გაიპო და გადაარეული ცაგურა უგზო-უკვლოდ გავარდა წინ. რიყზე რჩებოდა აღრიალებული ბრბო, სიცილი, ყაყანი, ცაში აპროლილი ქუდები...

ანგია უნაგირის ტახტას ჩააფრინდა. ყოველ ღონეს ხმარობდა, თავი როგორმე შეემაგრებინა და ძირს არ გადამოვარდნილიყო. მას ახლა აღარც შეჭობრი ახსოვდა, აღარც სამკლე ფაშატი, რომელზედაც მოშვერივით ქედგამსხვილებული მეტოქე იყო გადამჭდარი, და აღარც სირცხვილი...

ცაგურა მიჰქროდა, ჭიხინებდა, ყალყზე დგებოდა და გააფთრებული ლამობდა მხედრისაგან თავის განთავისუფლებას. «ცაგურა... შენი ჭირიმე... ჩემო ცაგურა...» — ჩურჩულებდა ანგია და ხმამალა რისამე თქმის ან დაძახებას

თავი მას უკვე აღარ ჰქონდა. აი, ერთი წუთი, კიდევ ერთი წუთი და უკვე დემდე შეიძლებოდა გაქვნილი უსათუოდ გადმოაგდებდა და ის ლაყეკერცხივით დაასკვებოდა დედამიწას.

ანგია მხედველობა დაძაბა. უნდოდა მოემხრო, რა ადგილას იყო. თვალები მხოლოდ თავბრუდამხვევი სისწრაფით მიმსრბოლავ რიყეს, საწინააღმდეგო მხარეს გაქანებულ ფეხადგმულ ლოდებს ხედავდნენ და მეტს არაფერს. სიმძიმის ძალამ ზურგიით უკან მიაგდო. იგრძნო, როგორ მოაწვა ნუნებს სისხლი. სხეულის ყოველი კუნთი დაეძაბა.

ცაგურა ყალყზე შეიმართა, მობრუნდა და უკან შემოტრიალდა. ანგიას სმენას შორეული ყვირილი და ღრიალცელი მოსწვდა. სად ყვიროდნენ, კლდის ძირას თუ თვით ქარაფზე?

სოფელი ახლოს იყო. გზის პირას მოსიერიებმა ჩაიქროლეს. ვილაცამ წინ გადადგომაც კი სცადა, რათა ათრეულ აღვირში ხელი ეტაცა და ცხენი შეეჩერებინა, მაგრამ უმაღლე უკან გადაბტაბრილი ადგანდგარდა. გადაარეული ცხენის დანახვით გულგახეთქილი ხალხი ღობე-ყორეს აწყდებოდა და პანტაუნტით ცვივოდა ეზოებში. ბანიანი სახლის ქიშკართან ქალმა დაიკვილა. ვაითუ ცხენს ჩაუეარდა ვინმე! დამფრთხალმა ცაგურამ თვალის დახამხამებამი განვლო შუკა, სულ რამდენიმე წამის წინ ხალხით რომ იყო გაკედილი, ახლა კი ერთბაშად დაცარიელდა და სასოფლო საბჭოს წინ მოედანზე გაიჭრა.

ხალხი ყოველი მხრიდან გამოსულიყო. უფრო დაუნარელთ საბჭოს მაღალ აივანზე აერბინათ და მოაჯირს ბატონკაცურად გადმოსდგომოდნენ.

— ააა... უუუუუ... — გუგუნებდა დიდი და პატარა.

უფრო გონიერები, ვისაც ჯერ ღვიზო არ მოჩეროდა, მიხვდნენ — ეს ხუმრობა უკვე აღარ იყო. ერთმანეთი აიყოლიეს და დამფრთხალი ცხენის გზის მოსაჭრელად თავდაღმა დაეშენენ. მაშველ ჯგუფში თვით იორამ ღობჯანიძეც ერია. ის ყველაზე წინ მიბობდა და მე-

ზობლუსს ემუდარებოდა, არიჭა, ქუქუ-ლი, ვინმემ ბოსტნებზე გადაიბრინოს და თავი დაუაროსო.

ათი თუ თხუთმეტი ვაჟკაცი თავქუდ-მოგლეჯილი გავარდა მოედანზე, რომლის ქვემო მხარესაც კალატოზებს რაღაც დიდი შენობის ქვიტიკის კედლები ამოჰყავდათ. ამ უბნის მცხოვრებლებს ჯერ კიდევ არ შეეტყვოთ, რაც ზევით მომხდარიყო. ხელკეტხანი კაცების ჯგუფი ეხოებიდან დაინახეს და ახალი ამბის შესატყობად შუკაში გამოცვივდნენ. ხარაზოებზე მუშაობა შეწყდა. კალატოზებს თვალი მოეჩრდილათ და უეცარი აღრზაურით გაკვირვებულები აქეთ იყურებოდნენ.

მთლად განადირებული, პირზე დუქ-მომღვარი ცაგურა სწორედ ამ დროს გამოთვარდა მოსახვევიდან. კაცები ერთხმად აყვირდნენ:

- ე, ბიჭო, დოუხვდი!
- სად მიხვალ, შე ტიელო!
- შემოკარი, ნუ გუზოგება!

ცხენმა დაინახა ჯოხებით, კეტებით, ნიჩბებით, თოხებით შეიარაღებული კაცები და ქალები, მიხვდა, გზის მოჭრას მიპირებნო და ნაცვლად იმისა, რომ ცოცხალი კედლის გვერდის ავლა ეცადა, პირდაპირ ხალხზე წამოვიდა და, ალბათ, კიდევაც გადაქეღავდა ვინმეს, დროზე რომ არ ეტიათ და აქეთ-იქით არ გადამბტარიყვნენ.

— ვაი, შენ, ჩემო თავო! — მარცხენა ხელი შუბლზე შემოირტყა იორამმა. შუა მოედანზე გაჩერდა და ლასტის ღობიდან ამონამჩრობი ნარგილი, რითაც დამფრთხალი ცხენის შეჩერებას ამოღ ლამობდა, მიწაზე დაანარცხა, — ვინ ოხერმა დამღუპა, ვინ გამომჭრა ყელი?..

უფრო ახალგაზრდებმა, ვისაც ღონე ერჩოდა და თავიც უხურდა, ფარ-ხმალი მაინც არ დაყარეს. ოთხი ჯეელი ბიჭი ცხენს ნოახტა და ცაგურას დაედევნა. სხვები ეხო-ეხო და ბოსტან-ბოსტან დაეშენენ. იმედოვნებდნენ, ხილთან ჩავასწრებთ და იქ, ქვეშაც რომ მოგვიყოლიოს, წინ გადავუდგებითო. მაგრამ ეს

იმედი ხანმოკლე გამოდგა. ის იყო, მღვერები ბექს გადაადგნენ. სპილენძის ბრილის ქაართოვანი კედელი მოჩანდა, რომ ცაგურამაც ჭენებ-ჭენებით გაიქროლა ხილზე.

— გადმოუგდია, ბიჭო! — ჩურჩულით თქვა ერთ-ერთმა, — ვაი ჩვენ ტყავს ახლა!

ახალმა ამბავმა ყველა შეაწუხა. გულმა უბანში გავარდნილ ცხენს თვალმოუშორებლივ დააკვირდნენ.

— მგონი, ისევ ზედ უნდა იჯდეს! — დაუქვდა მეორე მღვეარი, უნაგირზე შავად მოჩანს რაღაცა...

— ნაბადია. გადმოვარდნისას თუ შერჩა...

მაგრამ ის, რაც შავად მოჩანდა, ნაბადი არ იყო. ეს იყო ღონემიხილი ანგია ხინველი, რომელიც უცაბედ გასაქირს თავისი გადაარეული ცხენის განუყოფელ ნაწილად ექცია.

ხიდი ახლა უბელო ცხენებზე გადამჯდარმა მღვერებმაც გადაიარეს. ესენი მჭიდრო ჯგუფად მიაჭენებდნენ ცხენებს და თან ყვიროდნენ. ანგია ხინველის განხელება უნდოდათ.

8

შეშისაგან მუშტისტოლად დაპატარავებულმა ანგიამ სული მაშინლა მოითქვაროცა სოფელს გასცდა და ბრილის განაპირა უბნის ორღობეები უკან მოიტოვა. აქედან ტრიალი მინდორი იწყებოდა და პირწამახულ ლოდებზე დანარცხების შიში უკვე აღარ იყო. უნაგირზე მუცლით დაყრდნობა და ალვირის ნაგლეჯზე ხელის წავლება მაინც ვერ გაბედდა. გამხეცებული ცხენი ვაითუ ისევ ყალყზე შემდგარიყო. პისტოლეტზე ხელი მოისვა. არა! არა! ანგიას კეთილგონიერებამ სძლია და თავი ბედს მიანდო. ცაგურას სასიკვდილოდ გამეტება ქვეყანას აალაპარაკებდა. რა ცხენი და რა უბრალოდ გააფუჭაო! დამწვარზე მღველარის გადასხმას ისევ სიკვდილი ერჩინა. იმას მაინც იტყოდნენ, ვაჟკაცი იყო და ფათერაკმა იმსხვერპლაო.

სიკვდილი ნამდვილად არ ასცდებო-

და, გონდაბნეული ცხენი რომ საღმე ნაშწარაღში ან ეზოში შევარდნილიყო. ანგია უსათუოდ თავს შეანთხლევდა ზე- და დირეს და ტანჯვასაც წამში მოედებო- და ბოლო. მაგრამ მას შურისძიება სწყუ- როდა. მზად იყო, რომელიც გნებავთ დანაშაული ჩაედინა, ოღონდ თავქეიფა ბრილელებსათვის რაიმე ევნო და ამით სამაგიერო გადაეხადა. ანგიას თვალში ბრილის ყველა მკვიდრი — დიდი თუ- პატარა, ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა — ერთი იყო. ამ ცბელ გუ- ლზე, თუკი ხელი მიუწევდებოდა, ყვე- ლას საშინელ სატანჯველში ჩაპყრიდა...

„ოღონდ გადავჩე, ოღონდ ახლა გადავჩე!“ — ჩურჩულებდა, გმინავ- და და უნაგირზე აბედივით დაკოსებუ- ლმა აღარ იცოდა, როგორღა მოქცეუ- ლიყო.

ცხენოსანი მღვერის ხმა ჯერ კიდევ მაშინ ვაიგონა, როცა ხილზე გადმოდიო- და. მალე დაინახა, როგორ გააფთრებუ- ლი მოაწყდნენ ხიდის იქითა ყურეს და დასქვიცილეს, ნუ გეშინია, ანგი, აქა ვა- რთო.

ცაგურა გადაირია. ფრთები გამოისხა. მღვერები მალე ჩამორჩნენ. ანგიას მა- ნამდე უნდა ელონა რამე, სანამ ისინი ხელახლა გამოჩნდებოდნენ და უნაგი- რიდან როგორმე გადმომხტარიყო. უე- ნებლად გადარჩენას მის ადგილზე მყო- ფი ეშმაკიც ვერ შეძლებდა. თუ გადმო- ხტომის დროს სიმარჯვეს ვერ გამოიჩენ- და და დაეცემოდა, ზეზე, ალბათ, ვე- ლარც წაოღებოდა. მღვერებიც მამინ- ვე მოცივდებოდნენ. ამათ მოსეირთა მთელი გუნდი და ქორწილში უზომოდ გამომთვრალი სოფლის ფერშალი მოპ- ყვებოდა. დასახიჩრებულ ანგიას საკა- ცით წაიყვანდნენ...

უეცრად კენესა აღმოხდა და თვალეზი დააქყიტა. უნაგირი მოირყა ცხენის ზე- რგზე. ღვედი თუ გაწყდა ან აპზინდის ენა მოიკეცა.. ანგიაზე უკეთ ვინ იცოდა, რა უნდა მომხდარიყო ორი-სამი წამის შემდეგ. უნაგირი მარჯვნივ ან მარცხ- ნივ გადაცურდებოდა და ერთბაშად მო- ექცეოდა ცხენის მუტელქვეშ. ეს ამბავი

ისე სწრაფად მოხდებოდა, ანგია ხელის განძრევასაც ვეღარ მოასწრებდა.

ბევრი როდიღა უფიქრია. უნაგირს ხელისგულებით დაეყრდნო, აიწია და ძირს თვალუბდასტუქული გადმოეშვა. ვი- დრე მიწაზე დაეცემოდა; ძალიან დიდ- ხანს მოფრინავდა. ქარი ზუზუნით სცე- მდა პირსახეში და ყურებში წიოდა. უცებ გამაყრუებელი ბრაგვანი მოესმა. ეს დაცემის ხმა იყო. „უცხალი ვარ?“ — ჰკითხა თავს და ამ დროს რაღაცა ძალამ ისევ ბურთივით აისროლა მა- ლლა. სანამ ხელახლა დაეცემოდა, თვა- ლების გახელა მოასწრო. ირგვლივ თი- ვის ზვინები და მწვანე მინდორი იყო. წელი აიქნია, ფეხზე წამოვარდნას აპი- რებდა. ამის მაგიერად ბეჭვებით დაეცა, ქვასანაყივით მაგარი ნიკაპი ლავიწის ძეაღს დაპყრა და ენა მოიწყწკა. თვალე- ბმა ნაპერწყლეზი გაპყარეს.

მაგრამ ცხენი? თავი რის ვაივავლაზით მიატრიაღა და გზას გაპხეღა. რისამე დანახვა თითქმის შეუძლებელი იყო. გზაზე მტერის კორიანტელი იღგა. ცაგუ- რას უნაგირი გადმოეგდო, აეთრია და კიდევ უფრო დამფრთხალი და გამშა- გებული მიჰქროდა მტერის ღრუბელში. მხოლოდ ხანდახან გამოჩნდებოდა ხო- ლმე...

სოფლის მხრიდან ცხენების თქარა- თქური მოისმა. ანგიას გაახსენდა: მღე- ვარი აგერ-აგერ თავზე დაადგებოდა. წამოჯდა, პისტოლეტი იმიშვლა, ვაზნა პირში მისცა და დაიღრიაღა:

— დაბრუნდით უკან! ახლოს არა- ვინ მომეკაროს! მოგვლავ ვიღაცას! ახლავე დაბრუნდით უკან! მე თქვენ გეუბნებით! დაბრუნდით, თუ არა გეს- ვრითო!..

თვალეზი ცრემლით ჰქონდა სახე- ხმა უთრთოღა.

მღვერებმა ძლივს მოასწრეს მტერში გახვეული უბელო ცხენების შეჩერ- ება. ანგიას უცხენოდ ნახვა, არაადამიან- ნური ყვირილი, მუქარა და იარაღის მოღერება იმდენად მოულოდნელი იყო, რომ პირველ წუთს ყველა ბერივით და- იბნა. შემდეგ მიხედნენ, რაც მომხდარ-

იყო, სადავეები მოზიდეს, ცხენებს წყეპლა გაუზუზუნეს და უკან მიატრიალეს. მალე იმ ადგილას, სადაც მოულოდნელი სანახაობით ენადამბული ცხენოსანი მდევრები იღვნენ, მტვრის მიფუშული მოფუშული ზეინი დარჩა — რომელიც თანდათან იზრდებოდა, ფუფუნებოდა და ღრუბლებიდან გამოშვებულ მზეს აბნელებდა.

ანგიამ სისხლი გამოაფურთხა. ნახევარი საათი მაინც გაივლიდა, სანამ შიშნაქამი მდევრები უკან დაბრუნდებოდნენ და თან „მაშველ ძალასაც“ მოიყვანდნენ. იმათ მოსვლამდე ანგია აქაურობას როგორმე გაეცლებოდა. არც დასჭირდებოდა ამდენი დრო. სისხლი ისევ გამოაფურთხა და თითი კბილებზე მოისვა. ყველა, გარდა იმ ერთი საძირკე კბილისა, შარშანწინ რომ დაუზიანდა და კიდევაც ამოუღეს, თავის ადგილზე იყო, მხოლოდ ენა უხურდა, ეწვოდა და პირი ისევ მოტკბო და სქელი სითხით ევსებოდა.

ტყემდე კოკლობით იარა. ფხვიერ მიწაზე ცხენის ახალი კვალი ნახა და გულში იმედი გაელემა — იქნებ ცაგურა სადმე ახლოს ბალახს ძოვდეს და დაეწიო.

მაგრამ სად წასულიყო? აქამდე ეს კითხვა არ დაჰადებია. ახლა დაეხადა და შეკრთა. ნუთუ უკან, ბრილიში? თუ დღესვე განყოფილების უფროსს ხლებოდა და თავაშვებულ ბრილელებსათვის ანგარიში გაესწორებინა? ახლა საკითხავი ეს იყო: რას იტყოდა იქ? ბრალს ვის დასდებდა? ვინ რა დანაშაული ჩაიდინა, რომ კანონის წინაშე პასუხი ეგო?

9

ცხენმა შორიდანვე დაინახა შუა გზაში გახილული კაცი და გვერდის აქცევა დააპირა. მისდა სავალალოდ, გზიდან გადახვევას აქ თვით ჭინკაც ვერ შესძლებდა. მარჯვენა მხარეს ნესტიით ჩამოღვენილი ფრიალო კლდე იყო აღმართული, ხოლო მარცხნივ, უძირო ხრამის ფსკერზე, აქაფებული რიონი ბრღვენიავდა. კაცს ხელში მოზრდილი

კეტი ეკავა. მეტი ღონე არ გაუქმებოთ ქანცამოლულმა ცაგურამ: წინააღმდეგ შეანელა ნაბიჯი და აქეთ-იქით დაიწყო ყურება. გული უკან დაბრუნებას ეუბნებოდა...

გერვასი ხედავდა, რომ ცხენი დაუზოგავად ნაჭენები იყო და ოფლში ცურავდა. უცებ მუცელზე ჩამოკონწიალებული ღვედის ნაგლეჯი დაინახა და ელდა ეცა. რა მოხდა? ნუთუ ცხენმა პატრონი ძირს გადმოაგდო და ამიტომაც ასე გამხეცებული მოჰქნობდა თავდალმა?

— ვანო! — ხმამალა დაიყვირა გერვასიმ, — იპი!

— მე მიძახი, ბიჭო? — ხიდიდან მოაწვდინა ხმა დაბალ-დაბალმა, შუახნის კაცმა, რომელსაც დაბერილი ლოყები და მაჩვის წვრილი თვალები ჰქონდა.

— ამას ხედავ? — გერვასიმ გზის გასწვრივ გაიშვირა ხელი და რა დარწმუნდა, ვანო ვერ ხედავსო, დაუმატა: — ცხენია...

მაჩვისთვალეზიანი კაცი ხიდის მოაჯირს მოსცილდა და კილომეტრების მაჩვენებელ რკინის ბოძთან გამოვიდა.

— ანგია ხინველის ცხენს გავს, — ამბობდა გერვასი, — იცანი? ის არის, ნამდვილად!

ანგია ხინველის სახელის გაგონებისთანავე მაჩვისთვალეზიანი კაცი მუხლებში ჩაიზნა, თითქოს ჩაბუქნაო და თუ წამის წინ მიიმედ მოაბიჯებდა ხიდზე, ახლა უკვე მოსწრაფებულად წამოცუნცულდა.

— კი, მართალია, ანგიასას გავს... — რაღაც საპასუხო შეკითხვისმავგარად თქვა მან, როცა გზაზე გავიდა და ცხენს დააკვირდა, — კი, იმისია. ცაგურა! თავათ ანგია რა უყო ნეტა?

გერვასიმ შორიდანვე შეატყო: ვანო გუგეშაშვილს გული უცნაურად შეუფრთხილდა. ახლა ამის მიზეზის გამოძიების დრო არ იყო. ცხენი უნდა დაეჭირა და მერე ანგიას ვასდგომოდა. ამიტომ ვანო გუგეშაშვილის ბოლო სიტყვისათვის ყურადღებას აღარ უგდია. ტყავის პალტოს გაქონილი ჭიბები მოიჩხრია

და ცაგურას ფეხაკრფით მიუახლოვდა.

ცხენი გაქვავებული იდგა. ამაყი, ცეცხლოვანი თვალები ისევ უღლაღდა, როგორც წინა დღეს. ვერ შეიტყობდი, რომელ წუთში მოსხლტებოდა და პირს საით იზამდა. გერვასი სულ ახლოს მივიდა და ხელი გაუწოდა. ცაგურა როდღი დამფრთხალა. გრძელი კისერი კიდევ უფრო დაიგრძელა და ხორკლიანი მოლურჯო ენა კაცის ხელისგულზე დადებულ შაქრის კენიტს მოავლო.

გერვასის არყის სუნი ეცა. ნუთუ ცხენს უღიოდა? ნაბიჯი წინ წარსდგა და თუმცა ცაგურა უკან-უკან იწევდა, წინა ფეხებში ამოხლართულ ალვირს ხელი სტაცა. ცაგურას მართლა უღიოდა არყის სუნი.

— დაიჭირე? — მოატანა ქვემოდან გუგეშაშვილმა.

— მოდი, მოდი აქ, კაცო!
ვანომ კისერი მხრებში ჩარგო და გამოიქცა.

— ახლოს მოდი! — უთხრა გერვასიმ და ცხენს ლაფშებში მოუჭირა ხელი, პირი გაადებინა, — უსუნე!

— უჰ! — შეჰყვირა გუგეშაშვილმა და სახელარქვილმა უკან დაიხია, — არაყი უსმევიათ იმ შობელძაღვლებს!

— რა ვუყოთ ახლა?
— გადაძახე მხერხავებს. ცხენს მე გავაჩერებ.

გერვასი ორცეცხლშუა იყო. დილაადრიან ავლილი სატვირთო მანქანები ახლა უკვე ჩამოივლიდნენ და ვაითუ უნებართვოდ მოჭრილი ხეები ვაეპარებინათ ამისთანა დროს ხიდს როგორ მოსცილდები! არა და, ორივე მანქანა მორკების წასაღებად ამოვიდა და საბუთი კი არცერთს არ ჰქონდა...

ცხენი შეკრთა. დაიჭიხინა. კაცებმა უმალ იღმა გაჰხედეს ზხას. დიდება შენდა, ღმერთო! ბექზე ანგია ხინველი გადმოდგა. აქედან სახეს ვერ გაარჩევდი, მაგრამ ზურგზე ღვედებჩამოკონწიალებული უნაგირი ჰქონდა წამოკიდებული და ამით იცნეს, წუთით ვანოსაც და

გერვასისაც ხმის ამოღების უნარი წაერთვათ. გუშინ ისე კოხტად გამოწყვეტილი ბიჭი ანგია ხინველი საცოდავი შესახლდა. ვი იყო. თავდაღმართში ფეხებს ძლივს მიათრევდა და ასე იფიჭრებდი, მძიმე და მოუხერხებელი ტვირთით წელში გაზნეტილი ან ახლა წიქცევა, ან ახლაო.

ვანო გუგეშაშვილმა ძლივს მოისახრა, რომ ამხანავს მიშველუბა ესაპიროებოდა. ცხენის ალვირი ისევ გაოგნებულ გერვასის მიაჩეჩა და შესახვედრად გაიქცა. როცა უნაგირს ართმევდა, ანგია ძლივს აიღო თავი და შემოჰხედა. ცნობით მგონი არ უცენია. საწყალს ამდენი ღონეც აღარ ჰქონდა. იქვე ჩაქდა, ნიდაყვებით მუხლებს დაეყრდნო და პირსახე მავებსშუა ჩარგო.

— ძალიან მთვრალია! — დაასკვნა ვანომ და გერვასის ხელით ანიშნა, ცხენი ახლოს მოეყვანა, — ამდენი მაინც რამ დააღუეინა!

— მთვრალია? — გერვასიმ ცხენი მოეყვანა. ისიც გუგეშაშვილის მსგავსად ცდილობდა შეწუხებულს და თავზარდაცემულს ყოფილიყო და ცოტათი კიდევ ახერხებდა ამას.

— კი, ბევრი უსმევიათ იმ შობელძაღვლებს! — უპასუხა ვანომ, უნაგირი მიწაზე დასდო და ხინველს ჩასძახა: — შევკაზმოთ, ბიჭო? შექდები?

ბურანში მყოფ ანგიას, ეტყობოდა, ხმა ეცნო, მის გაგონებას აქ არ მოელოდა და ტყვიასავით დამძიმებული თავი ასწია. შემოწმება თუ მოინდომა, ხომ არ მომეყურაო.

— გამარჯობა! — უთხრა ვანომ.
— რა გინდა აქ? — საპასუხო სალმისა და შესავლის გარეშე ჰკითხა ანგია.

— უხელფასოში ვარ... — გუგეშაშვილი ამკითხვას არ მოელოდა, დაიბნა, მაჩვის თვალები ააფახულა და კისერი მხრებში ჩარგო, — ამოვიარე. მე ვთქვი...

— რა თქვი?
— მე ვთქვი...
— შენ ვერ მომატყუებ მე. კაი მამაძალი ხარ!

ანგია ჯერ ხელებით დაეყრდნო მიწას, მერე წამოიჩოქა და ტანჯვა-წვალებით დაიწყო ფეხზე წამოდგომა.

— მიდი, მოეხმარე! — მიაძახა გერვასიმ ვანოს, მაგრამ ის უფრო აღრე მივარდა ამხანაგს, წელზე ხელი მოკხვია და მხარში შეუღდა.

— რაზე მაგინებ, ანგო, ჩემი რა ბრაღია.

— მე არ ვაგინებ. რაც გეკუთვნის.. იმას გეუბნები. კაი მამაძალი ხარ. ცხენი სად არის ჩემი?

— აგერ არ უკავია გერვასის?

— უშვას ხელი, რა მავისი დაკავება უნდა!

— უნავირი დავადგათ?

— წადით. მე დავადგამ.

— მოგეხმარებით, შე კაცო, რა დიდი ამბავია!

ვანომ ამხანაგს თავი დაანება, უნა-

გირს ორივე ხელი ამოსდო და არყის სუნით აქოთებულ ცხენისაკენ წააფხოკილა.

— ე ლედეები სულ დაგლეჯილა და რალათი დავამაგროთ, ბიჭო? — მოუბრუნდა ცოტა ხნის შემდეგ ჩამოღვენთილ კლდეზე ნიდაყვითა და მხრით მინდობილ ანგიას.

— თუ არ დამაგრდება.. ახლა ეგ მადარდე!

— ზიდთან ჩავიდეთ. მხერხავეებს ბამბის ძაფს გამოვართმევ.

სამივე ნელი ნაბიჯით დაჰყვა თავდაღმართს. წინ გერვასი მიდიოდა და ცხენი მიჰყავდა. უკან ანგია და ვანო მისდევდნენ.

— კარგ ღროს შეგხვდი, — გადაულაპარაკა თავისთავით კმაყოფილმა ვანო გუგუშაშვილმა ამხანაგს.

— კი, — დაეთანხმა ანგია, — მეც რატომ არ შეგხვდი იმ ღროს...



ღ ე ქ ს ე ბ ი

ბალახისფერი გრძელკუდა ხვლიკი

ანტილის ზღვაში, ანტილის ზღვაში
(კარიბის ზღვასაც რომ ვძახიან)
ტალღის მათრახით აჭრელებულა,
გარს თეთრი ჭაფი შემოუვლია
და გალურსულა თაკარა მზეში,
თავს დასტრიალებს ჭარი აშარი,
გული კი არა, სიმღერა კენესის
და ძველ რუკაზე ირწევა კუბა:
ბალახისფერი გრძელკუდა ხვლიკი
სველი ჭვებივით აცეცებს თვალებს.

შაქრის ლერწამი მოუწნავს გვირგვინს,
განა ყვავილით, ეკლით მოუწნავს,
და ჯილით ივლის მონა ბედკრული,
არ დაანახვებს არავის ვკალს,
შორით დედოფალს მიამგვანებენ,

თვალს მოატყუებს მშველის გვირგვინი..
ნაღველი ახრჩობს, მწარე ნაღველი
და ძველ რუკაზე ირწევა კუბა:
ბალახისფერი გრძელკუდა ხვლიკი
სველი ჭვებივით აცეცებს თვალებს.

მაგრამ იცოდე, ზღვის მეციხოვნე,
უკვე ელავენ გრძელი შუბები
და ყველა გულში ცეცხლი ანთია,
გუგუნი გააქვთ აქონრილ ტალღებს,
ჭარი ღმუილით აწყდება ნაპირს
და კიდევ უფრო აღვივებს ზანძარს
და ძალა ერჩის უღონო ხვლიკსაც,
რომ ამოგლიჯოს რუკას ბრჭყალები:
ბალახისფერი გრძელკუდა ხვლიკი
სველი ჭვებივით აცეცებს თვალებს..

რ ო მ ა ნ ს ე რ ო

ტაროს მებტი მარცხალი აქვს...

ტაროს მეტი მარცხალი აქვს,
სიმინდის ერთ ტაროს,
ვიდრე კასტროს ლაშქარია,
რომ ჩამოაყვია „გრანმას“.
ზღვა დაუსვდათ ბობოქარი
ტალიკ-ტალიკ ბიჭებს,
განა უღვამ-წვერიანებს,
მაშინ უწვევრულებს.
თავს პეპლები ეხვეოდათ,
ძირს საფლობი იყო...
და სიკვდილი აედგენათ
ჯარისკაცის დარად.

იმ ჯარისკაცს ყავისფერი
ტანსაცმელი ეცვა,
ამერიკულ თოფს ესროდა
ყოველ კუთხე-კუნჭულს,
ზოგს სიცოცხლე მოუსწრაფა,
ზოგი მკერდში დასჭრა,
ვინც გადარჩა, არ დაეცა,
იმედის გზას მისდევს.
და აყვადნენ ბილიკები
სიმღერების ცეცხლით.
ტყვია ვაგაკაცს დაეძებდა,
ვაგაკაცი კი—ბალბას.

შორს სიერა აკაიფდა,
გული იქით გასწვეს,
სადაც მარტო არწივები
დაფრინავენ ცაში.

სიერაზე თავის ბიჭებს
ეტყვის ფიდელ კასტრო:
— მალე თავველე დაფრენით,
სისხლით მოფრწყოთ ბარი.

მას პრემიას ლურჯი მთები...

ცას ერთიან ლურჯი მთები,
ჩანჩქერები ჰქუხან.
თვალეც გიცნობს, გულიც გიცნობს,
ორიენტეს მხარე!
შენს ჭაღარა ხეობებში
ცხრათვალა მზე ბუდობს
და კლდის ძარღვებს, როგორც სისხლი,
შუქი უვლის მზისა.
ვით ტურკინოს კალთებიდან
მოვარდნილი ღვარი,
შენს შუბლს მოსწყდა ქარიშხალი,
ყიჟინა და გმინვა —
ფიდელ კასტრომ გაიყოლა
არწივების ჯარი,
არწივებით გადაავლო
თვალი ყავის ყანებს,
გატეხა და გადააგლო,

ფეხი დაჰკრა ბორკილს,
ხალხი მორბის, დაინახა,
არწივს უხმობს ორბი.
ამაზონის ტალღეებით
გაიწივს განზე.
განთიადი დასციმციმებთ,
განთიადი მოაჭეთ.
დროა, გულო, გაიღვიძე,
შეძახილის დროა!
ფიდელ კასტრო წამოსულა,
საცა არის, მოვა!
შეძახილი ხელბეჩვით
აღმართულა გზებზე,
კოფრინი ხელეზი კი
ძველ სიმღერებს ჰგვანან
და სიმღერა ფრინველივით
დანავარდობს ცაში.

კისკვიას იმედი აქვს...

კისკვიას იმედი აქვს
და ბატისტა გარბის,
მიწაზე არ გაეფლებს,
მიაშურებს ჰაერს.
უკან მისდევს წარბშეკრული
გენერლების კუდი.
ქუდი ეწვის და ყორანი
დასტრიალებს თავზე.
ცაში განა ღრუბელია,
რისხვა იქცა ღრუბლად.
ხალხი იმედს ეგებება,
ეთხოვება ნაღველს.
ხალხო, მტერი გაქცეულა,
მალა, მალა ფრინავს,

შიშის ზარი დასცემია,
წაქცეულა გზაში...
განა შავი მდინარეა,
ქარი არხვეს გიშერს —
წვერი მკერდზე აფენიათ
ფიდელ კასტროს ბიჭებს.
დოს რიოსის პალმას ეტრფის
დონ სან-პედროს პალმა.
და პალმები მზიარულად
ლილინებენ ქარში.
სისხლისფერი დაისია
თუ სისხამი დილა,
მანც ხედავს ხოსე მარტი
თავის მზისფერ გვირგვინს
და მასეოს სატყუარიც
ძველებურად ბრწყინავს:
ისე ჩანან ორივენი,
ვით სამშობლოს ფრთები.

¹ ძველად კისკვია ერქვა
კუნძულ სანტო-დომინგოს.



აკრილს თეთრი კაბა ეცვია...

აკრილს თეთრი კაბა ეცვია,
 ალაგ-ალაგ მწვანე —
 სანატრული პატარძალი
 მორთულიყო უცხოოდ,
 როცა ჭარმა ჩრდილოეთით
 მოიყოლა სუსხი,
 ყანადებმა ხომალდები
 მიაყენეს ხირონს.
 გულში ტყვია დაუმიწვნეს,
 ზურგში ბასრი დანა,
 განა დღისით, განა მზისით,
 აეფარნენ ღამეს,
 ჩვენი სისხლი მოაწყურეს,
 დაახარბეს ფული
 და უბრძანეს ინგლისურად:
 მოკალითო კუბა,

ცრემლის გუბე დააყენეთ
 დაადექით ღრუბლად,
 წინ დაუდგით ჭირისუფალს
 ოცნებების კუბო.
 მაგრამ ხალხი რის ხალხია,
 თუ არ დახვდა დუშმანს —
 ქუდზე კაცი გამოვიდა,
 კუდზე ფეხი დასცხეს,
 გულზე ცეცხლი წაიკიდეს,
 ხომალდები დაწვეს,
 ზღვაშიც სდიეს, წააქციეს
 და ჩაყარეს ზღვაში.
 ჩვენი მოკვლის მოწადინეც,
 ჩვენი ფიქრის მტერო,
 ჩვენ ვიცოცხლებთ სიკვდილშიაც
 და მკვდარს ვერა გგნახავ!

ღვას ბიზონი იმპერიის...

ღვას ბიზონი იმპერიის,
 ჩლიქით ჩიჩქნის მიწას,
 ზმუის, თვალებს აბრიალებს,
 ფეხქვეშ ითხრის ორმოს.
 გულში დარდი ჩასდგომია,
 შატრის ღერწამს ცოხნის,
 ბიზონს ყელზე დასდგომია.
 სპილენძი და კალა.
 მუცელი ჰგვრემს, გაბერილა,
 ნავთი ოფლად მოსდის.
 სხივს ამოად ერქინება,
 თვალი მოსჭრა უკვებ
 და ქუხილსაც ვეღარ იტანს,
 წართმეულია სენა.
 კარიბის ზღვას თეთრი მტრედი
 დასტრიალებს თავზე —

და ოცნება თოფთან უდევს
 გულანთებულ კუბას.
 სიყვარულიც თოფისწამლად
 შეუნახავს გულში.
 სასთუმალიც მაგარი აქვს —
 იმედი და რკინა,
 არწივების სამშობლოა,
 ვაჟკაცების ბინა.
 და ბიზონი ზღვას უცქერის,
 ძლივას აჭნევს კისერს,
 ჩლიქებიდან სისხლი მოსდის,
 მაინც ჩიჩქნის მიწას.
 თხარე, თხარე, თვალდამდგარო,
 მზეჩამქრალო ხარო,
 სასიკვდილოდ გადამდგარო,
 შენვე ითხრი საფლავს!

მივესალგები ზროპის

ტროპიკო,
 მზისფრად დაგინთია ჭიაკოკონა
 და დამკრახულან თეთრი ღრუბლები,
 ცაც ატყრეცილა,
 მზიანი თალი შუადღისა
 თავს დასდგომია.

შენ ხრუკავ გულში
 დარდას და ნალველს,
 როგორც ტრელ ხელივებს,
 შეყუჟულებს მწვანე ფოთლებში.
 ქარის თვლებს საპნავ,
 შარავჯაზე რომ ჭრიალებენ,

გულს უფრიალებ დასიცხულ პალმებს
და თითქოს გრძელი წითელი ისრით
კემირავ ზღვასავით მღელვარე ტყეებს,
მდინარეების დაძარღვეულ სხეულს.

მიხვალ,
მიყვები ბულიან შარას,
მანათი საესე მიგაჭვს კალათა,
უკან მოგძახის ტკბილი ლერწამი
და ასეხავებს პატარა ფოთლებს,
მათხოვარივით გზადაგზა მოგდევს
და კაიმიტოც დამწიფებულა,
ზანგი ქალივით ირწვება ქარში.
მაგ შენს ღონიერ ხელებსაც ვხედავ,
რომ აღიფებენ მიწაში მარცვალს
და სიცოცხლის ხეს ასხამენ ფოთოლს.
ის ხე ნელნელა მიფრინავს ცისკენ
და ქარაშოტსაც არ ეპუება,
სევდამორეულს
გაგქცა
კორომს.

ვით კრიალოსანს
ვმარცვლავ კუნძულებს
და დავაბოტებ ანტილის ზღვაში.
მინდა ჩემი ხმა გაგაგონო,
ცხელო ტროპიკო,
მარილიანი ფილტვებით ვყვირი
და ქარის ღმუილს
ვეურთებ ძახილს.

(იამაიკაც
საქვეყნოდ ყვირის,
გამაყება შავი სხეული.
არც ჩემი კუბა უმაღლავს ვინმეს
თავის სიმავეს და მულატობას!)

ეკ,
რა ტკბილია და რა მწარეა,
ტროპიკო,
შენი კოცონის ბოლი.
და როგორც ტებში,
ცხელ ილიებში
ჩუმად ინახავ შხაპუნა წვიმებს.

განა არ ვიცი,
რატომ მომეცი
მუშტი, ძალა და გულთანება —
ტყე-ტყე დადვივარ ღმერთი ველური
და მუშტით ვამტვრევ ქოქოსის კაკლებს.
თვალის იმიტომ ამიხილე —
გზად არ წავაწყდე
და მოვერიდო მედუმლე ვეფხვებს.
გამიმახვილე ყურთანმენა,
რომ უშალ ვიცნო
ვისი ცხენებიც გაივლიან
გზაჯვარედინზე.

ვიცი,
ტროპიკო,
შენმიერია
და შენ გიმაღლი ამ ჩემს შავ სხეულს,
ღონიერ მკლავებს,
და ხუჭუჭ ქორორს,
პირველქმნილ ვენებას
და სისხლს უძველესს,
შენი სისხლივით ცხელსა და წითელს.

ვიცი,
ტროპიკო,
შენმიერია
და შენ გიმაღლი ამ მზიან დღეებს,
იაგუარის ღონიერ კუდასაც,
გველის ნერწყვსა და მწვანე ჭანჭრობებს,
სადაც მწყურვალი დაძრწის ნადირი.

ვიცი,
ტროპიკო,
შენმიერია
და შენ გიმაღლი ამ ბალღურ ხალისს,
შენი მზისფერი გზით რომ მატარებს,
ტანზე რომ მახვევს ცეცხლისფერ
სარტყელს.

და ცა,
ზღვასავით უკიდევანო,
სულ ბლუჯა-ბლუჯა მყარის
ვარსკვლავებს.

ხისუური ბაღადა



ზღვას ხსივი დასთამაშებდა,
 ნაპირს ჰკოცნიდა წყალი.
 გულის სწორს ვთხოვე წყალობა,
 საწყლად მომაპყრო თვალი
 და მითხრა გულის პასუხი:
 „ნეტავ ტაღლა მქნა ზღვაში,
 სულ აღმა-დაღმა ვივლიდი,
 შეგიფვარებდი მაშინ.
 ანდა ზღვად ვიქცე ნეტავი,
 ჭარმა დამჭროლოს ზენამ,
 ნაღველი გადაფიყარო,
 გულს ჩავისახლო ზენა“.
 თვალეები ამოგუმზრალე, —
 არ ვარგა ცრემლთა დენა,
 ვაკოცე, ბევრი ვაკოცე,
 ავალულულღე ვნა:
 — უშენოდ, აბა, რაღა ვქნა,
 უშენოდ, აბა, რა ვქნა!
 თუ ზღვად იქცევი, ტაღლა მქნა,
 ტაღლად იქცევი — ზღვა მქნა!

ბაღში წყლის პირას ვისხედით,
 ამინდი იდგა წყნარი.
 ქარი კი ჰჭროდა, ოლონდაც
 ჩვენ არ გვიჭროდა ქარი.
 ნაკადულს თვალი დაადგა
 და აჩურჩულდა ქალი:
 „ნეტავ ყვავილად მაქცია
 და შენ მასხურო წყალი.
 ანდა მზედ ვიქცე ნეტავი,
 მთელი ქვეყანა მოვრთო.“

სულ ვაცოცხლებდი ყვავილებს,
 არ დავაჭკნობდი ფოთოლს“.
 ნუმც მომეშალოს ნურასდროს
 ის წამიერი ღებნა —
 ვარდი გაგუპე, ვაკოცე,
 ძლივას დავძარი ვნა:
 — შე მხოლოდ შენი დარდი მკლავს,
 ისეთს რას იზამ — ვერ ვქნა!
 თუ მზედ იქცევი, ვარდი მქნა,
 ვარდად იქცევი — მზე მქნა!

სასაფლაოზე ბინდი წევს,
 საყვავილეა მჭკნარი...
 და გვერდით მომდევს სიცოცხლე,
 დადღივარ როგორც მთვრალი.
 (ქარი ქნარს ჩუმად აკენესებს,
 დარდს ვერ აქარვებს ქარი.
 ხავსიან ლოდებს დასტირის
 ხავსმოდებული ქნარი)
 და მესმის სატრფოს ჩურჩული,
 გულს მორევია ზაფრა:
 „სხვაგან არ მინდა სიკვდილი,
 აქვე გავითხრი საფლავს,
 ლოგინად მიწას დავიგებ,
 ქვას დავიხუროვ საბნად“.
 — მაგას რას ამბობ, — ვუთხარი, —
 აღარ ვიყვარე არ აღბათ!
 არც — არა ვარდად ვიქცევი,
 არც — არა ბურქად მაყვლის,
 ჯვრად დაგადგები საფლავზე,
 სიკვდილიც ვეღარ გაგვყრის!

თარგმანი გურამ კოპიაშვილისა



წიგნი ღრუბლები

რომანი

ნაწილი პირველი

დუმილი

ითამაშეთ უნაყოფო

აქ მოითათბირეს: ბენედიქტე და ბათუ მოულოდნელად ესტუმრებოდნენ გენადის „ძველი“ მეგობრების დანახვისას გენადი ცას ეწეოდა სიხარულით, და ისე დიდი იქნებოდა მისი ბედნიერება, თავს ვეღარ შეიკავებდა, რომ მეზობლებისთვის არ გაეზიარებინა. მოიპატარებდა ყველაზე ანგარიშგასაწევე მეზობელს — სამსონის ავადმყოფობასა და ბინაზე თვალბდაცეცებულ ლოლა ქარამაშვილს, და საბლის რწმუნებულს, ლუტუ ბეგაშვილს. ეს გენადის გეგმა იყო. ბენედიქტეს რომ პირდაპირ მოეყვანა თავისი სტუდენტი ძმისშვილი და გენადის თანხლებით მომავლადვი სამსონის ბინაში მდგმურად გაემწესებინა, მეზობლები ეჭვს აიღებდნენ და აჭანყდებოდნენ.

ახლა კი:

— ალავერდი თქვენთან! — დაცლავი ჰქონდა ბენედიქტეს გადაულოცა გენადი და შავი ღვინით შეუესო, — აბა, მიირთვით ნათესავების საღღვრძელო!

ეს ნიშანი იყო. მაგრამ ბენედიქტე დუმდა. მაგიდას დაპყურებდა და თავს აკანტურებდა, თითქოს რაღაც გამოუსწორებელი შეცდომის გამო სინანულს გამოხატავდა. ბათუმ ყურები ცქვიტა — როგორც ყოველთვის, ახლაც თან იმი-

ტომ იახლა ბენედიქტემ, რომ საჭირო შემთხვევაში საჭირო სიტყვა ეკარნახა და მძიმე მდგომარეობიდან გამოეყვანა. ეს უთქმელი და დაუწერელი შეთანხმება იყო გულმავიწყ მეფესა და ბრძევეზირს შორის. ვეზირმა ყურები ცქვიტა, რადგან მოეჩვენა, რომ მეფეს დავიწყებოდა, რა საომარი ზერხით მათევისებინა სხვისი ტერიტორია, მაგრამ თურმე ეშვაკობდა კურთხეული მეფე.

— ეჰ, — ამოიოზრა ბენედიქტემ დავითომ ღრმა ფიქრებიდან გამოერკვა — არა ვარ ღირსი... არა ვარ... მე ეს საღღვრძელო არ შემერგება.

— რას ამბობთ, როგორ გეკადრებათ! — წამოიძახა გენადიმ.

— არა ვარ ღირსი... — ხელი ჩაიქნია ბენედიქტემ და ჰქონდა უხალისოდ მიიტანა ტუჩებთან.

— კაცო, არაფერს იტყვი?! — დაფრთხა ბათუ: ბენედიქტეს რომ უსიტყვოდ შეესვა, მთელი გეგმა ჩაიფუშებოდა.

— რა მიქვს სათქმელი, ჩემო ბათუ, ვუკეთებ მე რამეს ნათესავეებს? ვუკეთებ? არაფერს, — ისევე ჩაიქნია ხელი.

— შენ ნათესავეებს კი არა. ეწლიც გადამთიელებს ეხმარები!

— მაშინ რატომ მყავს ჩამწყვდეული ჩემი ერთადერთი ობოლი ძმისშვილი, ჩემი ღუდანა, საერთო საცხოვრებელ-

ში? რატომ ვითქვენ ამას? მთელი წელიწადი რომ დაეჭმებოდები და ერთი წესიერი დასაჭირავებელი ოთახი ვერ გეშოვნე, რატომ დავიკრიფე მერე გულზე ხელები? მე გეკითხებით ახლა, უნდა მიმეტოვებინა ჩემი დუღანა?... თუმცა თქვენ რა შუაში ხართ... მაპატიეთ, — დალია და ღრმად ამოიოხრა.

— ეუბნები ჩემთვის, დავტრიალდებოდი, მიეკითხ-მოეკითხავდი, — უსაყვედურა ბათუმ.

— არც მე ვიცოდი. თორემ სადმე მიგაგნებდი გასაჭირავებელ ოთახს, — თქვა გენადიმ ბამაღლა, რომ ლოლასა და ლუტუს გაეგონათ.

— გენადი! — უცერად ხმა ამოიღო სახლის რწმუნებულმა ლუტუ ბეგაშვილმა და ხელები ერთმანეთზე შეიხოცა, — მე ერთი კარგი აზრი დამეზადა!

„მგონი, წამოვიგო!“ — გაიფიქრა გახარებულმა გენადიმ.

— შენს კარგ მეგობარს შეიძლება კარგი საქმე გავუტყუოთ მე და შენ, — განაგრძო ლუტუ.

— რა საქმე?! — ვითომ ვერ მიხვდა გენადი.

— ჩვენს სახლში, კაცო, მეოთხე სართულზე! — ლუტუს მოეჩვენა, რომ ლოლას ნაპერწკლები გამოუცვლდა თვალბოდან.

— რა მეოთხეზე, რა სართულზე? — სულ თავი მოისაწყლა გენადიმ.

— რას ნიშნავს, რომ ამ საქმეებისა არაფერი გესმის! კაცო, საშსონზე გეუბნები, საშსონის ბინაზე, საპი ოთახია ცარიელი!

ამყამად ლოლას თვალებიდან გაცვენილმა ნაპერწკლებმა ლოყები დაუბწყინა ლუტუს გენადის კი გული აუჩვილდა ნეტარებისგან; ასე იოლად გლიჯდა ნარს სხვისი ხელით.

— როგორ გეკადრება. ლუტუ, მომავლავია მოხუცი!

— ჰოდა, იმიტომ გკადრე, არაფერი გესმის-მეთქი, სწორედ მომაცდევს სჭირდება ხმის გამცემი!

— შენი არ მიკვირს, ლუტუ! —

აფეთქდა ლოლა — იმ ქვეყნად წაჰსულს რა ხმის გამცემი უნდა... *შენი ვერცხვი*
გინჯლიქოთქა

— ქალო, პენსიის ფულს ბინის ქირაც დაემატება და უფრო ხეირიანად უმკურნალბენ...

— აღარაფერი მკურნალობა აღარ სჭირდება მკვდარს, შენი არ მიკვირს?! — ლოლა გრძნობდა, როგორ ეცლებოდა ხელიდან ამდენი ხნის ნაოცნებარი მეზობლის ბინა.

— ქალო, ლიდა რომ დღეში ერთხელ შედის...

— საავადმყოფოდანაც მოდიან! — ჩაურთო გენადიმ.

— ჰო, საავადმყოფოდანაც რომ დღეში ერთხელ მოდიან, აგერ, ბატონი ბენედიქტეს მშინშვილი ყოველწუთს გვერდზე ეყოლება, თავს დაადგება... რაზე სწავლობს? — მიმართა ლუტუმ ბენედიქტეს.

— ეე... იმაზე, რა ქვია? — ბათუს გადახედა ბენედიქტემ — იმაზე, ეე.

— საექიმოზე! — საჭირო სიცრუე მიაშველა ბათუმ.

— ბიოლოგიურზე; — გაახსენდა ბენედიქტეს.

— მით უმეტეს. — წამოიძახა გენადიმ, — თუ საექიმოზე სწავლობს, რაღაც-რაღაცეები უკვე ეცოდინება ავადმყოფობის და წამლობის...

— თქვენ ჩემი გავიყება თუ გინდათ. პირდაპირ მითხარათ, — კისერი გაუწითლდა ლოლას, — ერთი მიზრძანეთ, ვისგან უნდა მიიღოთ თანხმობა ბინის გაჭირავებაზე, თუ პატრონი ამ ქვეყნად აღარ არის, თვალი დახუჭული აქვს, ყური დაგმანული, მკვდარი წევს ლოგინში და...

— მკვდარი რა სათქმელია, მაჯა უცემს! — შენიშნა გენადიმ.

— მერე მაჯისცემით დავითვლის ამდენი და ამდენად მანეთი მომეცით ქირალო? ა, რას გაშტერდი! ვისგან უნდა მიიღოს მღვდელთა თანხმობა?

— თანხმობა მე აღრე მივიღე, — თქვა ლუტუმ. — სანამ ეს დაემართებოდა, დამიძახა საწყალმა და მოზოვა,

იქნებ ვინმე სტუდენტი მდგმური მი-
შოვნით, გასაღებიც მე ჩამაბარა, რო-
გორც მოგვსენება, მოვლითაც ჩემი
ცოლი უფლის...

— გასაღები თქვენ ძალით მისაჯეთ-
რეთ! — დავესლა ლოლამ.

— ენა დაიმოკლე, ქალო, გასაღები
სახლის რწმუნებულს უნდა ებაროს...

ამ დროს გენადის დაბალმა, ჩაპუტუ-
ნებულმა ცოლმა, ზედმეტად ბავშვური
გამომეტყველება რომ ჰქონდა, მაგიდას
მოხარული წაბლი შემოაშველა. სამკ-
ვდრო-სასიცოცხლოდ შეტაკებულ მო-
პაექრებზე ორთქლში გახვეულმა თეფ-
შმა შუაში ჩავდებულა მანდილივით
იმოქმედა — ლოლა და ლტუტ მაშინ-
ვე დაღუძნენ, ერთდროულად წამო-
იწიეს სკამებიდან და წაბლი ბლუჯა-
ბლუჯა დაიტაცეს.

ეს დღეილი არ ებიტნავათ შეთქმუ-
ლებს, „გამონახა რაღა დრო“, საყვედუ-
რით ახედა გენადიმ ცოლს. მაგრამ წაბ-
ლი, ეტყობა, შეთქმულთა მხარეზე იყო
— მღელღარ წყლადან ახალამოდებულ-
მა, პირი გამოუთეთქა ლტუტს და გამ-
წარებულს მაგიდაზე მუშტი დაარტყმე-
ვინა:

— ბოლოსდაბოლოს, მე სახლის
რწმუნებული ვარ, თუ ვინ ვარ, წერა-
კითხვის უცოდინარი დედაცაი რო?
კუთას მასწავლის?!

გაკაასებულნი წამოხტა სკამიდან
ლოლა.

— მე ვიცი, რისი რწმუნებულიც ხარ
შენ ამ წუთში, ვიცი, რა ჭიაც გიღიტი-
ნებს, ყველაფერს ვხვდები! — და მო-
ულოდნელად გაეარდა ოთახიდან.

ბენედიქტე ერთბაშად ბურთივით ჩა-
იფულა და შერე თავიდან იწყო გაბერვა.

— მე ვაჩვენებ მაგას ჭიას! — ყვი-
როდა პირდათუქული ლტუტ ბეგა-
შვილი, ეტყობა, ლაპარაკის დროს ტყი-
ვილი უამდებოდა, — მაგან თავის
ქმარს მოუაროს, ის ურჩევნია, — უც-
რად ფეხზე წამოიჭრა, — ბატონო ბე-
ნედიქტე, თუ ჩემი ხათრი ვაქვთ, ახლავ
მოიყვანეთ თქვენი ძმისშვილი და და-
ნარჩენი მე ვიცი, თუ ჩემი ხათრი ვაქვთ,

ბატონო ბენედიქტე... უყურე შენ მაგას!
— წაივლით! — წამოიჭრა ბათუმ,
იცოდა, რომ ასეთ ხელსაწყოზე წუ-
თებს არც ისე ხშირად ჩამორეკავდა
ცხოვრება.

— ჩემთვის უხერხულია, მასპინძელი
ვარ, მაგრამ მართლა აჯობებდა, ახლავ
წასულიყავით, — დაუმატა გენადიმ და
ბათუს თვალი ჩაუქრა.

ბენედიქტე წამოდგა. ყველანი წამო-
იშალნენ.

— მე წავალ, ბატონო ლტუტ, — თქვა
ბენედიქტემ, — თქვენი დიდი ხათრი
მაქვს. წავალ და მოიყვან, როგორც გა-
გიბედათ იმ... იმ დედაცაიმა სიტყვის
შებრუნება, ჰა?

— მოიყვანეთ ახლავ, ახლავ მოიყ-
ვანეთ, და ნახოს მაგ ლოლა, თუ ლუ-
ლაა, ვინ ვარ მე და რა შემიძლია!

— თქვენი ხათრით, ბატონო, ლტუტ.
თორემ მე ხვალამდე არც ვაპირებდი ამ
საქმის მოგვარებას, შეიძლება ვერც
ზეგ მომეცალა... — თქვა ბენედიქტემ.

— ასე მალე? ასე მალე? — გამოგო-
გმანდა სამზარეულოდან გენადის მეუღ-
ლე, ზედმეტად ბავშვური გამომეტყვე-
ლება რომ ჰქონდა, — რამე მიგერთვათ
კიდევ!

— დაბრუნდებიან და მიირთმევენ! —
ეს, წესით, გენადის უნდა ეთქვა, მაგ-
რამ ბენედიქტემ თქვა, ეტყობა, ძალიან
ეჩქარებოდა და ველარ დაუცადა მას-
პინძელს.

— მაგას თუ გონია, მაგის ქმარზე ნაკ-
ლები ვარ რამეში, ძალიან ცდება! —
ველარ მოენელებინა ლტუტ ბეგა-
შვილს.

ბენედიქტე და ბათუ ფაცა-ფუციით
ჩამოცივდნენ რუსთაველის პროსპექ-
ტზე. სული ყელში ამოსდიოდათ. ეჩვე-
ნებოდათ, რომ უკვე ყველაფერი მოგ-
ვარებულა. საქმე დაგვირგვინებულა,
დღდანა კანონიერ მდგმურადაა ჩაწე-
რილი იმ მოხუცის ბინაში, მოხუცი
გარდაცვლილია, ბინა გაყიდულია და
ახლა ფულებს ითვლიან, ყველა თავთა-
ვის წილს. ბათუს ისიც კი ელანდე-

ბოლა, როგორი შერიით შეკურებდა ბენედიქტესა და გენადის — მათ მეტი ხვდათ წილად. მერე ისიც მოელანდა, როგორ გამოუქვითა ბენედიქტემ მოხუცის დასაფლავების ხარკები და როგორ ააფეთქა ამ უსამართლობამ ბათუ. ღუდანას სტუდენტთა ქალაქის სპორტულ მოედანზე მიაგნეს.

— სად უნდა წამოვიდე, ბიძია ბენო?
— ბინა დაგიჭირავე, — მესამედ აყოცა შუბლზე ძმისწულს.

— ბინა კი არა, სასახლეა! — შეასწორა ბათუმი.

— სად, ბიძია ბენო? — ღუდანამ ლურჯი მაისურის სახელოში შემალული ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლზე გადაისვა.

— ქალაქის ცენტრში! ჩქარა ახლა, ჩაიცივი, რას დამსგავსებულხარ მავ შარვალში?!
„რას მიჭირავს, უხდება!“ — გაიფიქრა ბათუმი.

— ბიძია ბენო, მე... მე ქირას ვერ გადავიხდი.

— ქირას შენ არავინ გეკითხება, გაიქციე ახლავე და ჩაიცივი!

— ბიძია ბენო, მე აქ... კარგად ვარ აქ. იმსტიტუტთანაც ახლოს ვარ.

— ცალკე ცხოვრების გეშო არ იცი შენ, და იმიტომ ხარ კარგად.

— ღუდანა! — გამოსძახეს ფრენბურთის მოედნიდან, — ითამაშებ?

— მოიცა, ახლავე! — გაჰყვირა ამხანაგებს, მერე ბენედიქტეს მოუბრუნდა, — არ მინდა, ბიძია ბენო, ცალკე ოთახი!

— ბიძაშენი რომ გელაპარაკება, გაიგონე!

— უნდა გაუგონო, შენ კი არა, მთელი აღმასკომი უგონებს!

— ღუ-და-ნაა!

— მოვდივარ!

ბენედიქტემ მკლავში ხელი ჩასჭიდა.

— სად მიდიხარ, გოგო, მე შენი გულისთვის მთელი ქალაქი შემოვირბინე, როგორც იქნა, ვიშოვნე გასაქირავებელი ოთახი და...

— კი მაგრამ, ბიძია, — აღარ დაამ-

თავრებინა ღუდანამ, — სამი წელი უკვე, რაც აქ ვცხოვრობ, დაეჭვებულნი ბევრი მეცადინეობა!

— ღუ-და-ნაა!

— მესმის, პო!

— შენი ბარგი-ბარხანა მერე წამოვიღოთ, ჯერ ოთახი ნახე, — დასთმო ბენედიქტემ, — ჩვენთანაც ახლოს იქნები, დეიდა მარგოსაც ხანდახან ხელს წამოუტკრავ საქმეზე, ისიც შეგეშველება.

„უარს ვიტყვი, რაც არ უნდა ოთახი იყოს, არ დავრჩები!“

— ღუდანა, მოდიხარ თუ არა?

— ითამაშეთ უჩემოდ!

მიაბიჯებდა ღუდანა გაზონებს შორის გაწოლილ ასფალტის ვიწრო ხეივანში. თეთრი საცხოვრებელი კორპუსებისაკენ, და ცდილობდა წარმოედგინა თავისი თავი იმ უცხო ბინაში, ცალკე, ამხანაგებისაგან მოშორებით. მიაბიჯებდა და, მისდაუნებურად, თავს აქნევდა, გულში უარს ეუბნებოდა ბენედიქტეს. „მესამე წელია, რაც ჩამოვედი და ერთხელ არ მოვეუკითხე. ახლა რა მოეჩვენა? ალბათ სინდისმა შეაწუხა. მაინც ძმისშვილად ვეკუთვნი, რაც არ უნდა იყოს.“

ბენედიქტე ღუდანას მამის ნამდვილი ძმა არ იყო. როცა მეუღლეებს გამოჩენულუბმა — ერთის დედა და მეორის მამამ — ერთმანეთი შეირთეს, ახალგაზრდაწერილ ცოლ-ქმარს თითო-თითო ბიჭი მოჰყვამთ ძველი ოჯახებიდან.

სახლის რწმუნებულმა, ღუტუ ბეგაშვილმა, ორჯერ გადაატრიალა ვასალები და ხის მძიმე კარს მიაწვა. თითქოს კარს უკან იცდიდაო, სიგრილე სწრაფად გამოიჭრა დახუთულ დერეფანში. ოთახში პირველად ღუტუს ცოლმა, ლიდამ შეაბიჯა, ხელში სადილის კოვზი და ბრინჯის ნახარშით სავსე თეფში უკანკალუბდა. მას ღუტუ შეჰყვია, მერე ბათუ, ბენედიქტე, ღუდანა, გენადი ბოლოს შევიდა. დიდი, ოთხკუთხა დარბაზის ორივე ფანჯარა ღია იყო მოხუცი ტახტზე იწვა. ჩონჩხნადქცეული ხელის-

პრეტენზიები მუცელზე ეწყო. ნიკაძისა და კერიშალის ძვლები ამობურცვოდა, თითქოს სულ ახლახან გაზრდოდა, საბანიც თითქოს პირდაპირ ლეზზე ეფინა.

კედელზე მოხუცი ქალის გადიდებული ფოტოპორტრეტი ეკიდა, შავარშია-შემოვლებული სურათის ქვეშ, პატარა მაგიდაზე, სამგლოვიარო გვირგვინებიდან მოხსნილი წითელი და თეთრი აბრეშუმის ტრძელი ლენტები ეყარა.

ჯერ ავადმყოფის სახემ დააფრთხო ბენედიქტი, მერე ეს შიში უფრო დიდმა შიშმა დაფარა, — ვაი, თუ უკვე მკვდარიაო.

ბათუს ძალიან ეშინოდა მიცვალებულებს, მით უმეტეს, თუ მათი უეცრად გამოცოცხლება იყო მოსალოდნელი. ამ მოხუცებულები ექიმები თურმე ამბობდნენ, ლეტარგიულ ძილშია და როდის გაიღვიძებს არ ვიცითო. ხომ შეიძლება სწორედ ახლა გაღვიძებოდა, წამოშტარიყო და კუდით ქვა ესროლინებინა დაუბატიყებელი სტუმრებისათვის.

დუდანამ წარმოიდგინა ამ საზარელ მოხუცთან მარტოდმარტო დარჩენილი თავისი თავი და ძრწოლამ აიტანა:

— შე აქ ვერ ვიცხოვრებ! — თქვა ყველას გასაგონად.

— აქ არც ვაცხოვრებთ! — შეაშველა სიტყვა გენადიმ, ოთახი სწრაფად გადაჭრა, კედელზე ჩამოკიდებული მოყვითალო ფარდა გადასწია და აქამდე უჩინარი დაბალი კარი შეაღო. კარს იქით გამოჩნდა მომცრო ოთახი, წითელი ხის საწოლი, განჯინის თავზე დაკიდებული დიდი, ოვალური სარკე და კიდევბგაცვეთილი ოთხკუთხა მაგიდა.

— აქ იცხოვრებ, აქ და კიდევ ერთი ოთახია. სამზარეულოც არის, აბაზანაც და ყველაფერი.

— არა, ბიძია ბენო, მე აქ არ დავრჩები! — და იმის ნიშნად, რომ ამ საკითხზე ლაპარაკსაც ზედმეტად თვლიდა, დუდანა ივანეზე გავიდა.

აივანი ოპერის შენობას გადააკურებდა. დუდანა გადაიხნიჭა და ფილაქანს ჩაბედა. ჭავჭავაძის დაღმართის დასა-

წყისთან ბიჭები იდგნენ, მზეს ეფიცებოდნენ და ლაზღანდარობდნენ.

„ნუთუ, აღარასოდეს შევხვდებით?“ გაიფიქრა დუდანამ — შეუძლებელია, ერთხელ მაინც არ შევხვდეთ... მაშინვე ვიცნობ“.

— შემოდი, გოგო! — მოესმა ბენედიქტს ხმა.

ბენედიქტემ უსიტყვოდ მალა ასწია ხელი, გენადის ანიშნა, ძმისშვილის მორჩულება ჩემზე იყოსო.

— ყველაფერი ისე გავაფორმოთ, როგორც რიგი და წესია, — დაიწყო ლეტუ ბეგაშვილმა, — საბლმპართველობას შევეუთანხმოთ, ჩაგწეროთ დავთარში, მილიციას ახალი შტამპი ჩავარტყმევინოთ პასპორტში. ეს ჩემზე იყოს. ლოლა ქარამიშვილი და მისი ქმარი ვერ ეღირსებინ ამ ბინის ხელში ჩადებას!

ბენედიქტს, ბათუს და ვენადის ტანში გაცრათ, ერთმანეთს გახედ-გამოხედეს; ნუთუ საბლმის რწმუნებულმა იცოდა, რა მიზნით ქირაობდა ოთახს ბენედიქტი?

— მე მოვარჩენ ამ მოხუცს! — თქვა ბენედიქტემ რწმუნებულის შესაძლებელი ვეგის გასაბათილებლად, — რა ქვია? საშსონი, ხომ? მე მოვარჩენ ბატონ საშსონს, კაცი არ ვიყო, თუ ფეხზე არ წამოვყავნო!

„...მე ვიყო მართლა ექიმბაში. თუ ამ ბიჭმა ერთ თვეში ფუტბოლი არ ითამაშოს“ — თქვა მალაქია თურმანიძემ.

შეასრულა თავისი სიტყვა თურმანიძემ. საშსონის პატარა ბიძაშვილს ფეხი შეუწარჩუნა. რა გაზარებულნი იყო ბიჭოლა!

— იშ, ბარო! — სახრე გააზღუნა საშსონმა, ხარები დიძრნენ. საცოდავად აქრიალდა ურმის ღერძი. „საპონი მოუხდებოდა ახლა ამას...“

— ზედავთ, ტურებს აცმაცუნებს! — წამოიძახა ლოდამ.

— ალბათ, შია — თქვა ლუტუმ, — გაცოვდა ეგ წვენი. აჰამე ბარემ!

— ჰამს ხოლმე? — განცვიფრდა ბათუ. — აკი ხელოვნური კვებაო..

„ან კინოში შემხვდება სადმე, ან — თეატრში. ანდა იქნებ შემხვდა კიდეც და ველარ ვიცანი? — დუდანა თვალს არ აცილებდა ქვემოთ, პროსპექტზე მოსეირნე ახალგაზრდებს, — იქნებ აქეთ ცხოვრობს და იმიტომ ვერ ვხვდებოდე? იქნებ აქეთ მსახურობს?“

— რას ერჩის ლუტუ ლოლას? — წასრურჩულა გენადის ბენედიქტემ.

ლუტუს და ლოდას გახედა გენადიმ, ფეხის თითებზე აიწია და ტურნები ყურთან მოუტანა ბენედიქტეს:

— მოსწონს, მაგრამ ლოლა მასხარად იგდებს: ოცი წლისაც რომ იყო, ჩემს ჰმართან მაინც ვერ მოხვალა, ჰმარტივი წელიწადითორმეტი თვე მივლინებაშია. გასაგებია?

„აქედან რომ ათი მერგოს. ავშენდები. ათი და სამი — ცამეტი... ნამდვილად ავშენდები“, — ფიქრობდა ბათუ და აივნის მოაჯირზე გადაზნექილ დუდანას ფეხებს გაკუთრებდა ღია ფანჯრიდან.

„...ეგნატე ყუბანეიშვილმა, სასწავლებლის მღვდელმა, ლოცვის შემდეგ ზიოთაშხვდველს რალაი გადუჩერჩოლა. ზედამხედველმა თავი დაუქნია, მერე სამსონს დაუძახა:

— Пойдешь с отцом Игнатием!

— Слушаюсь!

ბავშვის მოსანათლად მიდიოდა ეგნატე. ვახვია მირონი და რალაც-რალაცები, სამსონს აკვიდა ზურგზე. ტყე-ღრე იარეს. თუთბერიძეებს დიდი მზადება ჰქონდათ. აქ იყო მთელი მაღალი საზოგადოება. სამსონს თვალები აუჭრელა მუთრმა მანქეტებმა, ქალების მოწმიშვლებულმა და შებუღრულმა მხრებმა. ბავშვი მონათლეს. სამსონი კითხულობდა „ლოცვანს“.

— სუფრა გვიკურთხეთ, მამაო!

ეგნატემ აყურთხა.

წაუჭმუჭუნეს აქედან და აქედან ჯიბეებში ფული.

კაპოცი არ გაუნაწილა სამსონს.

თითებგამოვარდნილი ფეხსაცმელები იმ ტყეში დატოვა. ფეხშიშველი დაბრუნდა შინ...“

როგორ სწამდა ლმერთი, როგორ სჯეროდა.

არასოდეს გახსენებია ეს ამბავი სამსონს. არასოდეს. ახლა რატომ ახსენდება? იქნებ სიკვდილის პირასა და ლმერთი ახსენებს თავის თავს?

— წყალსაც სვამს ხოლმე? — ჰკითხა ბათუმ ლოდას.

— სვამს. აი, ვაჭმევ და მერე დავალევივინებ! ამას სუფთა ჰაერი უნდა და მსუბუქი საკვები. როდის გაილვიძებს, არაფერ იცის!

— ვითომ გაილვიძებს?

„...როგორ უხდებოდა ის შავი კოსტუმი.. რა კარგი ხმა ჰქონდა. მე ვერ მიცნობს, მთელი დღე რომ მიყუროს, ვერ მიცნობს, ანდა, როგორ უნდა მიცნოს? სინამდვილეში ხომ არც ვუნახივარ? აქეთ ცხოვრობს ალბათ, იქნებ... იქნებ დავეთანხმო ბიძია ბენოს?... ის კაცი მიყურებს. ფეხებზე მიყურებს...“

ბათუ სწრაფად მოსცილდა ფანჯარას და გენადის და ბენედიქტეს გახედა. „დღეს მოიტანს ფულს იაკობ თართიშვილი!“ გაახსენდა უეცრად და ხმამალა იკითხა:

— რომელი საათია?

ბრინჯის თეთრი წვეწით საცხე ვერცხლის დაღეული კოვზი ავადმყოფს ტურნებზე შეახო ლიდამ. ჯერ ფრთხილად, მერე ოდნავ დააწვა კოვზს. მოხუცმა ჰუბუშყოვარა ბალღივით ააცმაცუნა უსისხლო ბაგეები, მაგრამ არ გაუხსნია.

„აჰა, მოვიდა! მოვიდა ის ქალო... ის ხელებია, ნაცნობი ხელები!“

ყველაფერი გაახსენდა სამსონს:

„ფატი მოკვდა! ჩემი ფატი!“

შეაგონებოთ მანძილს



გადასული

— შეხედე! — თქვა ჯაბამ და ფურცლებზეაყვითლებული საკლასო ეურნალი გურამისკენ მიატრიალა, — შიშინაშვილი არჩილი მთელი კვირა არ დადიოდა სკოლაში, „არ. არ. არ.“ ხედავ? — ჯაბამ ეურნალის ფურცელი გადაშალა, — მეორე კვირაც გაუცდენია — „არ. არ. არ.“ მაგრამ ახლა აქ დახედე! სიაში აღარ არის, ამოუშლიათ.

— ჯარში გაიწვევდნენ, — ივარაუდა გურამმა.

— რატომ სხვებიც არ გაიწვიეს?

— ალბათ დანარჩენებზე უფროსი იყო.

— ჯარში არ გაიწვევდნენ, დამთავრებული არ ჰქონდა ათწლედი.

— მაშინ ძალიან გვიჭირდა, შეიძლება წაუყვანათ.

— არა, ალბათ, ავად გახდა...

გურამი მაგიდაზე წაწვა, ასანთის კოლოფი დაითრია და ჩამქრალ სიგარეტს მოუკიდა.

— ვთქვათ, ავად გახდა, მაგაზე კინორგორ გადავიდო?

— ავადმყოფობაზე კი არ გადაიღებ, კინოს გადაიღებ ამ კლასზე და ამ ეურნალზე — როგორ წაუაწყდით შემთხვევით სხვენზე, როგორ დავეძებდით მთელს საქართველოში ამ ბიჭებს და გოგოებს, უკვე დაზრდილებს... როგორ ვიპოვნეთ და რა გვიამბეს...

— მხატვრული ფილმი არ გამოვა! — ცივად თქვა გურამმა.

— ჩვენ ზომ ჯერ არაფერი ვიცით. მასალა ხელთ არა გვაქვს. აი, ნახე, რას მივაგენი ამ დილით, — ჯაბამ ეურნალი გადაფურცლა, მერე წინ დაუდო გურამს და საჩვენებელი თითი ჩამოაყოლა, — წაიკითხე! 1942 წლის 26 ოქტომბერს გერმანულ ენაში თორმეტი ორიანი დაუწერია მასწავლებელს! არცერთი დამაკმაყოფილებელი, არცერთი კარგი და ფრიადი.

გურამმა დიდი, მრგვალი თვალები მიაპყრო მეგობარს და მხრები აიჩეჩა,

ვითომდა, რა ნახე საკვირველი მაგ ბავშვით.

— ჰო, ნესმის, ხდება ზოლმე, — დაუყვავა ჯაბამ, — მაგრამ რატომ მაინც დამაინც გერმანულ ენაში?

გურამმა ჩუმად გაიციინა, მერე კიდევ კიდევ, თითქოს არ ეცინებოდა და თავს იღიზიანებდა.

— შენ გინდა თქვა, რომ ბავშვებმა შური იძიეს გერმანულ ფაშისტებზე? — ახლა ხმამაღლა იცინოდა, — კი ეშმაკები ყოფილან, ვითომ შური იძიეს...

— თუ გინდა დავნაძლევედეთ, გურამ. რომ ორმოცდაორი წლის ოქტომბრის ბოლოს ფრონტზე რაღაც საშინელება მოხდა, ბავშვებმა წაიკითხეს და...

— ორმოცდაორი წლის ოქტომბრის დასაწყისშიც ნახდა ფრონტზე რაღაც საშინელება, თუ გინდა დავნაძლევედეთ!

— კარგი, იცინე... მაგრამ მე გადავსინჯავ ძველ გაზეთებს... ბავშვებმა რაღაც წაიკითხეს, პირველად თავის სიციოხლეში რაღაც საშინელი ამბავი გაიგეს; ან ვინმე აწამეს გერმანელებმა, ან სოფელი გადაბუგეს...

— ეგ ყოველდღე ხდებოდა, ჯაბამ!

— ყოველდღე ხდებოდა, მაგრამ ბავშვებმა მაშინ წაიკითხეს-მეთქი, როგორ არ გესმის! აი, ამ ბავშვებმა, ამ დღეებში, — ეურნალზე თითი გაუსვა ჯაბამ.

— მერე? — მშვიდად ჰკითხა გურამმა.

— სულაც არ გაინტერესებს ეგ „მერე“, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, ბავშვებმა რაღაც შემადარწმუნებელი ამბავი გაიგეს მაშინ.

— რაღა ბავშვებია, მეათე კლასში თუ იყვნენ!

— კარგი. მეათეკლასელებმა გაიგეს რაღაც იმ დღეებში და შური იძიეს, როგორც შენ თქვი... ბავშვური პროტესტი გამოუცხადეს ფაშისტებს!

— აი, ეგ საინტერესოა, — ნიშნის-ნოგებით თქვა გურამმა, — ეგ მართლა საინტერესოა, მაგრამ ვაი, თუ გაკვეთილების სწავლა არ უნდოდით, მოიცა,



ნუ იბღვირები... შეიძლება მართლა ფა-
შისტების მხეცობის ამბავი გაიგეს რა-
მე, გეთანხმები, მაგრამ სპექულანტურ-
რად გამოიყენეს, ვითომ პროტესტის
ნიშნად გაეცეთილი არ ისწავლეს, მას-
წავლებელს გულს აფრევილებთ, მიზეზს
რომ ვეტყვითო, მასწავლებელმა კი, --
გურამმა კვლავ ჩუმად გაიცინა, -- მას-
წავლებელმა ცრემლების მაგივრად,
ორიანები დააბნია ჟურნალში!

ჯაბა ხმას არ იღებდა.

— მაგრამ შენი ვარიანტი საინტე-
რესოა, თუ მართლა ეგრე მოხდა.

ამ უეცარმა გადმოზიხრებამ დააფ-
რთხო ჯაბა. გურამი ასე იოლად არ იც-
ვლიდა თავის აზრს.

„ალბათ, სისულელეს ვამბობ, არა-
ფერი მესმის კინოსი და პირდაპირ არ
მეუბნება, მიბრალებს. დასაშვებდებ-
ლად მითხრა, საინტერესოა“.

— კინოსთვის შეიძლება მართლა არ
ვარგოდეს. რა ვიცი, მე მომეჩვენა,
რომ...

გურამი წამოდგა, გაიზმორა.

— არ უნდა მოგეჩვენოს, — თქვა დ-
დაამთქნარა. მისმა სხეულმა, ხმამ, გა-
მოხედვამ, ამ თემაზე ლაპარაკი დამთავ-
რებულად გამოაცხადა.

ჯაბას ყველაფრის ხალისი დაეკარგა,
თითქოს ნაკვერჩხალივით თანდათან
ჩაქრა და ზემოდან წამოიფერფლა.

— როგორ გაჩნდა ეგ ჟურნალი ამ
სხვეწზე? — მოულოდნელად ჰკითხა
გურამმა. მას პიანინოს სახურავი აეხა-
და და კლავიშებს დასცქეროდა, — იმ
დროს ხომ თქვენ ცხოვრობდით აქ!

— ზაფხულობით ვაჭირავებდით
თურმე ოთახს, არც მე ვიცოდი, დედას
ეკითხე და მითხრა, — ჯაბას ძალიან უნ-
დოდა, გურამს აღარ ესვენებინა ჟურნა-
ლი და ენაზე მომდგარი პირველივე შე-
კითხვით მიმართა, — ნოდარი ხომ არ
გინახავს?

— გაგოშიძე? — სწრაფად შემოტ-
რიალდა გურამი, — ენაზე. რაღაც გა-
მოცლილა ნოდარი, — ჰერს ხელისგუ-
ლი მიატკებნა, მერე ზედ დაიხედა,
მტვერი თუ აპყვიათ.

— რაზე ატყობ?

— რა ვიცი, ცოტა გამოსტრეკილია.

— მოთხრობები კი კარგი აქვს... ზო-
გიერთი მაინც.

„ზოგიერთი“... უკან დასახევე გზას
ვიტოვებ“.

— ერთი სტრიქონიც არა აქვს კარ-
გი! — მაღლა აპრეხილი საჩვენებელი
თითი გააქნ-გამოაქნია გურამმა, —
ტყემალზე ზის, არ ვიცი, შენ რა უნახე
ისეთი.

— ერთი სტრიქონი არა, მაგრამ...

„რატომ ვერ ვიცავ ბოლომდე? თვი-
თონ არა ვარ დარწმუნებული, თუ მისი
გინება მსიაშოვნებს?“

— პირველ მოთხრობებს არაუშავდა.
მოსკოვში გამომიგზავნა წიგნი, — თქვა
გურამმა, — ახლა ფულის შოვნაზე გა-
დასულა („ფულის შოვნაზე“), ბექდავს
უზარმაზარ, ყინულივით ცივ მოთხრო-
ბებს („ბოლო მოთხრობა მშვენიერი
იყო, ალბათ, გურამს არ წაუკითხავს“),
თვითონაც ყინულივითაა; თუ გაათბობ,
სულში ჩაგადნება, საკუთარი სითბო კი
ღმერთს არ მიუცია.

— ჰო, ცოტა გულცივია, — ისე გაუ-
ბედავად თქვა ჯაბამ, თითქოს საკუთარ
თავს დაუმალა ეს სიტყვები.

— არც თევზია და არც ზორცი („თარ-
გმნის რუსულიდან“), მხოლოდ ესაა,
რომ გამორჩენაზე თვალები აქვს და-
ცეკებული. იქნებ სცენარი დამიწერო-
მეთქი, ვთხოვე, რამდენს მომცემენო,
მაშინვე მომახალა!

— არ იცის და იმიტომ გკითხა, მეც
გკითხავდი.

— შენ არაფერი არ გკითხავს; შენც
ხომ გთხოვე! დაუკვირდი ხოლმე, რასაც
ამბობ.

„დაუკვირდი, რასაც ამბობ“.

ასეთი ჩვეულება ჰქონდა გურამს, პა-
ტარა, სულ პატარა შეცდომას ვაზვია-
დებულად დაასურათხატოვნებდა. ისე
განცვიფრდებოდა, თითქოს, ეს-ეს არის,
პირველად თავის სიცოცხლეში აღამი-
ანისაგან გაიგონა რაღაც აბსურდული,
გონიერებიდან ძალიან შორს მდგარი
აზრი, თუ უაზრობა. ამ დროს ისეთი

შემტვეი იყო მისი განმომეტყველება, თან ისეთი ირონიული და გამანადგურებელი, რომ ჯაბას ერთბაშად ანაირალებდა, აკარგვინებდა შეპასუხების სურვილს. და ასეთი უსუსურობა ერთბაშად ააფეთქებდა ხოლმე ჯაბას, უკმეხად უპასუხებდა მეგობარს და მერე დიდხანს ნანობდა. ანდა, თუ თავს შეაკავებდა და სიბრაზეს მიაყუჩებდა, — დაეთანხმებოდა გურამის აზრს. რადგან იცოდა, ყოველ ახალ საწინააღმდეგო საბუთს გურამი კიდევ უფრო მეტი სიძაფრით გააბათილებდა, კიდევ უფრო გესლიანი ირონიით აღიჭურვებოდა და ბოლოს, სულერთია, ჯაბა მიინც უნდა დათანხმებოდა ყველაფერში.

— ჰო, ფული უყვარს ცოტა, — თქვა ჯაბამ, — არ მახსოვს, სადმე დაეხარჯოს. — იმ წუთში მართლა არ ახსოვდა ეს, ამიტომ სინდისის წინაშე „არ ტყუოდა“.

— რა თქმა უნდა! — ირონია გაქრა გურამის ხმასა და თვალბეჭეში, — ნაპდვილი კულაკია, რა უნდა მაგას ლიტერატურაში! — ხელსახოცი ამოიღო. ოფლით შენამული შუბლი და კისერი მოიწმინდა, — გავიდეთ გარეთ, თორემ დავიწვი.

— ჩემს ოთახს ნუ აბრალებ; შენ სულ ოფლად იღვრები ხოლმე, როცა ვინმეს აგინებ! — თქვა ჯაბამ და მიხვდა, რომ ძალისძალათი დამცხრალი სიბრაზის ერთი ტალღა მოუთოვკავი დარჩენოდა, მაგრამ, ეტყობა, ისე სუსტი იყო, რომ გურამამდე ვეღარ მიაღწია.

ჯაბა წამოდგა, ძველი საკლასო ეურნალი საწერი მაგიდის უჯრაში შეინახა. „მეშინია... მეშინია, ვაი, თუ ჩემი აზრი სხვისას არ დაემთხვეს, საერთო აზრისგან გამოცალკევდეს. დედის მუცლიდან დამყვა ეს? ეპასუხოვ ხოლმე ორკოფულად, უკან დასახვე გზას ვიტოვებ... და როცა მეორე დღეს უკვე ვიცი უმრავლესობის აზრი, საერთო შეხედულება, გაგიხარია, გაცყვირი ხმაზალა, აღარაფრის აღარ მეშინია“.

— მოდიხარ? — დერეფნიდან დაიყვირა გურამმა.

— ახლავე!

— მგონი, დედაშენი მოდის! — დაიძახა გურამმა.

— ო, გურამ, გურამ, შენ ხარ, ბიჭო?

— დეიდა ნინო, როგორ მომენატრეთ, დეიდა ნინო!

მერე ჯაბამ გაიგონა, როგორ ჩაკოცნა დედამ გურამი.

— რა გჩქარება, შემოდი შინ, არ გრცხვენია, ამდენი ხანია ჩამოსული ხარ და არ მნახე. შემოდი, სინათლეზე დაგინახო!

ოთახში შემოვიდნენ.

— დაგცხა, ალბათ, და ვეღარ გაძელო. გადაეჩვიე ჩვენს ოთახს, — თქვა დედამ და ჯაბას სანოვავით სავსე ჩანთა გაუწოდა, — გაიტანე სხვენში!

— დეიდა ნინო, მე უკვე ვნანობდი, ამ სხვენს ვეღარ ვნახავ-მეთქი, გადასული მეგონეთ.

— ეჰ, ასეთი უქნარა შეილი რომ გეყოლება...

— მოდიხარ? — თქვა ჯაბამ და გაზეთში გახვეული მოზრდილი შეგვრა ილღიაში ამოიღო.

— მოიცა, რამდენი ხანია დეიდა ნინო არ მინახავს!

— წადით, შეილო, წადით, აწი შემოვილი ალბათ.

გარეთ მზიანი ქუჩა შეეგება მეგობრებს. გურამმა თითი გაიშვირა მეზობელ ეზოში წამომართულ ცაცხვის ხისაკენ.

— გახსოვს, დაქერობანას რომ ვთაბაშობდით იმ ხეზე?

— რა დიდი იყო მაშინ... — თქვა ჯაბამ.

— ის თუ გახსოვს, — სიცილი დაიწყო გურამმა, — სურენას პატარა ძმამ ეანგიანი ჩანგალი რომ ჩაგარტყა თავში?

— საწყალი სურენა, ფრონტზე დაიღუპა.

— ვიცი.

— შენ ეს თუ გახსოვს, — ჯაბამ პე-

რანგის დიდი შეიხსნა და ზითებით მაისური ჩაქაჩა ქვემოთ, გაშიშვლებული მკერდი გურამისკენ შეაბრუნა, ნარცხენა ძუძუს ქვეშ თეთრი, სიმიინდის მარცვლის ოდენა ნაიარევი იყო.

— ეს ჩემს ოსტატურ ნაჩხვლელს მაგონებს, ბატონო დარტანიანი!

— მე კი, ბატონო როშფორო, ეს თქვენს ცულუტობას მაგონებს, — მე წვერწაუთლელი ხის ხმლით ვიბრძოდი. პირობის თანახმად. თქვენ კი ჩემად წაგეთალათ წვერი და მატაკეთ კიდევ. თქვენი ბრწყინვალე მეხსიერების იმედი მაქვს, რომ ეს არ დაგვიწყებიათ!

— ახლა შენ სისულელეს ამბობ, — გაბრაზდა გურამი და „თამაში“ ჩაშალა, — ჩემად რატომ წავთლიდი, მე სულ წვერიანი ხმალი მიყვარდა.

ჯაბა არ აპყვა.

— სისხლი არც გამოსულა, — თქვა მან.

— აკოტა გამოგივიდა.

— დედაშენმა მირჩია, გახსოვს? თითო ნერწყვით დაისველე და ზედ წაისვიო, — გაიხსენა ჯაბამ.

— ენის ქვეშიდანო...

— ჰო, ენის ქვეშ, ალბათ, სუფთაა ნერწყვი. შენ თუ გახსოვს, იმ სვეტებზე რომ ქოთნები იდგა? — ჯაბამ თავის ეზოსკენ მიახტდა გურამი, რკინის გისოსებიან ლობეში ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილით დაშორებული ქვის ცილინდრული სვეტები იდგა, — ქოთნებში ყვავილები ხარობდა.

— როგორ არ მახსოვს!

— ერთხელ ქუჩის გადაღმა ვილაც ეაცი დაჯდა და იმ ქოთნების ხატვა დაიწყო. ჩვენ ნელნელა მივუახლოვდით და გვერდზე მივეჯექით, სულ პატარები ვიყავით. გახსოვს? გამოგვკითხა სახელები, გვარები, მერე ალბომიდან ფურცლები ამოხია, ფანქრებიც დაგვირიგა და გვეთხრა, ვინც კარგად გადახატავს იმ სვეტებს, ფერად ფანქრებს ვაჩუქებო. გახსოვს? ალბათ, ხელს ვუშლიდით და ჩვენი მიყუჩება უნდოდა.

— არ მახსოვს, — თქვა გურამმა, — ალბათ სხვა იყო ვინმე.

— არა, მე და შენ ვიყავით!

— მე არ მახსოვს, იქნებ გადასულყო ვიყავი მაშინ.

— რას ამბობ, უკვე მერვე კლასში ვსწავლობდით, როცა აქედან გადახვედი... დავხატეთ თუ არა რამე და დავგვასაჩუქრა თუ არა ფანქრებით, არც მე მახსოვს, მაგრამ შენ რომ იყავი, ეს დამამახსოვრდა.

— ზღაპრული მეხსიერება გქონია, — გურამი რატომღაც გაღიზიანდა, — შენ ხანდახან რალაციები გესიზმრება და მერე ნამდვილი გგონია.

— შეიძლება, — თქვა ჯაბამ, — ასე მირჩევნია, ვიდრე სინამდვილეში ვნახო რამე და მერე სიზმარი მეგონოს!

გურამმა უიმედოდ ჩაიქნია ხელი. იგულისხმებოდა, რომ ჯაბას ძალიან ჩლუნგი ენამახვილობა გამოთუვიდა.

ერთხანს ჩემად მიამბიჯებდნენ. მერე გურამმა თქვა:

— წამო, ჩემთან იბანავე, არავინ იქნება შინ.

— მე საბანაოდ არ მივდივარ!

— აბა, ეს რა გაქვს შეზვეული?

— ეს ის კოსტუმია, რომ გეუბნებოდი. გუშინწინ ჩავუტანე და არ დამხვდა მოხუცი, ავად არისო. არც არავინ დაიტოვა თეატრში. ახლა მიმაქვს.

გურამი შეჩერდა.

— შენ რალაც უნდა გეამბნა, მასკარადზე საინტერესო ამბავი გადამხდლო. ვილაც უცნობი გოგოო... ამას წინათ შეუბნებოდი.

— ჰოო, არაფერი ისეთი.

— როგორ — არაფერი?! — გურამი მკვეთრად შემოტრიალდა ჯაბასკენ და საყვედურის თუ განცვიფრების ნიშნად ხელები გაშალა. — ახლა მაინცდამაინც უნდა გელრიგო, თუ ძმა ხარ. მომიყევი, რა მოხდა, ძალიან მაინტერესებს, და ასე შემდეგ?

— რატომ უნდა მეღრიგო, გეტყვი!

„ვუამბო? ის გოგო არავინ გაანდობდა იმლამინდელ ამბავს... ახლა რომ ეს იცოდეს, ალბათ მთხოვდა, არაფერი მეთქვა გურამისათვის, ვუამბო?“

უამბო.

— მერე აღარ შემხვედრია! — თქვა ბოლოს.

გურამი ფილაქანს დასცქეროდა და მიიპიჯებდა, თითქოს ისევ უსწენდა ჯაბას.

— დაუჯერებელია! — გამოიტანა განაჩენი და თვალბუთში შეხედა მეგობარს.

— რას ამბობ, რა არის დაუჯერებელი, ყველაფერი ისე...

— ზღაპარია, თუ ძალიან გინდა, როგორც ზღაპარს ისე მივიღებ, თუ არა და... — თავი გაიქნია; არ დაევიჯერებო.

— როგორც გეგნებო, — ჯაბა უკმეხ პასუხს აპირებდა, მაგრამ უკანასკნელ წამს ენამ სხვა სიტყვები გამოძებნა, — ჩემთვის სულერთია.

— შეიძლება ყველაფერი ზუსტად ეგრე მოხდა, მაგრამ შენი დასკვნებია ზღაპრული; ქალმა იტიროს იმის გამო, რომ ულამაზო ვარო, დაუჯერებელია!

— ის გოგო ყოველ საღამოს არ ტირის მაგის გამო. იმ საღამოს იტირა...

— მართლა მახინჯ ქალს რომ უთხრა, თქვენისთანა ანგელოსს პირველად ვხვდები ჩემს სიცოცხლეშიო, წუთითაც არ დაეკვდება. ისე კვლავობენ, ისე იპრანჭებიან...

— მას რატომ იტირებდა?

— რა ვიცი, ის კი ვიცი, რომ იმდენი ცრემლი, როგორც შენ ამიწერე, ტყუილ-უბრალოდ არ ცვივა.

— გოგო ისე თამამად იმიტომ მოვიდა ჩემთან... თითქმის სიყვარული ამიხსნა... იმიტომ დამელაპარაკა, რომ გულისხმობდა — მის ვინაობას მე ვერასოდეს გავიგებდი, მაგრამ პირბადე ავხადე და თავზარი დავცა, რომ ისეთმა ულამაზომ გახედა სიყვარულზე ლაპარაკი.

— თავზარი ლამაზსაც დაეცემოდა.

— ლამაზი რომ ყოფილიყო, ეს ამბავი, საერთოდ, არ მოხდებოდა, მეც ველარაფერს გვიამბობდი მაშინ. ამას კი შერცხვა, ალბათ მიწაში ჩაძრომას ნატრობდა იმ წუთში, დაცინვას ელოდა ჩემგან, წარმოიდგინა, რომ ამ ამბავს მთელ ქალაქს მოვლდებოდა.

— ჰგავდა შეყვარებულს? თუ მოგეჩვენა?

— არ ვიცი. მაგრამ ვგრძნობ, რომ ანლა ვებლვარ.

— მანდ სულ სხვა რამე მოხდა. მაგრამ ვერ ვხვდები რა მოხდა. როცა მიამბობდნი, სულ ველოდებოდი, აი, ახლა, აი, ახლა აიხდის ის გოგო პირბადეს და შენ წამოიძახებ: „ო, ეს შენა ხარ, ლია?!“ ანდა, „ეს შენ ხარ, მზია?!“ ანდა. „ეთერი“ ანდა, რა ვიცი ვინ. მაგრამ ასე არ მოხდა. ან რაღაც დამიმალე, ან იმ საღამოს შენ თვითონ ვერ შენიშნე რაღაც მნიშვნელოვანი. ულამაზობა არაფერი შუაშია, ქალუბრი მაგისტვის არ ტირიან... შენ ფეხით აპირებ?

— ჰო, დავყვები ასე! — ზელი დაღმართისკენ გაიქნია ჯაბამ.

— მე ერთი მისამართი ნაქვს მოსაძებნი, წერილი გამომატანეს მოსკოვიდან და აქამდე არ მიმიტანია. აბა, წავედი. დარეკე!

ჯაბა ახალღმართულ ხის ღობეს გაპყვა. ღობეს ხისავე გზა გასდევდა. გადაღმა მეტროპოლიტენის სადგურს აშენებდნენ. ზანგანოშეგებით იქაურობას აყრუებდა მიწის სიღრმიდან ამოღებული და უზარმაზარ ლითონის ბუნკერში ჩაცლილი სველი ქვების ხათქა-სუთქი.

უეცრად ძახილი მოესმა. შემოტრიალდა, გურამი მოდიოდა შისკენ, თან მალე მალე ხელს წაღო სწევდა, დამიცადებო. ეტყობა, ვეღარ ითმენდა სათქმელს და შორიდანვე დაიწყო:

— იცი, რა ვიფიქრე? შენ იმ გოგოს სახე კარგად დაინახე?

— აბა, საიდან ვიცი, რომ ულამაზო იყო!

— ტროდა. ზოგიერთ ანგელოსს ტირილი ძალიან აუშნობს, თანაც ნახევრადბნელ შესასვლელში ყოფილხართ!

— მერე რა მოხდა? — ჯაბა რატომღაც აღელდა.

— ის გოგო შენ გიცნობს!

— ეგ თვითონვე მითხრა!

— და როცა პირბადე გადახადე, ეგონა, რომ შენც იცნობდი!

— მეც ვიცნობდი? სისულელეა!

— შეიძლება, — გურამი შებრუნდა და სწრაფად გაუდგა თავის გზას, თითქოს დაკარგული დროისა და მანძილის ანაზღაურება უნდოდა.

„სულ ისევ ისეთია... ოღონდ დრომ ბატარა კოლოფი ჩასდო დიდ კოლოფში და თავი დაახურა. გაივლის კიდევ რამდენიმე წელი და იმ დიდ კოლოფს უფრო დიდ კოლოფში ჩასდებს დრო.“

მერე ინანა, რომ ასე იფიქრა თავის ბავშვობის მეგობარზე.

ამ ბოლო დღეებში გამოიცვალა ჯაბა. რაღაც აწუხებდა და ვერ მიმხვდარიყო მიზეზს. იქნებ გურამის ჩამოსვლამ გამოცვალა ასე. ამ ხუთი წლის მანძილზე რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ ის შეხვედრები და საუბრები წყლის წვეთებივით ჰგავდნენ მოწაფობისდროინდელ შეხვედრებსა და საუბრებს; ისევ ბავშვობის ხანის ინტერესები და გულისტკივილი შერჩენოდათ, ისევ ის ახარებდათ და აწუხებდათ. მაგრამ ახლა ჯაბამ შეატყო, რომ გურამი თავის საქმეზე ისე უღარდელად და სასახეთათშორისოდ აღარ ლაპარაკობდა. როცა კინოზე და ფილმის გადაღებაზე დაიწყებდა განსჯას, ჯაბა გრძნობდა, რომ გურამი განიცდიდა ყოველ სიტყვას, ყოველ წარმოთქმულ აზრს, ხვდებოდა, რომ მეგობარს სისხლით ხორცამდე შეყვარებოდა თავისი საქმე. ჯაბასთვის კი სამსახური ისევ გაკვეთილების სწავლასავით იყო, ოღონდ საშინაო დავალების მაგივრად ნარკვევებს წერდა და ნიშნების მაგივრად ხელფასი მოჰქონდა დედასთან.

იქნებ რედაქტორის იმდღევანდელმა შეხურებამ წაუხდინა გუნება, რედაქტორის საყვედურებს გურამთან შეხვედრა დაემთხვა, გურამიც თითქოს საყვედურივით გამოეცხადა ქუჩაში.

მესამე საყვედურიც მიიღო... იმ გოგოს საყვედური! ყველაზე ძნელად ასატანი.

„უნდა ვიპოვო სადმე... მაინც საიდან მოვლანდა გურამს, რომ მეც უნდა მივსალმებოდი?“

არც ახლა დახვდა ძია ნიკალა თეატრში. „ბიულეტენზე არის თუ? განუთმარტა მორიგე ქალმა, თანამდებობა შესასვლელი კარის უკან რომ იჯდა, მაგიდის ნახევრადგამოღებულ უჯრაში საუბზე გაეშალა და პირგაუღებლად დანახად ამოძრავებდა ყბებს. მხოლოდ ტელეფონის ზარმა დაავიწყა ეს სინახე და სწრაფად გადაყლაბა ლუკმა.“

— დიახ, გისმენთ? — ყურმილი ორად-ორი სუფთა თითით ეცირა, — დაურეკეთ ადმინისტრატორს...

როცა ლაპარაკს მორჩა, ჯაბას მოუბრუნდა; ვერ დავიტოვებ, გენაცვალე, რომ დაიკარგოს, რა ვქნა მერე, მე დამეწერებათ, მორჩება ნიკალა და იმას მიუტანეთო.

— მაშინ დავრეკავ თქვენთან ორისამი დღის შემდეგ!

კი, გენაცვალე, დარეკეთ და მე ვიქნეში, თუ სხვა, გიტყვიო... ტყუილად რომ არ მოხვიდეთო.

თეატრიდან უნივერსიტეტში შეიარა, მერკუციოს დაშნას გაზეთი გაეგლიჯა და ტანისამოსის სექტორში გამოიდგელს ქაღალდი სთხოვა. სქელი, ნაცრისფერი ქაღალდი დაუდო დახლზე უნივერსიტეტის ემბლემათ ფორმამი გამოწყობილმა ქალმა. ჯაბამ გაშალა ხავერდის კოსტუმში და ხელახლა დაეცა.

— ბოდიში, საღ იშოვნეთ?

ჯაბამ მოიხედა, მსუქანლაბიანი ქალი დასდგომოდა თავს. არაფერი არ უბასუხა, ოღონდ განგებ ისევ გაშალა რაინდის ჯუბა, განგებ გამოაჩინა მისი ვიწროტოტებიანი რეიტუზი. ეგონა, დააფრთხობდა ქალს, მაგრამ შეცდა.

— რა მშვენიერია! — ნერწყვი გადაყლაბა ქალმა, — რა მიეცით? ხელზე იყიდეთ? სად იყიდეთ?

ჯაბამ მიიხედ-მოიხედა და საიდუმლოდ ჩასჩურჩულა:

— ნიკალასთან!

— ნიკალასთან? რას ამბობთ! — ვითომ მიხვდა ქალი, სწრაფად შეტრიალდა. მისი ლაბაბის ადგილზე კეთხალა შეასწრო თვალი ჯაბამ.

უნივერსიტეტი ხალხით იყო სავეს. საერ-

თო ხმაურსა და გუგუნს რადიოს ხმა ახაევებდა და აერთფეროვანებდა. სადღაც, ქალაქში, ნიეტების ლატარეის გათამაშება ტარდებოდა და რეპორტაჟინ დიქტორი საზეიმოდ გადმოსცემდა ბედნიერი ბილეთების ნომრებს, იმ ბედნიერ ბილეთთა პატრონების მავიერად განიცდიდა და იშფოთებდა ალუშფოთებელ სულს.

სალაროსთან კი გრძელი რიგი გაჩენილიყო. ყაყანებდნენ რიგში მდგომნი, მოლარეს ლანძღავდნენ, ზოლარე ქალი არავის არ აქცევდა ყურადღებას, სწრაფად უკაქუნებდა თითებს კლავიშებზე, მერე სალარო-ავტომატის სახელურს ატრიალებდა და გაისტუმბოდა, რაღაცას უჯდებდა ყურს. ჯაბამ თვალი მოპკრა სალაროდან ჩამოკონწიალებულსა და ბურბუშელასავით დახვეულ ჩეკს; ზედ იმ ბედნიერი ბილეთების ნომრები იყო ჩამომწერივებული, დიდი მოგებები რომ ზედთ წილად ნიეტების გათამაშების ლატარეაში, ალბათ შინ წასაღებად უნდოდა მოლარეს. რადიოდან კვლავ ისმოდა ახალი და ახალი ნომრების ძახილი. და ჩეკიც იმ რიგვით თანდათან გრძელდებოდა.

სალამოს შვიდი საათი იყო. ქალაქის თავზე ღრუბლები წითლად შეედება მზის სხივებს. ჯაბას არაფერი არ ეგულებოდა ამაზე ლამაზი ქვეყნად — ჩამავალი მზის სხივებს გამოეტოვებინა უზარმაზარი ცარიელი სივრცე ცაზე, არსად არ ამქლავებდა თავის თავს, და უეცრად, თეთრ ღრუბელთან შეხლისას, წითლად ფეთქდებოდა, იწვოდა მხურვალე კოცინისაგან, თითქოს იწყებდა უსიტყვო სიმღერას, — რომ თეთრმა ღრუბელმა ერთხელ კიდევ დაარწმუნა თავის არსებობაში, ის რომ არ შეხვედროდა გზაზე, მზის სხივი ვერასოდეს იგრძნობდა საკუთარ სილამაზეს, უქმად ივლიდა უსიცოცხლო და უსასრულო სამყაროში. აქ კი დედამიწამ შეაჩერა, დედამიწის თეთრმა ამოძახილმა, და კეკლუცობდა ღრუბელი, ინახებოდა, ვენებიანად იზორებოდა, თითქოს გაურ-

ბოდა და არც გაურბოდა მზის სხივს, თითქოს რცხვენოდა ამ დანდებულ სიწითლისა და უხაროდა კიდევ.

ხვალ, ცის იმავე კუთხეში, იმავე სიმაღლეზე, სხვა ღრუბელი გაჩნდება. სულ სხვა სხივის სინათლეში გაეხვევა, მაგრამ ახლა ამ ღრუბელზე ლამაზი არაფერია ქვეყნად.

როდესაც ავტობუსმა ვერის ხიდზე გადაიარა, ჯაბამ სარკელიდან მოპკრა თვალი მდინარეში ჩაწოლილ წითელ ცას, ალბათ, ის ღრუბელი იყო.

მთავრობის სასახლესთან ჩამოვიდა, პროსპექტი გადასჭრა და მარცხნივ გაუხვია. სამხატვრო სალონში გამოფენა იყო, ოქტომბრის რევოლუციის 37 წლისთავის აღსანიშნავად გახსნილი. რედაქტორმა თხოვა ამ დილით, შეეველო და სურათები შეერჩია ქურნალის ყდისათვის. ჯაბა ფერად ფოტოებს არ იღებდა, სხვისთვის უნდა დაევალებინათ გადაღება.

სწრაფად მიაბიჯებდა, ნაცრისფერ ქალღმერთში გახვეულ მერკუციოს კოსტუმს ხელიდან ხელში ინაცვლებდა. უნდოდა შინ ადრე მისულიყო და სამუშაოს ჩასჯდომოდა; ხვალისათვის პირადი გეგმა უნდა წარედგინა რედაქტორისათვის, რა თემებზე დასწერდა ნარკვევებს, სად წავიდოდა მივლინებაში. ბევრი უნდა მოეფიქრა, რომ დაწუნებისა და გაცხრილების შემდეგ ორი-სამი მაინც დაეტოვებინა რედაქტორს.

უეცრად თავი ასწია და შეკრთა. ფეხები აებლანდა. კომუნარების ბაღის შესასვლელთან ბიჭები იღგნენ და გამომწვევად იყურებოდნენ, ეტყობა, ადრევე შეემჩნიათ ჯაბა და ერთბაშად გალურსულყვენენ მისი მოახლოების ნოლოდინში. მათ შორის იღგა ის ქურდი, ამ ეჭვისი თვის წინათ ჯაბამ სურათი რომ გადაუღო მილიციის სამმართველოში. ის ფოტო „განთიადში“ დაიბეჭდა სამმართველოს საგამომიებლო განყოფილების უფროსის ინტერვიუსთან ერთად.

„მიცნო! — ჯაბას მუხლები აუკანკალდა. — ასე მალე გამოუშვეს?! თუ საპ-

კერნალოდ გამოუშვეს? — გამოძიებლის მაგიდაზე დაყრილი მორთვის ანბულები დაუდგა თვალწინ.

კინამა შებრუნდა, ვითომ ტროლეიბუსზე დაჯდომა გადაწყვიტა, ვითომ ვიღაც ნაცნობი დაინახა. მაგრამ შერცხვა, საკუთარ თავს ვერ შეხედა ასე აშკარა ლაჩრობა, უფრო კი იმ ბიჭების შერცხვა — ერჩივნა მოეკლათ, ვიდრე სინხბალე შეემჩნიათ მისი.

და გზა განაგრძო. თავიც კი ასწია თამამად და მათკენ გაიხედა. შეგნებულად, ძალდატანებით, რომ შიშის წუთები ერთბაშად გადაეტანა და უკან მოეტრევიინა, მიხვდა, რომ ესეც პატარა სილაჩრე იყო.

— ჩვენი ძმა... ერთი წუთით!

მოჯადოებულებით შებრუნდა მათკენ. არც აუჩქარებია, არც შეუწუხებია ნაბიჯი. მივიდა. გული ყელში აწევებოდა, ამოვარდნას ლამობდა.

— აფო! — თქვა ყველაზე დაბალმა, თვალეზამოზღვრულმა, საწვიმრის ჭიბებებში ეწყო ხელები. მხოლოდ თავი გადააქნია, — ეს არის?

— ეგ არის, გუშინაც ვითხარი, ეგ არის-მეთქი, — უპასუხა აფომ, რომლის ფოტო „განთიადის“ ამრილის ნოჩერში იყო დაბეჭდილი, და ბრინჯაოს ზარბაზნის ლელას, მიწაში ბოძივით დასობილს, ხელები მოხვია.

უეცრად პაერში რალაცამ გაიშხილა და ჯაბას ტყაცანი მოესმა. იმ დაბალსა და თვალეზამოზღვრულს ხელში თოფის ზუმბა ეჭირა, გრძელი, მათრახივით მოჭნილი ფოლადი.

„დამალილავებენ!“

— შევიდეთ! — თქვა დაბალმა და ხელი გაიჭნია, ზუმბამ შხუილ-შხუილით აჩეხა პაერი. ძმა-ბიჭები შებრუნდნენ და ზანტად დაიძრნენ ბალისაკენ, თითქოს დარწმუნებულები იყვნენ, ჯაბა აუცილებლად შეჰყვებოდა მათ.

„კაცად მთვლიან“.

ჯაბამ ზარბაზნებს ჩაუარა. სამხატვრო სალონის შენობაში ძველად სამხედრო მუზეუმი იყო. მუზეუმის შენობას წინ რუსთა და ქართველთა მიერ სხვიდასხვა

ომებში მონაბოვარი ზარბაზნის ლულეების მესერი ერთყა. ახლა ფრიალდადარჩენილყო. რამდენჯერ წელში მარხმულს შემოუვლია ზით გარშემო ჯაბას, რომ არაბულ, თურქულ თუ სპარსულ წარწერებში თარიღი მაინც ამოეკითხა.

რატომაც გული მოეცა, თავი ასწია და ფეხსაცმელების ტყაბა-ტყუბით დაჰყვა აგურის ნაფშვენებით მოკირწყლულ გზას.

ძმა-ბიჭები ნაძვებით შენიღბულ მერხთან შეჩერდნენ („ამათი ადგილია“). ზუმბიანი დაჯდა. დანარჩენები იდგნენ და ჯაბას ელოდებოდნენ. ჯაბამ ქალაღში გაბვეული კოსტუმი მარჯვენა ხელში გადაინაცვლა და სიგარეტის კოლოფი ამოიღო. ერთი ლერი ამოაძვრინა და უხმოდ ანიშნა მალალსა და წვეერგაუპარსავ ძმაბიჭთაგანს, მომიკიდევო. ბუნდოვნად ხედებოდა, რომ ეს იყო ქვეშეცნეული საქციელი; მუდმივად ფხიზელი თავდაცვის ინსტიტუტი შერიგების გზების მოსინჯვას ცდილობდა. უეცრად იგრძნო, რომ ნიკაპი უკანკალბდა, პირში ჩადებული სიგარეტი სამარცხვინოდ თრთოდა. სწრაფად გამოიღო, მოსრისა და გადაავდო. წვეერგაუპარსავს გაწვდენილი ანთებული სიგარეტი ხელში გაუშვედა.

— აფო, დაიწყე! — თქვა თვალეზამოზღვრულმა და ზუმბა მსუბუქად შემოირტყა კანჭზე.

„რაც უნდა მიჭნან, ხელს არ გავანძრევ... გადავრჩები!“

— აბა, რა უნდა ვუთხრა ამ არიფს, სეინკა-ჯან! — შესჩივლა აფომ ზუმბიანს, გააფურთხა და ისე ახლოს მივადდა, მუცელი მიადო ჯაბას მუცელს. ჯაბა შეაერთო შუშასავით ცივმა, ჰიბროზურმა თვალეზამა.

მოშორებით ქალაქშერეულმა ხნიერმა კაცმა ჩიაიარა.

— შერიგდით, შერიგდით, ბიჭებო! — თქვა მან ლიმილით და გზა განაგრძო.

— მამ საქმეზე გადადი! — ურჩია აფოს სეინკამ.

აფომ მოულოდნელად, კერავლად,

პირდაპირ ცხვირპირში სთხლიშა ქვესავით მაგარი მუშტი ჯაბას. პირველი, წამიერი შეგრძნება ისეთი იყო, თითქოს, ერთბაშად გაებერა თავი, სივდებოდა და აღარ შერდებოდა. იგრძნო, როგორ დაიძრა ნესტოებიდან თბილი სისხლი და ტურბზე გადმოედგარა.

აფო მიწაზე ფართხალეზდა. რამდენჯერმე წამოიწია, მაგრამ ვერ აღგა, ძალიან სწრაფი და ძლიერი იყო ჯაბას საპასუხო დარტყმა.

უეცრად ჯაბას წინ ამობლეტელმა თვალეზმა გაიელვა, პერში ტყვიასავით გაიწულია ზუმბამ და ჯაბას ბეჭზე აინთო. დარტყმას თან დაემთხვა იმ თვალეზამობლეტელის ამოხენეშა. ასე ხენეშის კაცი, როცა კუნძს აპობს ნაჯახით. მეორე მოქნევამ და ამოხენეშამ მკლავი წააწყვიტა. ჯაბამ ჩაიჩოქა, რომ მესამე დარტყმა აეცლინა.

მაგრამ მოულოდნელად რაღაც საოცრება მოხდა, ძმბიკები აღვილს მოწყდნენ, შლიგინ-შლიგინით გადათელეს ბუჩქები და გაქრნენ. ასე მოაჩვენა ჯაბას ყურთასმენამ. „მილიციელი შემოვიდა ბაღში“, გაუელვა და თვალეზი გაახილა — ირგვლივ არავინ არ იყო, არც მილიციელი, არც ქურდბაცაცები. რაღაც მაგიურ ძალას აფოც ფეხზე წამოყენებინა და გაეტაცნა. ჩამოჩუმი არ ისმოდა, მხოლოდ გამხმარი ფოთლები ტკაცუნებდა ჯაბას მუხლებქვეშ.

წინ დაიხედა და უეცრად სიცილი დაიწყო. სხეულის თავისუფლად ამოძრავებამ ტკივილი გააღვიძა. წამოიკენესა, ხელი ფრთხილად მოისვა ანთებულ ბეჭზე. კენესოდა და იცინოდა, იცინოდა და თან სიმწრის ცრემლი სდიოდა — მის წინ მერკუციოს დაშნა ლაპლაპებდა, ქარქაშიდან ნახევრად ამომძვრალი.

როდესაც აფომ გაართყა, შეკვრა ხელიდან გაუვარდა. ეს კარგად ახსოვს. მერე, საპასუხო გარტყმისას, ფეხით გადაიარა ზედ, ჩახია ქალაღი, და კოსტუმში, ალბათ, გაიხსნა და გაიშალა. მერე ჩაიჩოქა, ზუმბას ავიცდენო, ეტყობა, მაშინ ძმბიკებმაეც ძირს დაიხედეს, მიწაზე აელვარებულ დაშნას მოკრეს

თვალი და მყისვე მიხედნენ ჯაბას „ვერაგულ განზრახვას“. დანებნი, რამ თქმა უნდა, ექნებოდათ, მაგრამ ნახევარ შეტრიაან დაშნასთან, აბა, რას განდებოდნენ საწყლები.

„უთანასწორო ბრძოლა იქნებოდა“. ახლა ჩუმად იცინოდა. ეს სიხარული უფრო მშვიდობით გადაარჩინისა იყო. მლოცველივით იღგა მუხლებზე და ცდილობდა, ქალაღდის ნაფლეთებში გაეხვია მანაცი მერკუციოს აღჭურვილობა.

კარი ღია დახვდა. დედა, ალბათ, მეზობელთან იყო გასული. მაისური აიწია და სარკეს ზურგი შეუბრუნა. ლარივით სწორი, ჩალურჯებული ზოლის დანახვისას, ბეჭი თითქოს უფრო აეწვა. ოდეკალონს თავი მოხსნა და ზურგზე გადაიღვარა. მკლავზე ნიშანივით შემორტყმოდა წითელი ზოლი. ამას ყურადღება აღარ მიაქცია. ჩაიკცა. სიგარეტი გააბოლა. პერში ამოჭრილი ფანჯარა ფართოდ გააღო, რომ ოდეკალონის სუნი გამჭრალიყო.

შემოვა ახლა დედა, ჰკითხავს, იყო თუ არა რაიღამსკომში, გაიგო თუ არა ბინის ამბავი. ზაფხულში, პირველ თბილ დღეებისთანავე დედას აუტყდება ხოლმე ახალი ბინის ციებ-ცხელები: წუწუნებს, ანჩხლობს, თავ-ბედს იწყევლის. მაგრამ როგორც კი აგრილდება და მოახლოებულნი ზამთარი განდევნის სხვენში ჩაგუბებულ ბუღსა და სიცხეს, დედას თითქოს ავიწყდება ყველაფერი, აგუგუნებულ თუნუქის ღუმელს დაქკნარ ხელებს მიუშვერს, და კმაყოფილია ბინითაც, შვილითაც და ცხოვრებითაც. მომავალი ზაფხულის თავარა შზის გამოჩენამდე.

ჯაბამ სუფთა ქალაღდები ამოიღო უკრიდან და მაგიდას მიუჭდა. გამოფენა ველარ დაათვალიერა, ველარ შეასრულა რედაქტორის დეაღლება. ახლა გეგმა მიინც უნდა დაწეროს. ხეაღ, თათბორზე. ყოველ თანამშრომელს მოსთხოვს გიორგი.

ჯაბას დიდხანია თავში უტრიალებს

ერთი რეპორტაჟის სქემა — გაჰყვეს მზეს საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრიდან შავი ზღვის სანაპირომდე. მისილიოს. და აღწეროს და გადაიღოს, რაც გზად შეხვდება, მზის თვალით დაინახოს ყველაფერი. კორესპონდენტი და მზე ერთად დაიძრებიან კახეთიდან, ერთად ივლიან და ერთად მიადგებიან ზღვას. ზუსტად დაემთხვევა მათი სიჩქარე და მგზავრობა. საქართველო ერთი დღის ტოლი ქვეყანაა, გათენებიდან დაღამებამდე, თუნცა მსოფლიოს უდიდესი ქვეყნებიც ერთი დღის ტოლია, თვით — დედამიწაც. მზე ყველას თანაბრად უნაწილებს თავის ნათელს და სითბოს, ზღვა რაა, პატარა ტბასაც უჩენს თავის დილას და საღამოს, პატარა ბორცვსაც. მერე რა საოცარი სიზუსტით გრძნობს მანძილს მზე! არც ისე შორდება მიწას, რომ გაყინოს, არც ისე უახლოვდება, რომ ერთიანად დასწვას და გადაბუგოს. გრძნობს მანძილს, იცის, სად უნდა იდგეს. ადამიანებმა კი არ იციან — ისე შორდებიან ხშირად ერთმანეთს, რომ გული უცივდებათ. სულ უბრალო, სასაცილო მიზეზის გამო ხელს ჰკრავენ ახლობელს, მოიშორებენ.

...მაინც როგორ გაართყა აფოს? გააღწევილი ჰქონდა, ხელი არ გაენძრია. დარწმუნებული იყო, მოკლავდნენ წინააღმდეგობის გაწევისთანავე. მაგრამ მაინც გაართყა! ტკივილს არ დაუბნელებია მისთვის გონება, ტკივილის სიმწარეს არ გამოუწვევია საპასუხო რეაქცია. ყველაფერი აფოს საქციელმა გადაწყვიტა. ახლაც ხედავს, როგორ მიუახლოვდა მელიის შემპარავი ნაბიჯებით აფო, სხეულმოღუნებული, აბარბაცებული, ვითომ არაფრის თავი არ ჰქონდა, ვითომ არც აპირებდა ანგარიშის გასწორებას, წუწუნიც კი დაიწყა: „რა უნდა ეუთხრა ამ არიფსო“. და უეცრად ზამპარასავით შეიკრა მისი სხეული. და ხეთქა. ამ ცბიერებამ ააფეთქა ჯაბა, ამ მართლაც ქურდულმა, მოპარულმა გართყამ. აფოს თავისი ვაქცაობა უნდა ეჩვენებინა მნაბიჯები-

სათვის, ანიტომ ნაღზე უნდა წასულიყო და წავიდა კიდევაც. *არცინეშული*
...მზის რეპორტაჟი *საქართველო*, ვერც წარმოუდგენია, როგორ უნდა გააკეთოს, მაინც შეიტანს გეგმაში. გიორგიმ იცის ხოლმე თემის მოულოდნელად შეტრიალება.

კიდევ რაზე შეიძლება ნარკვევის დაწერა, ან ვიზე?

პროფესორ რურუაზე? ქართველი მეცნიერის მთელი ცხოვრება, ბავშვობა... როგორ დაიწყო... რევოლუცია, საბჭოთა ხელისუფლება, პირველი ნიდწევები... შეიძლება საინტერესო იყოს, შეიძლება არც იყოს საინტერესო — უბრალო, მშვიდი ცხოვრება, ყოველგვარი ჟურნალისტური სატყბარუნოს. გარეშე. მაგრამ მოულოდნელად რომ ადგა და რედაქციაში მოტანილი ლექსები უკანვე წაიღო? რატომ წაიღო?

...მარტო დაშნა არაფერი შუაშია. ისე გაბედულად რომ შეეყვებო ბაღში, პაპიროსის მოწევის გუნებაზეც რომ ვიყავი, თვალისდახამხამებაში რომ ეუბასუხე გარტყმითვე, იფიქრეს, ეს ყველაფრის მკისრებელი იქნებაო. ცოტა, ალბათ, მშისრებიც არიან... ისინი, საერთოდ, მშისრები უნდა იყვნენ, შიშზე უფრო ხშირად არაფერი არ ახლავს თან მათ საქმიანობას, ერთი მაგათი..

კიდევ?

„არაფერი არ გვაქვს ახალ მშენებლობებზე“, ყოველდღე ამბობს გიორგი. რა უნდა დაიწეროს მშენებლობაზე? ამდენი და ამდენი საცხოვრებელი ფართობი ჩააბარეს... ამდენმა და ამდენმა მიიღო ახალი ბინა... მშრალია. როგორ თქვენ იმ დღეს? პავლოვის ქუჩაზე მიდიოდა ავტობუსი: მზით გარუჭული, დიდცხვირა კაცი საარკმლიდან ქუჩას ათვალეირებდა და თანამგზავრს ეუბნებოდა:

„დიდხანი არ არის, ამ ადგილგზში დაედიოდი გარეულ იხვზე სანადიროდ, თი, იქ ჰანჯყობი იყო, ერთხელ გლეხებმა ამომათრიეს ტალახიდან“.

— მთელი ოთახი აგიყროლებია! —

მოესმა დედის ხმა, ვერც შეაჩინია, როდის შემოვიდა.

— ფეხი გავიკაწრე და ოდეკალონი გადავისხი! — სკამიანად შემობრუნდა ნინოსკენ.

— იყავი ზიზზობაძესთან?

— ვიყავი... არ დამხვდა, — მეორე ტუპილიც წამოსცდა ჯაბას და ისევ მაგიდისაკენ შეტრიალდა, — მშენებლობაზეა წასული, დღეს აღარ დაბრუნდება აღნასკომში.

— დილით უნდა მიხვიდე, ეგენი ათი საათის შემდეგ ადგილზე ვეღარ ჩერდებიან.

— ხვალ აუცილებლად მივალ, ადრე გამალვიძე.

დედამ საკერავი მანქანიდან შავი ძაფის კოჭი გამოაძრო და ისევ გარეთ გავიდა.

— რა მოგეჩვენა, ასე ადრე რომ მოგიყვანა შინ! — მოესწა ჯაბას.

წამოღვა. ხელმეორედ აიწია ხალათი და ხელმეორედ შეუშვირა ზურგი სარკეს. კრილობა ჩამუქებულიყო.

„ალბათ, ხვალ უფრო ამტკიცდება, პიჯაკი და პლასი რომ არ მცმოდა, ახლა საავადმყოფოში ვიქნებოდი“.

სიგარეტს ცეცხლი მოუვიდა და ჭიბუხეში ხელბეჩაწყობილი, დერეფანში გავიდა, მარცხნივ გაუხვია და სახურავზე გაშავალ სახანძრო სარკმელში გაპყრო თავი. აქედან ხელისგულივით მოჩანდა მარცხენა თბილისი. ამღვრეული მტკვრის გაღმა სახლები ოქროსფრად შეეფერადებინა მზეს. მდინარის ტალღები არხვედა ჯაბას სახლის ჩრდილს და, ალბათ, იმ ჩრდილის სიღრმეში სადღაც, ჯაბაც ქანობდა. გაზაყრუებლად გუგუნებდა მტკვრის ნაპირას გაშენებული თბოელექტროსადგური და რკინის მილით აღუღებულ წყალს ასხამდა მდინარეში. წყლის ზედაპირზე მბორგავ ორთქლს მუშტავით ემგერებოდა მილიდან გამოვარდნილი შეკუმშული ორთქლის ახალი ამონასუნთქი და მერე იფანტებოდა.

თბოსადგურის საკვამლე მიღმა თბილისის დილა გაახსენა. რამდენჯერ

უფიქრია იმ კაცზე, ქარხნის საყვირს რომ აყვირებს ალიონზე, და აცნობებს ქვეყანას, თბილისი თავისუფლების მორიგ დღეს შეუდგაო. იმ კაცზე შეიძლება ნარკვევის დაწერა! ვინ იცის, იმდენად საპატიოდ ითვლება პირველი საყვირის ახმანება, რომ ამას მხოლოდ რჩეულ მუშებს აკისრებენ. იქნებ, თვით ქარხნებს შორისაც შეჭიბრებაა ამ უფლების მოსაპოვებლად. მაგრამ შეიძლება სულაც ავტომატი აყვირებდეს საყვირს, საათთან შეერთებული ავტომატი.

რამდენჯერ გაპარულა მტკვარზე საბანაოდ. რა შემთხვევით გადაარჩინა ერთხელ დიდმა ბიჭმა ლიფსიტასავით ამოავდო მორევიდან და ნაპირზე გამოიყვანა. ახლა ცოცხალი არ იქნებოდა ჯაბა, ვინ იცის, იმ დიდ ბიჭებს შორის, აფოც დადიოდა საბანაოდ. იქნებ ცურვასაც ასწავლიდა ჯაბას. ნოდარი ყოველთვის ჯობნიდა ცურვაში. გურამი სულ ნაპირ-ნაპირ ჭყუშპალაობდა. ერთხელ ჩანთა გადაუგდეს შუა მტკვარში...

„საკლასო ფურნალი! — გაუელვა ჯაბას, — რატომ აქამდე არ გამახსენდა?“

ოთახში შემოირბინა და მაგიდის უჯრიდან ყდამოცვეთილი საკლასო ფურნალი ამოიღო.

„1942-43 სასწავლო წელი, 10^ა კლ“.

გადაშალა.

„აბაშიძე ნანა.“

ბოლქვაძე ტარიელ.

ბენდუქიძე გაიოზ.

გვეტაძე თამაზ.

გორდელაძე მზია“.

ესენი რომ მოაძებნინა ახლა! სად არიან, რას აკეთებენ... რატომ დაიწერა 12 ორიანი გერმანული ენის გაკვეთილზე 1942 წლის 26 ოქტომბერს? აი, ეს იქნებოდა საინტერესო!

სტეენა დაიწყო. ქალაღები მაგიდის უჯრაში ჩაალაგა და ბიანინოს მიუჯდა. თვითონაც არ იცოდა რას უკრავდა, რაღაც გამოგონილს უკრავდა. და ეს გამოგონილი დაჟინებით ემსგავსებოდა.

ნაცნობ მელოდისას, ასე იყო მუდამ. როცა მუსიკის „შეთხზვას“ დააპირებდა.

ზომ არაეის არ ახსოვს თავისი დაბადება. ჯაბას ახსოვს. იგი დაიბადა თოთხმეტი წლისა, ოპერის შენობაში, „ტანგეიზერის“ უვერტურის შესრულების დროს. ნოდართან ერთად იჭდა იარჯისის გვერდით ლოჯიაში. გამოვიდა დირიჟორა, ხალხს თავი დაუქრა, ხელეები მალლა ასწია, და ჯაბა გაფრინდა. ბგერასავით გაატანა კედლებში და ცაში აფარფატდა. უამრავი შადრევნით დაფარულიყო მთელი დედაპიწა, არც სახლები იყო სადმე, არც ტყეები, არც გორაკები. თეთრად მოილტვოდნენ ცისკენ აქაფებული შადრევნები და მათი შხეფების გრილ ბურუსში მიტივტივებდა ჯაბა. საიდანდაც ისმოდა ქაღალის ნახი ხმა. ჯაბა გრძნობდა, რომ ის ქალი უთვალთვალუბდა, და დიდ სიამოვნებას ვერიდა ეს...

მერე ნოდარს უამბო მუსიკალური ზმანება. ეშინოდა, არ დამცინოსო. მაგრამ ნოდარმა არ დასცინა. როგორ შეუყვარდა ორივეს მუსიკა. როგორ ნაწობდნენ, რატომ პატარაობიდანვე არ დავიწყეთ სწავლაო. უფროდაუფრო ეწაფებოდნენ მუსიკის ნექტარს და სინანულიც უფრო მატულობდა, ხელი ჰქონდათ ჩაქნეული, ჩვენგან აღარაფერი აღარ გამოვაო. მაგრამ სადღაც ამოიკითხეს — 16 წლის ვაგნერმა ერთი მუსიკალური ინტერვალის სახელიც არ იცოდაო, და ცას ეწიენ სიხარულით; ჯერ კიდევ არ არის დაკარგული ყველაფერიო. ფორტეპიანოს ან ვიოლინოს კლასში ვინდა მიიღებდა, სასულე ინსტრუმენტებზე სწავლა თვითონ არ მოისურვებს. ჩელო აირჩიეს ბოლოს. ჯაბას მეზობელმა ქალმა, ოპერის მოლარემ, კაპელნიცისთან მიიყვანა მეგობრები. მოხუცმა მანეტრომ სმენა და რიტმის გრძნობა შეუმოწმა ჯაბას. როიალის სახურავზე ფანქარი დააკაჟუნა და, გაიმეორეო. ჯაბამ ზუსტად გაიმეორა. ეტყობა, დიდი მონდომებისაგან მაგრად უაკუნებდა ფანქარს. კაპელნიციმ გაიცინა და უთხრა: „კარ-

გი მედოლე გამოხვალაო“ — მერე ფიქრისი ფანქარი გამოართვა და პიჯაკის გულსჯიბეში ჩაიღო.

ჯაბა „ტანგეიზერის“ ლებორტეჟა უქრავდა მარჯვენა ხელით. აქამდე არ მოსვლია აზრად პიანინოზე აეწყო, თითქმის ყველაფერს უქრავდა, რაც გაეგონა და დაემახსოვრებინა, უქრავდა ისე მარტივად, რომ ნამდვილი მუსიკოსი უთუოდ ყალბად მიიჩნეოდა მის „შეპირსიტყვაობას“. „ტანგეიზერი“ კი არასოდეს არ გაურჩევია. და ვერც ვერასოდეს გააჩვენეს; მისი გაუწვრთნელი, ამქვეყნიური თითები ვერ მიაგნებს ამდენ ღვთიურ ბგერას, რასაც გულში მღერის, ვერ გაანამდვილებს, ვეღარ შეაბებს ხელს ცაში ატყორცნილ უამრავ შადრევანს და მათი შხეფებისგან გაჩენილ ბურუსს.

იმ დამეს გაუფრთხილებლად წამოწვა ლოგინზე და ტყვილისაგან კინალამ შეჰყვირა. თითქოს კიდევ ერთხელ გადაუჭირეს ზუმბა ბუჭზე. კარგია, რომ თავი შეიკავა; დააფეთებდა დედას. თვალეები დახუჭა და ასეთი ამბავი შეთხზა:

კაფეში ვიღაც მაღალი, ხმელი კაცი შემოვიდა. შლიაპა ეხურა, ხელში პატარა, შავი ჩემოდანი ეჭირა. მაგიდას მიუჭდა. მენიუ აიღო. წაიხეშა. მერე წამოდგა და გავიდა. ჯაბას მოეჩვენა რომ იმ კაცმა კაფეს მენიუ წაიღო და მის მაგივრად სხვა მენიუ დასტოვა. ქუჩაში გაეარდა და დაედევნა. იმ კაცმა შენიშნა ეს და ფეხს აუჩქარა. ჯორჯიაშვილის დაღმართზე ჩაუხვია. მერე ძნელადის ქუჩას დაჰყვა. თან უკან იეუარებოდა, ეწრო შუკით ბროსეს ქუჩისკენ გაემართა. თანდათან ემატებოდა მღელვარება, თანდათან უფითრდებოდა სახე, უეცრად მობრუნდა და ჯაბას შიგ გულში ესროლა რევოლვერი. ჯაბა მოწყვეტით დაეწარცხა ქვაფენილს. ირგვლივ არავინ იყო... ერთი წუთი, ერთადერთი წუთი და ჯაბა სულ განუტევებს. საათზე დაიხედა. პატარა ისარი სწრაფად მიზტოდა დანაყოფიდან დანაყოფზე. ჯაბას სუნთქვა შეეკ-

რა, ძლიერდებოდათ გახსნა ფოტოაპარატი და სწორედ იმ დროს, მკვლელი მოსახვევს რომ უნდა შეფარებოდა, „ჩხაკ, ჩხუკ“, სურათი გადაუღო. და მოკვდა. მოკვდიდა ხალხი. ჯაბა ხელში აიყვანეს. თმას იწეწავდა დედა. ტაროდა გურამი, ნოდარი, რედაქციის თანამშრომლები, ბატონი გიორგი. დაასაფლავეს. გაიარა რამდენიმე თვე. რედაქციაში ჯაბას ადგილზე სხვა მიიღეს. ჯაბას ფოტოაპარატი მას გადააბარეს. გაამქლავნა აპარატში ჩარჩენილი ფირი და სურათებიც დაბეჭდა. უკანასკნელი კადრი ეუცხოვა — ვილაკ კაცი გარბოდა, ბატონა ჩემოდანი ეჭირა ხელში, ბატონ გიორგის აჩვენა. გიორგიმ უშიშროების სამინისტროში მიიტანა. ათასობით სურათი გამარავლეს

და მთელ კავშირში გაავრცელეს... ბოლოს მოსკოვში დაიბრუნეს... უცხოეთის ჯაშუში გამოდგა. მერე მთელი ბანდა შეიპყრო სამინისტრო.

„ჯაბა ალაფიძეს, სამშობლოს დაცვის საქმეში თავდადებისა და მამაცობის გამოჩენისათვის, სიკვდილის შემდეგ მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება“.

ბატონმა გიორგიმ „განთიადის“ გამზადებული ნომერი შეაჩერა და პირველ გვერდზე გაუშვა „ბრძანებულება“.

ეძინა ჯაბას. ის მზე კი, რომელთან ერთად საქართველოს მოვლას აპირებდა, ახლა სადღაც, წყნარი ოკეანის კუნძულებს დაჰნათოდა, და კვლავ ზუსტად იცავდა მანძილს დედამიწამდე.

ჩვეულებრივი მასაჟისი

— რას ამბობ, ახლა რომ დაგვეკარგოს, შეიძლება მეორედ ველარასოდეს შეხედე ამხელა ქალაქში. ერთი კვირაა ვეძებ მაგ გოგოს! — აქოშინებული ლაპარაკობდა გურამი და თავს ძლივს იკავებდა, რომ არ გაქცეულიყო, თუმცა მისი სწრაფი სიარული დიდად არც განსხვავდებოდა სირბილისაგან.

— არ შეშინდეს და ხალხი არ შეგვიყაროს, — ფრთხილობდა ჯაბა და გამვლელებით სავსე ფილაქანზე ნაბიჯს ძლივს უსწორებდა მეგობარს.

— ვერ მოასწრებს შეშინებას, კინოს ხსენება ჯადოსანით მოქმედებს გოგოებზე, შენ არ იცი.

— ტროლეიბუსში ვეთქვა!

— სწორედ იქ ჩავარდებოდა უხერხულ მდგომარეობაში, ახლა მარტოა.

— ვილაკ კაცი რომ ახლავს? მამაა, ალბათ.

— ეგ უკეთესი. წამო ჩქარა, ჩქარა! მაგრამ გურამი უეცრად თვითონ შედგა. ჯაბამ ძალაუნებურად გადაასწრო.

— მოიცა! — ხელი ჩასჭიდა გურამმა.

ჯაბამ გაიხედა. სქელი კაცი და ის გო-

გო წიგნების მალაზიის წინ შეჩერებულ იყვნენ. კაცმა რაღაც უთხრა ქალიშვილს და მალაზიაში გაუჩინარდა.

— სულ მარტო დარჩა, მივიდეთ! — გურამმა პიჯაკის კალთები ჩაისწორა, ჩასჭიდა, თმაზე ხელი გადაისხვა და დარბაისლური ნაბიჯით დაიძრა გოგონასკენ.

— მე აქ დაერჩები!

გურამმა სწრაფად შემოხედა, დაუბღვირა:

— ნუ ბავშვობ ახლა!

გოგო იყო ძალიან ლამაზი, ისეთი ლამაზი, რომ ჯაბას შეეშინდა. თითქოს მოულოდნელად წააწყდა ზღაპრულ განძს, თავიდან ფეხებამდე დაჰკრა მისი მითვისების სურვილმა, კანკალმა აიტანა, რადგან მიხვდა, რომ ამ სურვილს ვერანაირი გზით ვერ დაიოკებდა, და თითქოს წინასწარ იგრძნო ყველა საფრთხე, რაც ამ განძის მითვისებას მოჰყვებოდა.

— მამაკით, ცუდი არაფერი იფიქროთ, მე... მე კინორეჟისორი ვარ, — და მუდამ ენაშიან გურამს ენა ჩაუვარდა, მართლა საოცრად ლამაზი იყო გოგო.

დუღანა შეკრთა. ახელ-დახელდა გუ-
რამს, თითქოს უნდოდა, რაც შეიძლე-
ბა სწრაფად შეეფასებინა, რა ჯურის
აღამიანთან ჰქონდა საქმე. მერე იგრძ-
ნო, რომ მოშორებით კიდევ ვიღაც იდ-
გა, ამ კინორეჟისორთან ერთად მოსუ-
ლი. გაიხელა და ვაფთხრდა, მუხლები
მოეკვეთა — ის ბიჭი იყო, ბალ-მასკა-
რალზე რომ ნახა.

— გვაბატით, ასე უბოდნოდ მო-
გეჭვრით, — ძლივს გააგრძელა გურამ-
მა, — სხვა გზა არ გვექონდა, თუ თქვენ
წინააღმდეგი არ იქნებით, შემოიარეთ
კინოსტუდიაში, იკითხეთ რეჟისორა
გურამ თორთლაძე და...

— კინოსტუდიაში?!

„კინოსტუდიაში?“ მეზობელ სიმივით
გაიმეორა ჯაბას გულმა. გაიფიქრა, რომ
ეს ხმა და გოგოს განცვიფრებული სახე
აღარასოდეს დაავიწყდებოდა.

— მე ფილმს ვიღებ, — ისე განაცხა-
და გურამმა, თითქოს ამისთვის ყველას
უნდა გაეწია ანგარიში, — და ვიმედოვნ-
ებ, მთავარი როლისთვის თქვენ ზედ-
გამოჭრილი უნდა იყოს!

— მე... მე... მე მსახიობი არა ვარ! —
დუღანამ თითქოს თანაუგრძნო გურამს
მისი უნებური შეცდომისათვის, თან
შერცხვა, რომ შეცდომა გაუსწორა.

— არაფერი მნიშვნელობა არა აქვს!
გნებავთ, თქვენი მისამართი მომეცით
და გამოვიძახებთ, როცა საჭირო იქ-
ნება.

— როგორ გეკადრებათ, მე არ შე-
მიძლია, მე არ გამოვდგები, მე ისეთი...

— ეგ მეორედ არ თქვათ! ჯაბა, რას
გაჩუმებულხარ, უთხარი რამე!

ჯაბას რატომღაც მოეჩვენა, რომ
გოგონას ვასაცნობად დაუძახა გურამ-
მა, ფიქრობდა, თავხედურად მოვიქე-
ციოთ. მიუახლოვდა და ხელი წინ გაიშ-
ვირა.

დუღანა აიწურა, დაიბნა, სადღაც,
შორს გაიხელა და ხელი ჩამოართვა ჯა-
ბას:

— დუღანა!

— ჯაბა!

— ბიჭოს, შენ ღროს არ კარგავ! —

საყვედურით გაისმა გურამის ხმა,
მერე გაიცინა, — იქნებ შეც ვაძინო!

— გაიცინით! — ვითომ ხუმრობას
აპყვა ჯაბა, უშნოდ გაეღიმა. გაწითლდა.
წინასწარ იგრძნო, რომ სულაც არ იყო
საჭირო, მაგრამ მიინც თქვა, — შენ
მთხოვე, რამე უთხარიო, ხომ უნდა გა-
მეცნო, სანამ ვეტყვოდი.

— მაშინ უთხარი ბარემ!

გურამი თავმომწონებდა. დუღანას
წინაშე ფარულად, იქნებ შეუგნებლად
ინსხვავებდა თავს ჯაბასგან.

— მე რა უნდა ვუთხრა, — თქვა ჯა-
ბამ და უეცრად იგრძნო, რომ საკუთა-
რი თავი ხელიდან დაუსხლტა, გაექცა,
და იმ გაქცეულმა წამორმა: — ჩემი
ნება რომ იყოს, ვერჩევდი, კინოსტუ-
დიაში ფეხი არ დაუდგა!

გურამს რაღაც გაურკვეველი ბგერა
აღმოხდა, მთელი ერთი წუთი გაშტე-
რებული შეპყურებდა ჯაბას. მერე ხე-
ლი ჩაიქნია, თითქოს მოჩვენებასავით
მოიშორა ჯაბაც და მისი წარმოთქმი-
ლი სიტყვებიც, და დუღანას მიუბ-
რუნდა:

— აბატით, ხანდახან იციხე ხოლმე...

— ნახვამდის! — თქვა სახეწამოჭარ-
ხლებულმა ჯაბამ და დუღანას თავი
დაუკრა. მერე მაჯის საათზე თითი და-
კაჟუნა, — რედაქციაში მაგვიანდება! —
ცივად შებრუნდა და წავიდა.

გურამს თითქოს ამოსწურვოდა გან-
ცვიფრების გამომხატველი ყველა რეაქ-
ცია.

მიდიოდა ჯაბა და გრძნობდა, —
ორივემ თვალი გამოაყოლა, გურამმაც
და იმ გოგომაც, და თავს ძალას ატან-
და, ფეხი არ ამერიოსო.

მუდამ ასე იყო და ახლაც ასეა: თუ
ოდესმე, ათასში ერთხელ, სხვას არ
დაეთანხმა და გამოთქვა საკუთარი აზ-
რი, ჰგონია, ქვეყანა გადატრიალდა, დი-
დი ცოდვა ჩაიდინა და გული ატკინა იმ
სხვას. იშვიათად ყოფილა, ჯაბას და-
თანხმებოდნენ, მისი შეხედულება ჰკუა-
ში დაჯდომოდათ. ყველა კბილებით
იკავს საკუთარ თვალწარმართს, ყველა
შეურაცხყოფილივით ირჩება, თუ

სიტყვას შეუბრუნებ, გარდა ჯაბასი...

როგორ სიამოვნებს გურამს, როცა რამეს დაუდასტურებენ, როგორ გაუმხნევდება ხმა. სხვებსაც ამას ამჩნევს ჯაბა, მის სიამოვნებაზე კი თითქოს არავინ არ ფიქრობდეს. როგორ აუფართოხალდება ხოლმე გული სიხარულისგან, როგორ შეუყვარდება ერთი-ორად საკუთარი თავი, თუნდაც სულ უმნიშვნელო მხარდაჭერას რომ იგრძნობს: „მართალი ხარ, ჯაბა“. „აი, ეგ კი სწორად თქვი!“ მთელი კვირა ჰყოფნის მოსაგონებლად. მაგრამ მსგავსი წუთები იშვიათად ჩამორეკავს. ნუთუ ასე დარწმუნებულები არიან ადამიანები თავიანთ თავში, ასე ელოლიავენ იან ყოველ მართალსა თუ მცდარ აზრს? როცა სიმართლე ამოიშრება ჯაბას წინ, მაშინვე აღიარებს ხოლმე თავის შეცდომას, მაგრამ თვითონ მას რატომღაც აღუშვებს სხვისი სიყალბე? როცა ხედავს, რომ ადამიანი ცათამდე დარწმუნებულია თავის სიმართლეში. რატომ ერიდება მისი რწმენის შელახვას? შებრძოლების, აზრის აზრთან შეჯახების ეშინია? იქნებ ორი სიმართლით ცხოვრობს? ერთს, მოჩვენებითს, ხმამაღლა აცხადებს, მეორეს, ნამდვილს, გულში ინახავს.

„შენახული სიმართლე... ალბათ, ამიტომ არის, ხანდახან რომ გავაფრენ ხოლმე. გავაგიჟე ის გოგო... რას იფიქრებდა. იქნებ დღეღამე ოცნებობდა კინორეჟისორზე, ქუჩაში რომ შეაჩერებდა და ეტყოდა, თქვენ უნდა ვადაგილოთო, როგორც იქნა, აუხდა სურვილი, მე კი... მისმა დანახვამაც რომ შემაშინა! ვითომ მშიშარა დავიბადე, როგორც გულადები იბადებიან ქვეყნად?“

ჯაბა ლიფტს ელოდებოდა. უეცრად დუღანას დიდი, ლურჯი თვალები მოელანდა, ოღონდ ეკრანზე იყო დუღანა, რომელიღაც ფერად ფილმში — ტახტრევანით ქალაქში შემოჰყავთ სულთანის ულამაზესი ასული. დაწინაურებული მკვლელები ხმლების ქნევით სახლებში ერეკებიან მოედანზე გამოფენილ ხალხს, შორიდან ისრების სრო-

ლით ხურავენ ფანჯრების გამოღებულ დარაბებს, რადგან სულსწრუნ უსულო ქვეყნად არაკაცმა არ უნდა: *Или нет*, ვინც შეხედავს, თავის მოკვეთა არ ასცდება.

„ალბათ საუკუნეობით ყალიბდებოდა ლამაზი ქალის დანახვით გამოწვეული შიში. მშვენიერი ქალები ყოველთვის ძლიერთა საკუთრება იყო: ტომის ბელადების, იმპერატორების, სარდლების... და ჩემს უძველეს წინაპრებსაც სიცოცხლის ფასად უჭლებოდათ იმ ლამაზმანებთან გამოჩურჩება. იქნებ იმ გოგოსი შემრცხვა და ამიტომ გავფიცხდი? როცა ეთქვი, ფეხს არ დავადგმევიანებდი კინოსტუდიაში-მეთქი, მომჩვენა, ამით თავი გავყიდე... გავაქვებანე, რომ მომეწონა ის გოგოდუღანა... და თავმოყვარეობა შელახულად ჩავთვალე... მაინც რა სასაცილოა ლამაზი ქალისგან დამინებული კაცი. ეს ერთადერთი განძია, რომლის მითვისებას არავინ ბოროტებად არ ჩაგითვლის, ეს შესაძლებლობა და თავისუფლება ბადებს ალბათ შიშს. ქურდსაც ასევე აშინებს სალარო, ან საიტყველირო მადანიში გამოფენილი ოქრო და მარგალიტი. მისი პროფესია აძლევს ამ განძის მოპარვის უფლებას... ყველაზე დიდი ქეშმარიტება კი ის არის, რომ ახლა გებრახებული ვარ ჩემი უტაქტო საქციელათ და რაებს ვჩმახავ, თვითონ არ ვიცი“.

ჯაბა ლიფტიდან გამოვიდა და რედაქციის განყოფილების კარი შეაღო. ოთახში მხოლოდ ბატონი ანგია იყო, რალაცას წერდა მაგიდასთან მიმჭდარი, ჯაბა შევიდა თუ არა, ხელები გადააფარა ქალალს.

— შენთან საქმე მქონდა, ჯაბა!

— გისმენთ!

პირველი სიტყვები ალბათ უნებურად წამოსცდა ანგიას, რადგან მერე დიდხანს დუმდა; თითქოს ძალდატანებით ჩააჩუმა თავისი თავი.

— გიორგიმ შენი ორი თემა გეგმაში შეიტანა, — თქვა ბოლოს.

— მართლა? („ამის თქმას არ აპირებდა“) რა და რა?

— პროფესორ რურუაზე და კიდევ იმაზე, ჟურნალზე, ძველი საკლასო ჟურნალი რომ გინახავს. იყავი ქარხანაში?

— ვიყავი. ზაკომოლდინი პენსიაში გასულა. ლომიძეც პენსიაშია, მაგრამ ქარხანაში მაინც დიდის ვერ ელემე, ვითომ რამეს აკეთებდეს, ვთხოვე, ზაკომოლდინთან წამომყვებით, სურათი უნდა გადაგიღოთ-მეთქი... ორმოცდსამი წელია, მეგობრობენ. ერთად მუშაობდნენ არალეგალურ ორგანიზაციაში, ამ ქარხანაშიც, და მისი სახლი არ იცოდა.

— ალბათ შეეშინდა, მოვხუცი და ვაი, თუ ვერ მივაგნოთ, შერცხვა.

— შეიძლება, მაგრამ ჭკუის სისუსტე სხვა რამეში ვერ შევატყვე.

ჯაბა აივნისკენ გაემართა.

— შენ პარტიის წევრი თუ ხარ, ჯაბა?

მოესმა უკანდან.

„აი, ეს აინტერესებდა!“

— კი.

— თუ — კანდიდატი?

— არა, უკვე წევრი ვარ, რატომ მეკითხებით?

— ისე, აღარ მახსოვდა...

ჯაბა აივანზე გავიდა. რკინის მრგვალ მოაჯირს ორივე ხელი ჩასჭიდა, ფეხისწვერებზე აიწია, ფრთხილად, ძალიან ფრთხილად გადაიხიწა, რომ საჭიროებისთანავე სწრაფად დამალულიყო, და შენობის ბოლომდე გააწვდინა მხერვა. წიგნების მაღაზიის წინ აღარავინ იდგა.

ჯაბას მოულოდნელმა წასვლამ გურამი დააბნია, ხელებს შლიდა, ლულულედა, თქმით კი ვერაფერს ამზობდა.

— მაპატიეთ, მე აქ უნდა შევიდე! — უთხრა დედანამ, ხელი ზურგსუკან წაიღო და მაღაზიის კარის სახეღერს ბრმასაყვით დაუწყო ძებნა.

— აქმეც მაქვს საქმე! — გამოერკ-

ვა გურამი, მაღაზიაში შეჰყვა დედანას და მის დასანახად ჯიბიდან ხელმოწერილის ქვითარი ამოიღო.

ბენედიქტე ამ დროს წიგნების გამყიდველს ელაპარაკებოდა, შემთხვევით მოიხედა და დედანას მოჰკრა თვალი.

— გაცდევინე, გოგო? ახლავე წამოვალ, ა, — გურამი შენიშნა, — ეს რომელია, ინსტიტუტის ამხანაგი ხომ არ არის? — „ინსტიტუტის ამხანაგში“ მან სულ სხვა რამ იფულისხმა, — გამარჯობა, ყმაწვილო!

— სალაში, ბატონო!

— რატომ არ მოგყავს ჩვენთან, შეეშაქო?

დედანა წამოწითლდა.

— ჩვენ ამ წუთში გავიცანით ერთ-მანეთი! — თქვა გურამმა.

— ამ წუთში? ბიჭოს! ახლავე მოვალ ა, დამიცადეთ!

ბენედიქტე მთვრალი არ იყო, მაგრამ რაღაც დიდ სიხარულს აღეგნო მისი არსება. ამ წუთში სრულიად არ ახსოვდა მიზეზი იმ დიდი სიხარულისა, დილით რომ განიცადა, მაგრამ, ეტყობა, ინერციის უაღრესად მატერიალური კანონი მის ჰაეროვან სულზეც გავრცელებულიყო.

იგი კვლავ ქერა გამყიდველთან მიდგანდგარდა.

— რას მეუბნებოდით?

— ჯეკ ლონდონი შემომიღია-მეთქი, მოგიხერხოთ! — ჩასრურხულა გამყიდველმა.

— ლონდონი?! მწერალს ქვია ასე?

— კი, ბატონო.

— რამდენ ტომადია?

— რვა.

— აჰ, როგორ გეკადრებათ. ბალზაქი მაქვს ოცდამათხ ტომად და ახლარვაზე ჩამოვჩონდე? ხე...

— სხვა არაფერი მაქვს, სტენდალბქონდა და გამითავდა.

— რამდენი იყო?

— თხუთმეტი ტომი.

— აფსუს! — ნერწყვი გადაყლაპა ბენედიქტემ, — ჯანდაბას, გამომიწერე ლონდონია თუ ვილაყა.

— ახლავე, — ჩაელიმა გამყიდველს და მოლარეს გასძახა, — Вая, один экземпляр Лондона! მიბრძანდით სალაროსთან!

საწყობისკენ გაემართა, მაგრამ სულ მალე უკანვე შემობრუნდა.

— პატივცემულო, ერთი წუთით! — აღარ დაელოდა და თვითონ მიიჭრა ბენედიქტესთან, — დიკენსი ყოფილა, ოცდაათ ტომიდაა.

— ოცდაათად?! — მთელ სახეზე გაღლაბნილმა დიმილმა ბენედიქტეს ვიწრო თვალები გააქრო და გააუქმა, — აქამდე რას მარწმუნებდი, შე კაცო, ამაშენ და ეგ არის!

ციყვის სოროსავით ვიწრო სარკილიდან მოლარე ქალის წაგრძელებული ფრჩხილები გამოჩნდა და შუშაზე აწკარუნდა.

— Ну как, выписать Лондона, или... გამყიდველმა სათანადო განკარგულება გასცა.

ბენედიქტემ ოცდაათტომიანი ქვითარი ჯიბეში ჩაიღო და გახარებულ ახალგაზრდებთან მივიდა.

— წავიდეთ, დუდანა!

— მე მგონი, — ქუჩაში გავსვითანვე დაიწყო გურამმა, — მამათქვენი წინააღმდეგი არ იქნება...

— მე ბიძა ვარ, ყმაწვილო!

— დიხა... — გურამი დაიბნა და პირდაპირ ბენედიქტეს მიმართა, — მე მგონი, ბიძათქვენი წინააღმდეგი არ იქნება...

— ეისი ბიძა, ბიჭო?!

— მამატივთ, — და უცბად რომ გაებათილებინა ასეთი უხერხემლო ლაპარაკი, ამოუსუნთქავად მიიყარა, ვინ იყო, სად მუშაობდა, რას აპირებდა და რას უპირებდა დუდანას, — ასე გადაწყვიტა კინოსტუდიაში, — დაუმბატა მეტი შთაბეჭდილებისათვის.

— არტიტობას იწყებ, გოგო? — წარბი ასწია ბენედიქტემ.

— მე არაფერს არ ვიწყებ, ბენო ბიძა!

რამდენი ხანია უკვე, ჯაბაზე ფიქრობს დუდანა. თითქოს ბუნდოვან სიზ-

მარში ესმის ბენედიქტეს და გურამის ხმა, და სიზმარშივე პასუხობს მათ:

— არტიტებზე მათხოვარნი! ხალხი არ მინახავს ჯერ! — განაცხადა ბენედიქტემ.

გურამი აიბურძგლა, მაგრამ გაჩუმება არჩია.

— მათხოვარი არ ეთქმის ადამიანს, ათს, ხანდახან ოცსაც თუ იღებს ხოლმე. — თქვა მან.

— რა „ოცსაც“?

— ათას!

— მანეთს?! — ბენედიქტეს გული მოსწყდა და საღდაც გადაუგორდა. მისმა თითებმა პატრონის დაუკითხავად დაჩხრიკეს ჯიბეებში, მაგრამ ვერსად ვერ მიიგნეს პაპიროსს.

— ინებეთ! — გურამმა „პრიმა“ მიაწოდა. მერე ასანთიც წაუჩხაკუნა.

ეს ღრო საკმარისი იყო, რომ ბენედიქტეს შენიღბვა მოესწრო.

— არა, მე წინააღმდეგი ვარ, როგორც ბიძა. ასი ათასიც რომ იყოს... რა შეაშია!

— ბატონო, მე გარწმუნებთ, რომ.

რალაც უშნოდ წაება ერთმანეთს ყველაფერი. გურამმა ძალაუზნებურად აწყენინა ჯაბას, თუ ჯაბამ აწყენინა... ეს გოგოც უცნაურად იქცევა, არც პოს ამბობს, არც — არას, საერთოდ, არაფერს არ ამბობს, ბიძაც კარგი ეგზემპლარი ჰყოლია. და რაც მთავარია, ჯერ არავითარ ფილმს არ იღებს გურამი, არავითარი სცენარი არა აქვს, თორემ ახლავე დაითანხმებდა ორივეს. ეს უნახვევრებს ბრძოლის უნარს. ამ გოგოს დაკარგვა კი თვითმკვლელობა იქნებოდა. ზვალ თუ ზეგ, ვილაც რეჟისორი წააწყდება და წაიყვანს... გულუბრყვილო გოგო, თითქმის ბავშვი, წარმოდგენა არა აქვს, რომ ქვეყნად არსებობს სიცრუე, პატივმოყვარეობა, ეგოიზმი, არ იციან, რომ მამაკაცის დაფრქვეული მწველი სიტყვები, შეიძლება ცივ გულზე იყოს მოდულელებული... აი, ასეთ როლს ითამაშებდა დუდანა, თავის თავს ითამაშებდა! და გურამმა წარმოიდგინა ფილმის გმირი ქალი, ერთმანეთზე მექა-

ნიკორად გადაბმულ „მგრძობიარე“ სიტყვების კორიანტელში რომ უფრო აღვიღად ეხვევა, ვიდრე ნამდვილ, მაგრამ უტყვე სიყვარულს ერწმუნება... მეორე მხრივ, განებივრებული, ყელთამდე უზრუნველყოფილი ახალგაზრდა ქაბუკი, ლამაზი, მშვენიერი, მაგრამ არაფრისმკენისი, ფუყე, ფშუტურა. აი, ასეთი „ქაბუკის“ მსხვერპლი უნდა გახდეს ფილმის გმირი ქალი!

გურამმა დულანას გახედა. თავდახრილი მიაბიჯებდა მის გვერდით. ვიწრო, მუქლურჯ კაბიდან სწრაფად და რიგრიგობით წინ გამოდიოდნენ ლაპლაპა წვივები და თითქოს რცხვენიათო, სწრაფადვე იშალებოდნენ.

— არც ვიცი, რატომ მოვდივარ, — მხრები აიჩეხა გურამმა, — თქვენს სახლს დავიმახსოვრებ და, იქნებ გადაიფიქროთ, ერთი თვის შემდეგ კიდევ შეგაწუხებთ!

— მე არ გამოვდგები... მე სემინარებზეც კი ვწითლდები ხოლმე, როცა ლექტორს ვპასუხობ. დამკინიან ამხანაგები!

— მოდიო! და თუ არ გამოვდებით, დაბრუნდებით უკანვე.

ბენედიქტე წინ მიზანზარებდა, თითქოს ჰაერს უჭრიდა უკან მომავალ ახალგაზრდებს, თან გაფაციცებით უგდებდა ყურს მათ საუბარს.

დღეს ბედნიერ ფეხზე ადგა ბენედიქტე. დილითვე ბათუ გამოეცხადა შინ და იმ თართიშვილის გამოტანებული თხუთმეტი ათასი ჩაუთვალა. იქვე უნდოდა თავისი წილის მიღება ბათუს, ბევრი იტრიალა, მიკიბ-მოკიბა, აქედან მოუარა, იქიდან, მაგრამ ბენედიქტეს ვითომ სამსახურში ეჩქარებოდა და არა და არ ახსენებოდა დაპირებული, პირდაპირ თხოვნას კი ბათუ რატომღაც ერიდებოდა. „შეიძლება ეს ფული დასაბრუნებელი გაგვიხდესო“, ბოლოს სულ მთლად წაართვა იმედი ბენედიქტემ, მაგრამ მთავარი, რაც მოხდა, მერე მოხდა.

ერთი ახალგაზრდა ინსპექტორი ჰყავდა ბენედიქტეს, რამაზ ბაზიშვილი.

ეტყობა, უფროსების წინაშე თავის გამოჩენა უნდოდა და იჩენდა კიდევ, ყველგან ეჩრებოდა. ყოველთვის კი უნდობდა რაღაც შესასწორებელს, რაღაც გადასაკეთებელს, გამოსაცვლელს, გასაუქმებელს, დასამატებელს ან გამოსაკლებს. ერთი სიტყვით, რაიღმსაკომის ფიხიელი თვალი იყო. ბენედიქტეს კი სულაც არ სჭირდებოდა ეს ზედმეტი სიფიხლე. რამდენჯერ გაუწითლებია თათბირებზე ბაზიშვილის გამოსვლას. მე შგონი, ეს საქმე ასე უნდა გაეთდეს და არა ისე, როგორც პატივეცემული ბენედიქტე ფიქრობსო, იტყოდა და რაიღმსაკომის თავმჯდომარეც, რაიკომის მდივნებიც ხშირად ეთანხმებოდნენ. ყველაფერს მოითმენდა ბენედიქტე, მაგრამ ბაზიშვილის ამსწინანდელმა სიფიხლემ კინაღამ იმ თხუთმეტი ათასის საქმე მიადინა. ბენედიქტემ, როგორც იქნა, მოახერხა და, ბინების განაწილების სიაში გასაოცარი ფოკუსი გააქეთა, — № 20 ნინო ალავიძე № 120-ზე გადასკუბა, ხოლო № 236 იაკობ თართიშვილი № 20-ზე! ვერაინ ვერ მიხვდა, როგორ გაეთდა ეს ფოკუსი, ვერც თავმჯდომარე, ვერც მდივანი. მხოლოდ იმ ლაწირაკმა ბაზიშვილმა შემოჰკრა ტაში და დაიძახა: მივხვდი, მივხვდი, მაგას რა უნდო, ადვილი მისახვედრი ფოკუსიაო. შემოვიდა ბენედიქტეს კაბინეტში და, სია შეცდომით არის გადაბეჭდილიო, კიდევ კარგი ასე რომ ეგონა. მას შემდეგ ბენედიქტე სულ ფიქრობდა, როგორ ეძია შური და როგორ მოეშორებინა თავიდან არამკითხე მოამბე. და მოიფიქრა, ბაზიშვილი ქუთაისში მიავიღა — ვილაც გაიძვერას თბილისშიც მიეღო ბინა და ქუთაისშიც, ბაზიშვილს უნდა შეემოწმებინა ამ ბოროტების ქუთაისური ნაწილი. მაგრამ ბენედიქტეს სულ სხვა რამ აწუხებდა. ბაზიშვილს გეგუთელი მოყვრები ჰყავდა და ნება დართო, ერთი-ორი დღით შეიარე სოფელშიო, ცოტა დასვენე და მერე ჩადი ქუთაისში იმ საქმის შესამოწმებლადო. ბაზიშვილს არაფერში ეჭვი არ შეპარ-

ვია, რადგან აღრევე თხოვდა „ერთი-ორი დღით“ წასვლას გეგუთში.

მეორე დღესვე ბენედიქტემ მეორე ინსპექტორი აფრინა მივლინებაში, — „შეამოწმე, ადგილზეა თუ არა ბაზი-შვილი, აკეთებს თუ არა რამეს, ხომ არ ყალთაბანდობს!“ ასეთი ვახლდათ დავალება.

პოლა, ამ დღით გაშანშალებული „მოხსენებითი ბარათი“ დაუდო შავი-დაზე იმ მეორე ინსპექტორმა. „სამსახურებრივი მოვალეობის თავიდან აცილება“, „ადგილზე არ აღმოჩნდა“, „...სა-ეჭვო საქციელი“, „ჭეიფსა და დროს-ტარებაში“, და სხვა მისთანანი ეწერა შიგ. ორი საათის შემდეგ კი სახელე-წილი ბაზიშვილი დაემხო ბენედიქტეს ფეხთით. რა ვქნა. გენაცვალეო, — უთხრა ბენედიქტემ, — ხომ იცი, როგორ მემტერება ეგ მეორე ინსპექტო-რიო, ახლა რომ არ მოვახსნევიო შენი თავი თავმჯდომარეს, ცეკამდე გაწელებს ამ ამბავსო.

და მოახსნევიო.

ვერაფრით ვერ მიხვდა ბაზიშვილი, როგორ გააკეთა ეს უკანასკნელი ფოკუსი ბენედიქტემ.

აი, ამიტომ თვლის, კარგ ფეხზე ავ-დექიო, მართლაც ბედნიერი დღე გაუ-თენდა. აგერ ახლა ოცდაათტომიანი მწერლის წიგნები დაიბევა. მერე დუღანას ამხანაგი გაიცნო. კინორეჟისორი ვარო, და ოცი ათასი მანეთით, და რა-დაცეები... ტყუის ყმაწვილი, დუღანა ჩაუვარდა, ალბათ, გულში და ყველა-ფერს კადრულობს, ოღონდ ბენედიქტე დააინტერესოს.

იქნებ, არც ტყუის ეს ლაწირაკი. აჰ! ხომ არ აიყვანოს? თან ახალ მგზობ-ლებს ეჩვენება სტუმრიანად, დამკვიდ-რდამ, აფიქრებინებს.

— დამიცადე აქ. ყმაწვილო, შენც დამიცადე! — თქვა ბენედიქტემ და გასტრონომისაკენ, შეტრიალდა.

გურამი ოღნავ წელში მოიხარა, ხელი გაიშვირა და თვალებში შეხედა დუღანას.

— ნახვამდის, მე წავალ, მგონი, თავი შეგაწყინეთ.

— ნახვამდის! — დუღანამ მკლარზე ჩა-მოართვა და უცერად თითქოს წამოს-ცდა, — რა ფიცხი ყოფილა თქვენი ამხანაგი!

— ჯაბა? არაუშავს, უკვე ნანობს ალ-ბათ.

— მართლა? ასე იცის? მეც მყავს ერთი ამხანაგი, მუღამ...

— ასე იცის ხოლმე, როცა ლამაზ გოგოს დაინახავს!

დუღანამ თავი დახარა.

— ეგონა, თქვენ გაწყენინათ და თავის თავზე გაბრაზდა.

— კი არ ეგონა, მართლა მაწყენინა! ზედ დაგკანკალეზღით, მეშინოდა არ დამეფრთხეთ, მან კი ისეთი რამე გითხ-რათ...

— მის სიტყვებს მე არ დავუფრთხი-ვარ.

— აბა, მე დავაფრთხეთ?

— არა, — დუღანას უხერხულობი-საგან გაეცინა, — მე ვთქვი, რომ თქვე-ნი მეგობრის სიტყვებს არ დავუფრთხი-ვარ-მეთქი.

მათი თითები თითქოს ვერ ელვოდნენ ერთმანეთს, ისევ ხელიხელჩაკიდებულ-ნი იდგნენ.

„თვითონაც სიამოვნებს!“ — გაიფიქ-რა გურამმა და გოგონას გრძელ თი-თებს დახედა. ეტყობა, რაღაც შეემჩნა, უნებურად რაღაც გამოამყდავანა, რად-გან გაიფიქრა თუ არა ეს, დუღანამ მყისვე უშვა ხელი.

— ერთად მსახურობთ?

დუღანას ეშინოდა, არ წასულიყო გურამი, და ჯაბას გზა-კვალიც სამუღა-მოდ არ დაჰკარგვოდა.

— არა, ჯაბა ჟურნალისტი!

„ვიცი“, — გაიფიქრა დუღანამ.

— ისიც კინორეჟისორი მეგონა!

— ჯაბა რედაქციაში მუშაობს.

„ვიცი“, — გაიფიქრა დუღანამ.

უცერად გურამმა ჯაბა დაინახა, თით-ქოს მიწიდან ამოძვარაო. თავი ჩაელუნა და ხელისგულზე ხურდა ფულს ითვლი-და, თან ნელ-ნელა უახლოვდებოდა

პაპროსების სავაჭრო ჯისურს, გურამმა დაუძახა. ჯაბამ გამოიხედა, ერთდროულად ფული გაუწოდა გამყიდველს. გურამი მივიდა.

— რას იბუტები ბავშვივით, სირცხვილია იმ გოგოსთან!

— ვიბუტები? — მხრები აიჩეჩა ჯაბამ, — საიდან მოიგონე? საქმე მქონდა რედაქციაში, შემთხვევით აივნიდან დაგინახეთ, იქნებ დავეწიო-მეთქი, და წამოვედი.

ჯაბა ამბობდა და არც ამბობდა სიმაართლეს. რედაქციაში დიდი არაფერი საქმე მქონდა. სხვა დროსაც შეიძლება ვიორგისთან შესვლა და გაფრთხილება, რომ ნარკვევი ძველ რკინიგზულ მეგობრებზე დაიგვიანებდა. რედაქტორის კაბინეტიდან განყოფილების ოთახში დაბრუნდა, გულმა აღარ მოუთმინა და ერთხელ კიდევ გადაიხედა აივნიდან. წიგნების მალაზიასთან არავინ იდგა, მაგრამ ზედ აივნის ქვეშ თვალი მოჰკრა იმ მსუქან კაცს, გურამს და იმ გოგოს, დუდანას.

და მოეჩვენა, რომ ცხოვრება მიდიოდა თავისი გზით, ყველა ილტვოდა თავისი მიზნის და სურვილის აღსასრულებლად. ყველა აკეთებდა თავის საქმეს, ზუსტად გამოანგარიშებულს და დადგენილს, საჭიროსა და აუცილებელს. მხოლოდ ჯაბა გამოკიდულიყო ცაში, მოშორებოდა ამქვეყნიურ ჭირსა და ლხინს, მაღლიდან დაჰყურებდა დედამიწის გოლიათურ ბრუნვას, და ყოველი კონტინენტი, ყოველი ქალაქი და ქუჩა ნიშნისმოგებით ამოსცქეროდა.

სწრაფად ჩაირბინა კიბე და დაედევნა მათ, ვინც წედან ასე გააოცა თავისი საქციელით.

დუდანა ოპერის შენობას ვაჰყურებდა. ოდნავ გახსნოდა ტუჩები, სველი კბილები უბრწყინავდა. ცდილობდა დაეფარა აღეღვება და უფრო ამეღავენებდა. ახლა სულ სხვანაირი იყო, უცხო ქალიშვილს ჰგავდა, უცხო ქვეყნიდან ჩამოსულს და თითქოს ეგონა, აქაურებისთვის სულ ადვილი იყო მისი ფიქრების გამოცნობა: თვალს ვერ უსწო-

რებდა ჯაბას, დაცხაცხებდა თავის საიდუმლოს. და ჯაბამ ზელქსსხებდა იტრძნო, რა სიამის მომნიჭებელი იქნებოდა ამ საიდუმლოს ამოხსნის გზაზე გადადგმული ყოველი ნაბიჯი.

— ხელახლა ზომ არ გაიცნობდით ერთმანეთს? — იხუმრა გურამმა.

— სადღაც აშენების თარიღი სწერიო, — ვითომ ვერ გაიგონა დუდანამ გურამის ნათქვამი და ოპერის ფასადისაკენ თითი გაიშვირა, — ვუყურებ და ვერ მივაგენი.

„თითქოს მე არც ვარსებობდე“, — გაიფიქრა ჯაბამ.

ვასტრონომის ორივე მხრივ მოძრავი კარი ბენედიქტემ თითქოს გამოანგარია და ქუჩაში გამოთუხთუხდა სანოვაგით დატვირთული. ეყიდნა ძეხვი, ღორის შაშხი, თევზის კონსერვები და ორი ბოთლი კონიაკი.

როგორც კი ბენედიქტეს მოჰკრა თვალი, გურამმა დუდანას ხელი გაუწვდილა:

— კარგად ბრძანდებოდეთ! მომეცით თქვენი მისამართი, ერთი თვის შემდეგ მოვაკითხავთ!

— არავითარ შემთხვევაში, ყმაწვილო, არავითარ შემთხვევაში ტყუილად დამანარკვინეთ ამდენი? დუდანას ამხანაგები მე შეილებივით მიყვარს, თუმცა დუდანა არ არის ჩემი შეილი, მაგრამ **მაინც**.

— საქმე ის არის, რომ არც ჩვენა ვართ დუდანას ამხანაგები, — უხერხულად გაიღიმა გურამმა, — ერთი საათი არც იქნება, რაც...

— მაგას არა აქვს მნიშვნელობა. ჩემს კაბინეტში, მიღების დროს, ხუთა წუთიც არ მჭირდება უცხო ადამიანის გასაცნობად. არ მთხოვს არაფერს? გასაგებია, ვინც არის. მთხოვს? მით უმეტეს, გასაგებია, აბა, წამობრძანდით!

— წამობრძანდით! — გაიმეორა დუდანამ.

ჯაბას ეჩვენებოდა, რომ ამ გოგონას ყოველი სიტყვა, ყოველი გაღიშება, თავის ოდნავ შერბევაც კი, იყო რაღაც დიდმნიშვნელოვანი, განუმეორებელი.

მისი წარმოთქმული სიტყვა, თითქოს არ შემოისახლებოდა მხოლოდ იმ სიტყვის მნიშვნელობით. თითქოს დუღანამ სულ სხვა ენა იცოდა ადრე, და მერე შეისწავლა ადამიანების ენა... ახლაც კარგად ახსოვს ის საიდუმლო ენა, მაგრამ იცის, რომ აქ, მიწაზე, გერავინ გაუგებს.

— დუღანა აქვე ცხოვრობს, პოლიკლინიკის თავზე, — თქვა ბენედიქტემ, — მეოთხე სართულზე კი მოგვიწევს ასვლა, მაგრამ...

კიბეებზე ბნელოდა. გურამმა მაშინვე ასანთს გაჰკრა. ჭაბას ასანთიე ააღდა და თითქოს შეტრუსა თავისი ხედილი წყვილიადი. წინ მიმავალი ბენედიქტეს ფართო ჩრდილი ფარდაგივით ჩაიკეც-ამოიკეცა კიბის საფეხურებზე და ვილაციის კარს მიაღვა. ჭაბას მოეჩვენა, რომ ეს ჩრდილი დააკაუნებდა კიდეც, ასანთი რომ არ ჩამქრალიყო. ისევ გაჰკრეს ასანთებს, ბენედიქტეს ასაქვევზე შეეხვია, ახლა მათ წინ დუღანა მიდიოდა.

— აქ ღამით სიარული არ გეშინიათ? — ჰკითხა გურამმა.

— მე შეუბნებით? — ჩამოხედა დუღანამ, — ღამით ჯერ არც მოვსულვარ აქ.

— მარტო?

— საერთოდ, არ მოვსულვარ. მე ბიძია ბენოსთან ვცხოვრობ.

მეორე და მესამე სართულების გამყოფი ბაქანი პატარა ელნათურას გაეშუქებინა. მისმა მბუჭტაჟმა სხივებმა პირველად ბენედიქტე შიიტაცა სიბნელიდან:

„დავაღვივებ ცოტას, გამოვკითხავ დაწერილებით... თან მეზობლებმაც გაიგონ, რომ სამსონს უპატრონოდ არ ვტოვებ...“

ბენედიქტე გასცილდა ელნათურას და თავის ფიქრებთან ერთად კვლავ წყვილიადს შეეფარა.

ქვემოდან დუღანა ამოცურდა და ნათურის შუქში ახლა ის მოექცა. ოქროსფერი ძაფებით დაილაშხა მისი თმა.

„როგორ უნდა ბიძია ბენოს, რომ აქ

ვიცხოვრო. ვხედები, რატომაც გაღმომიყვანა. მაგრამ მე არა შემიძლება აქ ცხოვრება, მეშინია იმ მახტქცქცქცქცთან მეცოდება... არაფრით არ ამოვიდოდი ახლა, რამეს მოვიმიზეზებდი, მაშინ ესენი... მაშინ ჭაბაც წავიდოდა“.

გურამი თვალს ვერ აცილებდა დუღანას მაღალ წვივებს, თანდათან რომ ფარავდა სიბნელე, თითქოს გოგონას თანდათან უგრძელდებოდა ლურჯი კაბა.

„გულუბრყვილო წითელქუდა... პროსპექტზე მოსიერნე მგელი ხედება, ტუჩებს ილოკავს: „გამარჯობა, წითელქუდა!“ „გაგიმარჯოს, ნუგზარ... ან ოთარ... ან შოთა“. ან, თუ გნებავთ, გურამ! „ასე გვიან საღ მიდიხარ, წითელქუდა?“ „შინ მივდივარ“, „გაგაცილებ“. აცილებს. „მიყვარხარ, დუღანა!“ ეუბნება ნაცრისფერკოსტუმშიანი მგელი. დუღანას სჯერა. და მერე მგელი ყლაპავს... მის რწმენას. ციდან ჩამოვარდნილი გოგონას როლი... ითამაშებდა თავის თავს. ისევე გაწითლდებოდა, როგორც ახლა წითლდება, ისევე გულუბრყვილოდ გამოაჩენდა თავის მრგვალ მუხლებს“.

გურამმა ნაბიჯი შეანელა, უკვე აღარ ჩანდა საფეხურები.

„რა მინდა, რომ მივდივარ, ან რატომ მიგვიპატიეთ იმ კაცმა. დუღანას აყვავარ მაღლა, გურამიც დუღანას აჰყავს. კინო საბაბი იყო, ჯერ არც იცის, რა გადაიღოს. რა ვქენი? ბავშვით გავიბუტე, დამლულრულივით გავვარდი. მერე ისევ ჩემი ფეხით ვეახლე, ვითომც აქ არაფერი. თითქოს სხვა მკარანახობდა, თითქოს გაიფიქრებდა დუღანა: ეს ბიჭი ახლა ასე და ასე მოიქცევაო, და მეც მორჩილად ვასრულებდი მის ნაფიქრს. ისეთი ნაღვლიანი თვალეზი აქვს, ვინდა ხმამაღლა ჰკითხო, რა დაემართა, შენი დახმარება ხომ არ სჭირდება. ეს არის სიყვარული?“

ზემოდან ბენედიქტეს წრიბინა ხმა მოისმა.

— გამარჯობათ, პატივცემულთა ექიმო, როგორაა ავადმყოფი?

— ცუდად, სამწუხაროდ, ცუდად, — ქალის ხმა აყო.

— გაუარესდა ხომ?

— მაგის თქმის საფუძველი არა გვაქვს, მაგრამ არც გამომგობინებულა.

— აბა, თქვენ იცით, თქვენ იცით და, მერე ჩემზე აყო.

— როგორ გეკადრებათ!

ჯაბა გურამს დაეწია და საფეხურები ერთად აათავეს, ახალგაზრდა ექიმ ქალს გზა დაუთმეს.

— ლეტუს გაუმარჯოს! — წამოიძახა ბენედიქტემ.

— ბენედიქტეს ჩემი სალაშქო!

— თქვენც იქ იყავით?

— ლიდა ახლაც ავადმყოფთანაა, ექიმს ვეხმარებოდით... ერთი წუთით, თუ შეიძლება, — სახლის რწმუნებულმა, ლეტუ ბევაშვილმა, ბენედიქტე გვერდზე გაიყვანა, — რატომ შეყენებთ უხერხულ მდგომარეობაში, რატომ არ ათევს ღამეს თქვენი ძმისშვილი? ხომ იცით იმ ვადარეული ლოლას ამბავი, წავა და იჩივლებს. ისედაც მომახალა; გაქირავების ამბავი ჩემი თვალის დასაბრმავებლად გაითამაშეო, შენ ილოკავ ტუჩებს ამ ბინისთვისო.

— აუცილებლად, აუცილებლად, ჩემი ბრალია, რალაცას შეხმარებოდა შინ და... — აღუღლულდა ბენედიქტე, — როგორაა საწყალი სამსონი? — კარისკენ თითი შეატრალა.

— რა ვიცი, ექიმმა თქვა, რადგან საკვების ყლაპვის უნარი შერჩა, ვარე სამყაროს აღქმაც უნდა დაუბრუნდესო.

— რაო?!

— ასე თქვა.

— შევიდეთ, ცოტა კონიაკი ვიყიდე.

— აჰ, გმადლობთ, — ლეტუ რატომღაც პატარა ბეშვივით აიწურა, თითქოს იძულებულია რალაც დანაშაული გამოამკლავნოსო. უხერხულობამ ბენედიქტეს პიჯაკის ღილი შეაკვრევინა მის თითებს, მერე კვლავ გაახსნევინა, — ბატონო ბენედიქტე, ხომ არ შეიძლება, ჩემისთანა პატარა კაცს ჰქონოდა იმედი რაიადმანაკომში მოწყობის? ან საღმე, სხვაგან? თორემ მოგვედები

რწმუნებულად და სირცხვილია, — თქვა და თავისუფლად ამოიხსუნებდა.

— ვნახოთ, ვნახოთ, მარტო ჩემთან და ვნახოთ! ახლა წადი და გენადი თუ არის შინ, მომიყვანე, ისე არ მოხვდი.

ბენედიქტემ ოთახში შეაბიჯა. დუღანა და ის ორი სტუმარი აიგანზე გასულიყვნენ. ლიდა სასთუმალთან უჯდა ავადმყოფს და ზეწარზე ვადაღვრილ რალაც წვეს წმენდდა. ბენედიქტეს ამოხედა და თეფშზე მიუთითა:

— დღეს აღარაფერი მიიკარა, გამარჯობათ, ბატონო ბენედიქტე!

— ეტყობა, კვდება საწყალი.

— ეტყობა.

— იქნებ უკვე მკვდარია, ქალო!

— არა მგონია, ოთხი-ხუთი კოვზი წვენი კი გადაყლაპა ამ დილით.

— აბა, მეტს არც მე ვკვამ, — ჩაილაპარაკა ბენედიქტემ და აიგნის კარს მიადგა, — დუღანა, რა დროს ქუჩაში ცქერაა. „აბა, გაშალე სუფრა, ნანეტა“, როგორც ბალზაქი ამბობს.

ბალზაქის ხსენებაზე ჯაბამ ყურიცქვიტა.

ყველანი მომკრო ოთახში გავიდნენ და ბენედიქტემ კარი მიიხურა.

— სად წერს ბალზაქი, პატივცემულო ბენედიქტე? — ველარ მოითმინა გურამმა.

ბენედიქტეს ესაიპოვნა ყურადღება.

— ოცდამეთერთმეტე გვერდზეა, მაგრამ მოთხრობის სათაური აღარ მახსოვს.

გურამმა და ჯაბამ ერთმანეთს გადახედეს.

— რა კარგი მესხიერება გქონიათ!

— ეგ რა არის, — გათამამდა ბენედიქტე, — დუღანა, ეს დათალე, ჭიქები-ღარცხე, სუფრა ლიდას ექნება და თხოვე... ჰო, ეგ რა არის, ისეთი ადგილები მახსოვს! მაგალითად: „— რა დაგეპართათ? რა მოხდა?“ გახსოვთ ეს ადგილი?

— არა, არ მახსოვს, — თქვა გურამმა, — ჯაბა, შენ?

— არც — მე!

— ანდა, ეს ადგილი: — „თქვენო

ბრწყინვალეობაე!“ გახსოვთ? ანდა:
 „— მას ალბათ კიდევ აქვს ვალი“, გახსოვთ? ანდა: „— ეშმაკმა წაიღოს!“ ანდა: „არასოდეს!“ თუ არ გახსოვთ, მე კიდევ ერთ სტრიქონს გავახსენებთ. ბალზაჟი სწერს: „დაბრძანდით, შენელ!“ გვერდი ოთხას ერთი, პირდაპირ, თქვენც დაბრძანდით, — ბენედიქტეს ძლიერმა სიცილმა მაგიდიდან მტვერი გადაწმინდა.

— რომელი გვერდი, რომელი გვერდი? — გურამმა უბის წიგნაკი ამოიღო, — არ გეწყინოთ, მაგრამ მე შევეამოწმებ, ასეთი შესხიერება დაუფერებელია! — შეამოწმე, გენაცვალე, გვერდი ოთხას ერთი, „დაბრძანდით, შენელ!“ რამდენიც გნებავთ, შეამოწმეთ.

— ტომი?

— ტომი არ მახსოვს.

— არა უშვას, მე ყველას ვავსინჯავ!

— საოცარია, — აპყვა გურამს ჯაბა, — მე მხოლოდ ერთადერთი საინტერესო ადგილი მახსოვს.

— რა? თქვი! — დაინტერესდა ბენედიქტი.

— „ახ!“

— რა „ახ“?

— „ახ“, ამბობს ბალზაჟის გმირი ქალი, როცა მას კლავენ! — თქვა ჯაბამ და სამზარეულოს ღია კარს იქით თვალი მოჰკრა დუდანას, იგი ჯაბას უყურებდა, ილაშქვოდა და ნეკა თითს უქნევდა საყვედურის ნიშნად. დუდანას თითი ბენედიქტემაც შეამჩნია. გაწითლდა, ბიჭები აათვალეირ-ჩაათვალეირა, თითქოს პირველად ხედავდა.

„კისრებს წვაფარობდი ორივეს, მაგრამ სხვა დროისთვის იყოს“ — დაიმტკრა გულში.

— გასაგებია, ყმაწვილო, გასაგები, დაცინვას კაცი არ მოუკლავს!

— როგორ გეკადრებათ, პატივცემულო ბენედიქტი!

დუდანას, ეტყობა, შეეშინდა არ წაქინკლავდნენო, სასწრაფოდ შემოვიდა ოთახში.

— შევიძლიათ დაიწყოთ! — გაიღიმა მან. მაგიდაზე დაჭრილი ძეხვი და შაშხი

დადო. თუფშები ჩამოარიგა. უცნაურად რაღაც აწყრილდა. დუდანას წაბრის საკინძიდან ქინძისთავი მომჭურალიყო და თუფშზე ეგდო. ჯაბამ აიღო და მიაწოდა.

— ვისია ეს?! — დაიყვირა ბენედიქტემ და ჯაბას მაჯა დაუქირა, გამოართვა ქინძისთავი, შეათვალეირა.

— დეიდა მარგომ მაჩუქა! — თქვა ჩუმად დუდანამ.

— პოო, მეც არ გამოიკვირდა! — ამოხედა ბენედიქტემ დუდანას, მერე ქინძისთავი მალა ასწია, — მარგალიტია! — გააცნო ბიჭებს თავისი ცოლის ყოფილი სამკაული.

— ხელოვნური მარგალიტია, ბიძია ბენო! — შეამცირა დუდანამ საჩუქრის ღირებულება, რომ ბენედიქტეს სინანულიც შემცირებულყო.

— რა განსხვავებია მერე?

— თითქმის არაფერი, — თქვა ჯაბამ, — იაპონელები აკეთებენ ისეთ ხელოვნურ მარგალიტს, ნამდვილს არ ჩამოუვარდება.

— აკეთებენ? აკი ზღვაში იჭერენო! — შეახსენა ბენედიქტემ.

— დიახ, მაგრამ ასე ნიჟარიდან შეიძლება მხოლოდ ერთში იყოს მარგალიტი, ეტყობა, ყველას არ ესხმის მტერი თავზე!

— მტერი? რა მტერი? — ბენედიქტემ უნდობლად გადახედა ჯაბას.

— თუ ნიჟარში უცხო სხეული შეიჭრა, ბატონო ბენედიქტე, — სერიოზული სახით უხსნიდა ჯაბა, კიდევ არ იფიქროს, მამასხრებუნო, — ისე არც გალიზიანდება ნიჟარა და არც გამოჰყოფს ნივთიერებას, ჩვენ რომ მარგალიტს ვუწოდებთ. იაპონელები კი ყველა ცარიელ ნიჟარას იჭერენ, ამოაქვთ, წყალში „აბამენ“ ნაპირთან, და ხელოვნურად აღიზიანებენ.

— როგორ აღიზიანებენ, აბრაზებენ? — ბენედიქტეს ჭამა დაეწყებოდა.

— არ ვიცი. ალბათ, სილას ჩააგდებენ შიგ, ნიჟარა კი ამ სილას მარგალიტში გააბვევს.



— ასე ჩნდება მარგალიტი?
 — დაახლოებით, ასე.
 — მე რომ იაპონელი ვიყო, პინგ-პონგის ბურთს ჩავაგდებდი ნიჟარაში, — თქვა გურამმა და დუდანას თვალი აარიდა.

— ეგ ქუქასთან ახლოა... საზამთრო ხომ არ აჯობებდა, ა? — ვაიცინა ბენედიქტემ და მარგალიტის მძივიანი ქინძისთავი ჯიბისკენ წაიღო.

„ახლა თვითონ დაგვეცინის“, — ვაიფიქრა ჯაბა.

— უპ, კინალამ წაგართვი! — ბენედიქტემ ქინძისთავი დუდანას დაუბრუნა.

დუდანას მკერდზე ხელი ჰქონდა აფარებული. შეტრიალდა, ქინძისთავი ისევ კაბაზე მიიზინა.

— გთხოვთ, მიირთვათ!

დინამ არაფრით არ გაქრა შაშხი. ჯაბას ეუხერხულეზოდა მთლიანი ნაჭრის დათრევა. გრნობდა, რომ ძალუნებურად კონტაობდა.

— გავვიმარჯოს! — თქვა ბენედიქტემ და ჭიქა ასწია. უეცრად სიცილი წასკდა, კონიაკი თითებზე გადაეღვარა.

არავის არაფერი არ უკითხავს, თვითონ თქვა, რაღაც გამახსენდაო.

ბათუ გაახსენდა, თავის წილს რომ ელოდა თარათაშვილის ფულიდან. პირდაპირ თქმა ვერ გაუბედა და ასე შეაპარა: წუხელ სიზმარი ვნახე, ჩემო ბენედიქტო, ვითომ სამი ლიმონი მომეცი და მითხარი, დაწურე და შენი წილი სამი ათასი გამოეკონავესო. ოპ, რას ამბობ, ჩემო ბათუ, საოცარია პირდაპირი! — უპასუხა ბენედიქტემ, — მეც ზუსტად ეგ სიზმარი ვნახე, ოღონდ სამი ლიმონი კი არა, ერთი ძლივს გამომგლიჯე ზელიდან, იმასაც არ გამოვედიო.

ბათუს გაოგნებული სახე გაახსენდა ახლა ბენედიქტეს და იმითომ წასკდა სიცილი.

— რა ვუყოთ ამ ქალბატონს, ყმაწვილებო, ა? — ბენედიქტემ მხარზე ხელი მოხვია დუდანას, — ამ მშვენიერ ბინას მიწუნებს, როგორც იქნა, დაეუქირავე

და, აქ მარტო ვერ ვიცხოვრებ, მეზინაო.

— მარტო? თქვენ? — ჯაბა ხელს გულრამში.

— მე ცოლ-შვილით სხვაგან ვცხოვრობ. ძლივს ვადმოვიყვანე დუდანა საერთო საცხოვრებლიდან. და ფეხი მიკრა, არაფრად ავდეხს ჩემს ამაგს.

— ბაბუა ხომ აქ ცხოვრობს! — ჯაბამ კარისკენ გაიშვირა თითი.

— ის ჩემი ბაბუა არ არის, — ვაიღიმა დუდანამ, — ამ ბინის პატრონია.

— იცხოვრე ჩვენთან, დუდანა, კი არ ვაგდებთ, მაგრამ ხანდახან აქაც უნდა ვაათო ღამე. მერე ეს ყმაწვილი რომ ამბობს, ოცი ათასს მოგვემენ კინოში, და დაიქირავე უკეთესი, — ბენედიქტემ გურამს გაუღიმა; — თუ გინდა რომ მულის გამოვგზავნი ხანდახან, ა? შენთან ერთად ვაათევს ღამეს, ბოლოსდაბოლოს, ამ გაშეშებული ბებრის რისი გეშინია, ვითომ საწოლი ცარიელი იყოს...

— რომელი არ გამოვგზავნოთ! — თქვა დუდანამ.

ბენედიქტე ცდილობდა, ტყბილი სიტყვით მოენადირებინა დუდანა, გაჯავრებდა და „მზრუნველი ბიძის“ უფლებების გამოყენება ამაოდ ეჩვენებოდა. სწორედ დუდანას მოსარჯულეზოდ დაარიგა მარგო, ერთი-ორი ძვირფასი კაბა ეყიდნა გოგოსთვის, აგერ, მარგალიტის ქინძისთავიც უჩუქნია, სულ არ ენანება ბენედიქტეს. თუ ამ ბინის საქმე გამოვიდა, მთელ იაპონიას იყიდის თავის იმიანი-იმიანად, ეს საქმე კი უდუდანოდ თოვლივით ხელში შეაღწება, ის ლოლაა, თუ ვიღაცა, კარგ საქმეს არ დააწვეს. არადა, მართლა შეეშინდება კაცს, ამ მოჩვენებასავით ბებერთან ღამის გათევა. იქნება მარგო მოვიდეს ხოლმე, სანამ შეეჩვევა?... ეს ლაზღანდარა, რეჟისორი ვარდ... დიდი უგერგილო ვინმე ჩანს, ოცი ათასაო! ჰმ, თვლაც არ ეცოდინება... დუდანა მოეწონა და ეგ არის, ტყუილად დახარჯა ამდენი... ეს გოგო მართლა კი გალაშხებულა, ასეთი ცოლი რომ შეახვედრა რომელს!

ამაზე და კიდევ სხვა საქირბოროტო ამბებზე ფიქრობდა ბენედიქტე, სანამ კარგად არ დანაყრდა და კონიაკის ბოთლებიც სულ ფსკერამდე არ გაათეთრა.

— ახლა კაია კაი დასვენება! — თქვა მან, სკამის ზურგს მიეყრდნო და საცოდავად ააქრაქუნა, — რა მოხდა ეს ოხერი, ეთქვა ღმერთს ორი დღე დაისვენეთო, და გვექნებოდა ორი დასვენების დღე. ვინმე ესროდა რეპლიკას — ორი რა ამბავიაო, თუ რა!

— მაშინ ქვეყნის გაჩენას ვერ მოასწრებდა, — თქვა ჯაბამ, — ხუთი დღე არ ეყოფოდა.

— შეექვსე დღეს ვითომ რა გააჩინა?

— აღამიანიო, ასე გამოიგონია.

— ჰოდა, ნულარ გაგვანენდა და სულ დასვენებულები არ ვიქნებოდით? — ნიშნისმოგებით წამოიძახა ბენედიქტემ.

— არა, ერთი დასვენების დღე მართლა ცოტაა. მათხოვრები ხომ არა ვართ, ანდა, ყოველდღე უნდა ამუშაოს კაცმა, კვირადღეები გადაენახოს და სიკვდილის პირას, როცა ჰგონია, სადაცაა სულს ჩავაბარებ უფალსო, იმ უფალმა უნდა წაუმატოს გადანახული კვირადღეები. რამდენი გამოვა ნეტავ, ერთი წელიწადი ხომ მაინც გამოვა?

— მეტი! — თქვა ჯაბამ.

— აბა, ანგარიშზე, თუ კაცი ხარ! მე რომ სამოცდაათ წლამდე ვიცოცხლო, რამდენი დასვენების დღე მომიწევს?

— სამოცდაათი როგორ გეკადრებათ, ასი იყოს, — თქვა გურამმა და უბის წიგნაკი ამოიღო.

— ასი ბევრია, ოთხმოცი დაწერე, ანდა ოთხმოცდაათი!

გურამმა ჯიბეებში კალამს დაუწყო ძებნა.

— მომეცა, მე ვიანგარიშებ, — უთხრა ჯაბამ და უბის წიგნაკი გამოართვა, — ოთხმოცდაათი ხომ, ბატონო ბენედიქტე!

— ჰო, ჩანდაბას!

ჯაბამ ანგარიში დაიწყო. ბენედიქტემ სკამიდან ოდნავ წამოიწია და ჩახედა, ასე წამოწეული იღვა დიდხანს.

— თუ ოთხმოცდაათი წელი იცოცხლეთ, და ღმერთმა გაცრცხლეთ, — ჯაბამ თავი ასწია, — დაასლოვმით! — ცამეტი წლის დასვენება გამოგივიათ!

— ცამეტი? ბიჭოს? — წამოიძახა ბენედიქტემ და მთელი სხეულით სკამს დაასკდა, — ცამეტი წელიწადი ძილი როგორია, ა? უამა, სმა, თარსი რიცხვი კი არის, მაგრამ ცამეტი წელიწადი ვაგრაში ყოფნა, ა? იფ!

— ბოდიში, რომ თარსა რიცხვი გამომივიდა, — თავი გაიმიამიჭა ჯაბამ.

— ეგ არაფერი, რომ მოგვედები, მერე სულ დაისვენებ და თარსიც ვატყდება, ხე, ხე!

— რა თქმა უნდა, — დაუდასტურა გურამმა, — მერე თქვენ დაისვენებთ ცამეტი ტრილიონი წლის მანძილზე!

— მაინც ცამეტი, ხომ? — გამომცდელი თვალები მიაპყრო ბენედიქტემ, — მკვლარიც არ გინდა, დაეშვიდდე?

— დაეშვიდლით, ბატონო ბენედიქტე, მე საწყენად არ მითქვამს, სატყვას მოჰყვა.

— გეხუმრებით, მართლა კი არ მწყენია, — მხარზე ხელი დაჰკრა გურამს, მერე ჯაბას მიუბრუნდა, — ერთი მარგოზე მიანგარიშე, თუ კაცი ხარ, ვნახოთ, რამდენი წლის დასვენება გამოუვა.

— მარგო? — დუღანას შეხედა ჯაბამ.

— მარგო, მარგალიტა, ჩემს ცოლზე გეუბნები.

— კი, ბატონო, მაგრამ როდის მოკვდება... ესე იგი, რამდენი ვივარაუდო, ოთხმოცი წელი? თქვენ რაკი ოთხმოცდაათი...

— ოთხმოციო? რას მერჩი, ბიჭო?

— წამოიძახა ბენედიქტემ და სიცილი დაიწყო, — ანდა, მასწავლე, მე თვითონ ვუანგარიშებ და თვალებს დაგაპარაწინებ, რომ არ მიჭერებს, ძილად ხარ მიგდებულები-მეთქი. ეგ კარგი რამე მომაგონდა!

— წელიწადში ორმოცდაათორმეტი კვირაა, ამ რიცხვს გაამრავლებთ სიცოცხლის წლების რაოდენობაზე და

გაყოფთ სამას სამოცდახუთზე!

— დამიწერე, დამიწერე, თუ კაცი ხარ, თორემ დამაფიქვდება. რა კარგად ანგარიშობ შენ, სად მუშაობ?

— რედაქციაში.

— რედაქციაში?!

ჯაბამ დაწერა. უბის წიგნაციდან ფურცელი ამოხია. ბენედიქტემ დახედა, რალაცას თუ ვილაცას ეშმაკურად გაუღიმა და ფურცელი ჯიბეში ჩაიღო.

უცერალ ჯაბამ შეაძინია, რომ გურამი გამოიწვევად შესცქეროდა დუღანას. დუღანას იგრძნო ეს და უხერხულობისაგან ველარ ინძრეოდა, ვითომ რალაცაზე დაფიქრებულიყო, ვითომ დანა-ჩან-გლის ხმარებას ფიქრი სჭირდებოდა.

— დუღანა, ის... ას მოხუცი რამდენი წლის იქნება? — მოულოდნელად ალაპარაკდა გურამი, ვითომ ეს შეკითხვა უნდოდა და ამიტომ შესცქეროდა ისე დაეინებით დუღანას.

— არ ვიცი, — თითქოს ჯადო ასხენესო, შეიბრა დუღანა და თავი ასწია, — ალბათ, ოთხმოცის, ოთხმოცდაათის...

— მომავლადზე ამბობთ? — ჩაერია ბენედიქტე და ხელი კარისკენ გაიშვირა, — კი, იქნება ოთხმოცდაათს მიღწეული, მაგას ველარც გადააცილებს საწყალი.

— ახლა რომ ღმერთმა ის ცამეტი წელი დაუმატოს! — ინატრა დუღანამ.

— ხომ არ გაგიყლა, გოგო! — გაან-

ხილდა ბენედიქტე. ეტყობა, უკვე შემთვრალიყო, — დაუმატოს რა? ლტობია? კვირა დღეებს ისვენებდა უგუცადი, რატომ უნდა დაუმატოს?!

— სამაგიეროდ, ბევრ ღამეს თეთრად გაათენებდა! — თქვა ჯაბამ, იგი თვალს არ აშორებდა გურამს.

— კი, გაათენებდა, რკინიგზელი იყო, მაგრამ ეს რა ჩემი საქმეა, ვინ უთხრა, მაინცდამაინც რკინიგზაზე იმუშავეო!

— არალეგალურ მუშაობას ეწეოდა რევოლუციამდეო, არა, ბიძია ბენო?

— ჰკითხა დუღანამ.

— რა ვიცი მე. მამაჩემი ვინ იყო, ის არ ვიცი... ხომ არ ამოგვეტანა კიდევ ერთი ბოთლი, ა?

— არა, გმადლობთ! ბიჭები შეთანხმებულებივით ერთდროულად წამოდგნენ.

— დღეიდან ვიცი თქვენი მისამართი, — გურამმა ხელი გაუწოდა დუღანას, — დაფიქრდით, კინო არ არის ხელწამოსაკრავი საქმე... ერთი კვირის შემდეგ მოგაკათხავთ!

— ერთი თვის შემდეგ! — გაახსენა ჯაბამ.

— ჰო, ერთი თვის... გურამმა სწრაფად შემოხედა ჯაბას. ჯაბამ თვალი აარიდა.

— სად დაიქარა ის ლეტუ? — თავის-თავს ჰკითხა ბენედიქტემ და დიდ ოთახში გავიდა.

უკვლავაა თანახმა ხართ

ნინო ტიროდა.

შეე მუშაობდაგადაკრულ ტახტზე იჭდა, ჯაბას პიჯაკის გარღვეულ სარჩულს აკერებდა და ბალღივით სლუკუნებდა. ჯაბამ აღარ იცოდა. რა ექნა, როგორ ენუგეშებინა დედა, სასაუზმოდ ყოველთვის სტამბის ბუფეტში შედიოდა, ახლა შინ მოიბრინა, თითქოს გულმა უგრძნო.

დედა რაილმასკომში ყოფილა ამ დღივით, საბინაო განყოფილების გამგესთან, იმ ვილაც ზიბზიბაძესთან. ჯა-

ბაზე ხელი ჩაუქნევია, არასოდეს მიაკითხავსო, და თვითონ მისულა. იმ ზიბზიბაძეს დიდი კეთილშობილება გამოუჩენია. სიეზი ჯერ არ არის გამოკრული, მაგრამ თქვენს ქალარას პატარეს ცემ და, მეორედ რომ აღარ შეწუხდეთ, გაჩვენებთო. და უჩვენებია. მერე ფეხზე წამომდგარა და ხელი გაუწვდენია, მოგვილოცავს, ასმეოცე ხართ სიაში და გაისად ალბათ მიიღებთ ბინასო. დედას ელდა სცემია, ორმოცდამეჩვიდმეტე ვიყავით და ასმეოცე სა-

დაური ანგარიშიაო, რაღაც გეშლებათ, ბატონოო. ქალბატონო, ჩვენს მთავრობას არაფერა არ ეშლებათ. აბა, თქვენი სხვები უნდა ნახოთ, მეთუ ნომრიდან შესამასუზე რომ გადავასკუბეთო. როგორ გვეკადრებათ, რას ბრძანებთ, თქვენს ქალბატონს მინც ეციოთ პატივი, მილიონ ორასი ათასი კაცით რომ შევამცირეთ არშია, იმ ნაჯაფარ-ნაწვალეებ ხალხს ბინები არ უნდაო? პოლიტკურ პარტიზმებს რეაბილიტაცია რომ მისცა ჩვენმა ხელისუფლებამ იმ საწყალ, ტყუილ-უბრალოდ ცინეში ნაყურ-ყუბუბ ადამიანებს წართმეული ბინების სამაგიერო არ უნდაო? თქვენ ავტო დასეირნობთ ამხელა ლამაზ ქალკმში ერთობით, ცარქშიც, რა თქმა უნდა, დადიხართ, და რამდენა გაჭირვებული კაცია ამ ქვეყანაზე არ კითხულობთო... როგორც მე მიჭირს ისე გაუჭირდეს, ვინც ამ სიაში ხელებს ურევსო, დაუწყველია დედას, უგზო-უკვლოდ დამეკარგა ქმარი ოში და მას შემდეგ მე ვარ ჩემი შვილის დედაც და მამაცო, ოჯახს პატრონიც და მტერ-მოყვარის პასუხის გამცემიცო, და შენც გაგეცე საყადრის პასუხსო... გაცეცლებულა ის კაცი, მაგიდაზე ხელი დაურტყამს: მე არ ვიცი უგზოუკვლოდ დამეკარგა თქვენი ქმარი, თუ ტყვედ ჩაბარდა მტერსო, ყოველ შემთხვევაში, არ უნდა იყოს წმინდა წყლის, თორემ აქამდე უბანაოდა არ დაგტოვებდნენო, ჩვენს მთავრობას არაფერი შეეშლება, და არც ბენედიქტე ზიბზიბაძეს შეეშლება რამეო.

ბენედიქტეს ხსენებამ ყურები დააცქეტირა ჯაბას. დაწვრილებით აღაწერირა ნინოს იმ ზიბზიბაძის ვარეგნობა და კინალამ წამოიყვარა, როცა მიხვდა, რომ ასეთი ტყბილი საუბარია შეიძლება დუდნას ბიძასთან ჰქონოდა დედას.

თითქოს ოცნებად მითვლემილი იყო და ვიღაცამ უხეშად შეაჩქარია, რომ რაღაც სისულელე მიეხალა, თითქოს ცბიერმა და ბოროტმა მანქანებმა ერთმანეთს დაუკავშირა სრულიად დაუკავშირებელი — წყაროსავით გამჭვირვა-

ლე დუდნას თვალები, რომლის ყველაზე ფერადი კენჭები ცემცემდნენ და ჯაბას სხვენი, დედის ცრემლები და დუდნას ბიძა, დუდნასთან შეხვედრის ტყბილი მოგონება და ზიბზიბაძის სია, რომელშიც ჯაბას გვარიც ეწერა.

გონება უკუგაღებდა, წყვილიადში ხვევდა ამ ორ სინამდვილეს, რომ არასასურველისთვის თვალი აებეცა, გაცეურებინა, და მერე ფარულად, მხოლოდ სასურველი გამოეტანა ისევე სინათლეზე. აბერხებდა კიდევაც ამას და იმ სინათლის წაგრძელებულ შუქში ხელავდა დუდნას მომღიმარეს, მოწყენილს, განცდიფრებულს, ყოველგვარი სხვევისა და ბიძის, ხელმოკლე ცხოვრებასა და ხვალანდელ დღეზე ფიქრის ვარეშე.

მისი ფიქრები თითქოს ნაცნობ კალაპოტს მიჰყვებოდა, თითქოს ერთხელ, ოდესღაც უკვე ჩაეარა ამ კალაპოტში. შეერთებოდა ფიქრების დიდ ზღვას, სადაც თავს იყრიდა მთელი მისი მომავალი. მერე ამ ზღვიდან წყალივით ორთქლებულიყო ფიქრები და ხელახლა დაეწვიმა სათავეში, ხელახლა გამოჰყოლოდა კალაპოტს. ამიტომ ზედმიწევნით იცოდა მთელი გზა ზღვამდე, ყოველი მოსახვევი, ყოველი შენაკადი, მორევი, ჩანჩქერი, იცოდა, რომ სიკვდილამდე ეყვარებოდა დუდნა და დუდნაც მუდამ მისი ერთგული დარჩებოდა.

უცვირდა, რომ ერთმა შეხვედრამ, ერთმა ნახვამ მიანიჭა ამხელა რწმენა. წუხანდელს აქეთ მოხდა რაღაც საოცრება. მიავნო რაღაც სიმართლეს, ყველა ოცნება რომ ადვილად ასახდენი მოაჩვენა.

დედის ცრემლები კი იმ ფიქრების ზღვას დაემატა, აქამდე მტყნარი — გაამლამა, აადადა და ჯაბა ნაპირზე გამოირიყა, იმ მიწაზე — სადაც მილიონი წლის წინათ გაჩნდნენ ადამიანები და სადაც დღემდე ვერ მოუხერხებიათ მშვიდი ცხოვრება, ვერ უპოვნიათ საერთო ენა, და დღემდე ერთს, რატომღაც, მეორეზე უფრო ღირსეულად მიაჩნია თავი, მესამეს მეოთხეზე მეტი სიმდიდრე უნდა ჩაიგდოს ხელში. მეხუთე და მეექ-

ქვე თვალზე რულს არ იკიდებენ, რომ ფხიზლად დარჩენილმა რამე ფათერაკი არ დამართოს. რატომ მოხდა ასე, ამ უხსოვარი წლების მანძილზე რატომ ვერ მოგვარა კაცობრიობამ თავისი საქმეები? ჯაბა გონების თვალთ გასწვდებოდა ხოლმე უღრმესს წარსულს, კიბის საფეხურებივით ერთმანეთზე მოაშენებდა ათასგვარ დინასტიებს, უძლიერეს სახელმწიფოებს, დიდ ცივილიზაციებს, სახელგანთქმულ ხალხებს, სახელგანთქმულ მოღვაწეებს. და ყველაზე განაწყენებული იყო ჯაბა, ყველას ემდუროდა, რომ აქამდე აჭაპანეს ამ ულამაზეს მიწაზე ომი, გაუმაძღრობა და გაუტანლობა...

ამ დღითაც ახალი ცნობები გადმოსცეს საკდესის ტელეტიპებმა მოსკოვიდან — ინგლისი და საფრანგეთი ეგვიპტეს ემუქრება, სუეცის არხის მითვისება და თავის სასარგებლოდ გამოყენება უნდათ. არხი კი ეგვიპტის ტერიტორიაზეა, დამოუკიდებელ ეგვიპტეს ეკუთვნის.

„რა უნდა იმ ბენედიქტეს ჩვენგან? რატომ გვატყუებს, რატომ გვართმევს, რაც კანონით გვეკუთვნის? რაღაცას თაღლითობს...“

ჯაბა დედას მიუახლოვდა, აკოცა.

— რამე მაინც დაწერე, ბიჭო, იმ კაცზე, ტყუილად მუშაობ რედაქციაში? — ისე ხმადაბლა თქვა ნინომ, თითქოს მისი გულში ნაფიქრი მოესმა ჯაბას.

— დაწერე, დედა, მთელ რაიადმასკოშს ავატრიალებს! აი, ნახე, — ჯაბამ პიჯაკი ჩაიცვა, — შენ ხელსაც აღარ გავანძრევიანებ, მე გავაკეთებ ყველაფერს.

ნინომ შვილს ახედა, თითქოს უნდოდა შეემოწმებინა, სხვათა შორის ამბობდა ამას ჯაბა, თუ მართლა კაცური გაღაწყვეტილება მიელო.

ქუჩაში ყველაფერი დაავიწყდა ჯაბას. დინასტიებიც, ომიც, ეგვიპტეც, დედაც, ქუჩაში დედანა გაახსენდა. ისევ ის დრო იყო, ისევ მზიანი ღარი იდგა. უკვე ოცდაოთხი საათი გასულიყო მას შემდეგ, რაც დედანა გაიცნო.

ეჩვენებოდა, რომ შემთხვევით წააწყდა უცხო, ამწვანებულ კუნძულს. უკუკახეც რომ არ იყო აღნიშნული. პირველად ჯაბამ მოკრა თვალი და მაშინვე იგრძნო, რომ კუნძული ზღაპრულ სიმდიდრეს მალავდა, შეეშინდა, თვალიდან არ დაჰკარგვოდა ეს კუნძული, მერე იქნებ ველარასოდეს მიეგნო, ან სხვა დაპატრონებოდა. მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ კიდევ დიდხანს, დიდხანს ვერ გაბედავდა ნაპირთან მიღვომას, და ასე შორიდან იყნოსავდა იმ ზელუხლებელი მიწის სურნელებას, თავბრუდამხვევ ჰაერს, კუნძულს რომ ერთყა ვარშემო.

საყვედურობდა საკუთარ თავს; რატომ თვალმოუცილებლად არ უყურებდა გუშინ დედანას, რატომ არ უთხრა, რომ საოცრად ღამაში გოგოა, რომ მისი მსგავსი არასოდეს უნახავს. ახლაც უნდოდა მისი ნახვა, როგორც ბრძას — სინათლისა. ცდილობდა წარმოედგინა, სად იყო ამ წუთში დედანა, რას აკეთებდა, რასიტყუებს ამბობდა, ან რას ფიქრობდა. დაუახლოვდებოდა, თუ არ დაუახლოვდებოდა, სულერთი იყო, თვითონ მუდამ ეყვარებოდა ეს გოგო, შეუძლებლად მიჩანდა, ოდესმე არ ჰყვარებოდა. სიკვდილის შემდეგაც კი იარსებებდა ჯაბას სიყვარული, რადგან ავი რაღაც გაცალკევებულ, მესამე არსებასავით განიწილიყო. ახსენდებოდა, ძალაუფლებურად რომ დასცინა ბენედიქტეს, როგორ დაემუქრა დედანა ნეკათით, ამით საყვედური შეამცირა თითქოს. არაფერა, სულ არაფერი არ უნდოდა, ოღონდ ენახა დედანა, ყოველდღე ენახა და რაიმეთი გაეზარებინა.

საჭეროდა, რომ დედანა სულ სხვაგვარ კანონებს ექვემდებარებოდა, სხვაგვარი თვალებით უყურებდა ქვეყანას. და უნდოდა დედანას ეგრძნო, რომ ეს იცოდა ჯაბამ, პირველ დანახვისთანავე მიხვდა ყველაფერს, რასაც სხვები აღზბათ ვერასოდეს ვერ მიხვდებოდნენ. ხანდახან გაჰყენლავდა ეჭვი და გულს ბურთივით მალა შეისროდა. მოელან-

დებოდა, რომ ზღაპარს თხზავდა, რომელიც სხვისთვის დიდხანია უკვე სინამდვილედ ქცეულიყო. იმ სხვას ჯაბაზე ადრე შეეთხზა მსგავსი ზღაპარი, უკეთესიც, და მერე ცხადად ექცია.

და ახლა დუდანა აღარ მოუსმენდა ჯაბას ზღაპარს ან მოუსმენდა და გაეცინებოდა — მისთვის აღარაფერი იქნებოდა ახალი და საოცარი... შეიძლება ჯაბა მართლაც არ იყო დუდანასთვის დაბადებული, მაგრამ უნდოდა მისთვის მომკვდარიყო. ამას არავის გაანდობდა, სხვის სიახლოვეს, თუნდაც, გურამის სიახლოვეს, არც გაიფიქრებდა ამის შესახებ, რომ მეგობარი არ მიიხვდარიყო და არ დაეცინა. დუდანასაც არაფერს ეტყოდა, თვით დუდანასაც კი. მაგრამ ასე რომ მოქცეულიყო, დუდანასთვის რომ არასოდეს არაფერი არ ეთქვა თავის სიყვარულზე, ხომ უნდა ენახა დუდანა, ყოველდღე ენახა...

— რაზე დაფიქრებულხარ? — თქვა ანგიამ.

ჯაბამ თავი მალა ასწია. რედაქციაში იჯდა, მაგიდასთან.

— არაფერზე. — უღარდელი კაცი ვი? გაიღიმა და ჯიბიდან კალამი ამოიღო.

— ყოჩაღ, მაგას ბევრი ვერ ახერხებს! მაინც რაზე ფიქრობ?

— არაფერზე, ბატონო ანგია!

— უფულობამ იცის გუნების გაფუჭება.

— არც უმეგობობაა.

— აბა, კიდევ რა არის? — ანგია გამომწვევად უყურებდა, თითქოს ეუბნებოდა, ხომ ვიცი რაზედაც ფიქრობ, ბარემ გამოტყდიო.

— რა უნდა იყოს! — ჯაბამ ქალღედები ამოიღო უჭრიდან.

— რა ვიცი, რატომღაც მომეჩვენა... ახლა ბევრი ბრუნდება გადასახლებიდან, ბევრი მიცვალებული ცოცხლდება, ვიფიქრე...

— რა იფიქრეთ?! — ჯაბამ სწრაფად ასწია თავი.

— მამამისის ამბავი ხომ არ გაიგომეთქი, რამე... ყოფილი ტყვეებიც

ბრუნდებიან, ან იწერებიან გადასახლებიდან.

„ეს უკვე მეორედ... დღეს უკვე მერედ დაატყვევეს!“

— მე ერთხელ გითხარით, მგონი, — მამაჩემი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

— მე კი მინდოდა დამემედებინე, რომ ბუნებაში არაფერი არ იკარგება! — ჩაიციხა ანგიამ.

— გამდლობთ!

„არც ეგ შენი შეკითხვები დაიკარგება“, უნდოდა ხმამალა ეთქვა, ამ ფრაზის ყოველი სიტყვა თითქოს ენის წვერზე შექუჩულიყო და გამოეპო ტუჩები, ყურებს სწყუროდა მათი გახმობა, მაგრამ ვილაც უჩინარმა განსუვრიტა, რომ ამას შეხლა-შემოხლა მოკცებოდა.

— შენ ისე გწყინს, ჩემო ჯაბა, — ანგია წამოდგა და აიენისკენ გააბიჯა, — თითქოს არ გირჩევნოდეს, რომ მამა ცოცხალი იყოს... სადმე! ოლონდ ცოცხალი და უვნებელი.

— რა თქმა უნდა, მირჩევნია. — ჯაბა რალაცას ხატავდა ფურცელზე, მაგრამ იგრძნო, მისმა პასუხმა როგორ შეანელებინა ნაბიჯი ანგიას.

— ოლონდ გადასახლებაში, მხოლოდ და მხოლოდ გადასახლებაში, ეს საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა, — ანგიას ხმაც გამოეცვალა თითქოს, — მაგრამ ვაი, თუ... სადღაც, ა? ალბონებთან, ან გალებთან...

„რა გინდათ ჩემგან?“ — კინალამ წამოიყვირა ჯაბამ.

— ბატონო ანგია, — დაძაბულმა ღიმილმა მოუბრანჭა სახე, — თქვენ დიდი გულკეთილობა გამოიჩინეთ ჩემდამი, მამა გამიცოცხლეთ, გამდლობთ ამისათვის, მაგრამ...

— მაგრამ საყვედურს მიცხადებ მისი უცხოეთში გადაბეწვისათვის, არა? — გაეცინა ანგიას და ისეთი კილოთი გააგრძელა, ვითომ ხუმრობდა. — რას იზამ, ჩემო ჯაბა, რას იზამ, სიკეთემ რალაც ხომ უნდა შეიწიროს, ისე არაფერი გამოვა. გეტუმრები, მართლა არ გეწყინოს, ეს იმიტომ მომავონდა, რომ გუ-

შინ ერთი ნაცნობი ჩამოვიდა გადასახლებიდან, ყველას დაღუპული ეგონა, ხომ იცი, ახლა ბევრი რამ ირკვევა.

— დიახ, ბევრი რამ ირკვევა! — თქვა ჯაბამ და გაფითრდა, ეგონა, ანგია გაუგებდა ორპროცენტებს და თავა დაესხმოდა. ეს ერთი უფლება მისცა თავის თავს და ისიც იმ იმედით, რომ ვერ მიუხვდებოდნენ გადაკრულად ნათქვამს. მართლაც ვერ მიუხვდნენ, ეტყობა, იმ ვილაც უჩინარმა მაინც თავისი ქნა, სიტყვები კი ათქმევინა, მაგრამ შგსაფერისი კილო გამოაცალა, და ხმას საჭირო ელფერი დააკარგვინა.

„ვინ არის ეს კაცი?... ვინ იყო? რატომ სხვას არ ელაპარაკება ასე თავებულურად? თუ მართოს რომ მოიხელთებს, სხვასაც ელაპარაკება? უნდა რაღაც წამომადგინოს...“

— რა ჩინი ჰქონდა მამას? — ანგია აიენის კარებში ჩამდგარიყო და ჯაბასკენ იყურებოდა.

— აღიუტანტი იყო... — ჩამავალ მხესავით გაუწითლდა ჯაბას სახე, — პაულოუსის!

„აჰა, ხომ წამომცდა, დამანებე ახლა თავი!“

— ჯაბა! — ანგიამ მაგიდას შემოუარა და ჯაბას პირისპირ დადგა, — შენ დღემდე არ იცი, რაზე შეიძლება ხუმრობა და რაზე — არა?! შენ, პარტიის წევრმა, არ იცი ეს?

კარი გიორგიმ შემოაღო.

— გამარჯობათ! — ოთახში არ შემოსულა, — ჯაბა, წამოდი, ის მოსკოველი ჩამოვიდა.

— ვინ მოსკოველი? — იკითხა ანგიამ.

— „როდნაია სტრანადან“.

ჯაბა ცახცახებდა, მაგიდის უკრაში ხელებს აფათურებდა, ვითომ რამეს დაეძებდა. დროის მოგება უნდოდა, რომ დამშვიდებულიყო და რედაქტორს არაფერი არ შეეტყო, თითქოს ანგიაც ამას ცდილობდა, მასაც უნდოდა რედაქტორს არაფერი არ შეეტყო ჯაბასთვის, და მასლაათს აკვირებოდა.

— ეურნალ „როდნაია სტრანადან“ 6. „მნათობი“, № 5.

ნო?“ დეპეშა რომ გამოგვიგზავნა ამას წინათ?

— ჰო, კორესპონდენტმა ჩემთვის გიორგიმ. — პირველად თბილისში და მინდა ჯაბა გაეყოლო.

— რა უნდა, რა აინტერესებს?

— საქართველოს უთმობენ რამდენიმე გვერდს. რა ვიცი, გადაიღებს, რაც მოეწონება. ჯაბა, შემოდი ჩემთან!

გიორგი გავიდა. ანგიამ სწრაფად გამოიხედა ჯაბასკენ და რედაქტორს გაჰყვა.

„იქნებ მართლა იცის რამე მამაჩემზე? იქნებ მართლა უცხოეთშია სადმე?... იცის! და ახლა უნდა მოსინჯოს, შეამოწმოს, ჩვენმა ოჯახმა იცოდა თუ არა ამის შესახებ რამე. მე და დეიდა. და თუ დადასტურდება მისი ეჭვი, სათანადო დასკვნები გამოიტანოს! დასკვნებს სათანადო ზომები მოაყოლოს!“

— ჯოჯო!

ოთახში არავინ იყო.

ამ წამოძახილმა დამშეული სმენა დაუამა, დაძაბული სხეული განემუხტა. თითქოს, როგორც იქნა, ამოიგდო ყელში გახხერილი ხიწვი.

„შენ მეუბნები ამას?“ — დამცინავად იკითხა ანგიამ.

„სწორედ — მე!“

„შეენ? — ახლა განცვიფრებული ჩანდა ანგია, — მაგის თქმასაც რომ ბედავ, მივივრის!“

„ყველაფერი გასაგებია, ხელი მაღლა ასწია ჯაბამ, — გინდა თავივით მათამაშო, თვითონ კი ფიტული ხარ, კატის ფიტული, მაგრამ იცი, რომ მაინც შემეშინდება. დარდობ, ცოცხალმა რომ ვერ მოასწარი ლაღი ნაეარდი, ახლა ანაზღაურებას ცდილობ“.

„მე არა ვარ ფიტული, ფიტული შენ ხარ, მხოლოდ ადამიანისა, ჯაბა!“

„რატომ?“

„თუ ფიტული არა ხარ, ყველაფერს ხმამალა რატომ ვერ მეუბნები?“

„გძინავს! — შეჰყვირა ჯაბამ, — ვერ ამჩნევ, რომ ბევრი რამ შეიცვალა?“

„მით უმეტეს, ჩემო ჯაბა, თუ შეიცვალა, რატომ ვერ მეუბნები? აგერ, ცა-

რეელ ოთახში, ჩემს ლანდს ელაპარაკებო, ისიც გულში... ეტყობა, არ შეცვლილა არაფერი“.

„შეიცვალა!“

„ყოველ შემთხვევაში, შენ არაფერი გეტყობა, — ჩაიღიმა ანგიამ, — სულ არაფერი“.

„ამიტომ მათამაშებ?“

„ამიტომ“.

„გსიამოვნებს?“

„ვერთობი, შენი უმწეობა და შიში მართობს“.

„ახლა მე ერთ ადგილზე მიგათრევენ და იქ გაიშვორე ეგ, თუ ვაჟაკი ხარ“.

ჯაბამ ყურში წაავლო ხელი ანგიას და ძველი სასახლის გაღივანს მიადგა.

— მოდი, ჯაბა! — თქვა გიორგიმ, მერე მოსკოველ კორესპონდენტს მიუბრუნდა, — გაიცანით, ჩვენი ლიტმუშაკია, თქვენი კოლეგაცაა, ფოტო საქმის ოსტატი, ეს იქნება თქვენი გიდი!

სწრაფად წამოდგა ახალგაზრდა, მაღალი კაცი, ჯაბას ისე მავრად მოუჭირა ხელი ხელზე, რომ ქორიანი თავი შეუზანზარდა, ძალიან სსიამოვნოაო, ვიტალი პეჩნევა ვარო, მერე ისევ დაჯდა, რედაქტორს მიუბრუნდა და, ეტყობა, დაწყებული საუბარი განაგრძო:

— თქვენ წარმოიდგინეთ, ის დაქრილი მაინც მიიყვანეს ჰოსპიტალში, ვალდებულები იყვენენ სანიტრები, რადგან ტანკის აფეთქებისგან ხელფეხწაწყვეტილსა და სულ ერთიანად დანახშირებულ მეომარს გული მაინც უძგერდა, ცოცხალი იყო. მორჯში დააწინეს, ხვალამდე, სულერთია, მოკვდებაო... მე ვუამბობ ერთი ინგლისელი ჟურნალისტის ჩანაწერებს, — ჯაბას მიუბრუნდა ვიტალი, — ძალიან საინტერესოა, უსმინეთ... მაგრამ მეორე დღეს გული ისევ ძგერდა, ეს დაუჭერებლად მოუჩვენათ ექიმებს, მხოლოდ ერთი ხელისდადება კანი ჰქონდა შერჩენილი მკერდზე, სულ დამწვარი იყო, დაბრმავებული, ენაჩავარდნილი. ექიმებს საკუთარი თვალების არ სჯეროდათ; ამ კაცის სიცოცხლე შეუძლებელი იყო. ახლა თვითონ შეუწყვეს გარედან ხე-

ლი, ხელოვნური კვება, ნემსების/კეთება. გადიოდა დღეებზე, გულს: მუშაობდა, — ვიტალიმ ბუნდოვნად მოკვდა ჩაახაჯუნა და ჩამქრალი სიგარეტი გამოაცოცხლა, — შობა დღეს... ჩვენ ხომ არ გვაგვიანდება? — უეცრად მიმართა ჯაბას და საათზე დაიხედა.

— არა, არა, განაგრძეთ! — ჯაბას მაგივრად უპასუხა გიორგიმ.

— შობა დღეს მოწყალეების დამ ავადმყოფებს ჩამოუარა, მიულოცა, დაასახუქრა. იმ დანახშირებულ დაქრილთანაც შეჩერდა თურმე და, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, მკერდზე სალად შერჩენილ კანზე თითოთ ჭვარი დაუსვა, უეცრად ავადმყოფს თავი გაუნძრევია, მოწყალეების და განცვიფრებულა, ექიმებისთვის უცნობებია. და ექიმებმა დაასკვნეს, რომ დაქრილი მეომარი აზროვნებდა, მისი გონება მუშაობდა, ოღონდ, ასე ვთქვათ, აღარავითარი საკომუნიკაციო საშუალებები აღარ შერჩენოდა, რომ ადამიანებთან კავშირი დაემყარებინა. ახლა ნახეთ, რა ბრწყინვალე იდეა დაეზადათ; მორჯეს სპეციალისტი მოიწვიეს, დასვეს დაქრილის სასთუმალთან. სამი თვე ასწავლიდა მორჯეს ანბანს, საღ კანზე დახაზავდა ჯერ ასოს, მერე მის შესაბამის მორჯეს ნიშანს. ბოლოს თავქვეშ ელექტროლიაკი დაუდეს, ზართან თუ ნათურასთან შეერთებული, და დაქრილი „ალაპარაკდა“. თქვა თავისი სახელი და გვარი, სადაურობა, როგორ დაიჭრა, როგორ იგრძნო, სანიტრებმა რომ აიყვანეს და წამოიყვანეს. წკრიალებდა ელექტროზარი და ყვებოდა მის ბიოგრაფიას, ხომ საინტერესო ისტორიაა? — ვიტალი მოულოდნელად წამოდგა, — ახლა წავიდეთ, მანქანა ნამდვილად არის?

— კი, ქვემოთ გელოდებთ! — ადგა გიორგიც.

— ესე იგი, ამ ფოტოებს იტოვებთ!

მაგიდაზე ფერადი ფოტოსურათები იყო გაფენილი — შავი ზღვის სანაპიროს ხედები, რიცხა ტბა, თბომავალი „საქართველო“...

— დაეიტოვებთ, ჩვენს მხატვარს ვაჩვენებთ და...

— ...შეარჩევთ. ეს, ეს და ეს. ეს კი არ გინდათ, შემოძლია წავიღო, ძალიან კარგი, — ვიტალიმ სურათები პორტფელში ჩაილაგა, — აბა, ჯერჯერობით, ხელ შემოვივლი. იქნება თქვენი მხატვარი? აბა, ჯერჯერობით, — ვიტალიმ სათითაოდ ყველას ხელი ჩამოართვა, — ოჰ, ჩვენ ხომ ერთად მივდივართ! — წამოიძახა, მაგრამ ჯაბას თითები უკვე მის ხელში იწურებოდა.

ვიტალი პენსებს მთელი ქალაქის გადაღება უნდოდა. ვინ იცის, მეორედ როდის ჩამოვალო, — ეუბნებოდა მანქანაში ჯაბას, — მალე თბილისის 1500 წლისთავს ვიზეიმებთ, იმ დღეებისთვისაც გამომადლებთ ფოტოებით. გადავწყვიტე, მომავალში არასოდეს ვინანო, რატომ არ გადავიღე ესა თუ ის პეიზაჟი, ქუჩა, ან ტაძარიო. ბევრჯერ კი მივინანია, როგორც აბლობელი ადამიანის სიკვდილის შემდეგ ნანობ, უფრო მეტ უტრადლებას რომ არ იჩენდი მისადმიო.

— საიდან დაეიწყით? — ჰკითხა ჯაბამ. იგი ღელავდა იმ მშობელივით, შეიღს რომ საინტერესო წიგნი უნდა წაუკითხოს, და ეშინია, ვაი, თუ შეიღმა არ განიცადოს ისე, როგორც ერთ დროს თვითონ განიცადა.

— ჩემთვის სულერთია!
— ძველი თბილისის ქუჩები, ნარიყალას ციხე, სახლი, სადაც პუშკინი ცხოვრობდა...

— ყველაფერი მინდა!
— ხელოვნების მუზეუმი. ძველი ოქრომჭედლობა...

— აუცილებლად! და ფიროსმანის რეპროდუქციებიც უნდა გავაკეთო.

— ახალი სანაპირო, იმელის შენობა, ელსადგური შუაქალაქში, მცხეთელი მეყვავილე...

— ჰო, მითხრეს, და ჰვაბუკიანთანაც უნდა მივიღე. „ოტელოს“ დგამსო. ვერ წარმომიდგენია „ოტელო“ და ბალეტი.

— დღეს ამდენს ვერ მოვასწრებთ.
— რასაც მოვასწრებთ.
დაღლილ-დაქანცულები, სადამოს

ისევე რუსთაველის პროსპექტზე დაბრუნდნენ, მანქანა გაისტუმრეს და ბორჯომის წყლის მაღაზიაში შევიდნენ. ვიტალი ძალიან კმაყოფილი იყო; მოსკოვში გავამჟღავნებ ამ ფირებს და, ალბათ, ხელმეორედ განვიციდი დღევანდელ დღესო. ჯაბა უყურებდა ვიტალის მხარზე გადაკიდებულ „ლინგოფის“ ფოტოაპარატს, თბილისის ერთი დღე რომ მიჰქონდა სახსოვრად.

სულ ბოლოს შამპანური ღვინოების ქარხანაში იყვნენ, სხვადასხვა ხარისხის სასმელები დააჰამნიკებინეს და ცოტა მეტი მოუვიდათ.

— ღმერთების სასმელია ეს ბორჯომი, — ამბობდა ვიტალი და თეთრი ბუშტებით მოწინწყლულ ჰიქას ნელნელა ცლიდა, მერე ბავშვივით ყურთან მიიტანა ნახევრადდაცლილი ჰიქა, — შიშინებს, — გაიღიმა მან. — ერთი გეულირი ტომია აფრიკაში, თუ ავსტრალიაში. როცა მოწყურდებით, ჯერ მიიხედ-მოიხედავენ თურმე, მტერი, ან ნადირი არ იყოსო სადმე, მერე თავს მთლიანად ჩაჰყოფენ წყალში, და სვაშენ. მეც ასე დავლევდი ბორჯომის წყალს!

— თავს ბოლომდე ჩაჰყოფენ?
— ჰო, ველარაფერს ხედავენ და აღარაფერი ესმით. ამ დროს ნადირი რომ მიუახლოვდეს, მშვიდობით...

— მაგას თუ უცადეს ნადირებმა, შიმშილით დაიხოცებოან.

— ჰო, — გაეცინა ვიტალის, — მაგალითად... დამისხით, თუ შეიძლება კიდეც... გმადლობთ, მაგალითად, ეგვიპტელებს არასოდეს ჩაუყვიათ თავი სუეცის არხში, ჩვეულგებრივად სვამენ წყალს, ინგლისს და საფრანგეთს კი მაინც ჰგონიათ, რომ ეგვიპტე ვერაფერს ხედავს და არაფერი ესმის, ამიტომ თავდასხმას აპირებენ.

— ვითომ მართლა დაიწყებენ ომს?
— არ ვიცი, ჯერჯერობით, მე მგონია, აშინებენ, მაგრამ ბიძაჩემი უკვე ეზადება წასასვლელად.
— ბიძათქვენი?
— ლოცმანია. ინგლისი და საფრან-

გეთი უცხოელი ლოცმანების გაწვევას აპირებენ სუეცის არხიდან, უნდათ მოშალონ მუშაობა, იქნებ უკვე გაიწვიეს კიდევ.

— და თქვენი ბიძა მიდის იმ ლოცმანების შესაცვლელად?

— ჩემი და სხვებიც. პენსიაში აპირებდა გასვლას და გამოუძახეს.

ვიტალიმ მადლობა გადაუხადა წყლების გამყიდველ ქალს, კედლის გრძელ სარკეში ჰალსტუქი შეისწორა. გარეთ გამოვიდნენ.

— ომის დაწყება ფულისა და მოგებისათვის? — ზიზღით თქვა ჯაბამ, — მირჩენია, ისევე მშვენიერი ქალის გამო ატყდეს ომი, როგორც ძველად ხდებოდა.

— სუეცში მარტო ფულსა და მოგებას არ ჰყარგავენ, ზეგავლენას ჰყარგავენ არაბეთის ქვეყნებზე.

— ეგეც იმ სიმღერისაა... ომი ფულისათვის?

— შენ ძალიან გააპროზაულე ომი! — გაიღიმა ვიტალიმ.

— ძალიან... საწყალი ომი!

პროსპექტი გაჩირადნებული იყო. დამე თითქოს ამ სინათლის ზედაპირზე ტივტივებდა და ქუჩამდე ვეღარ აღწევდა, ვარსკვლავებსა და სახლის სახურავებს შორის გაჭედდილაყო. ჰაერი გაენახებინა დამკვირვებელი ფოთლების სუნს. მთაწმინდიდან თითქოს მორბოდნენ დაღმართები და პროსპექტთან ძლივს იკავებდნენ თავს. ქუჩების შესაყართან უფრო გრილოდა და გამველენი სასაუბროდ არ ჩერდებოდნენ.

— ამის გადაღება რომ დაგვაიწყდა?! — ვიტალის გაზონის მოაჯირზე შეეღდა ფეხი, ოპერის შენობას ვაკუურებდა.

— ეგ ხვალ დილით გადაიღეთ.

— თეატრი ღამით ჯობს, ნახე რამდენი ხალხია მიმწყდარი კარებზე. — ვიტალიმ წინ წამოიგდო ფოტოაპარატი და თვალთან მიიტანა, მერე ადგილი მოინაცვლა. — არაფერი არ მოხერხდება! — აცნობა ბოლოს ჯაბას, —

ეს ოხერი მავთულები ფარავს მთელ კადრს, სხვა გზა არ არსებობს. — მადლობა უნდა ვცადო.

— მადლობა?

— ჰო, — ვიტალი შეტრიალდა და მათ წინ გადმოყუდებულ ხუთსართულიან სახლს ახედა, — ხვალ სპექტაკლის დაწყებისას მოვალ და სახურავზე ავძვრები, ახლა მაგის თავი არა მაქვს.

ჯაბას უეცრად მთელი სტეული მოერღვა; დუდანას სახლის წინ იდგნენ.

— აბა, ჯერჯერობით, ჯაბა, წავალ ახლა შინ, დიდი მადლობა, მთელი დღე გაგაცდენინე. რას ამბობენ ქართველები გამოთხოვებისას?

— „მშვიდობით“.

— მაშ, მშვიდობი, ჯაბა!

ჯაბას გაეცინა.

— კარგი, ხვალ მასწავლე! — ვიტალი შებრუნდა და უკვე შორს წასულმა, ხელი დაუქნია ჯაბას.

მიჯაჭვულივით იდგა. მალულად ათვალეობდა სახლის აივნებს, აიხედავდა და უცხადვე დახრიდა თავს. უეცრად იგრძნო, რომ ავიდოდა. გამოკვეთილად მოელანდა, როგორ გაულო კარი დუდანამ, გულისცემა კინადამ შეუჩერდა.

„ვითომ ვიღაც ხეპრე ვარ, სულელი, უტაქტო... ვითომ არც მესმის რას ვაკეთებ, იფიქროს ასე... ოღონდ ვნახო“.

სადარბაზო ახლა უფრო განათებული მოჩვენა. მძიმედ მიაბიჯებდა საფეხურებზე და არ სჯეროდა, რომ ეს მისი ფეხის ხმა იყო. თითქოს აღიოდა მართლა ვიღაც ხეპრე, სულელი.

„უფრო მოვიმთვრალო თავი? შეიძლება შეშინდეს. შეიძლება სულაც არ არის შინ, ღამით აქ არ ვრჩებიო“.

ამ ფიქრმა გაათამაშა. მივა, დააკაყუნებს და გამობრუნდება. მერე ოდესმე ეტყვის, როგორ ესტუმრა. დუდანა, რა თქმა უნდა, განცვიფრდება.

„მეორე დღესვე?“

„ჰო, მეორე დღესვე“.

„შინ რომ ვყოფილიყავი, ალბათ, არ შემოგიშვებდი“.



„არც მე შემოვიდოდი, განახედი და წავეიდოდი“.

„კი, მაგრამ რას მოიმიზეზებდი, რატომ მოვედიო“.

„რამეს ვიცრუებდი, გკითხავდი, გუშინ თქვენთან ფოტოაპარატი ხომ არ დამჩა-მეთქი“.

ჯაბა ხის მაღალი კარის წინ იდგა. საიდანღაც ისმოდა ქალების სიცილი. მისუსტდებოდა თუ არა ერთი ტალღა, მაშინვე მეორე წამოეწეოდა. წაიღო ხელი კარისკენ და ისევ ძირს დაუშვა. იდგა და ვერ გაებედნა დაკაქუნება. უეცრად მოეჩვენა, რომ მართლა სისულელეს ჩადიოდა, ხვალ თავისუფლად შეეძლო ამოჰყოლოდა ვიტალის და იქნებ შემთხვევით ენახა კიდეც. სულაც დუღანას სთხოვდნენ და მისი აივნიდან გადაიღებდნენ ოპერას. ყველაფერი მშვენიერად ჩაივლიდა. ბუნებრივად. ოღონდ ხვალამდე უნდა მოეთმინა. ამ აზრით გახარებული, შემოტრიალდა, კიბისკენ აპირებდა წასვლას, რომ უეცრად გასაღების ჩხაკუნი მოესმა, ვილაც აპირებდა ხის კარის გაღებას, მგონი, დუღანას ხმაც მოელანდა.

„გააღებს და შეჰკივლებს ალბათ, ვილაც ვეგონები“.

მიიბრინა და კარგა მაგრად დააბრახუნა, იმ კაცივით, დიდხანს რომ არ უღებენ კარს.

გასაღები გაიტრუნა.

— ვინ არის? — მოესმა ქალის შემკრთალი ხმა.

— დუღანა მინდა... თუ არის შინ!

— დუღანა, დუღანა! — ხმა თანდათან გაშორდა კარს. — დუღანა, ვილაც არის შენთან.

ჯაბას მუხლები უთრთოდა.

კარი გაიღო და ჩაბნელებული ოთახიდან დუღანამ გამოიხედა. ჯაბამ შეატყუო, რომ ვილაც ნაცნობს ელოდა მისი თვალები. მაგრამ მყისვე შეეცვალა გამოხედვები.

— უჰ... მე მეგონა...

— გამარჯობა, დუღანა!

— გამარჯობა! მე ვიფიქრე...

— მაპატიეთ, რომ ასე უდროო

დროს გაწუხებთ!

— მო... მობრძანდით! — უკარგე ფართოდ გააღო, მის უკან ორჯოგოტუხულიყო.

— გმადლობთ, დუღანა... მეგონა, არ იქნებოდით შინ და იმიტომ... — ჯაბა დაიბნა.

გოგოებს სიცილი წასკდათ.

— მობრძანდით! — ხმა დაუშვინდა და დუღანას.

„ღმერთო, რა ლამაზია, სულ აღარ მახსოვდა, ქსეთი ლამაზი რომ იყო“.

— არა, გმადლობთ, გუშინ.. თქვენთან ობიექტივის სახურავი ხომ არ დამჩინია? მაპატიეთ, რომ...

— ობიექტივის?

— ჰო, ფოტოაპარატის სახურავი, მრგვალი, შავი პლასტმასის...

— არკვიცი, — დუღანამ ბნელ ოთახში შეიხედა — აქნებ დაგჩინათ, დაძებნი და... შემობრძანდით!

— დუღანა, წავედი ესე იგი, ხვალ შეიდ საათზე ვაგრძელებთ! — თქვა ქერა გოგონამ, ჩაზნექილი წელი და მაღალი კისერი რომ ჰქონდა.

— შენ, ნათელა? — მეორე გოგოს მკლავში ხელი წაავლო დუღანამ, — შენ ნულარ მიდიხარ!

— ნახევარ საათში დავბრუნდები!

— ვიცი, აღარ დაბრუნდები და მომკლავს ბიძაჩემი, თუ ამაღამაც არ გავათიე ღამე, აჰ.

— დავბრუნდები! ცოტას გავისეირნებ... — ნათელამ ჯაბა აათვალიერა.

ჯაბამ იგრძნო დუღანას შიში: უხერხულ მდგომარეობას ირიდებდა თავიდან.

— მე წავალ. თუ თქვენთან აღმოჩნდა, ის სახურავი, მოგაყითხავთ, ან ტელეფონის ნომერს დაგიტოვებთ და...

— მოითმინეთ, დაძებნი ახლაც. ნათელა, მარი! — მრავალმნიშვნელოვნად/გამაზა აშხანაგებს.

გოგონებმა ერთმანეთს რაღაც გადუჩურჩულეს და კიბესთან მისულნი, უკანვე გამობრუნდნენ.

— მობრძანდით! — დამშვინდა დუღანა, — ახლაც დაძებნი.

დიდი, ბნელი ოთახი გაიარეს და მარჯვნივ, მომცრო ოთახში შევიდნენ. ჯაბას მამაშინვე გურამი გაახსენდა.

— რატომ დაგვაბრუნე? ხომ იცი, დაბრუნება არ ვარგა, — უსაყვედურა ნათელამ დუდანას და სამზარეულოსაკენ გაემართა, თავისი სწორი ფეხები და ლამაზი ტანი გააცნო ჯაბას.

„ჯაბა ალავექე.. ძალიან სასიამოვნოა“.

— წყალი შემწყდარა! — დაიძახა სამზარეულოდან ნათელამ.

ახლა მარი შეტრიალდა და თითქოს ნათელას დასცინისო, ისევე ზანტად და ტანის რხევით მიადგა სამზარეულოს კარს.

„ალავექე ჯაბა... სასიამოვნოა, ძალიან სასიამოვნო, თქვენი გაცნობა“.

სამზარეულოდან დუდანას დაუძახეს.

— მამატიეთ, ახლავე!

დუდანა ორივეს ჯობდა.

მაგიდაზე იდო „ანატომიური ატლასი“, ცარცის ქაღალდის ფურცლები აღუნულიყო და ერთდროულად რამდენიმე ფერადი ილუსტრაცია მოჩანდა. ადამიანის კრილი — სისხლძარღვთა სისტემა, ადამიანის კრილი — ნერვული ბოჭკოები, გული — წითელი აორტა ეანგზადით გაქლენთილი სისხლით სავსე ვენები — შხამიანი ნახშირორქანით გალურჯებული.

ეტყობა, გოგოებმა არ იცოდნენ, რა დიდი ხალისით ატარებდა ხმას სამზარეულოს კარი. ჯაბას მოესმა:

— ვინ არის?

— რატომ ჩვენ არ ვიცნობთ, ან რატომ არ გვაცნობ?

— მაინც, ვინ არის? რალაცას გვიმალავ, დუდანა!

— უყვარხარ?

— უუ, როგორ გაწითლდა?! ცუდადაა საქმე.

როდესაც გოგოები, ვითომ აქაც

არაფერიო, სიცილ-სიცილით შემობრუნდნენ ოთახში, ჯაბას კინაღამ წამოსცდა, ყველაფერი შესწორდა.

— მამატიეთ, სულ დამავიწყდა ჩემი ამხანაგების გაცნობა, — თქვა დუდანამ.

— მე უკვე გავიცანი! — ჯაბა ფეხზე წამოდგა.

— როდის?! — გაიოცა ნათელამ და სენსაციური ამბის მოსასმენად მოემზადა.

— მე ვიცი, რომ თქვენ ხართ ნათელა, თქვენ — მარი, სწავლობთ ბიოლოგიური ფაკულტეტის მესამე კურსზე, თქვენ შინ აპირებთ წასვლას, თქვენ კი ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდებით და ღამეს გაათევთ დუდანასთან, საკმარისია?

— საკმარისია! — გაიცინა მარამ, — ნათელა, წავიდეთ, აქ ყველაფერი სცოდნიათ ჩვენზე.

გოგოები გამოემშვიდობნენ ჯაბას, დუდანა ამჯერად აღარ ეპატიებოდა.

— ჩემს დაბრუნებამდე დუდანა არ მიატოვოთ, თორემ რაღაც დაემართება შიშისაგან, — თქვა ნათელამ, ფეხაკრეფით გაიარა დიდი ოთახი, თან ავადმყოფის საწოლისკენ იყურებოდა. — ახლა რომ წამოხტეს!

დუდანა მალე შემობრუნდა. თვალი აარიდა ჯაბას.

— ახლავე დაქვებნი, — თქვა მან და იატაკი მოათვალიერა, — თქვენ აქ იქვქით გუშინ.

მაგიდის ქვეშ შეიხედა, მერე, წელში მოხრილმა, ოთახის შემოვლა დაიწყო.

— მე აივანზეც გავედი გუშინ!

ამას როცა ამბობდა, გარკვევით გაიგონა დუდანას აჩქარებული სუნთქვა. „ალბათ მაინც არ მენდობა, ეშინია. უცხო ვარ, რაც არ უნდა იყოს. ხომ შეიძლება ამ უცხომ რამე გააფრინოს?“

უცბად შერცხვა, რომ ასე ტყუილუბრალოდ აწვალედა დუდანას. არაფრის მოქმედება თხოვდა და დუდანაც მორჩილად ექმებდა არაფერს. მისკენ ზურგშებრუნებული დუდანა დაიხარა

და ოთახის კენჭულში რაღაცას დასწვდა იატაკზე. ჯაბას თვალები დაუსუსხა წინდების ყელსა და კაბას შორის გაელვებულმა ფეხების სითეთრემ. თავი სწრაფად მოაბრუნა. კედელს შეხედა. გული მკერდის გამოხგრევას ლამობდა, დაიხევდა უკან და დაქვევებოდა, ისევ და ისევ... უნერბულობისაგან „ანატომიურ ატლასს“ დაუწყვო ფურცლა, თითქოს იქ ამოხსნიდა საკუთარი მღელვარების მიზეზს.

„დუღანაზე მე არაფერი არ უნდა ვიფიქრო, შეიძლება ყველაზე ვიფიქრო, ოღონდ დუღანაზე არა, დუღანა აქაური არ არის...“ — თავი უნებურად შებრუნდა და თვალებშიც დაუკითხავად მოძებნა ის სითეთრე.

დუღანა წელში გაიმართა.

— ახლა აივანზე დაძებნი!

— დუღანა... მე არაფერი არ დამკარგვია!

— არაფერი?!

— ვიფიქრე, მართლა და აღბათ, ეშინია-მეთქი. ამოვედი. მართლა ხომ შეგეშინდებოდა, მართო რომ ყოფილიყავი? — შემეშინდებოდა.

— ახლა ის ნათელა რომ აღარ დაბრუნდეს?

— ბიძია ბენოსთან წავალ.

— ასე გეშინია იმ მოხუცის?

— საწოლს შირმა ააფარეს, ახლა ვეღარ ვხედავ. ახლა მეცოდება.

— მოხუცი?

— ჰო. ცოცხალია და არაფერი ესმის, ვერაფერს ხედავს, ვერ მოძრაობს. ახლა შირმაც ააფარეს. იქნებ ყველაფერს გრძნობს? ვფიქრობ ზოლმე და მეცოდება.

— თუ გეცოდება, მაშინ აღარ უნდა გეშინოდეს.

— მგონი, აღარც მეშინია. ბიძია ბენო კი მაგის სიკვდილს ელოდება, რომ ეს ბინა ხელში ჩაიგდოს.

— რაა?!

— ბიძია ბენო-მეთქი, მოხუცის სიკვდილს ელოდება, რომ ეს ბინა ხელში ჩაიგდოს!

ჯაბამ იგრძნო, რომ დუღანა ამ ამბავს

არავის არ გაუმელავენებდა ქვეყნად. მხოლოდ ჯაბას უთხრა. ჯაბასთვის უგაოლო მსხვერპლად ეს საიდუმლო იქნებოდა კიდევ იმიტომ უთხრა, რომ საინტერესო ამბის მცოდნედ მიეჩნია იგი ჯაბას და ამით თვითონაც საინტერესო გამხდარიყო.

— შენ საიდან იცი, დუღანა?

— ვიცი, ყური მოვკარი, ამხანაგს ეუბნებოდა.

— სად მსახურობს ბიძაშენი? — ჯაბა გაინაბა პასუხის მოლოდინში.

„ნათელ მართლა ის არის?“

— რაილომსაკომში!

„ის არის!“

— მერე შენ ეს გაიგე და არაფერი უთხარი?

— ვუთხარი. ჯერ დამიბღვია. მერე გაიციანა, ბევრი იცინა. მითხრა: სულელი ხარ, ის ბინა ხომ მე შენთვის მინდა, უბატრონო მყავხარო.

— იქნებ მართლა შენთვის უნდა!

— არა.

— მაშინ რატომ ესმარები, შენ ხომ ძალაუნებურად ესმარები. რატომ ცხოვრობ აქ?

— იმიტომ, რომ... — დუღანა გაწითლდა, — იმიტომ, რომ... მე ჯერ არ მიცხოვრია აქ, ხვალვე დავბრუნდები სტუდენტალაქში.

— მაგარამ იქნებ მართლა შენთვის უნდა?

— არ ვიცი... იქნებ უნდა...

როგორ სურდა ახლა ეთქვა, რომ ენატრებოდა. დუღანას გვერდით იჯდა და მაინც ენატრებოდა დუღანა. როგორ იფიქრებდა, ამ სისულელებზე თუ ილაპარაკებდნენ.

— ახლა რომ აპარატი მქონდეს, აუცილებლად გადავიღებდი სურათს, ისეთი... ისე კარგად ზიხართ!

— უჰ, ნეტავ გქონდეთ, — სახე გაუბრწყინდა დუღანას, — მე ძალიან მიყვარს სურათების გადაღება.

— მართლა? მაშინ მითხარით და, როცა გნებავთ, გადაგიღებთ.

— თქვენ აღბათ ძალიან კარგად იღებთ.

— არც ისე.

— ის სურათები როგორი გამოვიდა?

— დუდანამ თავი ჩაღუნა, სუფრის ფონებს დაუწყო წვალემა.

— რომელი? — წარბი მალლა ასწია ჯაბამ.

— აი, ის... ბალ-მასკარადზე რომ იღებდით! — დუდანამ სწრაფად შეხედა ჯაბას და ისევ ჩაღუნა თავი.

— შენ... თქვენ რა იცით?! თქვენც იყავით მასკარადზე?

დუდანა წამოდგა, ფანჯრის რაფაზე წიგნები ეწყო, პატარა, თხელი წიგნი მოძებნა, გაშალა. მერე წიგნიანად ჯაბასკენ გამოემართა. აუჩქარებლად, ხმა-ამოუღებლად, თითქოს რაღაც რიტუალს ასრულებდა.

— რა იცით-მეთქი, რომ მასკარადზე სურათებს ვიღებდი, თქვენც იყავით? — ჯაბა თვალს არ აცილებდა დუდანას დაბრკოლ წამწამებს.

გაშლილი წიგნი დუდანამ მაგიდაზე დადო, თვითონ ისევ ფანჯრისკენ გაბრუნდა აუჩქარებლად, ხმა-ამოუღებლად.

ჯაბამ წიგნს დახედა. ფურცლებს შორის გატრეცილი, გამხმარი ცისფერი ყვავილი იდო, ისე გატრეცილი და გამ-პვირვალე, რომ მის ქვეშ ასოები იკითხებოდა.

— რა წიგნია? — ჯაბამ ყდას დახედა.

დუდანა ისევ ფანჯარასთან იდგა, ჯაბასკენ ზურგშექცეული, ახლა სხვა წიგნი გაეშალა და შიგ იხედებოდა.

„რა დაემართა?“

... და უეცრად ყველაფერი გაახსენდა.

„ჩემი ნაჩუქარი ყვავილი შეუნახავს!“

— ის შენ იყავი, დუდანა?!

დუდანა არც ახლა შემობრუნებულა ჯაბასკენ, მხოლოდ თავი დააქნია, შეიჩხა, შეტოკდა მისი მბზინავი თმა, მერე გაიჩინდა.

„ჩემი ნაჩუქარი ყვავილი შეუნახავს!“

ჯაბა გრილმა, სწრაფმა მდინარემ გაიტაცა.

— მგონი, ბოშა ქალის კაბა გეცვა, ხომ?

კვლავ შეიჩხა, შეტოკდა მბზინავი თმა.

„ჩემი ნაჩუქარი ყვავილი შეუნახავს!“

მდინარე მიაქანებდა ტალღებში ტრეცილ ტრეცილ ჯაბას.

— დარბაზს გადაჰყურებდით... დარბაზში ცეკვავდნენ, ხომ ასე იყო?

დუდანამ ისევ დააქნია თავი.

მდინარე მოწყდა და ჩანჩქერად გადაეშვა, და ჯაბაც გადაიყოლა.

კარზე დააკაუნეს.

დუდანამ მაგიდასთან მოიბრინა (დუდანა იყო ეს?). თხელი წიგნი, შიგ გატრეცილი ყვავილი რომ იდო, სადღაც შეინახა და გავიდა. ჯაბამ გაიხედა ფანჯრისკენ, სადაც ერთი წუთის წინ დუდანა იდგა, მისკენ ზურგშექცეული. იქ, იმ ადგილას იდგა დუდანა...

ქუჩაში მიდიოდა ალტაცება, რაღაც სასწაულით თაფლისფერი, ანთებული თვალები გამოსხმოდა. ზღაპრული ოქროს ჩიტებივით მღეროდნენ ქუჩის ელნათურები, ფეხი აედგათ ჰადრებს, გვერდით მოსდევდნენ და საცეკვაოდ იწვევდნენ... უკუნი წყვილივით შენიღბულ ზღვას დროდადრო თითქოს კლდეზე მიხლილი ტალღების შხუილი ანათებდა, და ნაპირ-ნაპირ გარბოდა ჰაერში აფარფატებული შხეფების საყვლო-ატრეცილებული ბავშვივით მიბაკუნებდა ცაზე თმაბუტუტა ღრუბელი, ბურთივით მრგვალი მთვარე კი სულ სხვა მხარეს მიგორავდა... და ჯაბას ეჩვენებოდა, რომ თავისი მსუბუქი ნაბიჯებით დედამიწას ატრიალებდა, როგორც ოქროსფერ ლითონის სფეროს ზედ შემდგარი ცირკის ჯამბაზი.

ესალმებოდა ყველა უცნობს, ვინც კი შემთხვევით თვალს გაუსწორებდა. ჩერდებოდნენ და განცვიფრებულნი იხედებოდნენ მისკენ. გულში იცინოდა თავის ანცობაზე, ძალიან უყვარდა ახლა ის უცნობები, ის განცვიფრებული ძიები და დეიდები.

თვალჩაუწყვდენელი სიღრმე გაჩენილიყო სულში, იმდენი რამ ხდებოდა იქ, იმდენი ტყვილი და სიამე ირეოდა

ერთმანეთში, მთელი სამყარო იყო, და იმ სამყაროში ყველგან დუღანა იდგა, ყველგან დუღანა იღიმებოდა, ყველგან დუღანას დაეხარა წამწამები და რაღაცა დაელონებინა.

ხანძარივით ერთო ჯაბა, მას ახლა არ უნდოდა ეფიქრა, რომ ქვეყნად არსებობდა თავისმა წვიმაც, არსებობდა წყალი, არ უნდოდა ოდესმე ჩამქრალიყო, სურდა ცეცხლის ენაზევით მოუსკვნარად ეცოცხლა და ეამბნა ყველასათვის, თუ რა ხდებოდა ხანძრის გულში.

გაახსენდა: რა ირონიულად იკითხა ნათელამ დუღანასთან დაბრუნებისას: „რა ჰქვნი, იპოვეთ ის აპარატი, თუ რაღაც სახურავი?“ „ვიპოვეთ!“ — უპასუხა დუღანამ. ჯაბას აღარ დაუყოვნებია, მაშინვე წამოვიდა. და ახლა უსახლკაროსავით ხეტიალობს ქუჩებში. ასე ჰგონია, თუ შინ დაბრუნდა, სხვენი ფიქრის საშუალებას არ მისცემს, დახუთული ჰაერი გააბრუნებს და მალე ჩაახინებს. ძილისა კი ამ წუთში სიკვდილივით ეშინოდა: ველარაფერს იფიქრებდა მამინ.

კიროვის ბაღში შევიდა, ბეივანს გაპყვა და სანაპირო ქუჩას გადაადგა თავზე. გრილოდა. ბალახი მოგლიჯა, თითებში დასრისა და უყნოსა, წუთით გააბრუნა ბალახის წვენი მკვეთრმა სუნმა. მტკვარი შეეგუბებინათ, მთავარი ძარღვივით ამობერილიყო მდინარე. შორეულ სიზმარს აგონებდა დუღანასთან სტუმრობა. „სიტყვა-სიტყვით“ იგონებდა განვლილ დღეს, საყვარელი წიგნივით თავიდან ფურცლავდა და ვითომ ჭერ არც კი იცოდა, როგორ დამთავრდებოდა ამბავი, განგებ აქიანურებდა იმ წუთთან მიახლოებას, როცა დუღანას ოთახში უნდა შესულიყო...

უეცრად ამ საამო ფიქრებში უხეშად აედარუნდა ერთი სიმი, თითქოს ვერ ამჩნევდა და თითო შემთხვევით მოუხვდა.

თვალწინ დაუდგა სადარბაზო შესასვლელის ნახევრადჩაბნელებულ დერეფანში ატირებული გოგონა. ალბათ, მართალი იყო გურამი — რაღაც გამორჩა

ჯაბას, რაღაც წვრილმანს, თუ მნიშვნელოვანს არ მიაქცია მაშინვე უნდა დედა იმითომ იქცა ყველაფერზე მაშინვე უნდა დედა გაახსენდა ის დღე. გაახსენდა, როგორ გაჩნდა ქალაქში ერთბაშად ორი ადამიანი, ორი გოგო, არაფერს კარგს რომ არ ფიქრობდნენ ჯაბაზე.

„ერთს ქურდი ვგონივარ დღემდე, მეორეს — თავხედი“.

ანგიას ვინღა ჰგონია ჯაბა? მოღალატის შვილი?! რომელ ნაგავში ამოქექა მამის დატყვევების ამბავი? თუ მართლა რამე იცის, რატომ ელაპარაკება ასე მიკბულ-მოკბულად? რატომ პირდაპირ არ მოახლის? სისულელეა, არაფერი არ იცის, აქამდე შეატყობინებდნენ დედას. რა ადვილად იჭერებს ყველაფერს ჯაბა. მაინც რა უნდა ანგიას, ათამაშებს, აშინებს და ამით სიამოვნებას განიცდის? უამისოდ, ალბათ, არ შეუძლია ცხოვრება... პენსიაში გასული მსახიობივით იგონებს ძველ როლს და, რადგან ნამდვილი პარტნიორი არა ჰყავს, ჯაბას იწვევს სათამაშოდ. უნდა თავისი დიდების დღეები გაიხსენოს.

ბალახზე წამოწვა და ცას ახედა. მერე თვალები დახუჭა და ასეთი ლეგენდა შეთხზა:

...ქალაქ ქერჩიდან პიონერთა ტურისტული ლაშქარი გამოვიდა... ტრიალ მინდორში შეისვენეს, ძველი სანჯარის მახლობლად. საუზმობენ.

— ეი, მოდი თქუ — ყვირის ერთი ბიჭუნა და ამხანაგებს ხელს უქნევს. ამხანაგებმა მიიბრინეს. ბიჭუნა ჩაცუქა და მიწაზე დაგდებულ კომპასზე უთითებს. უცნაურად შფოთავს კომპასის ისარი.

— დამახსოვრეთ ისრის მიმართულება! — ამბობს ბიჭი. იღებს კომპასს და სხვა ადგილზე გადააქვს. ისარი მშვიდდება, ზანტად ტრიალდება და თავს უქნევს ჩრდილოეთს.

— ზედავ?! აბა, კიდევ! — ისევ ძველ ადგილას გადადებს კომპასს, ისარი კვლავ ტოკვას იწყებს, რაღაც უჩინარი ძალით შემკრთალი.

— მაგნიტური ანომალია! — ვარაუდობს ერთი გოგონა.

— რკინის საბადო იქნება მიწაში.

— აბა რუკაზე ვასწით იქით!

— აბა, ეგ წერაყინიც!

გასწიეს. ისარი შიინც შეშფოთებულა.

მოვიდა პიონერხელმძღვანელი:

— რა მოხდა, ბავშვებო?

— რკინის საბადოებია აქ! — მიწაზე ხელისგულს უტყაპუნებს ბიჭუნა.

— მაინცდამაინც აქ, ამ წერტილში?

— ილიმება პიონერხელმძღვანელი.

— მხოლოდ აქ შუოთავს ისარი!

— მოიტათ წერაყინი!

პიონერხელმძღვანელი თხრის მიწას, თხრის, თხრის... რაღაც ლითონს ხვდება წერაყინი, ჭახანი გაიღო. ამოწმინდეს მიწა. ამოასუფთავეს. თუნუქის კოლოფი ამოიღეს, ნახევრადდაქანგული. ყველა გაოცებულია. ფრთხილად ზდიან ზუფს. კოლოფში ხელის კინოაპარატია. და ორი მრგვალი, ვერცხლისფერი დისკო.

— არ გახსნათ! — უყვირის ბავშვებს ხელმძღვანელი, — შეიძლება შიგ ფირი იყოს და გაფუჭდეს.

ყველაფერი ქერჩში მიაქეთ. ქერჩი ოდესის კინოსტუდიას უგზავნის აპარატს და ვერცხლისფერ დისკოებს. სტუდიაში ფირს ამქლავებენ და ბეჭ-

დავენ. სამამულო ომის კინოკადრებია, უცნობი ოპერატორის გადაღებული. ეკრანზე მოჩანს სწორედ ის ტრიალი მინდორი, სადაც აპარატი იპოვეს ბავშვებმა, სწორედ ის სანგარი, ოღონდ მინდორშიც და სანგარშიც სამკვდრო-სასიცოცხლო, ხელჩართული ბრძოლაა გაჩაღებული. წინ მოიწევენ გერმანელთა მრისხანე ტანკები. თანდათან თხელდება სანგრის მცველთა რიგები.

ბოლოს გმირულად იღუპება ყველა საბჭოთა მეომარი. ვერცერთი მათგანი ვერ შეიციენს ოდესამი და ქერჩში. ამრავლებენ ფირებს და აგზავნიან ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. ერთი ეგზემპლარი თბილისშიც ჩამოდის. ჯაბა ესწრება სეანსს. როდესაც ეკრანზე მამას მოკრავს თვალს, ჩხამალა წამოიყვირებს. მაყურებლები მისკენ მოტრიალდებიან... ლომივით იბრძვის მამა. ძირს სცემს ერთ ფამისტს, მეორეს, მესამეს, მეოთხე ასწრებს და შიგ გულში ახლია ტყვიას. მამა გულაღმა ეცემა, უკანასკნელად აპყურებს ცას, ეს ცა სადღაც უერთდება მისი ქალაქის ცას, ყველა სოფლის, ყველა სახელმწიფოს ცას. ცაზე წაშლილია საზღვრები, მავთულხლართები... მამას თვალები ეხურება. კვდება გმირი.

...ჯაბამ თვალები გაახილა.

გაიღომა.

თაბეჩავალი. ივრის ჭაღები

ჩემს სახეს,
ყვითელ ფოთოლზე დახატულს,
შენი ალურსი უნდა, მარინე.
მიბრძანე რამე, ვეებერთელა
ლოდები მთაზე ამატანინე,
მარინე...
ნეტავი ახლა ჩემი ივრის ფსკერზე
შეძინოს
და ვარსკვლავები დამყურებდნენ
მალლა ზეციდან,
რა ბედნიერი ვიქნებოდი...
მალლა მთვარე,
მე — მდინარეში
და სოფლის ბოლოს თებერვალი,
შემძვრალი ხეში...
იწვრიალებდნენ ვარსკვლავები, მარინე,
შენ ჩემი დაფინებული ფიჭვი მოგაცივანს
ჩემთან ამ ღამეში...
მარინე,
დავეყურებ ქალაქს,
ჩემი თვალები
სახურავს ხდიან სახლებს და ვხედავ
— მხოლოდ მას სძინავს მშვიდად, ვინც
იცის,
რომ დღისით უნდა მოიპოვოს ღამის
სიმშვიდე.
დავეყურებ ქალაქს,
როგორც სახინკლე
ქვაბს და უსახურაოდ მდგარი სახლების
დრტვინვას შემკრთალი ლეკვივით ვუმზერ.
მიშველე რამე, წაქცეული ვარ
და მთვარის შუქი მამოჯებს გულზე...
ანათებს მთვარე საქართველოს ღურჯ
მდინარეებს.

ივრის ჭაღებში დადის ცხენი
კოჭლი, გამხდარი,
და ამ მილიონ... ამ მილიარდ... ამ
სამყაროში
ვერავინ ხედავს მას მგლის მეთი...
იწვის ბუსარი
და ვიტანჯებით ერთმანეთის მარტოდენ
ჭერეტით,
მარინე...
მინდა ჩავეყვინთო შენს ვარდისფერში,
შენს სიცხეში და სიმზურვალეში,
მივირთვა ყვითელ ფოთლების პეშვით
შენი ცრემლების ტკბილი სიმლაშე...
მარინე...
შეამკე ჩემი თმები, მარინე...
დათოვონ შენმა ხელებმა ჩემი
თმები, მარინე...
მკვდარი ვარ და უკანასკნელ ლექსით
ყორნებს ვეპატივები ჩემს ლეშზე,
მარინე...
ივრის ტალღები განა წყალი არის,
მარინე,
იგი ნემსების ნაკადია, მწველი,
მსუსხავი,
და ვაი იმას, განწირულად ჩათვალოს
თავი,
ვინც მას გატოპავს და წავა ტყისკენ.
ივრის ჭაღებში დადის ცხენი,
კოჭლი, გამხდარი,
და ამ მილიონ... ამ მილიარდ... ამ
ყინულეთში
უცებ გაისმის... ხმა კი არა,

არამედ ზარი:

„მე აქ ვარ, ძმაო“...
რა მხნე ხმა არის, ერთი უსმინე,
რა ტკბილი არის: „მე აქ ვარ, ძმაო“.
ტყიდან გამორბის სოფლის გლახაკი
და ყუბილები მოაჭებს... მარინე!
რისთვისღა ვსინჯავთ ამ ჯადოსნურ,
ღვთაებრივ სიწმინდეს,

თუ თვალს გაეახვლეთ
და ქვეყანა ისევ ის არის
ან რად გაძალბებ მე — ზანზალაკს,
რომ იყო ზარი...
მარინე, ჩამოახიე შენი სამყოფი
მანდილი ღამეს
და, როცა მოგვედები,
ქარში გაფრენილ ყვითელ ფოთოლს
თვალი გააყოლე, როგორც ჩემს ნიღაბს.

მე დავიბადე შეპოვოვარა

მე დავიბადე, გამოველ მზეზე,
მაგრამ მზის ნაცვლად ხმელი ფოთოლი
ბზინავდა მაღლა,
და მზედ იმიტომ მოჩანდა მხოლოდ,
რომ ტრიალებდა შავი ცის ფონზე.

ღიას, მზე იყო ხმელი ფოთოლი,
მაგრამ არ იყო იგი ედემის;
მას ჩვენი ქუჩის მტკერი ვყარა
და ეტყობოდა ნაფხურები.

მზე არ მათბობდა, რადგან არ იყო
ის შემოსილი ოქროსფერ მატყლით,
მზე — თავმომწონე კაცმა ატყორცნა
ფეხით კონსერვის თეთრი კოლოფი.

შეხედა კაცმა და გაუკვირდა,
რომ თავისქალა ბრუნავდა ცაზე,
და საუბარი სპორტის შესახებ
შეცვალა ყოფნა-არყოფნის თემით.
ნოემბრის თვეში, როდესაც ხეზე
თავს ველარ იჭერს ხმელი ფოთოლი,
მე დავიბადე.

• • •

მუდამ, ყოველთვის, როცა ცხოვრებას
ნებისყოფიან მზერას მივაპყრობ
და დავაპირებ,
რომ ვაქციო სიღარიბე ჩემი —
სიმდიდრედ,
ხოლო სიმხდალედ — ვაჟაკობად...
მაშინვე მოდის მოჩვენება

საწყალ, ავადმყოფ
და შემცივრულ გოგონასი... და მეუბნება:
„მე, უთვალავი წელი არის,
რაც თავი მახსოვს, სულ ასე ვარ
და ყველა, ვინც კი
შენებრ საბრძოლოდ შემართულა,
მე მადგამს ხოლმე ფეხს
თავის გზაზე!“

ხიზბარი თოჯინა

თუ შენს შვილებს ჰყავთ ორი თოჯინა
და ერთი არის ძველისძველი და ხეიბარი,
ხოლო მეორე ღამაზი და ახალთახალი...
და თუ ბავშვებმა თამაშის დროს
ღამაზ თოჯინას
დაარქვეს შენი მდიდარი და გამოჩენილი
(შენი თქმით იგი გაქნილი და
უსინდისოა)

ბიძის სახელი;
ხოლო მეორეს — ძველისძველსა და
ხეიბარს
— შენი! — მაშინვე
შენთვის ნათელი უნდა გახდეს, თუ რას
ფიქრობენ
შენზე ოჯახში, მეზობლებში,
ნათესაებში,
ამხანაგებშიც და სამსახურშიც.



შემოდგომაა, ბებოჩემო,
ვრცელ ნახნავებში
მარტოკა დადის პატარა ბიჭი...

ირგვლივ ყვავები ფრენენ შარშანტყის
ფრენენ გულგრილად...
თითქოს არასდროს ერთი ბახალაც
არ გადმოგედოს ქარებს ბუდიდან.

სულ ერთ წუთს სევდა მოგვეძალება
და გვეჩვენება, რომ აქამდის ჩვენი
ცხოვრებაც
ტანჯვა იყო, და შემდეგშიც,
რა თქმა უნდა, ტანჯვა იქნება.

და ჩვენ გგვონია, რომ აქამდის რაც
გვიცხოვრია,
სულ ლხინი იყო და მომავალშიც,
რა თქმა უნდა, ლხინი იქნება.

მაგრამ მალევე, ბუნებრივად და
თავისთავად
მხიარულება მოგვიცავს ხოლმე

ახლა ხომ აღარ გაგიკვირდებათ,
რომ შევძახო: — „რა დაგიშავეთ,
ღმერთო, მითხარი!“

ლხინში, ხმაურში, ღვინის სმაში,
როდესაც ირგვლივ
არაფერი ჩანს ჩიტის ბურტყელზე
რთული და მძიმე,
უცებ მომესმა:
„წინარად იყავით,
განა ვერ ხედავთ, რომ, როგორც იქნა,
ბოლოსდაბოლოს, ძლივს დავიძინე!“

ხმა შევიცანი;
ის იყო კაცი,
რომელიც შარშან
მთელი წელი ებრძოდა კიბოს,
ისტერიკებით აფრთხოზდა სიკვდილს
და კუპრს ასხამდა
მას,
ვინც გალავანს უდგამდა კიბებს.



მედიკალიზაცია

დავით აღმაშენებლის

მემორიალი

მედიკალიზაცია VII

ალექსანდრე ბატონიშვილი
 თომა — ალექსანდრე ბატონიშვილის ეკიბი
 თავადი გიორგი
 საბა — თ. გიორგის ეკიბი
 თავადი დავით
 მაკარ — დავითის მოურავი
 ამბროსი — გიორგის მოძღვარი
 ქეთევანი — თ. გიორგის ასული
 კირიონი — რაინდი
 მარინე — კირიონის დედა
 ანა — ქეთევანის ძიძა
 ბატროკლე — ბერძენი რაინდი
 ნათელა — ქეთევანის ფარეში
 სერვეტი — სულთანის ძე მარინესაგან
 ფოკა — კირიონის მოკეთე
 ბიძინა — მეფის მოამბე
 ანტონი — მესხეთის რაზმის უფროსი
 ჩაჩიკე
 მურზაყენ
 სუსანა
 ეგნატე
 თერაფონე
 ბაქარ ფაშა
 ბარნაბა — რაზმის უფროსი
 სიმონი — ჯავშნოსანთა უფროსი

ციხის თავი, თურქთა მეთაური, კირიონის რაზმელი, ქუთაისის ბანოვანი, მოყმენი, შინაყმენი, მღვდლები, შუფიცულნი, ორჭოფები, ხალხი, მოხუცნი, დედაკაცნი და სხვ.

მოქმედება წარმოებს დასავლეთ საქართველოში 1510 წელს.

მოქმედება პირველი

(მეთექვსმეტე საუკუნე. იმერეთის მთები. ტყიანი მთის მოშინებულნი სერი. მარცხნივ თხელი ლოდია. წინ, სიდრემში მალაღლი ლოდი. სერის იქეთ მოჩანს მდიდრული კარავის ზემო ნაწილი. საღამოა. ნათე-

ლა უკვე ამოვიდა სერზე და ღრმად სუნთქავს).

ნათელა — (აწვდის დაბლა ხელს) გულის სადარო, როგორ ლერწამივით ჭანაობ. დაილაღე? ახ, ნეტავ ავად არ გახდებოდე!

ქეთევანი — (ღრმად ჩაფიქრებულია. ნათელას ხელი არ დაიხმარა — თავის ძალით ამოდის. დუმილია. გადასცქერის სადღაც, შორს)

ნათელა — ის — ვინ იყო?...

ქეთევანი — (ისევ შორს იხედება)

ნათელა — ვინ მოგყვებოდა...

ქეთევანი — ვერ შევამჩნიე, როგორ დაგვემორდა...

ნათელა — უკვე დღე და ღამე შესრულდა, რაც დაიკარგე, და ჩვენ ვმფობთ.

ქეთევანი — ალბათ, თვალდაცაკლული მეძებთ.

ნათელა — ტყუმი დაიბენი? ძლიერ შეგვმინდა ამ დაუსრულებელ ტყერში, არა! ის სად შეგხვდა?

ქეთევანი — სადაც ღმერთმა მომხვდა.

ნათელა — მარტო?

ქეთევანი — ჰო...

ნათელა — ჩვენ შევძარით მთელი გარემო, კვალაც ვერ ვპოვეთ.

ქეთევანი — მე მგონია, ის არ დაგვეშორდება. (შეჩერდება) ველოდები, რომ ხეებ შორის ისევ გამოჩნდება, (შეჩერდება) უპ!

ნათელა — რა მოგდის?

ქეთევანი — მადლობაც არ მითქვამს. (შეტორტმანდება).

ნათელა — შევიდეთ კარავში ყველა ფრთას გამოისხამს. (ისინი კარავისაკენ მიემუხრებიან. იმავ მხრიდან შემოდის მარინე. მღვდლად და ცრემლებს იწმენდს)

ქეთევანი — კარავიდან მოდიხარ და იცრემლები... ვინ აგატირა?

მარინე — არავინ... მხოლოდ... ფეხი რა შევდგი და დავინახე...

ნათელა — ეგებ, ამის დაკარგვით შევაფხოთეს, ბატონ გიორგის ასული ვსაა, — მშვიდობით გამოჩნდა. (მარინე შეკრთება და აწრიალდება. აკვირდება ქეთევანს)

ქეთევანი — რატომ მიყურებ შეუფოთებით?

მარინე — (დადუმდება. შემდეგ სასოწარკვეთით) აქ ჭირმა და სიყმილმა შემომდენა!

ნათელა — კარავში შემოდი, სიამით შეგივრდომებთ.

მარინე — (განატრებულ გზას) აქ — არა,

ღმერთმა დაიფაროს, სხვაგან ვპოვებ... სხვაგან... (მარინე მიდის; ქეთევანი უცბაოდ უკან დაიხვეს და ნათელასაც მოაბრუნებს)

ნათელა — რა მოგჩვენა, გულის დარო?

ქეთევანი — ბატონიშვილის ზურგს მოგვარ თვალი. დაიცა, ჩაიაროს.

ნათელა — (აღშფოთებით) თ, ის წყეული, ის ბნელი!

ქეთევანი — შენც აღგაშფოთა?

ნათელა — გიკვირს, რომ ამოდენა ბატონს ვერულავ?

ქეთევანი — ჩანს, ბოროტება შეამჩნიე.

ნათელა — მის მოსვლისთანავე რომ გაქერი, ელდა მეცა და სხვებზე აღერ მე დაგიწყებნა. დაფეთებული ირემივით ვჭროდი და იმედი არ მქონდა პოვნის.

ქეთევანი — რისთვის?

ნათელა — მეგონა, აქ მისი ხელი ურევია, რაღაც დაგმართა და ვნანობდი, რომ აჭიმდე საიდუმლო არ გაგიმტყავენე.

ქეთევანი — რა საიდუმლო?

ნათელა — რაც გაგიგე.

ქეთევანი — ვისგან გაიგე?

ნათელა — ვისგან? ქეთევან, ვიცი, შენ დაგწყვიტა გული ჩემი მამის სიკვდილმა.

ქეთევანი — თ, ჩვენი კარის საყვარელი მღვდელი! როგორ აკლია ამ ქვეყანას მისი სათნო ხმა.

ნათელა — მან გარდაცვლის წინ დამაბარა შენთან ძნელად გადმოსაცემი... აქამდე ენა მებმებოდა მღვდლვარებით და ვდებდი, დღეს კი შეგვმინდი, ხომ არ დაგდებე დაყოვნებით.

ქეთევანი — ეპ, ამ ავ ჟამში თვალი და ყური სულის მტანჯველად იქცა და მაინც ვერ ვზურავთ თვალ-ყურს. რა დაგაბარა იმ სულმანათმა, თქვი, რად შემუდები.

ნათელა — ერთ ღვთის გლახას მამაჩემი სულთმობრძავის საზიარებლად მიუწვევია. ავადმყოფი აღმოჩენილა ბატონიშვილის ოქრომჭედელი და სიკვდილის წინ აღსარებაში გაუმხელია, რომ მას ალექსანდრე ბატონიშვილმა ხანჯალზე მუსლიმანურ ფიცის და მთვარის ნიშანი დააკვრევინა.

ქეთევანი — ნიშანი! თ!

ნათელა — და როცა შენს პირველ საქმროს, ჩუმად მოკლულს, მკერდიდან ჩატოვებული ხანჯალი ამოუღეს, ოქრომჭედელს

უცნია თავისი ხელით დადებული დაღი. დაქვებულა, რომ საიდუმლოს დასაფარად მასაც მოსპობდა ბატონიშვილი და გადამა-
ლულა ღვთის გლახებში.

ქეთევანი — რა ბოროტებაა!

ნათელა — რა ბნელი!

ქეთევანი — მეორე ჩემ საქმროსაც, ტახ-
ტის მემკვიდრეს ისეთივე ხანჯალი ერჭო
გულში.

ნათელა — მამამ ღვთის შიშით ვერ გა-
ამჟღავნა ეს აღსარება. მაგრამ შენ მას შეი-
ლებზე მეტად უყვარდი და რა გაიგო ავად-
მყოფმა მეფის მემკვიდრის ბედი, გარდა-
ცვლის წინ, — გამანდო ეს საიდუმლო, და
დამავალა, მარტო შენ გადმოგცე გასაფრ-
თხილებლად.

ქეთევანი — შენ სიტყვა კი არ მითხარ,
ნათელა, თვითონ საგანი დადგი ჩემ წინ,
რომელიც მანამ ავ სიზმრად მეზმანებოდა.

ნათელა — მე გითხარ და ტვირთი გუ-
ლიდან მოეიხსენი, მაგრამ ვაი, თუ შენ აუ-
ტანელ სიმძიმედ დაგადევი.

ქეთევანი — ახლა იცი, რა მასინებს?
— ეს საიდუმლო არ დაგცდეს, ნათელა,
— რაიმე ავადმყოფობით შეცბელების
დროს რომ წამობორცო, ამას მოყვება მამა-
ჩემის დაღუპვა.

ნათელა — არა, — როგორ გაეჭვებთ
ყოველივე მამა-შვილს, ერთმანეთის სიყვა-
რულით. თურმე, გიორგიმ, ახალგაზრდათ
დაქვრივებულმა, ეჭვით, რომ დედინაცვალს
შენ არ დაწაგრე, მეორე ცოლი არ ინება.

ქეთევანი — მე მგონია, უფრო სამშო-
ბლოს ღვაწლისთვის დარჩა... მაგრამ ყვე-
ლა ღვაწლი წაუხდება, თუ ეს ხმა ჩვენს
იქით გავიდა. ეს საშინელი საიდუმლო მა-
მას ყურში რომ წაწვდეს, გაცოფებული
დაეჭვებება თავის უძლიერეს დამცველს,
ბატონიშვილს, — ვერც დაუმტკიცებს... მას
კი, ვერაგს, მუდამ მოეპოვება მეხი გიორგის
თავზე დასაცემად.

ნათელა — როგორც საფლავიდან არ
ამოვა სიტყვა, არც ჩემგან — ეს ამბავი.
ქეთევანი — ო, ახლა ყოველივეს ვხე-
დავ, ბოლოს გათენდა, მაგრამ ღამეზე შა-
ვი დღე გათენდა.

ნათელა — მამ, კარავში გამოჩნდი, გუ-
ლი მოუბრუნე გამდლებს და მიქნებლებს.

(ქეთევანი და ნათელა მიდიან, შემოდინ
შინაყმები თავადის გიორგისა.)

1 შინაყმა — აი, ბატონი გიორგი მობ-
რძანდა სადაცაა, ასულს მოივითხავს. რას
ვეტყვი, შინაყმებო?

2 შინაყმა — ღმერთმა ნუ ქნას უბე-
დურება!..

1 შინაყმა — გუშინ აქ, წყაროზე ჩავი-
და, და შერე არ ჩანს!

2 შინაყმა — (თავს აქნევს) უცბად გაგვი-
ქრა ბროლისა პირი, წყალივით გაგვეპარა.
(შემოდის კიდევ ორი მსახური)

1 მსახური — (იხედება დაბლობში)
შებუდეთ ალექსანდრე ბატონიშვილს!

2 მსახური — როგორ უელავს თვალები!

1 მსახური — თავის ფერზე არაა.

2 მსახური — ბატონიშვილი აქეთ მო-
დის?

1 მსახური — თვალს მკაცრად კარკ-
ლავს, — ავერიდოთ. (მიდიან ყველანი. შე-
მოდინ ალექსანდრე ბატონიშვილი და საბა)

საბა — ბატონიშვილო, ჩვენ შენი იმე-
დი გვექონდა.

ალექსანდრე ბატონიშვილი —
ვერ ვიპოვეთ. ბუკიც და საყვირიც ამაოდ
ვიხმარეთ, ახლა ამბის გასაგებად მოვბრუ-
ნდი.

საბა — ბატონი ჩამობრძანდა... ჩვენ შო-
რის კი ვერავინ ჰხედავს გაუმელავნოს. (შე-
მოდის თავადი გიორგი)

თავადი გიორგი — ქეთევანი ისე გა-
ოცნებული დგას კარავთან, გამოველაპარაკე
და ვერც შემამჩნია.

ალ. ბატონიშვილი — ო, გამოჩნდა,
— ბოლოს?

თ. გიორგი — როდის არ ჩანდა!

საბა — (ასწორებს) არა, — რა მოუვი-
და?

თ. გიორგი — ვფიქრობ, ნალველი მოე-
რია. შენებურად დაამშვიდე, საბა.

საბა — (გახარებული) მადლობა უფალს!
(მიდის)

ალ. ბატონიშვილი — ალბათ, უმ-
წეოდ მიტოვებული ციხე-სიმაგრე ენანება.
იქ ახლა თათრის ხროვა თარეშობს.

თ. გიორგი — თავს იმდენად არ ვნალ-
ვლობ, ჩემი სასახლე შეიძლება ისევ აიგოს,
მაგრამ დაქცეულ ქვეყანას ვინ აღადგენს?

ა ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — მესმის, თავადო.

თ. გ ი ო რ გ ი — ჩვენს სახელოვან ქედზე მტერი ისე ადვილად დამარცხდებოდა... ახ, მეფის სარდლებს რომ ოდნავ ჭკუა და ქვეყნის სიყვარული ჭონოდათ!.. (შემოდის ბიძინა)

თ. გ ი ო რ გ ი — ბიძინა!

ბ ი ძ ი ნ ა — (სწრაფად აძლევს სალანს, შეჩერდება) თავადო გიორგი!

თ. გ ი ო რ გ ი — რა მოხდა?

ბ ი ძ ი ნ ა — საჭმეა. (გიორგი ბიძინასაკენ მიიწევს და ორივე მიდიან)

ა ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — (მოუთმენლად იყურება კარვისაკენ. მერე უცბად გადაწყვეტილად მიეშურება. შემოსვდება საბა)

ს ა ბ ა — (წყნარად, სიამით) ქეთევანს ეძინება. საწოლი მოურთეთ. მიწვა. თვალი დასუკული აქვს.

ა ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — აჰა... ავად ხომ არაა? სად იყო, ვინ მოიყვანა?

ს ა ბ ა — დაბნეულა მთა-ღრეში. მე ვფიქრობ, — არაუშავს.

ა ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — შენ ბრძენ კაცად გიცნობ, მითხარი, რა საგონებელშია ქეთევანი იმ დიდ უბედურების შემდეგ, რაც მემკვიდრე დაიღუპა?

ს ა ბ ა — აი, ხომ ხედავ, — აქვე, წყაროზე ჩასულა და ტყეში გაბნეულა. — ამ ქვეყნად აღარაა.

ა ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — გიორგი?..

ს ა ბ ა — მთელი ღამეები არ ძინავს...

ა ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — რაზე ფიქრობს?

ს ა ბ ა — არ დავფარავ: იმ დღიდან, რა მეფის ცოლისძმათა მსაკვრობით, ღაშქრის მესვეურობა ჩამოერთვა, მისი სწრაფვა ისევ დაიბრუნოს ის ღირსება და დაცვას ქვეყანა... ამ განზრახვით დაანიშნინა თავისი ქალი სამეგრელოს გაძლიერებულ მთავრის მემკვიდრეს, და ის მოჰკლა ვილაცამ. შემდეგ მეფის მემკვიდრემ აირჩია საცოლედ და აღწევდა საწადელს, მაგრამ ისიც მოიკლა იდუმალ ხელით. ამის შემდეგ, მეგონა, ქეთევანი მონასტერში აღიკვეცებოდა, მაგრამ მამის რჩევას ელოდება, გიორგის კი საიმედო მოკეთედ შენს მეტი არავინ ვგულება.

ა ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ო, მესმის. საბა — (იხედება მაღლა) ვეონებ, ღვთის მადლით, კარგი დარები წადგეს.

ა ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ჰო, ამინდი არ დაგვაბრკოლებს. (შემოდის გიორგი, შემდეგ მწყემსი ფოკა)

თ. გ ი ო რ გ ი — შენც მოუსმინე ბიძინას, ბატონიშვილო, ჩემს გულს არ მოერგო, რაც მეფისგან გადმომცა.

ა ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — მე გავიგებ მის ჭართულს. (აღექსანდრე ბატონიშვილი მიდის)

ს ა ბ ა — (ფოკაზე) ეს კაცი ვინ არის?

თ. გ ი ო რ გ ი — შენ არ იცნობ?

ფ ო კ ა — (გიორგის) მე ვარ შვილიშვილი თქვენი ძიძის, მწეხასი. ბატარაობისას ხშირად დავყავი თქვენსას.

თ. გ ი ო რ გ ი — აა, შენ ფოკა ხარ?

ფ ო კ ა — ფოკა, — დიას.

თ. გ ი ო რ გ ი — მეგონი, რაღაც შეგემთხვა და გადაიკარგე. — ამ მთებში ამოხვედი?

ფ ო კ ა — დიას, დის ნამუსის მოსაბანად, დიდი კაცის სისხლი დამედო. ყველა ჩემებრ დაჩაგრული აქეთ იბიზნება. აქ კოგი მყავს, და შემიძლია მოგემსახუროთ.

(შემოდის შინაცმა)

1-ლი შ ი ნ ა ყ მ ა — ბატონო გიორგი?

თ. გ ი ო რ გ ი — ვინაა?

1-ლი შ ი ნ ა ყ მ ა — შენი სიდედრის, დიდ ჭალბატონ ერისთავისაგან და ბერძნებისაგან ეჯიბებიან.

თ. გ ი ო რ გ ი — (ფოკას) შენ, კეთილო, კარავში გეტყვიან, რა ჭირდებათ. (გიორგი მიდის. შემოდის ანა)

ან ა — ბატონის ასული გულაყრილია და ვერ ძლებს კარავში. (შემოდის ქეთევანი)

ს ა ბ ა — (ქეთევანს) ო, გარეთ ჯობს, — ჰაერზე.

ფ ო კ ა — (სიხარულით ქეთევანს) მე ვერ გიცნობდი, რომ არ ეთქვათ, შენ მიცნობ? აბა!

ქ ე თ ე ვ ა ნ ი — (თავს აქნევს უარის ნიშნად)

ფ ო კ ა — ბავშვობისას ხშირად გიჩუქებიან ჩემთვის სათამაშოები.

ქეთევანი — (მხოლოდ ახლა აკვირდება)

ფოკა — ფოკა ვარ.

ქეთევანი — (კეთილი ღიმილით) კოლი — გაჯაკი დამდგარხარ.

საბა — გესმით, იმ გორით უცხო სიმღერა? (ქეთევანი დაძაბულად მიაპყრობს ყურს)

ფოკა — ის ჩემი ამხანაგია.

ქეთევანი — შენი!

საბა — აქ, მახლობლად, არის რამე ღირსშესანიშნავი?

ფოკა — ოო, ერთ ადგილას წმინდანის მღვიმეა კლდეში გამოქვაბული და სხეულები მიჰყავთ გასაკურნად. იქ ცხოვრობს ის ჩემი ამხანაგი და წმინდანის მადლი ისე ეხმარება, ხელიდან ნადირი ვერ წაუვა.

საბა — რა გვეშველებოდა, ყველგან მადლი რომ არ იყოს გაბნეული.

ქეთევანი — (დაძაბულად) იმ ქვაბში ცხოვრობს?

ფოკა — დიახ. მან იცის მრავალ ქვეყნის ენები, ლოცვები და სიმღერებიც.

ქეთევანი — სად ისწავლა, ნეტავ, ვინაა?!

ფოკა — მესამე მთვარეა, ვსვდებით ერთ-მანეთს, მაგრამ მისი სახელი არ ვიცით და „მღვიმის რაინდს“ ვეძახით.

ქეთევანი — (გმინვით) კმ!

ანა — ხედავ, საბა, ფერი ეცვალა, ურჩიე რამე. — არც კარის ექიმი მიიკარა, არც შემლოცველი.

ქეთევანი — ყურადღებით უფრო მათყუებთ.

საბა — არა უშავს, გამდელი, რა ფერზეც არ დადგეს ქეთევანი, — ყველა შეენის.

ქეთევანი — (გაიციანებს) რა ვიცი, მე სახეს გარედან არ ვიღებავ, ალბათ, შიგნით მისის მღვიმეა.

საბა — აი, გიორგი მოუძღვება სტუმრებს და გაერთობი.

ანა — ასე გაიცინებული შეხვდი მამას. — სანთელივით შევეყურებს.

ქეთევანი — მე მის მეტს ვის შევხარი?

ანა — ბატონიშვილი მოდის.

ქეთევანი — (უცხად შემფოთდება) ო, წავიდეთ!

ანა — ვერსად ვერ ისვენებ.

ქეთევანი — ფოკა, შენ არ გაგიშვებ. (ხელს ჩაავლებს) კარავში გვესტუმრე!!

ფოკა — დიახ, ბატონმაყაზე მიმჩანა. (ქეთევანი, ანა და ფოკა მიდიან. შემოდიან ალექსანდრე ბატონიშვილი, თ. გიორგი და პატროკლე).

საბა — ო, საიდან, პატროკლე, ჩვენო საბერძნეთის ცრემლიანო თვალო!

პატროკლე — ეს არის, დაღლილ ცხენიდან ჩამოვხტი. ჯერ ვერც გავსაუბრე მეფის ბარათით გაშვებულ ბატონებს.

საბა — რა ბარათია?

პატროკლე — მეფე უბრძანებს გიორგის, რომ დარჩეს ოჯახით უდაბურ მთებში და იქიდან ომის დამთავრებამდე ფეხი არ გადმოდგას, ხოლო თავის სათავადოს ჯარი სხვას ჩააბაროს.

საბა — რისთვის? (გიორგის) რა უწყალობაა, თავადო!

თ. გიორგი — ავირიეთ. გმირობაც და სიმბდალეც ერთ ქვაბში იყრება და ცოცხად დულს.

ალ. ბატონიშვილი — შენ რით დაამშვიდებ თავადს, მრჩეველო?

საბა — არა მართო ჩვენ, მთელი ქვეყანა არეულია ოსმალთა მძევინვარებით, მთელი საუკუნე ჭირიანია, — რა ცოდვისათვის, ვინ იტყვის.

პატროკლე — ბაბუამ ტყუმალი შეჭამა და შეილიშვილს კბილი მრკვეთაო. — უბედურება დაიწყო, როცა კონსტანტინეპოლი მტრებმა აიღეს და მოკეთებები არ დაგვეხმარეთ.

საბა — ყოველ ჟამს თავის სიბეცე სჭირს. მაგრამ მას აქეთ ნახევარი საუკუნე მტერს ვიგერიებთ და უფსკრულისაკენ ვიხვეთ.

ალ. ბატონიშვილი — შენ სთქვი, სტრატეგო, რომ ამ ბარათს კვალდაკვალ გამოსდიე, არა?

პატროკლე — დიახ. მე მიმიწვია თავად გიორგის სახელოვანმა სიდედრმა, და დამავალა, გადმოხვეწილ ბერძნების ლაშქრით გიორგის ვემსახურო, თანაც, ბარათი მომცა მეფისთვის მისართმევად. მე მოწინააღმდეგე მთავრის დიდ ქალბატონს ყოველივე, რადგან პატივს ვცემთ მას, როგორც ჩვენი უკანასკნელი იმპერატორის ჩამჭრალ ბედს...

ო, კონსტანტინეზე ჩვენი ცრემლი არ იშრატება.

ს ა ბ ა — დიას, მამათა ჭირილობა გადადის შეილებზე, ზოგჯერ მეტის ტკივილით.

პ ა ტ რ ო კ ლ ე — დღესაც, რა ვხედავთ მსცოვან ქალბატონს, სიმწრით ვიფონებთ, რომ ის, საჭირთველოს მეფის, გიორგის ტურფა ასული, განმზადებული იყო მზითვით და გენით გასამგზავრებლად. ჭაბუკი მოელოდა მას სასოებით და, უცბად, ბედმა იმპერატორს თავს დაატყუა მრავალსაუკუნოვან იმპერიის დამხობა და გმირული სიკვდილი.

თ. გ ი ო რ გ ი — მსმენია ქალბატონისაგან, რომ მისი უბედობა იქცა მთელი ქვეყნის დაზარალებად.

პ ა ტ რ ო კ ლ ე — ის აქვთ გადმოხვეწილ ბერძნებს დედობრივ გრძნობით პატრონობდა. მხოლოდ გვიან, გარემოების ძალით, გაყვა დიდ ერისთავს და შობა ერთადერთი ასული.

თ. გ ი ო რ გ ი — მე უღირსს მიმტაცა ის ღმერთმა და ნუგეზად დამიტოვა ჩვილი ქეთევანი.

პ ა ტ რ ო კ ლ ე — მე დიდი ქალბატონის ბარათით წარვედგე მეფეს, — გულთბილად მიმიღო, აცრემლდა, მაგრამ ჩემს შემდეგ, ეახლენ ცოლის ძმები და მათი წაქეზებით ეს მომართვა გამოატანა ბიძინას თავად გიორგისთან. მე დაჟინებული თხოვნით მეორედ ვინახულე მეფე და მოვასხენე, რა რღვევაა ერში და ლაშქარში. მან თქვა, რომ იცის, მაგრამ სწეულია. პირველ დედოფლიდან შერჩენილი ძე აღზარდა მეფედ და დაიღუპა. ბაგრატი კი, რომელიც ჯერ თხუთმეტი წლისაა, ღვთისმეტყველებს მიაბარა და საერო საქმეთა უმეცარია. დაბოლოს, გამიმხილა, რომ იმედად დარჩენია ძმისწული ალექსანდრე, ვინც ყველაზე მეტად დამწუხრებულია უბადლო მემკვიდრის დაკარგვით და საჭიროების ჯამს შეძლებს მცირეწლოვან მეფის მზრუნველობას.

ა ლ . ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — უფალს ვთხოვ, ამაშოროს ასეთი მძიმე ტვირთი.

პ ა ტ რ ო კ ლ ე — ის გულდაწყვეტილია, — რომ თითქმის თვეა, შენი სალუქი ხმა არ ესმის. ჩემი დაკვირვებით, შენ იმდენად

უყვარსარ და გენდობა, რომ შეძლებ, ეს ბრძანება შეაცვლევიონ.

ა ლ . ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — რას სწერდა მეფეს დიდი ერისთვის ქალბატონი?

პ ა ტ რ ო კ ლ ე — უმხელდა, რომ განსვენებულ მემკვიდრეს მან გადააწყვეტინა შეერთო ქეთევანი, რათა მამა ალედგინათ მხედართუფროსად. ხოლო თავის მხრივ, დიდი ქალბატონი ახლაც პირდება მეფეს სამი საერისთავო ლაშქრის გამოწყობას და, სამშობლოს გამყიდველ ჯაყელთა სასყიდელით შემორიგებებს, თუ გიორგის აღადგენს მთავარსარდლად.

ა ლ . ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — მე მოვჩინე ლაშქრის შეკრებას და მეფეს ვეახლები.

თ. გ ი ო რ გ ი — იქ კარს ხურავენ, რათა ერის ურვამ არ შეაღწიოს.

ა ლ . ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — მე უკანა კართით შევდივარ მასთან, ვისაც წინ ძალღი აუშვია.

თ. გ ი ო რ გ ი — შურით გაგივებულნი ისევ მარცხს და რყვნილებას გვიზადებენ.

ს ა ბ ა — ყოველ ჭირით შეყრილზე საგალალოა მტერმორეული ერი. ჩვენს დამარცხებულ სამშობლოში დღეს ყველა აბნეულია, ვინც სრულ ჭკუაზეა, უმწეოა და თავის თავი ეხიზლებდა.

პ ა ტ რ ო კ ლ ე — თქვენ დამარცხებული ხართ, მაგრამ—არა დაპყრობილი. ჩემი სამშობლო კი... ო, სიბრძნის და რწმენის აკვანო!..

(ცრემლი ვრევა, ძრწის)

ს ა ბ ა — არა, მანამდე სჯობს ამოეწყედო, — დაპყრობილი ერი ცოცხლად ჩადებულა სამარეში.

პ ა ტ რ ო კ ლ ე — (დრტკინვით მოწყვეტილი მიეყრდნობა ლოდს) აჰ!

ს ა ბ ა — სამოსლით დამარხვას სიშიშველემდე ბრძოლა სჯობს.

თ. გ ი ო რ გ ი — (თანაგრძნობით დააკვირდება პატროკლეს), ბახვა, ძნელ გზით დაღლილ სტუმარს მოუსვენე.

(საბა და პატროკლე მიდიან).

ა ლ . ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — მამ, უჩემოდ ვერ ძლებს მეფე?

თ. გ ი ო რ გ ი — ჩანს, ცის ნამივით მოგელის.

ა ლ . ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — მე მინდა ას-

ლა, გიორგი, მთელი გულით მოგელაპარაკო.

თ. გიორგი — დიდ პატივად ვიღებ.

ალ. ბატონიშვილი — მე მეფეს ვუყვარვარ გულახდილობისათვის. — ხშირად ვუყვებოდი, რა უბადლო იყო მისი მემკვიდრე, ცრემლებს ვღვრიდი... მოგაგონებდი, როგორ რისხავდა იგი თავის დედინაცულის ძმებს შენი გაწვევითილი ჯარის წახდენისათვის.

თ. გიორგი — დიახ, როგორც გარყვნილი ვერ გაპატიონდება — ჯარი, გაქცევას შერეული, ვერ იმამაცებს. საჭიროა ხელახლა შეირჩეს ლაშქარი.

ალ. ბატონიშვილი — მე ისე დაეუბატე მეფე ალექსანდრეს დედოფლის ძმების მემკვიდრეზე გააფთრება, შენი ასულის დანიშვნისათვის, რომ დაეკუთვნა, მათი ხელი არ ერიოს მის სისხლში და ბნედა მოუვიდა.

თ. გიორგი — მეც მტანჯავს ეს საიდუმლოება.

ალ. ბატონიშვილი — ყველას გვქენჯნის, მაგრამ სადაა გამკითხველი. მაინც, ყველაზე მეტად შენ შემოგონიდან დასამარხად.

თ. გიორგი — ეგებ, ვერ ეღირსონ.

ალ. ბატონიშვილი — ახლა ჯამი ბოროტისაა.

თ. გიორგი — ღმერთი აძლევს მართალს პურს არსობისას.

ალ. ბატონიშვილი — დიახ, ასე მიემართავთ ღმერთს: „მოგვეცე ჩვენ პური არსობისა“ მაგრამ დღეს პური ემშაკის ხელშია, ის კი სიცრუეს ასაზრდოებს და არა სიმართლეს, ამისათვის, რაც ჩვენს ბუნებაში სიცრუეა, მით პური ვჭამოთ და ნატამალად შერჩენილი სიკეთე საჭიროების ჯამს გამოვიჩინოთ.

თ. გიორგი — სიკეთე საჭიროებით? არ ვიცი, ეს რა სიკეთეა!

ალ. ბატონიშვილი — ო, არა, ჩვენ გემართებს უანგარობა. თავადო გიორგი, შენ მეტი დამსახურებისათვის მეტად იჩაგრები, მაგრამ ეს სიბეცით კი არ მოგდის, ზედმეტი ციური შუქი გიღვას თვალში, ვით წმინდანს.

თ. გიორგი — ნუ მადონებ ქებით, ბატო-

ნიშვილო, მე იმდენი ცოდვა მაქვს, რომ ჩემს გულში ჩახედვა შეზარებამაგონი ალ. ბატონიშვილი — მაშ, წმინდა ვინლაა?

თ. გიორგი — გამჩენმა მისთვის მოგვიზომა კაცთ მოკლე ჯამი, რომ ღირსი არ ვართ ვრძელ ცხოვრების. მე მომავალ დღეებზე ისე არ ვზრუნავ, როგორც წარსულ დღეების გამოსასყიდად.

ალ. ბატონიშვილი — რითი, ლოცვით?

თ. გიორგი — ვეძებ საქმეს, — ქვეყნის სამსახურს.

ალ. ბატონიშვილი — აი, ამისათვის გეთაყვანები. შენ ორჯერ დაიცავი სამშობლო, აწ, თუმცა თავიც არ უნდა დაივიწყო.

თ. გიორგი — დიახ, ასულს მინდა ვუშველო.

ალ. ბატონიშვილი — მეც მისთვის მოვიჭურ შენთან. მე შენს მეტს ვერავის ვხედავ, სამეფო გაამაგროს. ამიტომ შენ უნდა იყო მეფეზედაც ზემდგომი.

თ. გიორგი — ეს ოცნებაა.

ალ. ბატონიშვილი — ეს რომ მოხდეს, შენგან მხოლოდ თანხმობა მინდა.

თ. გიორგი — გრძნობა გიპყრობს.

ალ. ბატონიშვილი — დიახ, ყოველ დიდ საქმეზე ადამიანს ვნება აქვს. — ვნებამ მაფიქრებინა, შენ ჩაგაბარო ქვეყნის საქვე.

თ. გიორგი — რომელი ვნება? არ მესმის.

ალ. ბატონიშვილი — ჯერ გეტყვი, რა სიბილწე წაგცხეს შენ და ქეთევანს.

თ. გიორგი — მუდამ ენის გაბილწვით იწყება ერის დაქვევა.

ალ. ბატონიშვილი — შენ გწამებენ, თითქო მტრისაგან მოსყიდული ხარ.

თ. გიორგი — ეს ისე უმსგავსო სიცრუეა, ერის ყური არ მიიღებს.

ალ. ბატონიშვილი — ქეთევანზე ხმა გაავრცელეს, თითქო რომში დაუკავშირდა ემშაკს, ავთვალთა და თავის საქმროების მკვლელობაც მისი საქმეა.

თ. გიორგი — ო, მითხნელები.

ალ. ბატონიშვილი — ეკლესიას მმართველს, საკანში შეაყუდონ, ვით ღრმა ცოდვილი.

თ. გიორგი — ნუთუ მათ ენას ვერ ამოვწყავ.

ა. ლ. ბატონიშვილი — მე ის შემებრა და ეს თანაგრძნობა თანდათან სიყვარულად მეტეა, და სურვილი ამენთო მალე დედოფლად დავაბრძანო, რადგან სულმდაბალი მხოლოდ ძლიერთა წინაშე ინანიებენ ცოდვას.

თ. გიორგი — დედოფლობის გზა ხომ მოჭრილი აქვს.

ა. ლ. ბატონიშვილი — ვიყოთ გულახდილი ბოლომდე.

თ. გიორგი — და მართალნი.

ა. ლ. ბატონიშვილი — მეფემ ამ ქვეყნად თავისი წილი ჭირით გუდა გატუნა და მიდის. — რჩება ბაგრატი. მაგრამ ბაგრატს ვერ შეიძლია წელი აკლია სრულწლოვანებამდე და მასზე ზრუნვა მე შეკისრება. თ. გიორგი — ჩანს, მეფეც ამისათვის გინზობს.

ა. ლ. ბატონიშვილი — ამ თვეში მე ესტუმრობდი მთავართა და გვარისუფროსთა კარზე. მათ შეუტყვიათ, რომ მეფე დასწეულა, ბაგრატი კი მეფობისათვის არ აღუზრდია.

თ. გიორგი — დიას, არ მალავს მეფე.

ა. ლ. ბატონიშვილი — მე ვერ დავფარე, რომ ბაგრატს თვითონაც არ უდევს გული მეფობაზე. დიდებულებმა იგრძნეს ქვეყნის უპატრონობა, შეძრწუნდნენ და მომთხოვეს, მე ავიღო მემკვიდრეობა. ყველა მათგანმა თავ-თავის კუთხის ეპისკოპოსები დაიხწრეს. მთავარ-დიდებულებს უნდოდათ ამ თხოვნით მეფეს წარდგომოდნენ, მაგრამ მე შევაჩერე, რადგან მეფის დღეები დათვლილია და დავაცლი გარდასვლად; შემდეგ კი, ბაგრატს განუშინადებ მისთვის სანატრელ მღვდელ-მთავრის ტახტს და მისივე კურთხევით დავიდგამ მეფის გვირგვინს.

თ. გიორგი — შენს განზრახვას, ჩანს, ვერარა დააბრკოლებს, და ღმერთს მადლობას ვწირავ.

ა. ლ. ბატონიშვილი — შენზე კი, ვდუმდი, რადგან შენი გაძლიერებასა ეშინიათ. მაგრამ ხვალ-ზევ წარუდგები მეფეს ჩემი შეკრებილი ჯარით, რითაც მის დაცვას ვაძ-

ლიერებ, და დავიყოლიებ ალგადგინოს მთავარსარდლად.

თ. გიორგი — არა, ეს უნაყოფო იქნება. ა. ლ. ბატონიშვილი — რა გიტეხს გულს? შენ მოგეცემა თანამოსაგრეთა შერჩევის სრული უფლება სამეფოში.

თ. გიორგი — აგრე დამპირდნენ წინათაც. ორჯერ გავამაგრე ჯარი, მაგრამ გავრცელდა ჭორი, რომ ვაპირებ მეფის შებოჭვას. აინთო ენებები სიცივისა და ნაღვაწი წასდა. მას აქვთ ქვეყანა უფრო აირია. ჩემი ღონისძიებებით დღეს კიდევ მეტად გაცოფდებიან, — და შენც შევეჭვდები. ამისათვის მიჩვენია, ჩემი სათავადო ლაშქრით ვიბრძოლო ერთ უბანზე, მთელ სამეფოს ბედზე კი პასუხი არ ვაგო.

ა. ლ. ბატონიშვილი — როცა მთავარსარდალს ასული დედოფლად გვყოლება, მე მაშინ შენი გაძლიერება ვერ შემაკრთობს, რადგან ამაზე მეტს ვეღარას ინატრებ ვერც ასულისათვის და ვერც საკუთარ თავისთვის. ხოლო თუ სხვას დავისვამ დედოფლად, მოშურნენი ჩვენ შორის შეუღლს ადვილად ჩამოაგდებენ.

თ. გიორგი — ბედნიერებასაც შემზადებით ვიღებთ.

ა. ლ. ბატონიშვილი — დროგამგებული ბედი ფრთოსანზე მიუწვევლია.

თ. გიორგი — ის სევდის გალიაშია და გაფრენის თავი არა აქვს.

ა. ლ. ბატონიშვილი — ეს არ მამშვიდებს.

თ. გიორგი — რისთვის?

ა. ლ. ბატონიშვილი — ყოველ შეყვარებულს გულში ბუღბულთან ერთად ყვავი უზის, რომელიც ეჭვით კორტნის.

თ. გიორგი — მე მას ორჯერ მოგუკალ გული და აწ ვერიდები.

ა. ლ. ბატონიშვილი — შენი სიტყვა მისთვის ისევ კანონია.

თ. გიორგი — დიას, მამა ვარ და, სიტყვას რომ მოგცემ, შემდეგ ქეთევანი შენია, ამიტომ სანამ გადაჭკრიდე, ვუზომაგ.

ა. ლ. ბატონიშვილი — შენ არა გაქვს აქ ყოყმანის უფლება. მოიგონე, რას გწერს მეფე ბარათში! შენი ასულით დარჩი უდაბურშიო! ის სამუდამოდ ამწყვდევს უდაბურ მთებში რომში აღზრდილ განათლებ-

ბულ ბანოვანს, ცოცხლად მარხავს უსებტა-
კეს არსებას.

თ. გიორგი — კი სწერია, ო, ახლა ჩავ-
ხვდი!

ალ. ბატონიშვილი — მე დავიხმარე
ღმერთი, სინდისი და განვიზსადეთ სამეფო
ტახტი და შენ კი ყოყმანობ? ჩემი ხელით
ღვთის წყალობაც არ გინდათ მიიღოთ?
რისთვის? ო, ვფიცავ იმ უდროოდ დაკარ-
გულ მემკვიდრის სულს, და ამაზე დიდი
ფიცი არ გამაჩნია, თქვენ ძალად იღუპავთ
თავს. ამას გარდა, ესეც მიღრღნის გულს,
რომ თქვენი უმადურობა საბედისწერო იქ-
ნება სამშობლოსთვისაც.

თ. გიორგი — მე მასარებს შენი მაღალი
მისწრაფება, — დაუცხრომელი ზრუნვა
ჩვენებრ უსამართლოდ განწირულებზე...
მომწონს, შეუფერებელ ტახტის მემკვიდრის
შეცვლა უკეთესით, მით უმეტეს, თუ ამას მე-
მკვიდრე თვითონ ითხოვს. მაგრამ ყოველ
საქმეში მართალნი უნდა ვიყოთ. მე სიტყ-
ვას გაძღვე, ქეთევანთან დაგაქორწინებ.
იგი შენია ამიერთო სამარადისოდ და ჩემ
სიტყვას ვერარა გატეხს, გარდა სიმართლი-
დან შენი გადახვევისა.

ალ. ბატონიშვილი — ერთ ბეწვზეც
გადახვევა უფსკრულად მკაცვს.

თ. გიორგი — დე, ასე მოხდეს.

ალ. ბატონიშვილი — მამ, გადაეკა-
ხებ, ლურჯა ცხენი შემიკაზმონ, რომელზეც
მხოლოდ გამარჯვების დროს ვკადები.

(ალექსანდრე ბატონიშვილი და თავადი
გიორგი მიდიან, შემოდის მოხუცი ქალი
მარინე და დაჯდება კუთხეში. ბინდში ის
ძლიერ მკრთალად მოჩანს. შემოდის ქეთე-
ვანი — მწუხარებით იხედება, ირგვლივ მო-
ივლის)

ქეთევანი — (იძახის) მამა! (დუმილია.
მარინე ნელა გმინავს)

ქეთევანი — (მოუხედავს და შეამჩნევს)
შენ ვინა ხარ? (აკვირდება) ახ, შენ ის
მოსუცხბული... გშია, არა?! წამოდი კარავში,
წამოდი ჩემთან. (გაუწოდებს ხელს)

მარინე — (შეურყვევლად) არა.

ქეთევანი — შენ ამაყი ხარ?

მარინე — სად არის ჩემი სიამაყე!

ქეთევანი — მითხარი, რად გმინავდი?
ვინა ხარ?

მარინე — ახ!

ქეთევანი — დღეს ქვეყანა წყრილია...
მარინე — (შეხედავს დამწუხრებულ სა-
ხით)

ქეთევანი — ო, შემაცბუნა, ისე შემომ-
ხედე. (დუმილია) შენ რა გქვია?

მარინე — მარინე.

ქეთევანი — როგორ მეამა ეს სახელი.
ჩემი ბავშვობის ერთ დედობრივად მოა-
ლერსეს მარინე ერქვა. წამოდი კარავში!
მარინე — არა.

ქეთევანი — აქ იქნები?

მარინე — კო... კაცთ სადგომიდან მოშო-
რებით ნადირის მემინია... სიკვდილი კი
ჯერ არ მინდა... ჯერ მინდა ვნახო ერთი...
აქ მომიყვანა კვალმა... ეგებ ღვთით... აქ
არის წმინდანის ქვაბი, მაგრამ ღამდება,
ვერ მივადწვევ.

ქეთევანი — ვის ეძებ?

მარინე — (უტყუარს) შენ კარგი ხარ.
ოჰ, როგორ მომაგონებ იმ ბავშვს, რომე-
ლიც მიყვარდა ისე, როგორც დედას შეილი
ძნელად ყვარებია.

ნათელას ხმა — ქეთევან! (ქეთევანი
დააყურებს)

მთის გაღალმედიან ამოწვერა მთვარე!

ქეთევანი — აქედანაც ჩანს. (მარინეს)
შენ გშია?

მარინე — არა, მე ვიშოვე უმად სატყელი
სოკო.

ქეთევანი — მაჭრეოლებს, ისე მიყურებ
ხანდახან.

მარინე — (სხვანაირი ხმით) მე ბევრი
წამება გამომივლია... შენ ბედნიერი ხარ...
(დუმილია)

ნათელას ხმა — ქეთევან!

მარინე — ფარეში გეხმარება. მე აქ
ჩემთვის ვიქნები, — შენ კი ახალგაზრდა
გულით გაისიერნე ამ მთვარის შუქში.

ქეთევანი — შენისთანა არავინ მინა-
სავს.

მარინე — თუ ვინმეს ნაწილს წაართმევს
ცხოვრება, მას კიდევ რჩება სიტყვები სა-
ყვედურის სათქმელად... მაგრამ ვისაც ყვე-
ლაფერს წაართმევს, ის სიტყვებსაც არ
იტოვებს... მე ბავშვ დავხურე. — გაიღება
მხოლოდ ღმერთის წინაშე. (დუმილია)

ქეთევანი — მე ახლა ისეთი არა ვარ,

გუშინდლამდე რომ ვიყავი... და ვერც გამო-
მითქვამს, რა შეიცვალა ჩემში.

მარინე—ო, შენ კარგი ქალიშვილი ხარ.

(ნელა შემოდის მთვარის სინათლე)

ქეთევანი — ნათელა!

ნათელას ხმა — ა?..

ქეთევანი—მოდი ჩვენთან ჩონგურით!
(მარინეს) გუშინ მე დავიკარგე ამ ტყე-
ში... შავ ჩერობთან ერთად მსდევდა საში-
ნელი ბედისწერა. იქ შემეხვდა ახალგაზრდა,
იდუმალი, ძლიერი, მან მიხსნა.

მარინე — ვინ იყო?

ქეთევანი—ვინ არის? არავინ იცის მი-
სი ვინაობა.

მარინე—(საშინელ მღელვარებით) ო,
არავინ იცის! ის მე უნდა ვნახო, გავიგო!

(შემოდის ნათელა).

ნათელა — (შესცქერის მალა) ოპ,
მთვარე ჩემი!

ქეთევანი — შენი?

ნათელა—ყველაფერი ჩვენია, რაც გვი-
ყვარს, და მარტო ისაა ჩვენი, რაც გვწაი-
ან.

ქეთევანი — (მიმოიხედავს. მიუთი-
თებს მალა, მოშორებით) იქ დაჯექი, შე-
ნი სიბრძნით და სისულელით.

ნათელა—(მიდის და ჯდება მოშორე-
ბით)

ქეთევანი — მარინე!

(ქეთევანი ჯდება მარინესთან. მთვარის
სინათლე მხატვრულ ელფერს აძლევს გარე-
მოებას)

ქეთევანი—შენ ჩვენებური ქალი ხარ?
მარინე — დიას.

ქეთევანი—კილო გაქვს საოცარი, ჩვე-
ნებური და ცოტა შერეულიც.

მარინე—ბევრი ნამგზავრი ვარ და იმი-
ტომ.

ქეთევანი—(ნათელას გასძახის) ბა-
ტონმა დაიძინა?

ნათელა — დაიძინა! (აწყობს ჩონგურს).

მარინე — მეც ვუკრავდი ჩონგურს..

ქეთევანი — ა?

მარინე—ახლა კი ყველაფერი, რაც მო-
მაგონებს ჩემს ბედნიერებას, ცეცხლად
მწვთება.

(ნათელა ნელა უკრავს ჩონგურს)

ქეთევანი — შენ იყავი ბედნიერი?
ნათელა — მისი ღერძი მუდამ სიყვარუ-
ლია.

მარინე—შემდეგ წამერთო ყველაფერი.
ერთადერთ სანთლად უსომო წყვდიადში
დამრჩა ლოცვა.

ქეთევანი—ო, ახლა მივხვდი, მონაწო-
ნი ხარ. თურქთაგან დარბეულ მონასტრი-
დან ხარ გადმოსხვეწილი და სალოცავ წმინ-
დანის ნაწილის კვალს დაქმბ.

მარინე—ჰო, ჩემი წმინდა ნაწილის
კვალს მოვეყვები შავი ცრემლით.

ქეთევანი—ვიცი, რა სატანჯველია ეს
ცხოვრება.

მარინე—ახ, შენ რაც ტანჯვა გგონია,
ის მხოლოდ ცივი წყალია ძილით მოქან-
ცულისთვის...

ქეთევანი — (შეპყურებს)

მარინე—თუმცა შენს თვალეში რაღაც
ფიქრებია... მაგრამ ის მხოლოდ სილამაზეს
გმატებს.

ქეთევანი—ჩემს ბედს დაუცდენლად
მოსდევს სიკვდილის ჩრდილი.

მარინე—ეს, ალბათ, შიშია, ნეტავი
შემალოცვინა შენთვის.

ქეთევანი—ილოცე ჩემთვის,—ერთ ზა-
ფხულს ოდიშის მთავრის პირშო ქემ დამ-
ნიშნა თავის საცოლედ და პატარა დედო-
ფალს მიწოდებდნენ, მაგრამ ერთ ღამეს
რაღაც ზარი გაისმა... სასახლის მახლობ-
ლად გულგაპობილი ეპოვათ მთავრის მემ-
კვიდრე... (შეჩერდება) რიონზე გადა-
დგარ სასახლეში ცხოვრობდა ჩვენი მეფის
მემკვიდრე — გონიერი და მჭევრმეტყველი
ჭაბუკი, მშვენიერი თვალებით... ჯერ დამი-
მგობრდა და მერე დამნიშნა საცოლედ...
შუალამე იყო — სასახლის მახლობლად
გულგაპობილი ნახეს მეფის მემკვიდრეც...
შემდეგ... კიდეც... სიმწარე...

მარინე — (თანგრძნობით) აპ!

ქეთევანი — ტანჯვა და ოხვრა არ
გვშველის, მხოლოდ ჩვენსავე უმწეობას
გვიმხვებს!

მარინე—მაინც, ვხედავ, მადლით ხარ
სავსე.

ქეთევანი — ჩემი სანთელი ჩამქრალი
მგონა... მაგრამ დღეს ვფიქრობ, რომ სა-
ნამ ცოცხალი ვართ, არ შეგვიძლია ვთქვათ

ჩვენს გულზე, რომ სულ მეყდარია.

მარინე—მე გჭერვტ მთელ არსებით და მივივრის.

ქეთევანი — რათა?

მარინე—როგორ პადებს ბოლწი მარგალიტს, ცოდვილი წმინდანს.

(ლოდის გვერდით გამოჩნდება კირიონის შავი სილუეტი)

ქეთევანი — (შეხედავს კირიონს. დუმილია. მხოლოდ ჩონგური წყნარად უკრავს); ა, ისაა...

მარინე — ვინ? (უყურებს კირიონს) გაშეშებული დგას.

ქეთევანი — გუშინ ტყიდან შემომესმა სიმღერა, ტყეში შემიტაცა. ხმა შეწყდა და დაბურულ ტყერში დავიკარგე. მახლდა მხოლოდ მგლისფერი ძაღლი. უსასრულო ბრუალში მტერნი ამედევნენ, რომელნიც ხეთა მოფარებით მსდევდნენ და ძაღლი მომიკლეს. ზარდაცემულს სირბილში ციცაბოზე ფეხი დამიციდა და იღბლად სამოსელით ბუნჭის ტოტს დავეკიდე ქვესკნელზე. მდევარნი ზარდაცემულის ხმით გაიქცნენ. იმ ეამს ეს ჭაბუკი გამოჩნდა ძირს, მოკლულ ნაღირს ატყავებდა, თავის განწირვით ციცაბოდან გადმოშიღო. გულწასული მომასულიერა და ბოლოს დაუსრტელ, ენით უთქმელი ზრუნვით მომიყვანა ჩემ ზღურბლზე. მე კი მისი ვინაობა ნათლად არ ვიცი, ნეტა დაელაპარაკებოდე.

მარინე—ახ, ის არის, ვისი ვინაობა ვერ გაუვიათ? (უახლოვდება კირიონს. შეჩერდება) ბატონის ასული გულს გიშლის ფიანდაზად, ისე მადლიერია.

ნათელა — (უახლოვდება ქეთევანს) ეს კაცია... ეს... ეს, ბოლოს, ვინაა?

ქეთევანი — შენ წადი კარავში, წადი და დამიხადე.

ნათელა — (ყოყმანით) კეთილი... (მიდის)

კირიონი — (ახლო მოდის) კარგი დამეა და არ მასვენებს... აქ ამხანაგი მეგულვება. თუ შევხედობი, ერთად წაგალო.

ქეთევანი — თქვენი ამხანაგი უკვე წაევიდა თავის ფაცხაში. იქ ჩვენ სამხარს დაგვიშვადებს.

კირიონი — შემდეგ შორი გზა გიძევთ? (გამოდის მოვარის სინათლეზე)

ქეთევანი — გრძელი გზა და უკზოობა. მარინე — (ყვირილით) ო, როგორ გაგხარ შენ მას სახით... და, ხმითაც...

კირიონი — (შეხედავს მარინეს) ვის?... მარინე — ახ! (დუმილია) კიდევ დაელაპარაკე მადლიერ ასულს, გოხოვ... გამოიღე ხმა?

კირიონი — შენ ამ ასულის დედა არა ხარ?..

მარინე — არა. მისი მშობელი ძლიერია და სასტიკი. მე კი მაწანწალად მოვსულვარ. შენ აქ — საიდან?

კირიონი — ამ მთებში — გამოქვაბულის სტუმარი ვარ. ვნადირობ.

მარინე — საიდან მოხველ?

კირიონი — გრძელ ამბავს მკითხავ.

მარინე — შენ გულზე გაქვს შავი ხალი? შეიხსენ, დამანახე.

კირიონი — შავი ხალი? — მაქვს. მარინე — მკერდზე დალი... შემოხვევით მიმწვარის! ახლაც გეტყობა?

კირიონი — დიას.

მარინე — (მლელვარედ მოჰკიდებს ერთ ხელში ხელებს) და ეს თითიც გაჭირილი გაქვს ისე ღრმად, რომ ახლაც განიია... (ხარბად დასცქერის თითებს მოვარის სინათლეზე, აღფრთოვანებით მიაქვს კირიონის ხელი თავის ბაგესთან საყოცნელად. უცბად შეჩერდება) სისხლი გცხია ხელზე... (დააკვირდება) სამოსელზეც... რისთვის?

კირიონი — მხეცის ტყავი ამოვიტანე და ამ ლოდის უკან დავაგდე.

(ქეთევანი და მარინე გადაიხედავენ ლოდის უკან)

ქეთევანი — ის არის. შენ მეორედ მომანჩე ქვეყნად სიცოცხლე.

კირიონი — შენი ბედით ქმნილ საქმეს მე ვერ მივითვისებ.

მარინე — ო, რით ვადაგახდევინა ღმერთმა მის ოჯახისათვის, ვინც მხეცზე მიწინვარედ მოგვექცა.

კირიონი — რა ვადამასდევინა?

მარინე — ო, მ... კ... სუნთქვა მერთმევა...

ქეთევანი — დაივანე, წამოწექ... (ხელს მიაშველებს) მიძიმე მომხვდა ჩან-

თა, — მოიხსენ. შივ წმინდა ნაწილიანი ხატი ხომ არა გაქვს?

მარიე — რამდენად გადასწონის ის ცრემლები, რაშიც ეს მერგო... ჰჰ... (დაემხობა)

ქეთევანი — (ზრუნვით) კარის მოძღვარი ვიხმო?..

მარიე — არა, რჯული ჰ... ვგებ... ისევ ვუძიებ... ჰ... (ძლივს სუნთქავს)

ქეთევანი — კარის ექიმი ვიხმოთ?

მარიე — არა, ასე მჩვევია, მოვბრუნდები. — (უცქერის კირიონს) ყური მომაპყარ. შენ გახსოვს, ზღვის პირს რომ გემი მოადგა და დედა მოგტაცა?

კირიონი — ხორციელ ნიშნებს გარდა, ჩემი სულიერი წყლულიც იცი? საიდან? ვინ ხარ?

მარიე — (ძალად იღიმება) მმ.. მარჩიელი ვარ! — ხომ ასე გგონია?..

კირიონი — შენ მჭვალავ თვალით.

მარიე — ყელში მგუბება სათქმელი... გადმოსაცემი დედის გულიდან.

კირიონი — ჩემი დედის მოამბე ხარ? ის ხომ ძლიერ შორსაა.

მარიე — ხელი მომეც, სიცოცხლე ჩამიბრუნე. (ხელს ჩააგლებს, იკრებს ძალას). მე მისი სული და გული ვარ. მისი თხოვნით, თურქების ტალღას გამოვყვე, შენს კვალს ვეძებდი, ვწიშობდი, რომ არ მიმიკარებდი, იმისთვის, რომ მისგან მოკითხული განძი არ მიიღე, ვიფიქრე, მის მოციქულსაც გამაწილებდი.

კირიონი — მის ნამუსის ახდით მოპოვებულს რა გულით მივიღებდი?

მარიე — შენ აზნაურობაც და ფარხმალიც გაგიბრუნებია. ო, როგორ მეშინია გაწილების. ის წყალობა მეფეს გიორგიმ გამოაღებინა ცოდვის მოსაბანად.

კირიონი — ჩემი დედის მჩაგვრელის და მამის მკვლელის ხელით ბოძებულ წყალობას მე კაცობა ვარჩიე. ფარ-ხმალი თვითონ გავიჭედე.

მარიე — რა ცხოველი შეუქი ხარ, არ წამართვა ხელი — მაცოცხლებელი... ხელი — ჩემი სიკვდილის მტერი. ხელი... (კოცნის ხელზე) ანგელოზის ცეცხლის ხმალივით მიცავს, მახარებს იმიტომ, რომ მე მისი სული და გული ვარ.

კირიონი — ჰო, სთქვი, — თვალ-ყური ამეხვანა, თუმცა ჯობს სიყრუე. (მარიეს ისევ უწყდება ხმა. უმხობა)

ქეთევანი — ო, უფრო ცუდათაა!

კირიონი — წყალი მაქვს თასში. (იღებს გვერდიდან თასს)

ქეთევანი — მე კარის ექიმს ამ წამში გავაღვიძებ. მოვიწვევ. ამ წამში!

(ქეთევანი მიდის. კირიონი წყალს ასხამს მარიეს გულზე, შუბლზე ხელს უსვამს)

მარიე — (მოიკრებს ძალას. წამოიწვევა) შენს დედას იმ გემზე ერთ კვირაში თმა გაუთეთრდა, სახე დაელარა, გაფითრდა. დიდ სულთანს გულს შემოფეყარა, როცა მიჰგვარეს, მაგრამ შეიცოდა და ბინა უძღვნა სამარტოოდ... ამით დედას იმედო მოეცა, რომ ნამუსს შეირჩენდა და პირნათლად შეეყრებოდა იმ ქვეყნად სანატრელთ. მაგრამ სატანამ მოუჭრა ცხოვრების გზა.

კირიონი — როგორ — მოკვდა? არ მომკვდარა?

მარიე — სატანამ შეინახა საკოდებლად, შემდეგ შებილწეს, მის სულს ჭრისტე წაართვეს და მის ხორცს — სისპეტაკე. შებლალეს.

კირიონი — ვიბნევი... ვერ მიმხელ ბოლომდე.

მარიე — მეშინია.

კირიონი — მეც მზარავს.

მარიე — მე მინდა იმ დღიდან აქამდე რაც ეამმა განვლო, მთელ იმ ეამს მეხი დაეცეს. წყველი ეამი გაქრეს, შენ იმ ბავშვად იდგე და შენი დედა იმ სისპეტაკით.

კირიონი — გცნობ... გხედავ...

მარიე — მე იმ ზღვის პირად ჩამოვიარე... დაკინებულა სოფელი... სჯული უცვლია.

კირიონი — მისთვის გავშორდი. ვერ გავუძელ კაცთ აქოთებას.

მარიე — იქ მინდოდა მოგონებით ხული აღმდგომოდა, შეგჩერდი... ო, იმ სამოთხის ადგილს ახლა ტყე და ჯაგია და ჩემი სიკვდილად ქვეული სიცოცხლე უფრო დაბნელდა.

კირიონი — სად შეჩერდი...

მარიე — საიდანაც გემმა, იმ წკვა... რამ... დღეს...

კირიონი — (ქვითინებს).

მარინე — შემხედ, ყური მომაპყარ, გეტყვი... გაიგე მე ვინ ვარ. ჩამეხვიე მკვდარ გულზე, მე ვარ შენთვის...

კირიონი — ვხედავ, გიცანი.

(შემოდის ქეთევანი).

მარინე — მადლი მაცხოვარს... ქრისტეს...

(მარინეს ხმა უწყდება სიკვდილით).

კირიონი — ოო! (შიშით უკან დაიხვეს).

ქეთევანი — არა! არა... გამობრუნდება.

ასე მოხდის ჩემ ძიძას. უქიმი გავაღვიძე, — წამალს ლესავს.

კირიონი — ძიძას?

ქეთევანი — აი, მისი ჩონგური მომესმა წყაროდან.

კირიონი — არ მესმის... ფოთლები კი აშრიალდა.

ქეთევანი — გამოცოცხლდა ნიავეთან ფოთლები, წყარო, მთვარე... მასაც არ გეზბა პაერი.

კირიონი — მთელ ქვეყანას ისტაგავს ჩვენი სული; ქვეყანა კი ჩვენს სიკვდილს არ გრძნობს.

ქეთევანი — გულს გაგუღედავ ნიავეზე. (მოხსნის ჩანთას, მკერდს უღელავს) ოჰ, ღმერთო!

კირიონი — რა?.. (ვხედა ხელით სახეზე) გარდაიცვალა.

ქეთევანი — მარინე!..

კირიონი — სახელი იცი?

ქეთევანი — მითხრა.

კირიონი — (ხმაჩაბული) დედა!... (იჩოქებს გვამთან).

ქეთევანი — ჩანს, მისი მეგობარია, მაგრამ თვითონ ვინ არის? ჩანთაში ბარათი თუ აქვს მისგან. (ხსნის ჩანთას).

კირიონი — ო, რამდენი იბრძოლა ცხოვრებისთვის უბედურმა, მხოლოდ სიკვდილის ეპოს გაიმარჯვა ამით, რომ ჩემს ხელში დალია სული.

ქეთევანი — შეასრულა მეგობრის ვალი. (გადმოაბრუნებს გახსნილ ჩანთას. წკრაილით გადმოცვივა განძი) ო, რამდენი ოქრო, ძვირფასი თვლები! ო, რა საუნჯე მოგვარა დედისგან.

კირიონი — ეს მისია.

ქეთევანი — ეს შენ გაგამდიდრებს.

კირიონი — არა, აქ, ვხედავ, ძლიერი

ბატონის სადგომია. ის მის სადგომში გარდაიცვალა და მე ხელი არ მაქვს ამ საუნჯეზე.

ქეთევანი — მე ამ ბატონის ასული ვარ.

კირიონი — ალბათ, იგი ასეთ განძისთვის ლაშქრობას არ დაშურავს.

ქეთევანი — მე არ გავამხელ, შენ უგალოდ წახვალ, ეს განძი გაცხოვრებს, ჭკუა მოიხმარე.

კირიონი — ჩემს ჭკუას ჭკუაზე დიდი ბატონი ყავს.

ქეთევანი — ვინ?

კირიონი — სინდისი. — სულს მომიკლავს. — თქვენ კი მოიხმართ, დაიმშვენებთ.

ნათელას ხმა — ქეთევან!

ქეთევანი — მეძახიან.

ნათელას ხმა — შიკრიკმა გიორგის, ქობულის ძის, სახელზე მთავრების უსტარი ამოიტანა, საჩქაროა — შემობრძანდი და გააღვიძე.

კირიონი — (დაფეთებული) გიორგი ქობულის ძის? ამ კარავშია? შენ?!...

ქეთევანი — მე მისი პირველი ასული ვარ. (კირიონი უკან იხვეს) რა მოგდის?

კირიონი — ვერ გიხილავ. მიცვალებულსაც შენ უბატრონე. (უკან იხვეს).

ქეთევანი — სად მიდიხარ?

კირიონი — ცხრა მთას იქეთ, სულ დასაკარგავში.

ქეთევანი — რა დაგავიწყებს ამ დღე და ღამეს! არა, შენ უნდა მინახულო. (შიშვით მისკენ) უსათუოდ უნდა შევხედეთ. (ხელს ჩასჭიდებს).

კირიონი — შენი ბაგით ცა მიხმობს.

ქეთევანი — ეს თანხმობად მესმის.

კირიონი — ციურ ხმას ქვესკნელის ძახილი აყრუებს. რად გინდა მღვიმის მწიერი. მე, რაც შემეძლო, გამოგადექ.

ქეთევანი — მე მსდევს — სიკვდილი, შენ კი სიცოცხლეს მანიჭებ. ბოროტისგან ხსნა არ მაქვს, შიში მიბყრობს, ო, უნდა მინახულო.

კირიონი — იმედი ნუ მოგვმლება.

ქეთევანი — ამ ნეშტთან ფიცად ისმის შენი სიტყვა. (კირიონი ჩქარი ნაბიჯით მიდის. შემოდის ნათელა).

ნათელა — ბატონმა გაიღვიძა. (შემოდის გიორგი მსლებლებით).
 თ. გიორგი — რა მოხდა?
 ქეთევანი — არ ვიცი, ვერ ვცნობ ვერაფერს ამ ქვეყნისას — ბურანში ვარ.
 თ. გიორგი — ქვეყანა უცხოა დიდ ჭირშიც, დიდ ლხინშიც.

ქეთევანი — (თავისთვის) ორივე ერთად შემყრია.
 თ. გიორგი — (მიიწვევს მიცვალებულს) ლისაკენ. შეხედავს.
 ნათელა — მიცვალებულია.
 თ. გიორგი — (ქუდს მოიხდის).

ფარდა

მოკმედევა მორე

მთის შევსებაზე ამოწვერილი დაღარული კლდე აყვავებული ბუჩქებით. შორს მეორე მთაზე ჩანს თავად დავითის ციხე-დარბაზი და სოფელი. ცისკრის ჭამია. სცენის იქეთ, დაბლა, მინდორზე, ყოველ მხარეს დაბანაკებულია მეომრები, საიდანაც აშუქებს ჩირაღდნები. სცენაზე ისვენებენ თავად გიორგის მძიმედ შეიარაღებული მოყმენი. სცენის იქეთ გაისმის მისალმების ხმები. ცეცხლის ანარგლი მატულობს. მოყმენი ხმაზე წამოდგებიან და სცენის იქეთ იტყვიან.

1-ლი მოყმე — კიდევ ახალი საერისთავოს დროა გამოჩნდა, — ოდიშართა და ახაზთა მთავარი მიესალმენ.

მე-2 მოყმე — სერებზე ახალი მხედრობაა. რა მოთენდება, ჩამოვლენ ფიცის დასაღებად.

(შემოდის მაკარი).

მაკარ — გაუმარჯოს ბედნიერი სარდლის მოყმეებს!

1-ლი მოყმე — ფეხზე ათენებ, მაკარ?

მაკარ — მაშ, — გახედეთ, დავითის ციხე-დარბაზის გარშემო რამდენი ცეცხლი ღაღაღდება. ჭარებისათვის საქონელი იკვლება.

მე-2 მოყმე — ამით ჯოგები აქ არ შეთხელდება.

მაკარ — ლაშქარზე ალალია; — ლტოლვილებს რა გაუძლებს.

1-ლი მოყმე — შუბლი გასხენი, მაკარია, არ დაგაქცევთ, ხვალისთვის სულ ავიყრებით აქედან.

მაკარ — თქვენი თვალი სულ აქ ტრიალებს, სადაც მცხეთიდან გადმოსვენებული ქრისტეს პერანგი ასენია, ამის იქეთ კი, დასავლეთით ზღვამდე და სამხრეთით არზ-

რამამდე რა ცოდვა ტრიალებს, ეს მე ვიცი ლტოლვილებისაგან.

(შემოდის საბა)

საბა — შენს ხმაზე მოველ, მაკარ. მაკარ — დავითმა მიბრძანა, მთავარსარდლის ეჯიბო, რომ მეფე ბაგრატი და მისი მზრუნველი ალექსანდრე სერზე ამობრძანებულან.

საბა — გიორგი სამი დღე-ღამის უძინარია და ისვენებს. ეგებ, ქედზე დავითი შეეგებოს, მთავარსარდალი კი აქ წარუდგება.

(მაკარი მიდის)

1-ლი მოყმე — ხედავ, საბა, ჩვენი თავადის საქმეს, — ყოველ მხრიდან მოდიან ფიცის დასაღებად.

მე-2 მოყმე — ნეტავ, მეფე ალექსანდრეს ეცოცხლა და ეხილა, რარივ სყოდავდა გიორგის.

საბა — ასეა, ძმებო, ეჭვიანს ცოდვა ეტანება და მშიშარას — სიკვდილი.

(შემოდის ფოკა)

ფოკა — გაუმარჯოს ბატონ საბას და კეთილ მოყმეებს!

საბა — ო, ფოკა, კარგად შეჭურვილხარ!

ფოკა — ირემი მოვიყვანე გიორგის ასულისთვის. (სცენის იქითგან უითებებს) აი, შეხეთ, ჩირაღდნებთან, ხალხი ეხვევა.

1-ლი მოყმე — რა სიღამაზეა!

ფოკა — მართვით ქეთევანს და თხოვეთ მინახულოს.

მე-2 მოყმე — სასიამო ძღვენია.

(მოყმენი მიდის)

ფოკა — ბატონო საბა! ნაწილი მწყემსებისა ლაშქარში ჩასარიცხად ამოვედით რჩეულ ცხენებით, საკუთარ საგზალ-საჭურველით.

საბა — შენისთანა ვაჭაკებია?

ფოკა — ისრით ხეზე კაკალს იღებენ, თოფსაც ხმარობენ.

საბა — მაშ, შესაფერ მწყობრში შეგვიყვანო.

(გაიხმის შორეული საყვირის ხმები)

ხმა — თავადი გიორგი მობრძანდა კარავიდან ოჯახით.

საბა — ახლავე ვეახლები!

(საბა მიდის. შემოდის 1-ლი მოყმე)

1-ლი მოყმე — ქეთევანმა გულთბილად მიიღო შენი ძღვენი. ახლავე გინახულებს.

ფოკა — გმადლობ, კეთილო.

(1-ლი მოყმე მიდის. შემოდის ქეთევანი და ნათელა)

ნათელა — ო, მადლი ფოკას, რა ირემია, მკერდზე ბეწვი ისე აქვს აჭრელებული, ჯვარს გამოსახავს.

ქეთევანი — მამამ კეთილ ნიშნად მიიღო.

ფოკა — ეს იმ ჭაბუკმა გვითავაზა, წმინდანის მღვიმეში რომ ხიზნობს.

ქეთევანი — მე გთხოვე, თვითონ ის მოგვეყვანა.

ფოკა — კიდევ მოგვვარე, თუმცა მისი ვინაობა ვერ გავიგე და თვითონაც გთხოვს არ ეძიო.

ქეთევანი — რისთვის?

ფოკა — რა მოგახსენო... ისე კი, ძილში მისგან, როგორც ადუღებულ ქვაბიდან, მომესმა შენი სახელი.

ნათელა — ეს რა კადნიერება!

ფოკა — გულახდილად ვამბობ.

ნათელა — მაინც, რა იგულისხმე ამ სიტყვით, თავხედის მიჯნურობა, თუ უსაზღვრო მოწიწება.

ფოკა — მე ვფიქრობ, მოწიწება აქვს. იმიტომ, რომ მიჯნურს მარტო თავის თავი ახსოვს, ის კი აქ ლტოლვილებზე ზრუნავს.

ნათელა — რა რიგად ზრუნავს?

ფოკა — ნანადირევს ურიგებს, ქვაბებს უწყობს, აჭიმობს.

ქეთევანი — თქვენი ლაპარაკი არ მომწონს.

ნათელა — გულმა არ მოგატყუოს.

ქეთევანი — მე ვიხილე მისი უსაზღვრო მადლი და სიკეთე. თუმცა ძალიან მოკლე ჟამში... ამას გარდა, ასეთი გაფრ-

თხილება, რომ ვინაობა არ გამოგვიჩინო, ეჭვს მიმადფრებს.

ფოკა — მე ვგრძნობ, თითქო ვშინია, არ იცნონ.

ქეთევანი — ასე გრძნობ?

ფოკა — დიას.

ქეთევანი — ო, ეს ისე მაშფოთებს, ახლავ ვკითხავ მამას, რასაც ბავშვობიდანვე ვიხსობ გულში.

ნათელა — რას კითხავ, არ მესმის.

ქეთევანი — აი, ბატონი მამაც, მგონი, მარტოა, შევეგებები... შენ კი, ნათელა, ჩემ საგანძობიდან მომიტანე პირდაჭედილი, პაწაწინა ოქროს ლარნაკი, გუშინ რომ ხელში ვაბრუნებდი, — მამასთან საუბრის გასაბმელად მჭირდება.

ნათელა — კარგი, ჩემს ჭკუაზე მეტად შენსას ვემორჩილები. (ფოკა და ნათელა მიდის. შემოდის თ. გიორგი)

ქეთევანი — მამავ, შენსკენ მომიწვეს გული. (შემოდის ალექსანდრე. ქეთევანი გაშეშდება. განზე გაიხედავს)

თ. გიორგი — მომიახლოვდი, რა გაფერხებს.

ქეთევანი — იმ ირემს ისე ეხვევიან, დააფოთებენ. (ქეთევანი აჩქარებულად მიდის. ალექსანდრე სახტად დარჩება).

ალ. ბატონიშვილი — ირემი ჩემგან გასარიდებლად მოიმიზუნა. ჩვენი პირობითი კი შე მისი პატრონი ვარ... ჩანს, ენა არ დაგიძრავს ასულთან.

თ. გიორგი — მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა, და ვერ მოვიცალე... ამას გარდა, ჯერ ძველი იარა არ მოშუშებია. მაგრამ რა დღესაც დაქორწინებას მოისურვებ, ჩაგაბარებ თვინიერს.

ალ. ბატონიშვილი — დღეს ჟამია ჩემი და ქეთევანის გამეფების.

თ. გიორგი — როგორ? არ მესმის.

ალ. ბატონიშვილი — ლაშქარი ხელთ არის, მთავარნი და დიდებულნი მე მესასოებთან.

თ. გიორგი — მეფე ბაგრატი?

ალ. ბატონიშვილი — ის ჯერ ბოკევირია და უკვე ურჩხულის კბილებს აჩენს. თუ არ დავაძვრეთ, ყელში გავგიყრის. ეს ურემოდაც იცი.

თ. გიორგი — ის არა მარტო ჩვენ, ყვე-

ლას უდრენს თავის ახლად ამოჭრილ კბილებით და მივივრის, რომ ღვთისმეტყველებისგან მონასტერში აღზრდილი, იქცევა როგორც მხეცთა ბუნაგიდან გამოსული, მაგრამ ჯერ მოთმინება გემართებს.

ა. ლ. ბატონიშვილი — უფსიზღესი და უძლიერესი დიდებულნი ახლა ჩემს კარავში არიან და მემუდარებიან გველის წიწილისგან ვიხსნა. აქ ქვეყნის დიდი სიწმინდე ასვენია ერის დასაფიცებლად. ქეთევანი, თუმცა ცოვად შემხვდა, სამოთხის ვარდივით გაიხარებს, რა დანახავს თავის თავზე დედოფლის გვირგვინს. ცა ბედისთვის ერთხელ იხსნება. მოუწოდებ შენს სიბრძნეს.

თ. გიორგი — სიცივე მიხმობს.

ა. ლ. ბატონიშვილი — შენ ამ სიცივემ აღვიდგინა ღირსება.

თ. გიორგი — მე ერის ძალა მომიკრები, წმინდა დღე მითენდება და ვერა ბოროტების ცდუნებით ვერ წავეწყვინდავ... ჩემს სიბრძნეს თუ იკითხავ, მიღებულნი მაქვს ზომა, ხელი ვერაინ შემისწავლოს.

ა. ლ. ბატონიშვილი — შენ ვეცობ, რომ ეს წამოწყება ლაშქრობას შეაფერხებს?

თ. გიორგი — არ ვეცობ, — ვხედავ.

ა. ლ. ბატონიშვილი — მტერზე გამარჯვებით გაძლიერებულ ურჩხულისგან თავს როგორ ვიხსნით?

თ. გიორგი — რაც აქ ბრძანე, მარწმუნებს, რომ ვნებითა ხარ შეპყრობილი.

ა. ლ. ბატონიშვილი — შენი ასულის ღირსებათა წყალობით.

თ. გიორგი — არაფერი არ შეიძლება იყოს ისე სპეტაკი, მაღალი, როგორც ქალის სიყვარული, მაგრამ გახსოვდეს, ზოგან ეს ვნება ყოველივეზე ბილწია და დამღუპველი.

(შემოდინათ. დავით და თომა)

თ. დავითი — მაღლი თქვენს შეყრას.

ა. ლ. ბატონიშვილი — ალბათ, მეფისგან, თავადო.

თ. დავითი — დიას, პატრონო ალექსანდრე, — თომა გამომატანა და გითვლის, ცალი ულვაში მოპარსო.

ა. ლ. ბატონიშვილი — ჩემს ვეიბს, რისთვის?

თ. ო. მ. ა. — ვეცობს, თითქო შენს კარავში მისთვის მოვეყარე თავი დიდებულებს, მეფესთან შეხვედრა შევაფერხებ. ა. ლ. ბატონიშვილი — ო, ამით მზრუნველს უწყურება. მე კი დიდებულნი კარავში მისთვის ვიხმე, წესიერი სიტყვა მოამზადონ მის შესახვედრად.

თ. დავითი — მან ბრძანა, რომ ყოველივეს მოიხილაგს და აქ მობრძანდება.

თ. გიორგი — პატრიარქი ინახულა?

თ. დავითი — ჯერ არა. მხოლოდ შენი მოძღვარი ამბროსი მიიღო, ესაუბრა და...

თ. გიორგი — ამბროსი?

თ. ო. მ. ა. — სწორედ ამბროსი.

თ. გიორგი — ის ხომ ქუთაისის მოედანზე ჩამოახრჩვეს თურქებმა.

თ. დავითი — დიას, ხალხის აჯანყებისთვის შეუპყრიათ, სახრჩობელაც აღუმართავთ და მთელი ქალაქი ქვითინებდა, მაგრამ ღამით გამოუსუნათ.

თ. ო. მ. ა. — ერთად მოვდიოდით, შენი ასული შევეყარა.

ა. ლ. ბატონიშვილი — მაშ, სარდალო გიორგი, დაარწმუნე მეფე ჩემ კეთილზრახვაში. (თომას) ჩვენ კი გავეუბღვეთ დიდებულებს.

(ალექსანდრე, თომა და დავითი მიდიან. შემოდის ქეთევანი)

ქეთევანი — ამბროსი ვიხილე, მამა.

თ. გიორგი — წელან კი პარაკლისი გადაეუბადეთ.

(შემოდის ნათელა, გიორგის შემწმენველად გადასცემს ქეთევანს ლარნაკს და მიდის)

თ. გიორგი — როგორ დაუსწია თავი? ქეთევანი — ამ დახსნას წაწყმედად რაცხს და შენს ცოდვას აბრალებს.

თ. გიორგი — რატომ?

ქეთევანი — მარინე ახსენა და ენა ჩაუვარდა.

თ. გიორგი — ოო!..

ქეთევანი — ამ სახელმა მეც შემძრა და მოვებუნე ეს ლარნაკი. ეს... უცნობ მიცვალებულისაგან დაგვრჩა.

თ. გიორგი — ო, ვხედავ.

ქეთევანი — პირი დაჭედული აქვს. აწერია, შიგ დედის ცრემლებიაო. აქ დაბეჭდილია სახელი: მარინე.

თ. გიორგი — მეც ამომიკითხავს, — ვიცი ყოველივე.

ქეთევანი — მე არ ვიცი და... ჩემს გონებაში ისე იჭრება მწარე ეჭვები, ვით ღრუბელში ელვის გველები. მე მინდა, მშობლო, ეჭვები განმიფანტო.

თ. გიორგი — შენ სინათლედ მიმაჩნდი და მწუხრს ატარებ ფარულად?

ქეთევანი — მე მახსოვს მარინე, მიყვარდა დედის მსგავსად. — მისი პატარა კირიონიც. მახსოვს უბედურება, ხოლო არ ვიცი, ის რა ცოდვით ადულდა და შემდეგ რა მოხდა ამ ლარნაკმა საღმობი ამიტყმა.

თ. გიორგი — გაგიმხელ, ვინ იყის, რა მომელის ამ ომში.

ქეთევანი — ო, სჯობს ვილოცო, ვიდრე ეჭვით ვეწამო.

თ. გიორგი — პატარა იყავ, მე იმ დროს გამარჯვებული მთავარსარდალი გახლდი, აღჭურვილი მეფის ბადალ უფლებით. ერთმა ჩემმა აზნაურმა ომში თავი ისახელა და ჩემ მეზობლად დავასახლე. შენმა დედამ მისი ცოლი მარინე მოიწონა და ფარეშად მიიღო. იმ უზრუნველ ვაშში მომეწია მოულოდნელად უბედურება, მეუღლე უფალმა მიიღო. მარინემ იკისრა შენი მოვლა და სპეტაკ ცრემლებით გვბანდა ნაღველს. მაგრამ უსილავე გზით მოილტვის ჩვენთან ცოდვა, მის ლამაზ თვალთა თანაგრძნობა ჩემ გულში ცდუნებას ბადებდა. იმ დროს მესტუმრა დიდი სულთანის ძმა და იმხომ მოიხიბლა მარინეს სანდომიანობით, მთხოვა მეძღვნა. მე ვიცოდი, რა რიგ უყვარდათ ცოლ-ქმარს ერთმანეთი და უარი ვუთხარა. მაგრამ იმ დღიდან ისე მომერია და გამომძვინდა ვნება, თითქო ვმამაკმა გულის სიღრმეში ჩამწყვდეული ცეცხლი აღმოხეთქა. მარინეს მეტს არაფერს ვხედავდი. მარინემ იგრძნო ჩემი აღტყინება და სახლიდან გაქრა. ეს აუტანლად დამიძიმდა და... ჩემს მოძღვარს ამბროსის აღსარებაში გაუუხილე, რომ იუდას საბელს ენატრობ ყელისთვის. მოძღვარი შემფოთდა და ამას დარიგებით სასოწარკვეთილმა, ბოლოს, ჩემ დასახსნელად ბილწი წინადადებით მიმართა სპეტაკ ოჯახს: ქმარს შესთავაზა დიდაზნაურობა და მარინეს ჩემი ოჯახის დედოფ-

ლობა. მათ ეს მოთხოვნა ზარით და კეი-ლით შეიცხადეს და ტყეში გადადივნადან ამ დროს მეტად გაძლიერებულ საურკეთიდან ელჩი მეწვია. მან მაუწყა, რომ სულთანნი გარდაიცვალა, მისი ძმა დაჯდა ტახტზე და მოითხოვდა კეთილმეზობლობის ნიშნად გამეფაგნა მისთვის დაუვიწყარი მშვენიერება მარინე. მე ის მოყმებს გამოუათრევენივე ტყიდან და გემში ჩავაბი... მახსოვს, მისი პატარა ვაჟი რა დრტივით ეხმარებოდა დედის კვილს. ნუ იკითხავ, რა მართავდა მაშინ ჩემ ხელს, — მარტო გაწილბული სიშმაგე, სიყვარულის ცოფი, თუ ქვეყნის საჭიროებაც. იმავე დღეს მისი ქმარი ვეფხვიით განძვივებული შემომეჭრა ეზოში, მცველები ხმლით დამიმარცხა და მოიწია ჩემზე... (შეჩერდება).
ქეთევანი — მახსოვს. მეტს ნუ იტყვი, ცოდვა ხარ.

თ. გიორგი — ო, აქ თუ ენა ქვედდება, რა ვთქვა უფალთან.

ქეთევანი — შენ სხვა იყავ იმ დღეს. ის შენ არ იყავ.

თ. გიორგი — არა, როცა ბოროტებას ჩავდივართ, ის მარტო იმ დღის მოქმედება არაა. მას ფესვი აქვს შორს... ეგებ დაბადებიდან მოდის.

ქეთევანი — არა... შენ გულს მიტყავ. მამავ, მაგრამ მე გული არ მიტყდება.

თ. გიორგი — ეგებ მეტისგან მისხენი. შენ შემინდი, კირიონიც არ მომესპო. — სამ დღე და ღამეს გყავდა მკერდში ჩახვეული და კვიოდნი, სანამ აზრზე არ მოგიყვანეს მკურნალებმა.

ქეთევანი — მახსოვს, ამიტომ წამიყვანა დიდედამ. გამატანა რომში თავის დის შვილს, რომელიც იტალიელ დიდებულზე გათხოვილი იყო და რომიდან ექვს წელს არ მომბარუნა.

თ. გიორგი — მე კირიონზე გადავიტანე სიყვარული, მაგრამ ის მოუშინარებელ მხეცად იზრდებოდა.

ქეთევანი — დედა ენატრებოდა?..

თ. გიორგი — სტამბულით საჩუქარი მოუვიდა, მაგრამ ჯერეთ ბავშვმა, დედის შებილწვის საფასურად იცნო და მომტანს ზიზლით უკანვე მიახალა. მეორედ, მეტი განძის მომტანს, არგნით სახე გაუხეთქა.

ქეთევანი — რა ბედში გაყავდა?

თ. გიორგი — დიდ-აზნაურობა ვუბოძე, შესაფერი მიწა-წყლით. მივეუჩინე რიტორი და ბერძნულს და ლათინურის მასწავლებელი. ცამეტის წლისამ დაგმო ჩემი პატივი და ცოფიანივით გაიჭრა მაწანწა-ლად. ამბროსი დაედევნა დარბევით, მაგრამ აღსარებაში გაუმხილა, რომ ჩემზე შურისძიების წყურვილი არ ასვენებს.

ქეთევანი — თქვენ რა ღონე იხმარეთ?

გიორგი — ამბროსიმ წმინდა დომინიკეს ბერებს დაუმეგობრა და დასავლეთში გაატანა მღვდლად აღსარდელად.

ქეთევანი — ბოლოს, რა მოეწია?

თ. გიორგი — მსიამოვნებს, რომ გულ-თბილად მკითხავ მის ბედს.

ქეთევანი — დიას, დიდ მსურველებითაც, მამა-ბატონო.

თ. გიორგი — ვერ გაგახარებ. — ამბროსიმ ორი წლით დაგვიანებულ ბარათით შეიტყუო, რომ ჩემზე შურისძიების მჭვალი გაძლიერებია. ამისთვის დაშორდა ბერებს, შეუერთდა მოედნებზე მომღერალ სახიობებს, შემდეგ სამხედრო ხროვებს, ბოლოს აყვა ვინმე მოხეტიალე ფილოსოფოსს და უკვალოდ გაქრა.

ქეთევანი — ო, ვით მოულოდნელი ელვა სიბნელეში დაფარულ სახეს გამოაჩენს, ისე დამანახა იგი შენმა სიტყვამ.

თ. გიორგი — მჯერა, რომ დაიდუბა და ერთ მონაზონს მიეანდე განუწყვეტლად აგზნოს სანთელი და ილოცოს მისი სული-სათვის.

ქეთევანი — (იქეთ ანიშნებს) შენი მოძღვარი მობრძანდება.

თ. გიორგი — ამბროსი!
(შემოდის ამბროსი)

თ. გიორგი — მამა ამბროსი!

ამბროსი — არ მელოდი.

თ. გიორგი — აქ ლაშქარი აღფრთოვანდა შენი თავდადებით... მაგრამ ვმადლობ შეყვას...

ამბროსი — ვიცი, სიცოცხლით უფრო მკვდარი ვარ, ვიდრე მიწაში მდებარე ვიქნებოდი.

თ. გიორგი — ეს ხომ მაინც სიმათ-ლეა, რომ მოლაღატენი ჩაქოლე.

ამბროსი — დიას, ერთმა მღვდელმა

თავი მოიმკვდარუნა და კუბოში ოსტატურად გაიმართა, როცა საფლავთან მიიტანეს, წამოდგა და ხალხს გამოუტყდა, რომ საიქიოს იყო, ღმერთი იხილა, ესაუბრა და გაიგო, რომ მაჰმადიანთა მოწყალეა და ქრისტიანთა მოძულე. ხალხი შეძრწუნდა. მე ვიყვირე, რომ ეშმაკი უნახავს და მოვეუწოდე გველივით გასრისონ. აღშფოთებულ იერი ამყვა და ქვებით ჩაქოლეს. მე ჩაფრებმა შემიპყრეს და ფაშას მიმგვარეს. ფაშამ გადაწყვიტა კვირას ქუთაისის მოედანზე ვეწამებინე... მაგრამ უფალმა, როგორც ხედავ, არ მალირხა, მოწამის შარავანდელი.

თ. გიორგი — რად გაგიშვეს?

ამბროსი — აი, რა არის იმის მაგალითი, თუ რა შორს სდევს კაცს თავის ცოდვა.

თ. გიორგი — დიას, მითხარ, მოძღვართ.

ამბროსი — შაბათს ქუთაისში ჩამოვიდა სულთანის ძე სერვეტი. რა გავგო, რომ დასასჯელი პატიმარი შენი მოძღვარი ვარ, მყისვე მომიტხოვა და წარმადგინეს. მე დასაწყველი სიტყვა მქონდა პირზე მომდგარი, მაგრამ სახით და გამომეტყველებით უეტრად დაეამსგავსე მას, ვისი საცოდაობაც დიდი ხანია მქენჯის... მანაც შეხვედრისთანავე გამომგითხა მარინეს და მისი პირველ ქმარ-შვილის ამბავი. მთხოვდა სიმართლე მეთქვა, მეც მოვეყვი, რის მოწმეც ვიყავ და, ბოლოს, ვამიხილა, რომ ის არის დიდი სულთანის ვაჟი მარინესგან.

თ. გიორგი — რა ჰასაკშია?

ამბროსი — ბავრატის ტოლია.

ქეთევანი — მარინესგან!.. (მძიმე დუმილია) სხვა ვერაფერი გითხრა?!

ამბროსი — როცა ეს შეძენია, დატყვებულა, ცოდვის ნაყოფმა არ დაუცხროს ჭეშმარიტ ქმარ-შვილის სიყვარული და დაუფიცნია, რომ არ ნახავს, სანამ კირიონს არ მოგვრიან, ამიტომ ნორჩი ძე გადაუციათ ერთ ქართულ მხველისთვის. გამდელს დრო-ჟამში სერვეტისთვის ყოველივე გაუმხელია და მოუბრუნებია ფარდის კრილიდან ფარულად დედა დაენახა, მისი საუბარი მოესმინა. სერვეტი თანდათან გამსტვალულა დედის სიყვარულით.

თ. გიორგი — კირიონი კი ასეთ ერთგულ დედას მოკითხვას უწილებდა.

ამბროსი — ეს გაწბილება მარინეს გა-

ბუკის სიმტიცივად უცენია და უფრო მეტად ალტყენილა.

თ. გიორგი — ვით მოათავსა გამჩენმა ამოდენა ცეცხლი სუსტ დედაკაცში.

ქეთევანი — ო, რა დიდი ხარ, ღმერთო!

ამბროსი — მე მოველ არა მიყრუებულ ტკივილის განსაახლებლად, მინდა მალამო გაპოვინო ქვეყნისთვის.

თ. გიორგი — გისმენ, მოძღვარო.

ამბროსი — როდესაც ბოლო ომში დავმარცხდით, მარინე, სულთანის ნებართვით, ერთ-ერთ ფაშის ჯარს შემოყოლია კირიონის საძებრად. ის ფაშა ღრმად შემოჭრილა ჩვენს მიჯნაში, მოუკლავთ და უკან დახეულ ასკერებს ამახად გაუტანიათ, რომ მარინეს მცველები გაწყდომია, აქვთ გადჭორჩენილა და ჩვენს ზღუდეში იმალება გლახაკად გადაცმული.

თ. გიორგი — ო, თურმე რა გზით მოვლენილა ის ჩვენს კარავში, ქეთევან!

ამბროსი — რომელ კარავში?

თ. გიორგი — პო, ჯერ განაგრძე.

ამბროსი — სერვეტს, როგორც შეგატყვევ, მშობლიურ გრძნობის გარდა დღეს სხვა ზრახვაც ამოძრავებს: ის სულთანს უყვარს და — ტახტზე შემკვიდრობის იმედს აქვს, მის სწრაფვას კი დიდად აბრკოლებს, რომ დედა და ძმა მტრულ სამეფოში ცხოვრობენ.

თ. გიორგი — ო, მესმის.

ამბროსი — აქ, შესაძლოა, რამე ნაყოფი გამოიღო.

თ. გიორგი — მოკვეთილი რტოდან რა ნაყოფი გამოვა.

ამბროსი — ვიპოვოთ მარინე, ვინ უწყის, რამდენად გამოგვადგება.

თ. გიორგი — ის მკვდარია.

ამბროსი — ა? როგორ!

თ. გიორგი — როცა მთებში ვიხიზნებოდით, ქეთევანის ხელზე გარდაიცვალა. ვნახე და ვიცანი მისი ნეშტი. ახლა ზომ მთლად აშკარაა.

ამბროსი — აჰ!

თ. გიორგი — მისი ძის დალუპავც მაცნობებს რომით ბერებმა.

ამბროსი — მე მეგონა სხვა დეაწლისთვის ამაშორა მოწამეობა ღმერთმა, ახლა

კი ვხედავ, აქ ღმერთი არ ურევია, — სიტანამ დაცინვით შემართო ჯოჯოხეთში.

თ. გიორგი — როგორ!

ამბროსი — რა ჯოჯოხეთი შეედრება, როდესაც დაუმსახურებლად გაქებენ, უღვაწლოდ გადიდებენ, უღირსად თაყვანს გვემენ!

ქეთევანი — ეს აღმფთვება შენ გამაღლებს, სულმადაბლათთვის კი შეუფერებელი დიდება ნანატრი მონაპოვარია.

თ. გიორგი — მე მამხნევებდი, მოძღვარო, და შენს ჭირს ვერ უვლი.

ამბროსი — რადგან ცხოვრება სიკვდილისთვის მზადებაა, მტრისგან წაშებას მავიწყებდა წმინდანობის მოპოვება, მაგრამ მოულოდნელად ამაშორა სასჯელის შარავანდედი შენთან გამომგზავნელმა და ეს გზა გადამეჭკა დიდ ქენჯნად. — ხანამ ქუთაისიდან ფეხს გამოვდგამდი, ფაშის განაჩენი ხალხისთვის გამოუცხადებიათ, ქარის სისწრაფით გაგრცელებულა და ყველგან წინ მხედებოდა.. რომელ დაბა-სოფელსაც არ ვუახლოვდებოდი, რეკავდნენ ზარებს, ხალხს თავს უყრიდნენ საყდრებში, ფოლორცებზე, მინდვრებზე და გოდებით უცხადებდნენ, რომ ამ ჭამს ქუთაისის მოედანზე ხდება ამბროსის წაშება... მის სისხლს წვეთ-წვეთად აგროვებენ ანგელოზები და ყოველი წვეთი იქცევა ღვთის მიმართ ღალადისად. მოჭდაგენი ყვიროდნენ, რომ ამ წამს სახრჩობელაზე ვარ, ქვეყიდან ცეცხლის ალი მეკიდება და სული ჩემი მეთეცის კარს აღებს, რათა ღვთისმშობელს დაანახოს მის წილ-ხდომილ ერის დარბევა, აოხრება. ხალხი შფოთავდა, ღრიალებდა, ჩემი სახელის წარმოთქმასთან ქვეთინით იჩოქებდა. ერთხმად წმინდანთა შორის მრაცხდნენ და მიფიცებდნენ. ზოგი მეტად შეძრული, ქვეყნის აღსასრულს მოელოდა. იქ ჩემი გამოჩენა იქნებოდა შეგინება მათი სარწმუნოებრივ ალტყინების. ამიტომ მე დაბა-სოფლებს და შარავნებს გვერდს ვუვლიდი, მოვდიოდი უგზურით, ან ბუჩქებ შორის ხოხვით მოვიპარებოდი ნაქურდალი წმინდანობით და სირცხვილთ ვნატრობდი ქვეყნელი გამპობოდა.

თ. გიორგი — მაგ ქენჯნაში წმინდანად ჩანხარ.



ამბროსი — აქეთ მომავალი მაინც ვგონებდი, რომ იმ დედა-შვილს სასიკეთოდ მოვიხმარდით. თქვენ ეს იმედიც მომიშალეთ.

თ. გიორგი — მაგიერად აქ ერის აღტყინება დაგხვდა, თუმცა შენი მონაწილეობა დღეს მოურგებელია.

ამბროსი — მჯერა.

ქეთევანი — რატომ, მეც გიგლოვე, წმინდა მამე, ახლა კი შენი ზილვა მასარებს. სხვაც ასე იგრძნობს.

(შემოდის საბა. გაისმის ზეიმის ხმები) საბა — მეფე აღფრთოვანებულია შენი შეკრებილი ლაშქრით.

თ. გიორგი — ეს არ შეეჭვებოდა. (ამბროსის) შენთვის ჯერ ქვაბში შეხიზნა სჯობს.

ამბროსი — არა, რასაც აქ ვხედავ, მეტად მალეღვებს. — ეგებ ღმერთმა მთლად არ გამრიცხოს, საჭირო დავრჩე.

(ქეთევანი, ამბროსი და საბა მიდიან. რჩება გიორგი. შემოდის მეფე ბაგრატ, ალექსანდრე, დავითი, პატროკლე, ანტონი)

თ. გიორგი — მადლი უფლისა ჭაბუკ მეფეს!

ბაგრაცი — ჭაბუკს! რა ჭაბუკს! სიბრძნე ნიჭს ახლავს და არა ასაკს.

თ. გიორგი — მეც მისთვის გლოცავ.

ბაგრაცი — შენ ჭკუა გიჭირს, მომწონს, რომ სიწმინდენი გადმოსავენეთ ლაშქრის აღსაგზნებად. უფრო მშვიდად განდობ ჩვენს ბედს.

თ. გიორგი — ბრძენთაგან სწავლა ღირსეულად შეიგნე, მეფე.

ბაგრაცი — ნუ ავეიობ, ეს საჭიროა არა მარტო ჩემთვის, არწიეო, — ერის გულის გასასურებლად... ანტონ, უპასუხე ამათ, რა ხდება ბოლოს თქვენს მხარეში.

ანტონი — ათაბაგი სულ გამოეყო საქართველოს, მტრის სჯული მიიღო. დღეს შესხეით არზრუმამდე და გურიით ტრაპიზონამდე ქართველ ტომებში მართალთა გოდებაა.

ბაგრაცი — იგემებენ ჩემ ცეცხლს და მახეილს განსაწმენდად.

ალ. ბატონიშვილი — შენ სიფიცხე გერევა.

ბაგრაცი — მე ღმერთთან ვარ, შენ ეშმაკთან.

ალ. ბატონიშვილი — შენ სხეებით მღვდლობა დაგშვენდება.

ბაგრაცი — დღეს მღვდლის საქმეა გაცოფებული ბრძოლა.

ალ. ბატონიშვილი — ეს გაუგონარია.

ბაგრაცი — თუ წაგიკითხავს, ღმერთი ანგელოსაც აძლევს ცეცხლის ხმალს.

ალ. ბატონიშვილი — შენ სხეებით ფიცხობ, მეფე. აქ შეცხელებულ ამობრძანდი, ექიმმა გთხოვა წამალი მიგელო და სარეველში დაგვეყენა.

ბაგრაცი — ჩემი ხორცის წამალი ჩემივე სულში გავლესე და ღვთით ჯანმრთელად ვარ. მძავს ხორცის განუხიერება.

ანტონი — ჭეშმარიტად, მეფე, ჩვენში ვინც ხორცი და სიმდიდრე მრთელად შეირჩინა, სულით გაიხრწნა.

ალ. ბატონიშვილი — წმინდა მამები სად არიან?

ანტონი — მალალი სამღვდლონი ფუფუნების შესარჩენად ათაბაგს ემორჩილებიან და ერს საყდრებში სულთანის ერთგულებაზე აფიცებენ, ხოლო დაბალი სამღვდლოება, გლახები და პაპის ერთგულნი ჭეშმარიტ სჯულზე დგანან.

ბაგრაცი — არა, კეთილო, პაპმა ჩვენს გამოდენა ურჩხული, თვითონ კი მშვიდად წუწკობს.

პატროკლე — პაპების უგულობამ დასცა საბერძნეთი. მაპატიოს დიდმა სარდალმა, მათმა პატრიუსმცემელმა.

ბაგრაცი — მესხეთის მეომარნი სად გაქქრნენ, ანტონ?

ანტონი — ვინც მანამ გმირად ჩანდა, ისე წახდენ, თავის ფეხის ხმა მტრის ფეხის ბაკუნად ეჩვენებათ და მამა-პაპათა სახელს ბღალავენ შიშით. ხოლო ვისაც მდაბიოდ და გლახაკად ვრაცხდით, აჯანყდენ სამშობლოს დასაცავად და, თუმცა დამარცხდენ, სიკვდილს ღვთის ჭებით შეხედდენ და ვინც გადარჩა, აქ გამოიყვან შენს ლაშქარში ჩასარიცხად.

ბაგრაცი — თავადი გიორგი ღირსეულად გაგაწყობთ.

თ. გიორგი — თქვენ შეგაერთებთ ბერ-

ძენ პატროკლეს და ერისთავთა დიდ ქალ-
ბატონის ლაშქართან, ჩვენს მოღალატე
ტომებს შეუტევთ.

ბ ა გ რ ა ტ ი — მე მეწინავეთ შევიტრები
ქუთაისის ციხეში და სულთანის ძის თავს
გადმოგვიდებ ჩემი ძმის მუხთლად მოკვ-
ლისთვის.

თ. გ ი ო რ გ ი — ჩვენ ვთქვით, შენი ამა-
ლით სარდალ დავითის ბანაკს გაჰყვე.

თ. დ ა ვ ი თ — დიას, უღრან-ტყიანი გა-
რემოდან მტერს შემოუვლით.

ა ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — მეფეს ჩემი
ბანაკიდან ვერ მოვიშორებ.

ბ ა გ რ ა ტ ი — რისთვის?

ა ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — მე დაფდე
ფცი სრულწლოვანებამდე მიგაღწევინო.

თ. გ ი ო რ გ ი — ციხის აღებას მე ვეისრუ-
ლობ, ხოლო ქალაქის გალავანზე უფალი
აღეჭსანდრე მიიტანს იერიშს.

ბ ა გ რ ა ტ ი — მაშინ მე შევიტრები მეწი-
ნავეთ ქალაქში და აღეჭსანდრე ზურგში
მომყვეს თავის ჯარით.

ა ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — (სიხარუ-
ლით) მომყვეს ზურგშიო!.. თქმა რად მინ-
და, თვით სიკვდილიც ვერ გამაჩერებს.

თ. გ ი ო რ გ ი — მე ვით გაგაწყვეთ, ბიჯს
ვერ შეცვლით. ვშიშობ...

ა ლ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ჩვენ ერთად
ყველაფრის უფლება გვაქვს.

ბ ა გ რ ა ტ ი — შენ, იცანი შენი ფარგალი,
ხესაც ზღვარი აქვს მაღლა ზრდისა. ვერ
შემბოჭავ განუმარტებლად. მე გული მერჩის
წინ შევიტრა ანთებულ მესად, ვინცო ჩემს
ქალაქს. პოი, მტრის ხელში ქუთაისი გამხ-
მარ ბაღს ჰგავს, მაგრამ მას მტრისგან რა
დავისხნი, ერთ წუთში აყვავდება და ერთ
დღეში მოისხამს ნაყოფს. ხოლო შენ ციხე
იერიშით რომ ვერ აიღო და უკუ იქვე შენი
ლაშქრით სირცხვილეული, თავუკუღმა ჩა-
მოგვიდებ, ისრით დაგცხრილავ და თვითონ
წავალ იერიშზე სანამ უფალი არ აიარჩევს,
მე ვიყო ქვეყნად, თუ ციხეში სუფევდეს
მტერი.

თ. გ ი ო რ გ ი — ეჭვის გამხელას ჯობს
დუმილი — ამჟამად.

ბ ა გ რ ა ტ ი — შენ, არწივო, ბევრჯერ შე-
გარქვეს ყვაი, მაგრამ სხვა არწივი ვერ

გვიშოვეს და ისევ შენ მოგმართეთ ამ გა-
დამწყვეტ ბრძოლაში.

თ. გ ი ო რ გ ი — მე თუ არწივს მადარქვით,
ჩემი ფრთები თქვენა ხართ, ხოლო გამარ-
ჯებას ღმერთი გვანიჭებს, ზევის ნებაა.

ბ ა გ რ ა ტ ი — ჩვენც უფალს შევთხოვთ.

თ. გ ი ო რ გ ი — ჩემთვის ჯერ ცას არ უმ-
ტყუენია.

პ ა ტ რ ო კ ლ ე — ოჰ, როგორ ვიყრით
ჯავრს!

თ. დ ა ვ ი თ ი — აი, ცისკარი იკარგება.

ა ნ ტ ო ნ ი — თენდება.

(შემოდის საბა)

ს ა ბ ა — პატრიარქი გამობრძანდა ნეტარ
კრებულთ. ყოველ სამთავროდან თავის
დროშით მოედინება ჯარი ქრისტეს პერან-
გზე ფიცის დასადებად. და ყოველ მოლაშ-
ქრის გული ძვერს რწმენით, რომ მას მფარ-
ველობს საუკუნეთა მეუფე და თავს
გრძნობს უძლეველად.

ბ ა გ რ ა ტ ი — ერის ასეთი აღტყინება
არის მწვერვალი ამ ცხოვრების, მხოლოდ
სიკვდილი გვაკლია სამოთხის მოსახვეჭად.

თ. გ ი ო რ გ ი — მივდივართ ფიცზე.

ბ ა გ რ ა ტ ი — აწ შენ ხელთა ვართ,
ღმერთო!

(ყველანი მიდიან. შემოდინ კირიონი
და ფოკა)

ფ ო კ ა — ცა ნათლდება.

კ ი რ ი ო ნ ი — ის არ ჩანს.

ფ ო კ ა — აგერ, რაზემები მოიწყვენ.

კ ი რ ი ო ნ ი — ყველას საკუთარი წყლუ-
ლი აქვს. საბრძოლო ფიცით ღმერთს აბა-
რებენ თავის ცხოვრების სიმძიმეს.

ფ ო კ ა — შენ ლტოლვილები გეძებენ.

კ ი რ ი ო ნ ი — ვიცი და — ვერიდებო.

ფ ო კ ა — სწამთ, შენისთანა მეთაური
ქვეყნად არ იპოვება.

კ ი რ ი ო ნ ი — ზღაპრებს თხზავენ, —
წერთა დაუწყებ და ხელში არ მომყვენენ.

ფ ო კ ა — ჭრელებია.

კ ი რ ი ო ნ ი — საყოდაენი, სამართალი
ვერსად იპოვეს და თითონაც არ გააჩნიათ.

ფ ო კ ა — უმეთაუროდ ფიცზე არ დაუშვე-
ბენ. მთავარსარდალი თვითნებურ ხრო-
ვებს შლის. ეს ფიცი ხომ წესის განსამტ-
კიცებლადაა.

კ ი რ ი ო ნ ი — მე მათ მოვლას ვერ ვიკის-
რებ.

თბილისს დაბრუნებული პოეტო ძალაუნებურად გადაეშვა ნებიერი არისტოკრატიული ცხოვრების მორცეში. ბალები, წვეულებები, მოფარდავებული დარბაზები, სახელმწიფო საბჭოს სხდომები, არსები, ვიზიტები, თეატრი —აი, ეს იყო მოხელის მთელი მრავალფეროვანი ცხოვრება, რაც მხოლოდ მოქმარე- ბას იწვევდა დაღისტინს მდელივარე დღეებთან შე- დარებით.

იქნებ მამილთან ერთი მცირე შეტაკება უფრო შინაარსიანი და საინტერესო ყოფილიყო, ვიდრე დე- დი მოაგრების ფარაბში ხანადიროდ წყევანა... მაგ- რამ, როცა თბილისს ნიკოლოზ და მისელო ნიკოლო- ზის ძეი უსტუმრნენ, მათი მასპინძლობა გრ. ორ- ბელიანს დაეცალა, რადგან ბარიკატისკი შეუძლოდ იყო. მთელი ქართლ-კახეთი, თუშ-ფშავ-სვეთური, რუ- სი და მთაბარი ყარაიათი იყო, განსიფორმებული მი- დამოს ასეთი ხმაური არასოდეს ენახება. თეატრიც კი გამართეს, ვერდას „რიკოლეტო“ დადგეს. შეიდ ვერ- სზე მამუკა ორბელიანი მოდებოთ. „ტარბიკა ერის-

თავმა“ არ დაიშალა, სიტყვით მიმართა დიდ მოაგ- რებს და დამტყრელი რუსული ბვერი აყინა ყველა.

ვარაიდან გრიგოლმა რომანოვები თელავის, ზა- ქათალოსა და შემახის გავლით, ბაქოს მიაცილა, იქიდან, დერბენდის გზით, რუსეთს წამარსდნენ ისე, რომ მაღლობაც არ უტყვამთ.

მალე ბარატინსკიც რუსეთს წევა და მის ადვილ- ზე ერთგული დარჩება.

პოეტო უკვე თბილისშია. აღარ ეხმის ლეგეიმი- ყიონი, ზარბაზნების ქუჩილი და ზეაყების ერუსუნი. მაგრამ ვანა პოეტო სიმშფოდეც ეძებდა?

„მე, საყუთრიც მე, კერ ვერ შევეწევი აქაურს ფრეს ცხოვრებას და მომწეინდაო“. — სწერს დი- შიტრი ჯორჯაძეს, რომელიც თემირ-ხან-შურაში დარჩა. ხან მარსეაა, ხან აღდგობა. ხან სხვა რამ დლე- ხსწეაული. და ეს „ამაოდ ცხოვრება“ უფრო უშ- ლის წერას, ვიდრე უშლიდა ომი.

რა ხდება თბილისში საყურადღებო? სტუმრობა, ლხინი, მისვლა-მისვლა, მიტემა-მიტემა... ნიკოლოზ გაეარინის ლამაზი ცოლი პეტერბურგს წევიდა, თა- ვადი გოლოცინიე პარიზს მიემგზავრება; ივანე მუს- რან-ბატონის ვაჟმა კონსტანტინემ ჯვარი დაიწერა.

ლიზა ფლაყანდიშვილზე. „და სხვანი ამჟვარი, მაგრამ არ მახსოვს“.

ახლა გრიგოლი ალექსანდრე მეორის ბრძანებით შეყვინსაველის საბჭოს თავმჯდომარედ და დანიშნულა, და, როცა მეფისსაცვლი თბილისიდან გავა, თვითონ იქნება მეფის მოადგილე.

1858 წლის 13 აპრილს დიმიტრე ჯორჯაძეს შესწავლილ: „ამით მცნობ, რომ ახალი თანამდებობა ჩემი არის მშვიდობიანი, უმფოთველი, უზრუნველი, სასყ ამათების ცხოვრებითა, რომელსაცა ვერ შეგვეშლვარ აქამომიდს და იქნება ვერცა სიყველიამდე შეგვეციო“.

აქ ისევ იწინს თავს პოეტის მშფოთავარ სული, მარადიული მოუსვენრობა და მიუწვდომელი იდეალის შაბეებული დიდი გონებას ტრავდული!

პოეტის ვარადი მართლდება. ვერ იქნა, ვერ შექრია უმინაარს სინამდვილეს ერთი წლის შემდეგ, 1859 წლის 14 მარტს, ისევ ისე სწერს იმავე ჯორჯაძეს — თავის თითქმის ერთადერთ ადრესატს დალისტნიდან დაბრუნების შემდეგ:

„განა ქალაქი თბილისი თავისის გადარეულის ვევილირთა, თვტრებთა, ვივეი კარტინებთა, თავის სირბილითა თავგადგლეჯით, თავის ვიზიტებთა, შილაქის ვისმე? — თ, კარადენი დრო ავარგება აქა ფუჭად, უსარებლოდ თავისა თვისისა, უნაკოფოდ საზოგადოებისათვის! ამა სოფელსა და მისს მაცოდუნებელს ამათებასა იღარ ეუერებ მე ყმაწვილურთს თვლითა და ამის გამო ესე გაიციებთა ზახილი, ხმინათა შექვევა-შიათრულებისა ვდარ მიიღაცებს ზემს გულსა, ვდარ დაშიზნულეს გონებასა, და ვარ ასე!“

უნებურად გაგახსენდებათ პოეტის გენიალური დისშილის ზივილი თბილისის მალად საზოგადოების უსარებლო დროსტატებაზე. ახლა მისი დარბილილი ზიპელ ვრძობის ამ ფუჭი ცხოვრებას უსარობსა, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთს ვერ ნებისყოფა თუ სამუალებანი და არც მეორეს, რომ ზურგი ექყით ამ ფუჭსავეტური სმისა და „შექვევებისათვის“, ნასადომიდენ ლიტერატურულ შრომას, რაც ზემდე ჯერ კიდევ არ არსებობდა, როგორც საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების სრულყოფილიანი სფერო.

ამიტომ ისევ სამსახური, ვიზიტები, მისვლა-მისვლა ნოქვედა ძვირფას დროს, რაც შეიძლებოდა მიხმარებოდა ასეთი ზემებრეაზების უცვადაე მწილობათა რიცხვას განზღავს საქვეწოლ საქმეს.

თუ სადმე დაიხვენება, ისევ კოჯორში ან კოდში.

შორს გი ვერ წევა, ვორნოციონს ან არტუთისსისს მუავასად. უტყობთს ვერ ნახავს.

რუსეთსა და მსათან საქართველოს გაუნდა „დაბნ მიძე, დიან დიდი, დიან თამში საცემი საქმე ვმუბის განათვისსუღლებისათვის“. ორბელიანი გარვევით არადღეს ამბობს, მაგრამ მასი მთავარი ფაქტის საგანი იმ ხანებში სწორედ ეს არის. „ვაშახობით, ვსყვირათ, ვამაგით და ჯერ ისევ იქვე ვართ და ვერ წავციდვამს ფეხი წინო“. — სწერს ჯორჯაძეს

და სთხოვს შეტკობინოს თავისი აზრი. თვითონ გიპირადად ვთათბრება სახელმწიფო საბჭოს წევრს დიმიტრი ყვიფიანს.

რუსეთის არისტოკრატია ზაფხულის სიციმეს გაეროდა. ჩრდილოეთში წაიფდენ გაგარინები, ტრუბუცი, ვოლიცინო... „დიდი დიმიტრატი“ ისინა დაღოსტანში... ცხელა და ერთი ნუგეში ისინა, რომ მთავარმართებელმა მუშტაილის ბალი გააფართოვებინა, საიერნო აფილი ვაზარდა.

მაგრამ საყაროდ ვისა სცალია! საბჭოში ათასი საქმეა. ამქრები ისევ მფოთავენ. ახლა ინვლისის კონსული ბაქოზე მიდის მანანდარანისაკენ და რუსეთის საყეთლოს იქ არას დააწუთოს. სოხუმშიც დასაკუდება ინვლისის კონსული და მზავალ ინტრაგას დააწუთოს ჩვენდა საზიანოდ. კახეთის საზე მილიცია დააყენეს, მთელი 22 ასეული, ორი ათას თუმანზე მეტი დააწერეს გულბობას მარტო ამისათვის, და ამდენს რას ავრება, თუნდაც მტერი შეიქრას! ზერგ, რამდენს ვინმეს უნდა დაეხმაროს, გამოეჭობავოს, დანიშნოს, გადამეყენოს!

ახლა გულსა განათავსუღლებას ციებ-ცხელებას! სექტემბრისათვის საქართველოში დიდი მთავრების — მიხეილისა და ნეკოლოზის — ნამოსვლასაც მოვლიანი: ინადილები, ინადირებნი, ისიერებენ, იმწვერკურდღღებენ, გომბორას და ალაგერს გადაიფიონ, ლეკეთში ჩაგულენ... და ყველაფერზე გრიგოლმა უნდა იღარდოს!

არც მეფის სხვა მიზეღლები რჩებანი უსაქოთ: განყოფილებებს დესპატამეტებად გარდაქმნიან, განყოფილების უფროებს უწოდებენ დირექტორებს და ა. შ.

ორბელიანი უკმაყოფილოა ასეთი გარდაქმნა-დაცვლითი, ამას ფუფუნით, ზემდეტ ხარჯის გაღებითა და ხმობს მდგომარეობის გაუარესებში. აი, რასა სწერს დიმიტრეაძეს 1858 წ. 28 ივნისი.

„ამ ცვლილებითა არ ვიცი ეს მხარე შეიქმნება თუ არა ბედნარად; მაგრამ ეს გი ვიცი, რომ კიდევ მომატებული ხარჯი დაედვა ხაზინასა, რომელშიაცა, ვტკობა, ბვირი ფული ქსეფს, რომ ასე აფილიად იზენენ ახალს თანამდებობათა, თითქმის განვებ ჯამიერებისათვის. ახლა მოვლა? სასამართლო, სადაცა ვერა ქპოვენ სიშარტლესა? ხალხის აკლებსა? უეზღების გაყვეღება? ვზახედ ავაზაკობა და მეხაყრების დახობღვა?... ქრთათობა ჩინოფიციებისა და ამიკადა თანამდებობის ფულით შესყიდვსა? ხალხის შეწეუება, ვიფილე-კიფილე მათი და წყვეს? — ვნაწით, ვეების დნურთმა მოხედოს ამა მხარესა და აპოენინოს წამალი უმაღლესსა მმართებლობასა განსაკურნებლად ათასგვართა წყულეთა უსამართლოებით და მოვლელობით ხალხზედ მოვლენილთა!“

შექვევით-თუ არა ჯეროვანი ყურადღება პოეტის ამ სიტყვებისათვის? განა სადგავია, რომ ეს მეტისზეტად გახედეული, თითქმის მემამობური სიტყვებია მთავარმართებლის საბჭოს თავმჯდომარისათვის? გენერალი ორბელიანი ნებით თუ უნებლიედ იმაღლებს ხმას და გამოსთქვამს თავის გულისწყრომას მონაქიული წყობილების დამაალი, ბიუროკრატული მტანაზმის უგარეობისაზე, თანამდებობათა ვიდვად-ვაყიდ-

ვაზე, მჭრთამობის ამ თავისებურ სახეზე, ხალხის ჩივირებსა და სასამართლოთა უსამართლობაზე.

მიიდან მოხული სარდალი მაინც აძლევს დაღის-ტანში დარჩენილ თანამოაღმკრევეს გონიერულ რჩევას და გამოთქვამს საგულისხმო მოსაზრებებს.

ახე, 1858 წლის 16 ივნისს ყაზიუქუმში წყალ-მანქანასგან გარდაიცვალა ამ მხარის მმართველი, გენერალ-მაიორი ალაღარ-ბეგი, ათი წელი რომ ერთ-გულად ემსახურებოდა მეფის მთავრობას. მის ნაცვლად დაინიშნა პოლკოვნიკი ალექსანდრე კლუგენი. გრივოდ თრბლიანი ძლიერ შეაწუხა ალაღარ-ბევის გარდაცვალებამ, თუმცა გადარჩენის იმედო არა ჰქონდა, და არ მოსწონს კლუგენის დანიშვნა: მითის ხალხი ზერ შეეწოზაო რუს თფიცებს, უცხო ზნეცა და ჩვეულებას, მეტადრე რომ ალაღარს დარჩა ვაფა ყაფარი, ჰყავს მომხრეები და არიან ამ საქმისათვის გამოსაღვეი ბევრები.

მართლაც, კლუგენი ალაღარის ადგილზე სულ რამდენიმე თვის რჩება. მას ცვლის ლაზარევი, მერე კი — გენერალ-მაიორი თარხან-მოურავი.

1858 წლის ზაფხულში გრივოლიც გაერია და თბილისის სივრცე, ტახამცელაში ავიდა, „ყოვლის სიყვეთით განთქმულ საჭრთველოში“, და იმ სიგრილეში, სურნელოვან პაერზე, პეტრე-პავლობას ისეთი მწერლისი ვადინხადა, ორთაქალის ზალი გაიხსენა. მერე რა სტუმრები ჰყავდა! სობია დაწამაშველი, ძალღაბანი ზალია, ჯანყულაშვილი პეპანა, მგალობლი-შვილი და სხვა ყარაშოვლი. მწყელო მინდორზე გაშლილი სუფრა სახეზე იყო სათალი, პური, არყით... ამას მოჰყვა ხაშლას, ფლაგი, მწეადები, და ჯამით ღვინო. შეიქმნა სმა და ღრეობა. შემოსახსეს ხიშლერა, დაუარეს ფერსული.

ზორჯომიც ინახულა. წყალთან მოკრავილ დამხენებელთა მასლათში გაერია და „ღაშთიანად“ ატარებდა დრის, „გულით, სულით“ დაისვენა. ბე ივენენ კატო ვრისთავისა — მელატონის ასული, ისაკ თუშანიშვილი, ალექსანდრე მარშალი, კონსტანტინე დადიანი, კონსტანტინე თარხანიშვილი და თვით მთავარმართებლის ამაღა. ბარიატინსკის ადგილი შეუქმნია, დაუმშენებია და ცოლის სახელი უწოდებია. ვლისამედიანი (მთავარმართებელს ცოლად ჰყავდა ვლისამედი ორბელიანი).

20 აგვისტოს გრივოლს უკვე კოდამი ვხედავო. ხელგამოღლი თავადი ბე ეპატრიება ცველას „ვისაც უანის ხიშთოლე უნდა“. არც კოდის ამწკანეულ მინდერებში იფიქრებს მთასა და ბარს. დიდ მთავრებს უახლოეს დღეებში ელან და გრივოლი ენაყოფილა მართნ ვრანგელის გადამწყვეტი-ლებით, რომ ხელი აიღოს „შალღი სტუმრებისათვის“ ბურთუნაიდან დილითვე გამავალი სახიფათო გზის გაყვანაზე. „რად უნდათ, რომ უბრალოდ სისხლი დაიქცეს? არ ეყოფათ, რაც მართლოდ ყოფილ წელს იხიციბიან უსოდენნი მხედარნი? — სწერს უკვე თბილისიდან დიმიტრი ჯორჯაძეს. — აი ახლაც მოუვდა ღენერალი ვრეფსი ორს

ადგილს დაჭრილობისაგან და ვერეთვე მისი ნაშაღნიკა შტაპისა გარდნერი დაჭრილობითვე უწეს ადგილს, და მათთან 200-დის მკედარი და დაჭრილია. ისე ტყუილად, უსაყნოდ, უმზუნოდ ამა რა არის?“

გენერალ-ლეიტენანტი ბარონი ვრეფსი სწორედ დიდოთში დაჭრეს აგვისტოში და ოთხი დღის შემდეგ გარდაიცვალა თელავში. მასთან ერთად, აულ კატრილ ივანიშის დროს, სასაგვდილოდ დაიჭრა პოლკოვნიკი მიხეილ გარდნერი. გრივოლს აღამოთუბეს უაზრო სისხლისღვრა. გირველად რთოდ დრტვიანეს ამის გამო.

რითთვის დაიღუპნენ ვრეფსი და გარდნერი? საქონელი წავართვათ დიდოლეებს, უაზროდ შეიჭრნენ სოფელს და სასიკვდილო ჭრილობები მიიღეს. ვრეფსკიმ სარდლომა გადასცა ოთხებ ყორღანოვს. ყორღანოვმა, პოლკოვნიკმა ლევან ჩოლოყაშვილმა და მისმა თანამეწყემ — ივანე ქობულაშვილმა მური იძიეს, ლევითი დაღამჭრეს, მრავალი სოფელი ააბრეს და გადასწყვეს. მგრამ რა გამოდის ამ წყანგრევა-აბრევისისაგან?

ბარდად ვრეფოლი უკვე ამენებაზე მტებს ფიქრობს, ვიდრე წერვავზე. ვილად ვახიყუმუხელს უბრულეს თბოვას, წერილს ატანს ჯორჯაძესთან, სოფლის ამენება უნდათ და დაემზარეო.

1858 წლის დასაწყისში ალექსანდრე კრუშენ-შტეინი, სენატორს, ცნობილი აღმირალის შვილს. შეხედრა ქქონდა მეფესთან და, სხვათა შორის, ელა-პარაკა ორბელიანზე, რომელსაც მებუთოვის ავად-მყოფობის გამო, მის ადგილს სთავაზობდნენ, თანაც გადასცა ბარიატინსკის აზრი: არავითარ შემთხვევაში არ სურს, რომ ამ ადგილზე დაინიშნოს ისეთი ვინმე, ვისაც მისი (ბარიატინსკის) მეტოქეობის პრეტენზია ეწმებოა. მეფემ სინამდული გამოთქვა, რომ ბარდად არ იცნობს ორბელიანს, სამთავროდ ჭება-დიდებით აავსო ვრანგელი, რომელსაც ორბელიანის ადგილი ელოდა.

მეფისნაცვალს მეტოქეობის ეწინაა!

არავითარი სითბო და გონების სიმსხვილე არ არის ბარიატინსკის წერილებში — ერთადერთ წერილობით დოკუმენტებში, რომელნიც ამ ტაპიურ მოსულეს დატრეფებია. ალექსანდრე კრუშენშტეინისადმი მიმართულ ვრთ წერილში, 1861 წლის 2 თებერვალს, აღწრსახტ აფრთხილებს, წაკითხოს მისი წერილი გრივოლ ორბელიანს, და იქვე სუხბანი ხელით წერს: „ეთიანი აღარ უნდა დარჩეს საბჭოს წევრად. ჩემი სახელით აუწეო, აირჩიოს თანამდებონა კავკასიის ვერეთი“.

ამრიგად, ბარიატინსკი ცოვია და ძენში თვით მეფის ასეთ მოხელეთა მიმართ, რომლებიც საჭირი შემთხვევაში მას ცვლიან და რომელთაც მისი სამხედრო დიდების გვირგვინის დაწენაში ასეთი აქტიური მონაწილეობა მიუღლიათ.

სომხეთის კულტურის, ინტერნაციონალური და ეროვნული დიპლომატიის მემკვიდრეობაში

1

ეროვნული კულტურების ბედი და მომავალი დამოკიდებულია პოლიტიკურ ფაქტორებზე, იმაზე, რა პრინციპებზეა აგებული საზოგადოება, რას ამკვიდრებს და რას უარყოფს საზოგადოება, რისთვის და რისი გულისათვის იბრძვის იგი. საყოველთაოდ მიღებულია ის აზრი, რომ ვრი ყალიბდება ბურჟუაზიული საზოგადოების პირობებში, როცა იმსხვრევა ფეოდალური დაქუცმაცებულიობის და კარნაგეტელობის სუნდები, როცა ადამიანთა ცხოვრება ერთიანდება უამრავი ძალებით, — ეკონომიურით, სულიერით და სხვ. მაგრამ წარმოშობს რა ერებს, შემდეგ ბურჟუაზია გამოდის ეროვნული სუვერენიტეტის მტრად — ცდილობს შებღალოს ხალხების ეროვნული ღირსება. წაართვას ენა, გამოეიტოს ისინი სულიერად.

განა სამარცხვინო კოლონიური რეჟიმი მჭევრმეტყველურად არ მოწმობს იმას, რომ ექსპლუატატორთა კლასი ანგარებითი მიზნით ესწრაფოდა და ესწრაფის თავის ქვეშევრდომი ერები იყოლიოს უმეცრებაში, სიღატაკეში, მონურ მორჩილებაში.

არწივს არ ძალუქს ლაღად და ამყად ინავარდოს ცაში, თუ მას შეკრული აქვს ფრთები ან ჩაკეტულია ვიწრო გალიაში. ადამიანსაც არ შეუძლია თავისუფლად და ძალდაუტანებლად იმდეროს, თუ მას მოკუმული აქვს ბაგენი, თუ მის ყელს შემოჭდობია მტაცებლის კლანჭები. უწევს რა ხალხებს ექსპლუატაციას, უნამუსოდ ართმევს რა საარსებო ლუკმა-პურს, რეაქციული ბურჟუაზია, ცხადია, არაა დაინტერესებული

ლი, რომ ხალხებს განუვითარდეს ეროვნული თვითშეგნება, რომ მათ შესძლონ შექმნან ახალი ესთეტიკური ღირებულებანი, თვითმყოფი კულტურა და ხელოვნება. ეროვნული კულტურები, მით უფრო, მცირე ხალხთა ეროვნული კულტურები, იმყოფება იმდენად შევიწროვებულ, სულისშემსუთველ პირობებში, რომ წინსვლისათვის დიდ სიმწელეთა და დაბრკოლებათა გადალახვა უძებნათ. კულტურა მატერიალურ ფაქტორთა ნაყოფია. საჭიროა ნაყოფიერი ნიადაგი — საზოგადოებრივი, ეკონომიური, სულიერი, რომ ხალხის კულტურა თავისუფლად განვითარდეს და თავის დაუშრეტელი სასიცოცხლოდ მოქმედი ძალები გამოავლინოს. კაპიტალისტურ საზოგადოებაში ხალხები ამ შესაძლებლობას მოკლებული არიან, ადამიანისაგან ადამიანის, ძლიერისაგან სუსტის ჩაგვრაზე დაფუძნებული ბურჟუაზიული უფლებბრივი წყობილების მთელი სისტემა ხელს უშლის ეროვნული კულტურების ზრდას და განვითარებას. ბურჟუაზიის კლასს, მის მიერ ჩაგრულ ხალხებს კისერზე რომ აზის, ეშინია მათი გაერთიანებისა და სოლიდარობისა. დამონებულ ხალხთა ერთობა — მრისხანე ძალაა, რომელსაც ძალუქს მიწის პირისაგან აღგავოს მზავრელთა ძალა-უფლება. ამიტომ რეაქციული ბურჟუაზია ყოველმხრივ ცდილობს ერთი ხალხი მეორეს წაჰკიდოს, მათ შორის სიძულელი და ნაციონალიზმი გაადვივოს. რასიზმის იდეოლოგია ბურჟუაზიის ხელში ნაცადი მომხამული იარაღია. სოციალიზმი ბორკილებს ჰყრის ხალხებს,

გიგანტურად აჩქარებს მათი ეკონომიური და კულტურული ზრდის პროცესს. ძმობა, თანასწორობა, ურთიერთობატივისცემა და დახმარება, ზრუნვა ყველა ხალხის კეთილდღეობისათვის — შეადგენს სოციალისტური ხალხების ერთობლივი ცხოვრების ურყევ საფუძველს; ყოველ ხალხს, სულ ერთია, რამდენიც არ უნდა იყოს იგი რიცხვობრივად, ეძლევა ჭეშმარიტად განუსაზღვრელი შესაძლებლობა ყოველმხრივ განავითაროს და სრულყოს თავისი ეკონომიკა და კულტურა. მიმდინარეობს ეროვნულ ხელფრთხილბათა სწრაფი ინტენსიური აყვავება. აზიის და აფრიკის ქვეყნების ლიტერატურათა შესწავლისა და თარგმნის საკითხებზე 1964 წელს მოსკოვში გამართულ სემინარზე ცნობილმა ინდოელმა სწავლულმა-ფილოლოგმა სუნიმ კუმარ ჩატერჯიმ მართებულად აღნიშნა ადამიანთა პოლიტიკური თავისუფლების და სულიერი ცხოვრების ამ ერთიანობის უდიდესი კეთილისმყოფელი შედეგები. „საბჭოთა სახელმწიფო, — თქვა ჩატერჯიმ, — დღიდან თავისი არსებობისას ასლებურად, მთელი მსოფლიოს, კერძოდ, აზიის და აფრიკის ქვეყნების ვითარების შესაბამისად, მიუდგა ცხოვრების ძირითად, აზროვნების და კულტურის, მოქმედების და პოლიტიკის პრობლემებს. ამ ახალი მიდგომის ძირითად თვისებას წარმოადგენს ის, რომ პოლიტიკურთან ერთად მხედველობაშია მიღებული ადამიანური ფსეულობანი“¹.

მიზნების ერთიანობა, მსოფლმხედველობის ერთიანობა, ურთიერთობატივისცემის და სიყვარულის უღრმესი გრძნობა კანონზომიერად ბადებს საბჭოთა ხალხების სურვილს — უკეთ გაიცნონ ერთმანეთი, ერთიმეორეს გაუზიარონ ყოველივე საუკეთესო, მშვენიერი, თავისებური, რაც ყოველ ეროვნულ კულტურას მოეპოვება. ეს ურთიერთობა და ერთმანეთის გაცნობა ეროვნულ კულტურებს, როგორც დიდად განვითარებულს, ისე შედარებით ახალგაზრდა ეროვნულ კულტურებს, საშუალებას აძლევს შეითვისონ ერთმანეთისაგან ყოველივე ძვირფასი, ღირებული, იშვიათი მონაპოვარი, გაამდიდ-

როს იმით საკუთარი გამოცდილება და ამადლდეს კიდევ ერთი საფუძველი.

სსრ კავშირის მწერალთა მე-4 ყრილობის წინ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე მიმდინარეობდა ნაყოფიერი, მრავალ მხრივ საინტერესო და საგულისხმო კამათი თანამედროვე ლიტერატურული განვითარების ზოგიერთ უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემაზე. ეს დავა-კამათი ნაკარნახევი იყო აუცილებელი საჭიროებით — უკეთ, უფრო საფუძვლიანად გავერკვეთ მრავალეროვან საბჭოურ ლიტერატურაში მიმდინარე ძირეულ პროცესებში. დავა შეეფებოდა გარკვეული შინაგანი ერთიანობით ურთიერთთან დაკავშირებულ მრავალ საკითხს, — მათ შორის, მხატვრული შემოქმედების უმნიშვნელოვანეს მხარეებს — რეალიზმის და რომანტიზმის თანაფარდობას, „საუკუნის“ სიმართლეს, ფაქტის სიმართლეს, გარდასული წლების მოვლენების, განსაკუთრებით, დიდი სამამულო ომისდროინდელი ამბების შეფასებას, თანამედროვე ადამიანის ხასიათის შექმნის ამოცანას, ინტერნაციონალურის და ნაციონალურის პრობლემებს და ა. შ. რა თქმა უნდა, გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ გამართული დისკუსიების შედეგად უკვე ნაპოვნია ჭეშმარიტებანი, საცხებით სწორი და აბსოლუტურად უცილობელნი. უნდა ვივარაუდოთ, რომ დავა-კამათი შემდგომშიაც გაგრძელდება, მათ უფრო, რთულ, სასიციცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემებზე, რომელთა გადაწყვეტა მოითხოვს ბრძნულ აურჯანებლობას, დიდ პოლიტიკურ ტაქტს. ასეთ პრობლემათა რიგს ეკუთვნის ინტერნაციონალურის და ნაციონალურის დიალექტიკა სოციალისტურ კულტურაში, მრავალეროვანი საბჭოური კულტურის განვითარების გზების განსაზღვრა. ამ სფეროში, უნდა ვეღაროთ, ჯერ კიდევ ვხვდებით საკმაოდ ბევრ აშკარა დაბნეულობას, ბუნდოვანობას, არაკომპენტენტურ მსჯელობას. პოლემიკური ვნებათაღელვა ინტერნაციონალურის და ნაციონალურის გარკვევის საკითხში ზოგჯერ მიყურდება ხოლმე, ხან კი იფეთქებს ახალი ძალით და ინტენსივობით.

რა თქმა უნდა, ერთ სტატიაში შეუძლებელია თავი მოვუყაროთ და განვიხილო

¹ ჟურნალი „ინოსტრანაია ლიტერატურა“, 1964, № 5, გვ. 183.

ამ თემასთან დაკავშირებული უამრავი სულ სხვადასხვაგვარი საკითხი. მაგრამ პრობლემის ზოგიერთ არსებით ასპექტში გარკვევა მაინც აუცილებელია.

რა არის ზოგადკაცობრიული, რითი განიზომება მისი სიღრმე და მასშტაბურობა? რა მიმართებაშია ზოგადკაცობრიული ეროვნულთან? უარყოფს თუ არა ზოგადკაცობრიული კლასობრივს, ისტორიულს, კონკრეტულს? ტერმინი „ზოგადკაცობრიული“ თითქოს გულისხმობს გარკვეული სოციალური შინაარსის არ არსებობას, იმ იდეების აღიარებას, რომლებიც თანაბრად ახლობელია ქვეყნიერების ყველა ადამიანისათვის. მაგრამ როგორ, რა გზით, იქმნება მსგავსი ტიპის ნაწარმოები? პირველყოფისა, შევეცდებით გავერკვეთ თვით ცნების „ზოგადკაცობრიულის“ არსში.

გულბერყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ზოგადკაცობრიული აღიქვება ყველას მიერ გამოუკლებლივ ერთნაირად და თანაბრად. მის გაგებას და აღიარებას აქვს ფარგლები. არსებობს ზოგადკაცობრიულის არსებობის და გამოვლინების სხვადასხვა სფერო, სხვადასხვა შესაძლებლობა. არის სფეროები, მისაწვდომი სხვადასხვა კლასობრივი აზრებისა და შეხედულებების მქონე უამრავ ადამიანთა აღქმისათვის. ამ სფეროებს, თუ მათ ზედაპირულად მივუდგებით, აქვთ უფრო ნაკლები ოდენობით სოციალურად განსხვავებული თვისებები. სოციალური შინაარსი ყოველთვის როდი გვევლინება მათში მკვეთრად და აშკარად. იგი თითქოს დამალულია დამკვირვებლის თვალისათვის. ჩვენს წინ მე-19 საუკუნის რუსი მხატვრის ი. პ. პოხიტონოვის ფერწერული სურათია „მზის ჩასვლის შემდეგ“, — საუცხოო პეიზაჟია, რომელიც აღბეჭდავს მზის ჩასვლისას ბუნების უნაწეს თრთოლვას, დღის მნათობთან გამოთხოვების წინ. ან ავიღოთ ი. შიშკინის სურათი — „მიყრუებული ტყე“. ამ ტილოებზე მშელია, თითქმის შეუძლებელია შევამჩნიოთ რაიმე ზოგადი ან კონკრეტული სოციალური შინაარსი. ეს სურათები მოქმედებენ ადამიანის გონებაზე, შემეცნებაზე გრძობის აღძვრით, ემოციური „არხების“ მემყვობით. აზრ., გონება ამ შემთხვევაში იმდენად ჩაყვებით

როდი უწევს კონტროლს და აფასებს გარედან მიღებულ შთაბეჭდილებებს. იმდენად მკაცრად როდი ანაწევრებს მათ და იმდენად როდი ახდენს მათ დიფერენციაციას. ამ სურათებიდან მიღებული შთაბეჭდილებები თითქოს გვერდს უვლის „სოციალურ ხლართს“, სხვადასხვა ფსიქოლოგიურ-ზნობრივ, ცხოვრებისეულ, ისტორიულ „ღობურებს“ და უშუალოდ კონტაქტს ამყარებს ადამიანის ესთეტიკურ გრძობასთან, აღძრავს რა ადამიანში შედარებით სწრაფ და უშუალო საპასუხო რეაქციას ნახულზე. ყოველივე ეს ბევრ ადამიანს უადგილებს გაიგოს და აითვისოს საპეიზაჟო ტილო, რომელზედაც აღბეჭდილია გარე მატერიალური სამყაროს თავისებურებები და დეტალები, სოციალურად თითქოს ნეიტრალური რომ სჩანან. სავსებით ერთნაირი აღქმა, ერთნაირი ასოციაციები არ შეიძლება აკაც იყოს. მაგალითად, ი. შიშკინის სურათი „მიყრუებული ტყე“ უდაბნოს მკვიდრს მოეჩვენება არაჩვეულებრივად, ძნელად წარმოსადგენ მოვლენად, მაგრამ ეს არ შეუშლის ხელს უდაბნოს მცხოვრებს განიცადოს სიხარული და გაოცება მისთვის უცნობი და იდუმალი ბუნების ხილვით. შესაძლოა, ნახულისაგან მას დარჩეს მხოლოდ გაკვირვების შეგრძნება, ისე, რომ აქტიურად არ აღძრას მასში სხვა ემოციები. და ჩვენ არ შევეცდებით, თუ ვიტყვი: საპეიზაჟო მხატვრობის გაგებისა და აღქმის არე ფრიად ვრცელია. იგი მისაწვდომია ადამიანთა უმრავლესობისათვის. ამით ჩვენ არ ვაპირებთ მივაკუთვნოთ საპეიზაჟო ჟანრი სოციალური იდეოლოგიისაგან სრულიად დაცლილი ზეკლასობრივი ხელოვნების რიგს. იგულისხმება სხვა რამე — ხელოვნებაში სოციალური მომენტის გამოვლენის სხვადასხვა შესაძლებლობა. ი. პოხიტონოვის და ი. შიშკინის სურათებში სოციალური შინაარსი დამალულია ან გათქვეფილია სიუჟეტში, საღებავების ფერადოვან პარმონიაში. ის თვალში როდი გვეცემა, მას ვერ ჩამოაყალიბებ დასრულებულ, ჩვეულებრივად მკვლერ ფორმულესა და განსაზღვრებაში. ადვილი არ არის სოციალურის გაშიფვრა მუსიკაშიც. განა კანონზომიერი იქნება ბეთჰოვენის „აპასიონატა“ ან „მეშვიდე სიმ-

ფონია“ ჩასთვალთ ვიწრო სოციალური ჯგუფის შესედულებებიდან და წარმოდგენებიდან მომდინარე ნაწარმოებებად? თუ მხატვრული სიტყვის დიდოსტატის შემოქმედებით იდეები უფრო ფართო და მდიდარია მის წარმომშობ წრეზე, ეს ქემშარიტება კიდევ უფრო კანონზომიერია მუსიკის მოღვაწეთა მიმართ (რასაკვირველია, თუ ისინი გამოჩენილი შემოქმედნი არიან). მუსიკალური შემოქმედება არ წარმოიშვება წმინდა გარესსოციალურ ნიადაგზე, როგორც ამას იდეალისტური ესთეტიკა ამტკიცებს. მუსიკის ყოველ მოღვაწეს, სულ ერთია, რა შასტაბის ნიჭისა და შთაგონების არ უნდა იყოს იგი, იდეებით „ამარაგებს“ ეპოქა. იდეურობა მუსიკაში მკვიდრდება და ვლინდება მეტად ფაქიზი, მრავალფეროვანი, ოდნავ შესამწვევი ფორმებით. მხატვრული ლიტერატურა კი არა ორპროვინდ გამოთქვამს სოციალურ სიმპათიებს და ანტიპათიებს, წარმოქმნის რა ეპოქის სულს. ლიტერატურა — ხალხის ცხოვრების ისტორიაა, ადამიანთა ბედის ისტორიაა. თავისი ღირსებით გენიალური, მაგრამ შინაარსით აშკარად სოციალური ნაწარმოებიც კი, არ იქნება ყველას მიერ შეფასებული, როგორც ადამიანის აზრის გენიალური ქმნილება, რომელიც თავის არსებაში თანაბარი ძალით განასახიერებს ადამიანთა ცხოვრების ყველა მხარეს. ვარდავალად აღიძვრის დავა-კამათი მასში გამოხატული სიმართლის უტყუარობასა და სისრულეზე, ამა თუ იმ მოჩაღურ შეფასებათა სამართლიანობასა და სიზუსტეზე და ა. შ. ეს იმით აიხსნება, რომ ლიტერატურა შინაარსით მძაფრად ანალიტიკურია, ისტორიულად კონკრეტული და უკანუშეორებელია.

ზოგადკაცობრიულს, ერთი შეხედვით, უნდა მოუპოვებოდეს რაღაც სპეციფიკური თვისებები, არ გააჩნდეს რეალურად თვალმისაწვდენი ისტორიული და სოციალური ფარგლები, რაც ხელს უწყობს მის გადაქცევას მსოფლიო მნიშვნელობის ღირებულებად. ნაკლები სოციალური სიმახვილე, მკვეთრად გამოხატული იდეალების, შეხედულებათა და შეფასებათა, სინამდვილის მოყენებისადმი სუბიექტურად დიანტირესებულ მიმართების უქონლობამ ლიტერა-

ტურის ნაწარმოებს თითქმის უნდა გაუხსნას გზა ზოგადკაცობრიულობის მწვერვალზე. საკენ, მაგრამ მაშინ გამოდის, რომ ზოგადკაცობრიული არის რაღაც უხილავი, მარადიული არსი, დროისაგან მოწყვეტილი, კლასობრივ ბრძოლებზე მალა მდგარი, ეპოქის ყოველ ნიშანს და კონკრეტულ თავისებურებებს მოკლებული. ზოგადკაცობრიულის ასეთი გაგება აშკარად შემცდარია. ზოგადკაცობრიული ამოიზრდება გარკვეულ სოციალურ და ეროვნულ ნიადაგზე. იგი ხდება ზოგადკაცობრიული სწორედ ამ ნიადაგის მეოხებით და არა მის წინააღმდეგ. ზოგადკაცობრიული — მუდამ კუშიანისტურია. ზოგადკაცობრიული არსებობს ერთიანობაში სოციალურ სამართლიანობასთან და მუდმივ მტრობაში სოციალურ უსამართლობასთან. ზოგადკაცობრიული განიზომება ამ ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორით. ჩვენი გაგებით, ზოგადკაცობრიული გამოუთიშავია რევოლუციურისაგან, კომუნისტურისაგან, ვინაიდან კომუნისში უმაღლესი გამოხატულებაა კაცობრიობის საუკეთესო მისწრაფებებისა მისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მთელ მანძილზე. გვაქვს თუ არა უფლება ვთქვათ: კომუნისტური — ეს არის სწორედ ზოგადკაცობრიული. დიახ, ასეთი დასკვნა, თუმცა არ მოიცავს რთული პრობლემის ყველა მხარეს, ქემშარიტებას შეესაბამება. სკკპ-ის პროგრამაში ნათქვამია: „კომუნისტური მორალი შეიცავს ძირითადს ზოგადკაცობრიულ ზნეობრივ ნორმებს. რომლებიც გამოუმუშავებიათ სახალხო მასებს სოციალური ჩაგვრის და ზნეობრივ მანკიერებათა წინააღმდეგ ათასწლოვან ბრძოლაში“.

განვიხილოთ საკითხის მეორე მხარე. ტოლნიშნოვანია თუ არა ზოგადკაცობრიული კომუნისტურთან? არა ყოველთვის. ამ სიდიდეთა უბრალო არითმეტიკული განტოლება ვერ გახსნის ყველა საიდუმლოს. პირობითად ვიტყვით, ზოგადკაცობრიული, თავისი ისტორიული წარმომოხით და ფორმებით კომუნისტურზე უფრო ხნიერია. როგორია მათი ურთიერთკავშირი? კომუნისტური ფალობდება, როგორც კაცობრიობის წინამორბედი განვითარების შედეგი, თუ იგი თან ახლავს კულტურის ისტორიის

მთელ მოძრაობას? მოვიტანოთ კულტურული ტრადიციების მემკვიდრეობის შესახებ ლენინის ცნობილი სიტყვები: „პროლეტარული კულტურა არ არის ისეთი რამ, რაც უეცრად გამოხატა საიდანაც; იგი არ არის იმ ადამიანთა გამოხატვა, რომელნიც თავის თავს უწოდებენ სპეციალისტებს პროლეტარული კულტურის დარგში. ყოველივე ეს თავიდან ბოლომდე სისულელეა. პროლეტარული კულტურა უნდა იყოს ცოდნის იმ მარაგის კანონზომიერი განვითარება, რაც კაცობრიობას შეუქმნია კაპიტალისტური საზოგადოების, მემამულური საზოგადოების, ჩინოვნიკური საზოგადოების უღელქვეშ.“

ყველა ამ გზასა და ბილიკს მივყავდით, მივყავართ და კვლავაც წაგვიყვანს პროლეტარული კულტურისაკენ, ისევე, როგორც მარქსის მიერ გადაშუშვებულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ გვიჩვენა ის, თუ სად უნდა მივიდეს ადამიანთა საზოგადოება, მიგვითითა გადასვლა კლასობრივ ბრძოლაზე, პროლეტარული რევოლუციის დასაწყისზე.¹

ლენინის აზრით, პროლეტარული კულტურა, თუ ამ ცნებას ფართოდ გავიგებთ, ჩნდება არა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. ამ კულტურის ცალკეული არსებითი მხარეები ჩაისახა და ვითარდებოდა სოციალისტურ საზოგადოებაშიდე არსებული საზოგადოების წიაღში. ყველა გზასა და ბილიკს, რომელიც კაცობრიობამ რევოლუციამდე გაიარა, გარდუვალად მიჰყავდა, მიჰყავს და შემდეგაც მიიყვანს საზოგადოებას პროლეტარულ კულტურამდე — საზგახმით ამზობდა ლენინი. ამრიგად, პროლეტარული კულტურის წარმოშობის თვით ფაქტიც კი გაპირობებული იყო ისტორიის მოძრაობის წინმსვლელობით.

ბუნებრივია, თუ მასში (პროლეტარულ კულტურაში) შესულია ადამიანის გონების მრავალი მხატვრული მონაპოვარი. ლენინის ამ ნათქვამს მცირე მნიშვნელობა როდი აქვს ზოგადკაცობრიულის შინაარსის გაგებისათვის კულტურაში. ლენინის გამონათ-

ქვამიდან ის დასკვნა როდი გამომდინარეობს, რომ ზოგადკაცობრიული და კომუნისტური (პროლეტარული) ტრადიციის შენახვა, რომ ეს ორი ცნება ერთიმეორეს ემთხვევა. ლენინი სხვა რამეს ამბობს, სახელდობრ იმას, რომ პროლეტარულ კულტურაში კომუნისტური და თვით კომუნისტური კულტურა მთლიანად, როგორც კულტურის ახალი ტიპი, არ შეინააღმდეგება წინამორბედ კულტურას და არ უარყოფს მის მონაპოვარს. პროლეტარული კულტურა იბადება კანონზომიერად, როგორც საკაცობრიო ცივილიზაციის ისტორიული განვითარების ნაყოფი. ეს მაინც არ გვაძლევს საფუძველს ზოგადკაცობრიული გაუთანაბროთ კომუნისტურს. ისინი ყოველთვის როდი ემთხვევიან ერთმანეთს.

მივმართოთ მსოფლიო ლიტერატურის ნაწარმოებთ. დავასახლოთ ზოგიერთი მათგანი: „იგორის ლაშქრობის ამბავი“, ნიჟამის „ფარხად და შირინი“, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, სომხური ეპოსი „დავით სასუნელი“, რამლეს „გარგანტუა და პანტაგრუელი“, გოეთეს „ფაუსტი“, ხ. ბოტევის ნაწარმოებები და სხვა. ყველა ამ ქმნილებას ზოგადკაცობრიული მნიშვნელობა აქვს. სწრაფვა ხალხის ეროვნული გაერთიანებისაკენ, სიყვარულის ჩაუქრობელი ძალა, რომელსაც ადამიანი სულიერი ძლევამოსილების მწვერვალამდე აჰყავს; ადამიანთა თანაბარფასოვნების იდეა, მიუხედავად მათი ეროვნული და რასობრივი ნიშნებისა; ჰუმანისტური პათოსი, მძაფრად რომ ამზილებს ყოველივე დრომოჭმულს, დამყაყბულს, ჰკიცხავს ქვენა გრძობებს, ფარისევლობას, მლიქვნელობას, უმღერის ადამიანის საუკეთესო ხეუდრის მუღმივ ძიებას, შეუნღებულ სწრაფვას. — შევიცნოთ შეუცნობელი, — ადამიანთა ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს თავის ძალადღესაც არ დაუკარგავთ და თუმცა ჩამოთვლილ ნაწარმოებებს დროის დიდი მანძილი გააშორებს, მათში დანთებული ცეცხლი, ჩვენს დროშიც არ ჩამქრალა. მსოფლიო ლიტერატურის ეს და სხვა ქმნილებები ჩვენ ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებს, არა როგორც ყვავილდაცენილი, დამკვიწარი, არამედ როგორც მარად ცოცხალი მშვენიე-

¹ ვ. ი. ლენინი ლიტერატურის და ხელოვნების შესახებ. 1957, გვ. 383.

რი მოწმენი დიდი ხნის წინათ, საუკუნეების სიღრმეში გარდასული დღეებისა. უმღერეს რა სიკეთეს, ადამიანის მაღალ მოწოდებას, მის სულიერ სწრაფვათა თავისუფლებას, მათ შეინარჩუნებს სინორჩე ჩვენი დროისათვისაც. დოგმატურად მოაზროვნე ადამიანის წინაშე დგება ხოლმე დაუძლეველი წინააღმდეგობა. რა ქმნის ამ შემთხვევაში მსოფლიო კლასიკოსთა ნაწარმოებებს ზოგადკაცობრიულ ქმნილებებად, თუ კომუნისტური და ზოგადკაცობრიული თანატოლ მნიშვნელოვანი ცნებებია, და მათში არ არის რაიმე კომუნისტური, მისი დღევანდელი გაგებით? მაგრამ კომუნისტური იდეალი, კომუნისტური წარმოდგენა ცხოვრების აზრზე, ადამიანზე, მორალზე ხომ საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა და ყალიბდებოდა, იგი ხომ გამოტანჯულია კაცობრიობის მიერ ისტორიის მთელ სიგრძეზე, იგი ხომ ხანგრძლივი ბრძოლით, წამებით, ძიებით არის მოპოვებული.

ყოველივე პროგრესული და ჭეშმარიტად დიდი მსოფლიო კულტურაში პირდაპირ თუ არაპირდაპირ ყოველთვის ქმედითად ამზადდება ნიადაგს კომუნიზმის ზეიმისათვის, სჭედდა მის ზნეობრივ გამარჯვებას. ზოგადკაცობრიულია კულტურის ის ფასეულებანიც, რომლებიც პირდაპირ არ გამოსატყვენ კომუნისტურ მსოფლმხედველობას და შეზღუდულებებს, მაგრამ თავისი შინაარსით, მოსალოდნელი მომავლის განდიდებით და არსებულის უარყოფით წმენდენ და წმენდენ გზას უკეთესი მერმისისაკენ, ამრავლებენ რა მასების რევოლუციური ენერჯიის მარაგს. კომუნისტური — ზოგადკაცობრიულია, ზოგადკაცობრიული კი აუცილებლად და ყოველთვის როდია კომუნისტური. ზოგადკაცობრიული, რომელიც უშუალოდ კომუნისტურ იდეოლოგიასთან არ არის დაკავშირებული, ეთანხმება და არ ეწინააღმდეგება კომუნიზმის ძირითად სოციალურ და ზნეობრივ პრინციპებს.

შინაარსობრივად ზოგადკაცობრიულად უნდა ვალიართ ისიც, რაც ამზადდება კომუნიზმს, რასაც თანდათან წინ მიყავდა კაცობრიობა, რაც ადამიანებში აღვიძებდა მსოფლიოს რევოლუციურ გარდაქმნის შეგნებას, ის, რაც უარყოფს ძველს, უძრავს,

დახსებულს და თავისი ამ უარყოფით წმენდს გზას სიახლისაკენ, ცხადია, ზოგადკაცობრიულ ძალას ნაწარმოებს ქმნილებებს არა პრობლემატიკა, არა მართო იდეური პოზიცია, არამედ იდეურ-ესთეტიკურ მხარეთა ერთიანობა.

არსებობს თუ არა რაიმე სავალდებულო კომპონენტი იმისათვის, რომ ხელოვნების ნაწარმოები, გადალახავს რა ლოკალურ გეოგრაფიულ საზღვარს, „წმინდა“ ეროვნული მოვლენიდან გახდეს მსოფლიო კულტურის ნაწილი? ახლახან ერთი მკვლევარი წერდა: თითქოს ხელოვნების ნაწარმოები ინტერნაციონალურია და თავის შინაარსით ფართოდ მისაწვდომია მაშინ, ჯერ ერთი, როცა იგი სრულად და მრავალმხრივად ასახავს თავისი ხალხის ცხოვრებას, პროგრესულია ობიექტურად და სუბიექტურად თავისი იდეური მიმართულებით და მაღალმხატვრულად გამოხატავს ხელოვნების ერთ-ერთ „მარადიულ თემას“, და მეორე, როცა მის შინაარსში შესულია რაიმე ისეთი „ობიექტური“ ელემენტები, რომლებიც სხვა ხალხებს შესაძლებლობას აძლევს იგი თავის თავს და თავის ცხოვრებას შეუგუოს. მთლად გასაგები არ არის, რა არის ის „ობიექტური ელემენტები“, რომლებიც ხელოვნების ნაწარმოებისათვის არის დამახასიათებელი და საშუალებას აძლევს სხვა ხალხებს — შეუგუოს იგი თავის თავს და თავის ცხოვრებას? მსოფლიოში ხალხთა რაოდენობა უთვალავია. ყოველ მათგანს აქვს განსხვავებული თვისებები და თავისებურებანი. რა წესით, რა საშუალებით უნდა ხდებოდეს კონსტრუირება ნაწარმოების ობიექტური ელემენტებისა, რომლებიც გამოსადეგი იქნებიან ყველა ხალხისათვის? რა ელემენტები უნდა შედიოდეს ამ „ობიექტურ ელემენტებში“? ეროვნულს ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდა დაემატოს დოზა საერთო-ზოგადისა, რომელიც ეროვნულზე მაღლა დგას და რომელსაც ეროვნული გაკყავს ზოგადკაცობრიულის ორბიტაზე? მაგრამ ეს ხომ წმინდა წყლის სქოლასტიკა იქნებოდა, — ხელოვნების არც ერთი დიდი ნაწარმოები არ იქმნება სპეკულატური სქემის მიხედვით — ცოტა ეს და ცოტა ის! რაც შეეხება „მარადიულ“ თემებს, რომლებიც ხელოვნების ნაწარმოებებს თითქოს

გზას უხსნის ინტერნაციონალურისაკენ, ასეთი თემები არსებობენ მხოლოდ აბსტრაქციად.

რა „მარადიული“ თემა არ უნდა იქონიოს, ყოველი მათგანი, ყოველი ასეთი თემა გამოდის კონკრეტულიდან და „მარადიული“ ხდება გარკვეულ ცხოვრებისეულ გარემოებებთან მისი კავშირის გამო. პირობითად თუ ვიტყვით, „მარადიული“ თემებია: სიყვარულის თემა, ბოროტების და სიკეთის, ანგარებისა და უანგარობის, სიმშაღისა და გმირობის, მოვალეობისადმი ერთგულების თემა და ა. შ. მაგრამ ეს თემები მუდამ საგნება კონკრეტული შინაარსით შესაბამისად იმისა, რა დროში ცხოვრობდა და ცხოვრობს, რა კლასს ეკუთვნოდა და ეკუთვნის, რა სოციალურ და ესთეტიკურ იდეალებს აღიარებდა და აღიარებს მხატვარი, რომელმაც ეს იდეალები განასახიერა. ამიტომ სწორი არ იქნება ვამტკიცოთ ხელოვნების ნაწარმოებში ერთ-ერთი „მარადიული“ თემის არსებობა, როგორც მისი ინტერნაციონალურობის ერთგვარი გარანტია. შეიძლება თუ არა ნაწარმოები გავეყთ დამოუკიდებლად არსებულ ორ ნაწილად? ერთში თითქოს მოცემულია ეროვნული ვითარება, ადამიანთა სპეციფიკური ხასიათები, ყოველივე ის, რასაც ჩვეულებრივ პროვინციული, ცალკეული, კერძობითი ეწოდება, ხოლო მეორეში — საერთო, ზოგადკაცობრივი, თითქოს მათი შეერთება, მათი შემტკიცება იძლევა საძიებელ შედეგს: არის კერძობითი ეროვნულიც და არის ზოგადიც. ხელოვნების ქეშმარიტ ნაწარმოებში ვითარება ბევრად უფრო რთულია: მასში ხდება არა კაცობრიობასთან პროვინციის, ზოგადთან, „სუბსტანციურთან“ არა კერძობითის და ცალკეულის შერევა, არამედ პირველი გვარის ცნებების გადაჭყვევა მეორე გვარის ცნებებად. სასაცილო იქნებოდა საკითხი ასე დაგვეყენებია: რა შემთხვევაში აღწევს მწერალი მსოფლიო მნიშვნელობას? მაშინ, როცა იგი ასახავს საკუთარ ხალხს, თუ მაშინ, როცა წერს ევრეთწოდებულ მარადიულ, ზოგადკაცობრიულ პრობლემებზე, შორეული კონტინენტების ხალხებზე? ქეშმარიტ მხატვარს არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს „უცხო“ და „თავისი“

თემები. გარეგნულად „უცხო“ თემა ხდება მის შინაგან ღვიძლ თემაზე, მისი არსებობის ნაწილად, მისი ფიქრების, მისი სიხარულის და წუხილის საგნად. ზოგადკაცობრიულობის კიბის საფეხურებზე მწერალი ზვეით ადის ან ქვევით ეშვება არა თემების მიხედვით, არამედ თავისი ნიჭიერების, გამჭრიახობის, აზრის მასშტაბურობის, თავისი საზოგადოებრივი იდეალის სოციალური შინაარსის მიხედვით!

აქედან სრულიადაც არ გამოიმდინარეობს ის, რომ ეროვნული ცხოვრების ყოველი ფაქტი, მხატვრულ ნაწარმოებებში წარმოსახული, სწორედ ამ მიზეზით ავტომატურად ხდება ინტერნაციონალური და იძენს ზოგადინტერნაციონალურ ელფრადობას! ინტერნაციონალურის და ნაციონალურის თანაფარდობა რომ ესოდენ პრიმიტიულად სწორსაზოგადი ყოფილიყო, მაშინ საჭირო არ იქნებოდა არც ეროვნულის და არც ინტერნაციონალურის ბუნების გამორკვევა-შესწავლა.

ხელოვნების ბევრი თეორეტიკოსი და ისტორიკოსი, აგრეთვე, ჩვენი საუკუნის დასაწყისში მოქმედი ბევრი პოლიტიკური მოღვაწე არა სწორად, მცდარი პოზიციებიდან ხსნიდნენ და განმარტავდნენ ინტერნაციონალური და ეროვნული მომენტების ურთიერთკავშირს კულტურაში. მათი აზრით, — იმასთან დაკავშირებით, რომ იზრდება სამრეწველო ინდუსტრიის ძლიერება, ვითარდება და სრულყოფილი ხდება კაპიტალისტური ურთიერთობა, რომელიც ამსხვრევს ეროვნულ განკერძოების ბარიერებს, ამასთან ერთად უნდა მოხდეს ეროვნულ ამირებულებათა ძირეული გადასინჯვა, „განთავისუფლდეს“ კულტურა მისი შემოღობვით ბოროტებისაკენ; სპეციფიკური, ეროვნულად თავისებური უნდა შეიცვალოს საყოველთაო-ზოგადით, გაუპიროვნებელით, რასაც შეცდომით, გაუგებრობის წყალობით, ინტერნაციონალური, ზოგჯერ კი, კოსმოპოლიტური ეწოდებოდა (მაგალითად, გ. ბრანდესის მიერ). ეროვნული წარმოდგენილი ჰქონდათ, როგორც რაღაც პროვინციული, არქაული, ჩამორჩენილი, რომელსაც შეეცვლილ საზოგადოებრივ ვითარებაში დაუკარგავს თავისი ძალა და მნიშვნელო-

ბა: არა ერთხელ ის აზრიც იყო გამოთქმული, თითქოს ეროვნულს უკვე ძალა არ შესწევს წარმოსახოს დინამიკა და სირთულე ახალი დროისა, წარმოსახოს მრავალწახნაგოვანი ფსიქოლოგიური სამყარო ცივილიზებულ საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანისა. ნაციონალური უთანაბრდებოდა ეთნოგრაფიულობას, განუვითარებლობას, ადამიანის ფსიქიკის და ემოციების დაუნაწევრობას, აზროვნების თავისებურ სინკრეტულობას. წიგნში „ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი“ კ. კაუცკი, მაგალითად, წერდა, თითქოს (ეროვნული) ხასიათის ერთგვარობა იყოს შეტანაწილად თვისება განვითარების პირველდაწყებითი საფეხურებისა, როცა ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი დანაწევრება; ხასიათის ერთგვარობა, თითქოს არის თვისება პატარა ტერიტორიაზე მცხოვრები მცირერიცხოვანი ხალხებისა. ეს ერთიანობა, კაუცკის აზრით, მაინც მერყევი, არამდგრადი, წარმავალია. იგი ამჟღავნებს ტენდენციას გაჭრეს, მოისპოს შესაბამისად ერების გაფართოებისა და მათი დანაწილებისა კლასებად და პროფესიებად. ვაჭრები და ინტელიგენცია მიაჩნდა კაუცკის ინტერნაციონალური კულტურული თანასაზოგადოების შუამავლებად, ყველაზე მოწინავე მატარებლად ეროვნული შევნიშებისა, რომელიც პოულობს ნიადაგს და მკვიდრდება ხალხში იმდენადვე, რამდენადაც ვითარდება ინტერნაციონალური ურთიერთკავშირი და კულტურის ინტერნაციონალური ერთიანობა. კაუცკის ეროვნული მიაჩნდა პროვინციული კარჩაკეტილობის, არასრულყოფილობის, უკმარობის ნიშნად, ერთგვარ საყმაწვილო სენად, რომლის დაძლევის შემდეგ, კულტურა, რაიმე განსაკუთრებული ღონისძიებების მიუღებლად, ხდება ინტერნაციონალური თავისი ხასიათით. ინტერნაციონალური კულტურის ცნებაში ათავსებდნენ ფრიად შეზღუდულ, ვიწრო, ცალმხრივ შინაარსს. ინტერნაციონალურ კულტურად გულისხმობდნენ ნაციონალური სპეციფიკის ყველა თვისებას, ყოველგვარ თავისებურებას მოკლებულ კულტურას, და არა ახალი, სოციალისტური ტიპის კულტურას. ინტერნაციონალურს ათანაბრებდნენ კოსმოპოლი-

ტიზმთან, უზორცო აბსტრაქტულობასთან, მოჩვენებით „უნივერსალობასთან“ ხელოვნების ფორმების ზოგადობასთან. ერთი იმდროინდელი თეორეტიკოსი ხელოვნებისა ლ. საკეტი წერდა: „სახედნიეროდ, ეროვნული მუდამ წარმოადგენს გარდამავალ სამიშროებას ჭეშმარიტი ხელოვნებისათვის, მით უფრო სახებით ხელოვნებისა და მუსიკისათვის. ამ დატვირთვას ნაწარმოებები ჩვენს დროში ისეთივე სისწრაფით ხდებიან ინტერნაციონალურ კუთვნილებად, როგორც მეცნიერების მონაპოვარნი. მათი ენა უკვე მსოფლიო ენაა და მათი ბედიც — მთელი კაცობრიობის ბედი“¹. დაახლოებით, ამასვე წერდა შვედი მწერალი ქალი ელენ კეი წიგნში „პიროვნება და სილამაზე“ (თავი „ხელოვნება და ეროვნება“): „ერთი სიტყვით, — ამტკიცებდა კეი, — ხელოვნებაში ზოგადკაცობრიული თვისება უსაზღვროდ მნიშვნელოვანია, ვიდრე ეროვნული: იმისთვის, რასაც ეროვნულ თვისებას უწოდებენ, სჯობდა გვეწოდებია ინდივიდუალური“².

სტატიაში „კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე“ ლენინი აღნიშნავდა განვითარებადი კაპიტალიზმის ორ ისტორიულ ტენდენციას ეროვნულ საკითხში: ეროვნული ცხოვრების და ეროვნულ მოძრაობათა გამოღვიძებას, ბრძოლას ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, ეროვნული სახელმწიფოების წარმოქმნას, და მეორე ტენდენციას: ერთა შორის ყოველგვარ კავშირურობის გახშირებას და განვითარებას, ეროვნული ზღუდეების ნგრევას, კაპიტალის ინტერნაციონალური ერთიანობის, საერთო ეკონომიური ცხოვრების, პოლიტიკის, მეცნიერების შექმნას და ა. შ.

ინტერნაციონალური კულტურის ლენინურ კონცეფციას არაფერი საერთო არა აქვს ეროვნული კულტურის ლიკვიდატორთა პოზიციასთან. ამ საკითხს ჩვენ შემდგომ დაგვბრუნდებით. აქ კი აღვნიშნავთ

¹ Л. Сакетти. Популярные лекции по эстетике. С. Петербург. 1902, стр. 255.

² Э. Кей. Личность и красота. Изд-во «Мир». Санкт-Петербург, 1908, стр. 217—218.

ერთს ფრად საგულისხმო ფაქტს: საბჭოთა მკვლევარების მიერ ოცდაათიანი წლების დამდეგს და შუახანებში გამოქვეყნებულ ზოგიერთ სტატიაში თითქმის მთელი სისრულით არის განმეორებული ვულგარიზატორული იდეები ინტერნაციონალურისა და ნაციონალურის თანაფარდობის პრობლემაზე ხელოვნებაში. ერთი იმდროინდელი მკვლევართაგანი კ. ტაბოლოვი, რომელიც ბევრს წერდა ნაციონალური კულტურის საკითხებზე, იზიარებდა აზრს, რომელიც რადიკალურ მოგვაგონებს ლ. საკეტის და ე. კეის შეხედულებებს. კ. ტაბოლოვი ერთიმეორისაგან ასხვავებდა ორი ტიპის ეროვნული კულტურებს. მისი აზრით, არსებობენ მომწიფებული, შედარებით განვითარებული კულტურები, რომელნიც თავისი სიმწიფის გამო, ხდებიან ინტერნაციონალური კულტურები, და არსებობენ, ასე ვთქვათ, „წმინდა“ ეროვნული კულტურები, რომელნიც, ეს არის ფალობებიან და არა აქვთ პრეტენზიები იყვნენ ინტერნაციონალური. კ. ტაბოლოვი წერდა: „საბჭოთა კავშირის ერთა შორის, შეიძლება აღვნიშნოთ ძირითადად ორგვარი ეროვნული კულტურა: ერთი მხრივ, არსებობენ სახვებით მომწიფებული ეროვნული კულტურები, რომელნიც ინტერნაციონალურ კულტურაში გადადიან, მეორე მხრივ, არსებობენ მხოლოდ ახლახანს ჩამოყალიბებული ეროვნული კულტურები, რომელნიც შინაარსით უაღრესად თავისებურნი არიან იმ ვითარების მეოხებით, რომელშიც ისინი ყალიბდებიან“.¹

კ. ტაბოლოვის ლოგიკით გამოდიოდა: ეროვნული კულტურები ხდებიან ინტერნაციონალური იმდენად, რამდენადაც ისინი „გაიძრობენ“ ეროვნულ „ტყავს“, რამდენადაც განთავისუფლდებიან ეროვნული თვითმყოფობის „თანდაყოლილი ლაქები“-საგან“. ინტერნაციონალურ კულტურაში უკვე აღარ რჩებოდა არავითარი ადგილი ნაციონალურისათვის. ეროვნული გავებული იყო, როგორც ინტერნაციონალურის დაპირისპირება, როგორც უცხო სხეული,

რომლის ჩამოშორებლად შეუძლებელია ინტერნაციონალიზმის მწვერვალებების მიღწევა. ასეთი იყო ეროვნული ნიპილიზმის პოზიცია. შეღავნდებოდა ამკარა მემკვიდრეობითი კავშირი ბურჟუაზიულ კოსმოპოლიტიზმსა და ეროვნულ ეგოიზმს შორის. ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიკები, რომელნიც ჩვენი საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდნენ, აგრეთვე, ჩვენი დროის ნიპილიტიკები არსებითად მსგავს აზრებს გამოსთქვამდნენ ეროვნული გრძობების, ეროვნული შეგნების ქრობის შესახებ და იმის შესახებ, რომ აუცილებელია ყოველივე ვიწრო, ლოკალური, ყოველივე ის, რაც ხელს უშლის სხვადასხვა რასებისა და ერებს შორის კომუნიკაციური კავშირის დამყარებას, შეიცვალოს ურთიერთობის უფრო სრულყოფილი საშუალებებით. ერთ ასეთ საშუალებად მიანდათ აბსტრაქტული სიმბოლოები, რომლებიც, თანამედროვე ბურჟუაზიული თეორეტიკოსის პ. ბოსუელის სიტყვით, ძლევენ რა ეროვნული შეგნების ყველა ბარიერს, გამოქვამულის მკვიდრი ადამიანის დროიდან ჩვენს დღემდე, მეტყველებდნენ „ინტერნაციონალურ ენაზე“. ეროვნული ნიპილიტიკები ფიქრობდნენ და ფიქრობენ, რომ ხელოვნების კლასიკურმა ფორმებმა, ეროვნულმა ლიტერატურულმა ტრადიციებმა ჩვენს საუკუნეში — კიბერნეტიკის და კოსმოსური ფრენის საუკუნეში სრულიად დაკარგეს თავისი ქმედითობა. თითქოს ისწრაფვიან რა ადამიანთა სულიერი ურთიერთგაგების ზონის გაფართოებისაკენ, ისინი მოგვიწოდებენ გავდევნოთ კულტურიდან ყველა განმასხვავებელი ეროვნული თვისება, შევცვალოთ ორიგინალური, თვითმყოფური, ხალხურ ნიადაგზე აღმოცენებული უნივერსალური ნიშნებით და სიმბოლოებით. მაგრამ ეროვნულისადმი მათ უნდობლობას აქვს სხვადასხვა სათავე, სხვადასხვა შემავლუიანებელი, წამქეხებელი მიზეზები. ახლახანს ერთ-ერთი ასეთი ასპექტი შეგვაჩვენა კრიტიკოსმა და ლიტერატურისმცოდნემ ვლ. მაჭავარიანმა. სტატიაში „სიმართლეს ცხოვრებისა და სიმართლეს ლიტერატურისა“ („Дружба народов“, 1966 № 12). მას მოჰყავს პროგრესული დასავლეთ გერმანელი პოეტის ჰანს მაგნუს ენ-

¹ ეტრნალი «Революция и культура», 1928, № 8, გვ. 28.

ცენსურგერის სიტყვები, მწერალთა საერთაშორისო ფორუმზე წარმოთქმული. ბორჯომში 1966 წ. სექტემბრის დამლევს. ენცენსურგერის გამოსვლის პათოსი მდგომარეობს შემდეგში: ჩვენს დროში, — ამტკიცებდა გერმანელი პოეტი, — არ ღირს ვილაპარაკოთ ეროვნულ ლიტერატურებზე, ეროვნულის შესახებ პოეზიაში. დღეს არსებობის უფლება აქვთ პოეტებს, რომელნიც გამოდიან არა რომელიმე ერის, არამედ მთლიანი ცივილიზაციის სახელითო. უარყოფდა რა ეროვნულ კულტურას, ეროვნულ პოეზიას, ენცენსურგერს, როგორც შემდეგ თვითონვე განმარტა, მხედველობაში ჰქონდა გერმანული, ბიურგერული ნაციონალიზმი, რომელმაც წარსულში შობა ფაშისში, ხოლო ახლა კი კვებას რევანშიზმს. სტატიის ავტორი ვლ. მაჭავარიანი სამართლიანად წერს: „ამ თვალსაზრისით, კიდევ შეიძლება გავიგოთ და მოვიწონოთ ენცენსურგერის ვნებანი, მაგრამ კულტურისა, ხელოვნებისა, ლიტერატურისა, პოეზიის ეროვნულობის ცნება ბევრად უფრო რთული საქმეა, ვიდრე მისი კონკრეტული პოლიტიკური ასპექტი გფრ-ში. პანს შავნუს ენცენსურგერის მხრივ ეროვნული კულტურის უარყოფას ტრაგიკული, დრამატული იერი გადაკრავს. დამახასიათებელია ენცენსურგერის ლექსი „ენა ქვეყნისა“. პოეტი გულისყურით, მკაცრად, მსჯავრდადებით უყურებს და აკვირდება დასავლეთ გერმანიის ცხოვრებას. გარემოცველ სინამდვილეში პოეტი ცოტა სიმახინჯეს, სიყალბეს, ფარისეულობას, სისასტიკეს როდი ხედავს. პოეტი ხედავს, რომ ინგრევა პოეტის სულისათვის ძვირფასი ბევრი ღირებულება. ინგრევა და იბადება ამოკვესა სასოწარკვეთილებისა, ყვირილი ადამიანისა, რომელიც ლანობს თავი დააღწიოს ობობის დახლართულ ქსელს. მაგრამ ვერ პოულობს ხსნის გზებს. ამასთან, პოეტი თავს ცნობს თავის მიერვე უარყოფილი ქვეყნის შვილად. თავის ქვეყანაში ეძებს იმას, რაც დაკარგა და რაც ჯერჯერობით ვერ უპოვია. ეძებს მეგობრობას, სიკეთეს, ადამიანურობას, გაბედულ გულდასა ღიმილს, თანხმობას და სოლიდარობას ყველა ხალხთან. ეძებს ქვეყანას,

რომელსაც უყვარს და რომელიც უყვართ. ხოლო ის, ვინც წუმპეში ფართხალთა და ვისაც სულს უხუთავს გაჭყელების სრინწიანი ხმები, პოეტს არც კი სურს იცოდეს. პოეტი მეტად მტკივნეულად აღიქვამს გარემოცველი სინამდვილის სიმახინჯეს და გრიმასებს. მას ეწვენება, რომ ყველაფერი დაიკარგა, დაიმხვრა ყოველმხრივი კავშირი მისსა და გარესამყაროს შორის, გაწყდა ყველა ძაფი, რომელიც მათ ურთიერთთან აკავშირებდა. „რას ვეძებ? რა უნდა ვქნა? რა უნდა ვთქვა? რა ენაზე? ვის რა ვუთხრა?“ — კითხულობს ენცენსურგერ ლექსში „ენა ქვეყნისა“. პოეტი იწრაფვის დადგეს ეროვნულ სინამდვილეზე მაღლა არა იმიტომ, რომ მისთვის, საერთოდ, უცხოა ეროვნული ღირებულებანი. ეროვნულის უკუგდება ნაკარნახევია უნდობლობით იმ ძალებისადმი, რომელნიც დღეს ერის სახელით მოქმედებენ და უბიძგებენ მას დადგეს რევანშიზმის და ნაციონალიზმის გზაზე. ეროვნული განვითარების სხვა კალაპოტს პოეტი ჯერ კიდევ ვერ ხედავს დასავლეთ გერმანიის ახლანდელ სინამდვილეში. ეროვნული კულტურის, ეროვნული პოეზიის ცნებების უარყოფა მის მიერ გამოწვეულია არა ეროვნული ნიჰილიზმით, არა ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმით, არამედ სხვა ხასიათის მიზნულებით, — სურვილით იპოვოს მომავალში ეროვნული განვითარების სწორი გზა, გერმანელი ერის ძირეული ისტორიული ამოცანების შესატყვისი და შესაფერი. ეროვნულის უარყოფა ამ შემთხვევაში ნიშნავს ახალი გზების ძიებას ტემშარიტად ეროვნულ სწრაფვითა გამოსავლენად.

2

ხელოვნების თეორეტიკოსები დ. პისარეესკი და ს. რაპოპორტი სტატიაში „ეროვნული განვითარების პრობლემები სოციალიზმის დროს და ესთეტიკური მეცნიერება“,¹ გამოთქვამენ მთელ რიგ საკულისხმო და საინტერესო მოსაზრებებს ხელოვნებაში ინტერნაციონალურის და ერო-

ენულის დიალექტიკის პრობლემებზე. ეთანხმებიან რა ხელოვნების მსოფლიოს ნ. შახნაზაროვას, ისინი ამტკიცებენ, რომ ფორმის ცალკეული ელემენტები შეიძლება იყოს ინტერნაციონალური და ნაციონალური. „მაგრამ მხატვარი ნაწარმოების ფორმა როდია ამ ელემენტების მექანიკური შეჯამება: ის არის რაღაც მთლიანი და ასეთ მთლიანობას მას აძლევს სხვადასხვა მხატვრული ხერხების, ერთიანი მიზნისათვის დაქვემდებარებული ხერხების შეერთების წესი, მათი გარკვეული განუმეორებელი შეთავსება. და ეს განუმეორებლობა შედეგია არა მარტო შინაარსის ბრძანებლური მოთხოვნისა, არა მარტო მხატვრის ინდივიდუალური მიდრეკილებისა. გარდა სხვა მომენტებისა, აქ თავს იჩენს მხატვრის ეროვნული ფსიქიკური წყობა, ეროვნული მხატვრული ტრადიციების ზეგავლენა და ა. შ. აი, რატომ არის, რომ ნაწარმოების ფორმა თავისი მთლიანობით ასე თუ ისე, მაგრამ მაინც გამოირჩევა ეროვნული თავისებურებებით“ (გვ. 196-197). შემდეგ, აჯამებენ რა თავის დაკვირვებებს, შემოსხენებული მკვლევარები წერენ: „ამრიგად, ინტერნაციონალური და ეროვნული, ამა თუ იმ შეთავსებით, მსჭვალავს მხატვრული ნაწარმოების მთელ ქსოვილს. კრიტიკოსებს, როცა აანალიზებენ ხელოვნების მთლიან გავლენას, მომარჯვებული უნდა ჰქონდეთ ნაწარმოებებში ამ მომენტების შეთავსების მთლიანი შეფასების კრიტერიუმი“ (გვ. 222). უწინარეს ყოვლისა, რასაკვირველია, უნდა დაზუსტდეს: რა ტიპის მხატვრულ ნაწარმოებებზე ლაპარაკობენ ავტორები. მკვლევართა სიტყვებით რომ ვილაპარაკოთ, ინტერნაციონალური და ეროვნული მომენტებით ნაწარმოების მთელი ქსოვილის „გამსჭვალვა“ განა ხელოვნების და ლიტერატურის საყოველთაო საერთო კანონია? შემდეგ თუ ინტერნაციონალური და ეროვნული ამა თუ იმ შემთხვევაში მსჭვალავენ მხატვრული ნაწარმოების მთელ ქსოვილს, სხვანაირად, წარმოქმნიან ხელოვნების შინაგან ესთეტიკურ სტრუქტურულ არსს, მაშინ კრიტიკამ როგორ და რა წესით უნდა დაადგინოს „ნაწარმოებში ამ ელემენტების შეთავსების“ ოდენობა? განა შეიძ-

ლება ერთიანის, მთლიანის დანაწილება შემადგენელ ელემენტებად და ყოველი მათგანის ცალკე გაანალიზება?

თუ ჩვენ დ. პისარესკის და ს. რაპოპორტის მიერ მოცემული კრიტერიუმით, თითქოსდა სამართლიანი და ფართო კრიტერიუმით, ვიხელმძღვანელებთ, ხომ არ წავალთ მაშინ რისკზე — ვერ ვიპოვოთ ხელოვნების ნაწარმოებებში ვერც ინტერნაციონალური და ვერც ეროვნული, რადგან თუ ყველაფერში — შინაარსსა და ფორმაში ორივე მოცემულია უთუოდ, მოცემულია ამასთან როგორც გამაერთიანებელი საწყისი, მაშინ განა ადვილი იქნება განვასხვავოთ და გაემიჯნოთ ისინი ერთი მეორესაგან? ლიტერატურულ ნაწარმოებთა მხატვრულ სტრუქტურაში, ცხადია, შემოქმედების ერთიანი ტიპით, ამ შემთხვევაში რეალისტური შემოქმედების ერთიანი ტიპით გაერთიანებულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა სტრუქტურაში (თუნდაც რომ ისინი შექმნილი იყვნენ სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა მწერლების მიერ) ჩვენ შეგვიძლია აღმოვაჩინოთ ზოგიერთი საერთო ელემენტი ხასიათების შექმნაში, სიუჟეტის განვითარებაში და სხვა პოეტურ კომპონენტებში, რომ მხატვრული ხერხების და საშუალებების ასეთი, შედარებითი სიახლოვე არ გეჭონოდა, შეუძლებელი იქნებოდა მსოფლიო ლიტერატურის მემკვიდრეობის ათვისება. როგორც ჩანს, მხატვრული შემოქმედების კანონები ისეთია, რომ ისინი არ შეიძლება იყვნენ თვითივე ცალკე შემთხვევაში მეტისმეტად სპეციფიკური, ერთმანეთს რომ აბსოლუტურად არ ემთხვეოდნენ. სხვანაირად, ყოველი ეროვნული კულტურა ყრუდ კარჩაკეტილი იქნებოდა თავის ეროვნულ სფეროში. მაშასადამე, ევრეთწოდებული კომუნიკაბელობა, უნარი — იყო გასაგები ადამიანთა უმრავლესობისათვის, მიუხედავად მათი ეროვნებისა და რასობრივი წარმოშობისა, მიუხედავად თვით კლასობრივი კუთვნილებისა, მხატვრული მწერლობის, როგორც ადამიანთა მოღვაწეობისა და შემოქმედების სპეციფიკური საშუალების, ძირითადი თვისებაა. განა ღირს ინტერნაციონალური გუწოდოთ ზოგიერთი იმ პოეტური ელემენტის საყო-

ველთაობას, ურომლისოდაც წარმოუდგენელია მხატვრული ლიტერატურის არსებობა? არ იწვევს დავას დ. პისარეცკის და ს. რაპაპორტის ის აზრი, რომ ეროვნული ლიტერატურული ფორმები ობიექტურ ცხოვრებისეულ გარემოებათა განუწყვეტელ შემოქმედებას, მსოფლიო ლიტერატურის გამოცდილების შემოქმედებას განიცდიან. ესთეტიკურ ფასეულებათა უაღრესად ინტენსიური გაცვლა-გამოცვლის პირობებში, რომლებიც თვით ლიტერატურის საფუძვლებს ემყარებიან, არ შეიძლება ნაციონალური ფორმის დაარწმუნება თავის მიმართ უცვლელ სიდიდედ. ხდება ეროვნული ფორმების განახლება. მაგრამ არ იქნებოდა სწორი გველაპარაკა ეროვნული ფორმების გათანაბრების შესახებ, მათი მოსაბუზრებელი უნიფიკაციის შესახებ. ეროვნული ფორმების გამდიდრება და სრულყოფა, დაზუსტება, გამრავალფეროვნება არ ნიშნავს ეროვნულის გაქრობას ხელოვნებაში. ნაციონალური ფორმის ყველა ნიშნის განქარვებას ამტკიცებენ ის მკვლევარნი, რომელთაც ჩვევით ხედავდნენ ეროვნულში რაღაც საგანგებოს, ფეოდალურს, თვალშისაცემს და თვალისმომკრებელ სიჭრელეს. განვითარებულ ლიტერატურაში ეროვნულად განსაკუთრებული ხდება მხატვრული შემოქმედების შინაგან არსად. ასეთ ნაწარმოებებში ჩვეულებრივ არ არის ეროვნული თვითმყოფობის მკვეთრად აღბეჭდილი, ჩვეულებრივ ნაცნობი, ნორმატივულად გაგებული თვისებები. სწორედ ეს აძლევს საბაზს ზოგიერთ მკვლევარს, რომელიც ღრმად ვერ ერკვევა ეროვნული კულტურების თავისებურებებში, ილაპარაკოს ნაციონალური ფორმის დაშლის და გაქრობის შესახებ. უთუოდ არ შეიძლება უარყოფით საბჭოთა კულტურის რეალური კანონზომიერებანი. ეს კანონზომიერება ვლინდება იმით, რომ ეროვნული კულტურები ვითარდებიან მჭიდრო ურთიერთშემოქმედებით. ჩვენს ქვეყანაში არსებობს კულტურების მიზანსწრაფვითი ურთიერთგაცნობისა და შეცნობის უფართოესი შესაძლებლობა. ამ ურთიერთკავშირის შედეგები გავლენას ახდენს კულტურების ესთეტიკურ ხარისხზე, ხელს უწყობს მათ დაახლოებას, ყოველი მათგანი-

აქ ერთხელ კიდევ გამოჩნდა ცალკე პარონებისადაც ფიცის მიცემის უცუქმართი ძალღმერთისა და საშრობლის წინამე დადებული ფიცა არ ავალბდა ვინმეს რომელიმე პირისადმი ბოლომდე ერთგულებას. პიტლერს წინაშე დადებული ფიცის გატეხვა კი უმძიმესად, ამიტომ იყო, რომ ბევრა ფიცის ტექსტის ამგვარად შეცვლის დღეს მისა ცხოვრების ყველაზე შეუხველად ღვე უწოდა.

პიტლერი რომ მოეკლათ, მისდამი მაცემულ ფიცისაგან ფრომმიც ვითავსუფლდებოდა, მაგრამ რაკი ის გადაჩნა, არც მან აჯანა ფიცის გატეხვა. რემერიც ასე ამართლებდა თავის მოქმედებას: „ფიცი ფიცი, ვინც მას არღებეს, ანგრებს საბელწიფით საფუძვლებს“. მერე, როცა უკვე გენერალ-მაორა რემერი დასავლეთ გერმანიაში მებურებეს წერდა, გაოცებასაც გამოთქვამდა: — ეს როგორ? ვინც ფიცი ვასტება ამათ პატრიისცემით იხსენიებენ, ჩვენ კი, ერთგულებს, სისხლისმსელებს ვცემათან? იგი ბოლომდე იცავდა ესეგელთა დევიზს: „ღირსების ნიშანი არის ერთგულება“; სულერთა, ვისდამი, თუნდაც ის საბანა იყოს, ფიცი მაინც ფიცია...

ამან შეურქა ხელემა ფრომმსაც. ახლა კი ისლად დარჩენოდა, რომ „პატრონანი სიტყვა“ მისცა პოპნერს, თქვენს წინააღმდეგ არ ეიმოქმედებო და ითხოვო მინ ვამიფიით. არ გაუშევს. მაშინ ჩემს მოსასვენებელ თათში ჩავალო. პოპნერმა ამაზე სათარი ვერ გაუტეხა მეგობარს და გაუშვა.

ფრომმი მართლაც ჩავიდა ქვემოთა სართულზე თავის პატარა ოთახში და შშიო, ვანაცხადა. საკმელი იქვე მიღტანეს. ეშმაკობა რომ არ გაუვოდა, მოსასვენებელ ოთახში ზაკეტა და უუეთესი შემთხვევის მოლოდინში ბედს მიენებდა...

...ამასობაში „ვალერიია“ უკვე მოქმედებდა. ეს არა მარტო ბერლინიში, არამედ პარიზში, ვენაში და სხვაგანაც. მთავარი კა მაინც ბერლინი იყო. აქ პიტლერის „პარაღი დაღვის“ პატალიონის, რომელიც რამდენიმე კვირის წინ ლუგოზიანს გადაეკლდა, მაიორ რემერის მეთაურობით

ალყა უნდა შემოერქა მთავრობის კვარტალსათვის. შეთქმულთა დაუდევრობა იმაშიც გამოიხატა, რომ ეს რემერი სულ არ შეეცდა სკმის ვერსის, როცა მან მიჩლო ნიგვალის „ვალერიისა“, ვანგამი ასტება და საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა მთელი ლუგოზი; თვითონ კი ბერლინის სამხედრო კომენდანტ გენერალ-ლეიტენანტ მახესთან გამოცხადდა. მანე შეთქმულების მონაწილე იყო და მაშინვე მიიღო ის, თუმცა უფრო მაღალა წოდებისა და თანამდებობის პირები უუდიდნენ. რემერი რომ მასთან შეეცდა, ეს სულ დაიბნა. მან თვითონაც არ იცოდა კარგად, რა მოხდა „ვალის ბუნავში“, მაგრამ მაინც უთხრა რემერს:

— პიტლერი სასიკვდილოდ დამავდა. საერთო არეულობის დაწყების ვამო არმა იქულბული ვახდა ძალა-უფლება თავის ხელში აქლო. თქვენ გვალებათ ბრძანება, ალყა შემოარტყათ მთავრობის კვარტალს. არც ერთი გენერალი, არც ერთი მინისტრი არ უნდა გავიდეს აქიდან! რემერმა სულ რამდენიმე წუთის წინ გამოიარა ბერლინის ქუჩები. მაგრამ არავითარი არეულობა არ შეუნიშნავს. ამით დაეკვებულმა პირდამირ მიაყარა კითხვება მახეს:

— პიტლერი მართლა მეკვარია? უბედურთი შემთხვევის თუ თავდასხმის შედეგად? ეინ არის მისი შემცველი? ასეთი ხომ რაბს-მარშალი გერინგი უნდა ყოფილიყო, არის რამე განკარგულება მისგან თო არა?

მახეს მიკებულ-მოკებულმა პასუხმა რემერს მაინც ვერ მისცა გარკვეული წარმოდგენა მდგომარეობაზე, მაგრამ ის მაინც წამოვიდა ბრძანების შესასრულებლად. გზადავა კი ფიქრობდა:

— თუ პიტლერი მეკვარია და მართლაც არეულობა იწყება, ჩინს ვილაცებებს სურთ ხელი მოითონო ამანე! მეურ 1918 წლის ამბები ვახსენა და სიფრთხილე არჩია.

ლეგიონი კი მაინც შეკრიბა და ბრძანების სახით ვანუცხადა:

— თავდასხმა პატლერზე. შედგეი გაურკვეველია. არმა დგება ხელისუფლების სათავეში. ჩვენი ამოცანაა: ალყა შემოერტყათ მთავრობის კვარტალს. არავინ არ უნდა გავიდეს იქიდან. არც მინისტრი, არც გენერალი...

ამ დროს ლეიტენანტი ჰავენი მოვარდა და თქვა, რომ ქალაქში ტირგარტენთან ნახა ფელდ-მარშალი ბრაუხინი, მანქანაში, სამხედრო ფორმით. ის კარგა ხანია რაც გადაყენებული იყო და-გაუკვირდოთ, რატომ მაინცაღამაინც დღეს ჩაიკვა ისევე მენდირი. რემერმა ჰავენი ბერლინის დაცვის უმაღლეს კომისარ გებელსთან ვაგზავნა. ის ისე ვივარდა მანქანით, რომ ქუდი და დაშნა აღეკლებ დარჩა. პროპაგანდის სამინისტროში რომ მივიდა, გებელსის თანაშემწის ეცა, ახლავე უნდა ვნახო მინისტრიო, თა-



ნამუშევრები უთხრა, რომ მინისტრი შინ წავიდა. გებელს რვეულზედ ჰქონდა დღეში ნაჭერი გამოეცვალა კოსტუმი. წავიდოდა შინ, გადაიკვამდა და ისევ ბრუნდებოდა სამსახურში. ახლაც ახე მოჭყეულიყო. დრო კი არ იცვლიდა და პავენი პარლამენტში მინისტრად გაქანდა. გებელსი გერმანის ქ. № 10-ში ცხოვრობდა, დოქტორი პავენი ადრე პარლამენტის სამინისტროში მუშაობდა და მინისტრი კარგად იცნობდა მას.

— რა ამბავია, დოქტორო პავენი! — ჰკითხა მან მღელვარებითა და დალილობისაგან ფერწალად ლეიტენანტს.

— ვალერიო! ვანგამო! — წაშოიძახა მან და მერე სიტყვა-სიტყვით გაიშეორა რემერის ბრძანება.

— ეს სწორი არ არის, — მიუთხრო გებელსმა — ფიურერი ცოცხალია! მე მას ახლა ველახარაკე. იყო თვალასწავლა, მაგრამ ის საოცრებით გადარჩა. სხვა რაც ხდება აქ, ისეულებულია.

გებელსმა იცოდა, როცა ასეთ დროს მის წინაშე ჰიტლერის პირადი დაცვის შეიარაღებული ოფიცერი დგას, საჭიროა სიფრთხილე, და ჰკითხა:

— რა ვინდათ, რომ მე ვქნა? ამხე პავენმა სხვა ვერაფერი მოახერხა რომ ეთქვა:

— მე ვთხოვ შიორ რემერს, გამოცხადდეს თქვენთან.

გებელსმა, სიფრთხილეს მართლაც თავი არ სტიცივით, დაქდა და პასუხის მთავერად ჭერ ეს საუბარი გააფორმა ოქმად, მერე ყურმილი აიღო და ლაიშმანდარტ „ადოლფ ჰიტლერის“ მეთაურს დაუბრუნა:

— მე, როგორც იმპერიის დაცვის კომისარი და ბერლინის ვალეიტერი, გობრძანებთ, მოიყვანოთ რაშიმე საბრძოლო მზადყოფნაში. იმოქმედეთ მხოლოდ ჩემი ბრძანებით.

მერე პავენი მიუბრუნდა და უთხრა:

— ხომ გაიგონეთ? მაგრამ მე არ მინდა, როგორც 1934 წელს დაკრეფენ ერთმანეთს SS და SA; არც იმინდა, რომ ესელები შეეჯახოს არმიას.

მერე უფრო მეტი გამოიმეტყველება მოილო და ბრძანების კოლოთი დაემტკიცა:

— კეთლი, მოიყვანეთ რემერი... ვადა 20 წუთი, თუ ოც წუთში ის არ გამოცხადდა ჩემს წინაშე, მე უბრძანებ ლაიშმანდარტ „ადოლფ ჰიტლერს“ ძალით გააყეთოს ეს...

... პავენი ახლა ისევ თავის ლეგიონში გაქანდა. ლეგიონერებს უყვია ახლა ჰქონდათ შეზღუდული მთავრობის კვარტლისთვის და აქა-იქ ბარაკებს აგებდნენ. რემერი გენერალ პაუესთან წასულიყო ენტერ დენ ლინდენზე.

სადაც კომენდანტის მისაღებად ჰქონდა თავისი შტაბი მოწყობილი. პავენი ქვეშევრდომად მთავრად გახსნი საკუთარი ლეგიონის მისაღებად კავეს. ისე იყო ყველაფერი ერთმანეთში არეული, რომ ვინ რას აცუბებდა არ იცოდა. ბეგერი ეხვეწა, გამიშვით, სასწრაფო საქმე მაქვსო, მაგრამ ამაოდ. მცველებმა უთხრეს, შენ კი არა, ბრძანება გეაქვს. აქედან მინისტრები და გენერლებიც არ გაუშვითო. მოხერხებული პავენი, როგორც იქნა, გაუძეა მცველებს და კომენდანტისკენ გაეშურა...

რემერი ამ დროს გენერალ პაუესთან იყო. — განსაკუთრებით გაამაგრეთ ანჰალტის საიდუმლის მონაპოვით — უბრძანა გენერალმა მას.

რემერმა ეს ბრძანებაც შეასრულა. თან ის უყვირდა, რატომ მაინცა და მაინც ანჰალტის საიდუმლი ვახდა პაუეს ასეთი ყურადღების საგანი? იქ ხომ სახელმწიფო უშიშროების ორგანოები მუშაობენ? ანა სულ დაახინა. იგი მესამედ შევიდა გენერალთან და ჰკითხა:

— ბატონო გენერალ-პოლიკოვნიკო, რატომ ვიღებ ასეთ გურჯავეელ ბრძანებებს?

პაუემ არც უნახუბა რემერის კითხვას, თითქოს ვერც შეამჩნია მისი იქ ყოფნა, ისე მიმართა იქვე მდგომ ოფიცერს:

— უბრძანეთ რემერს დააპტიმროს გებელსმა!

რემერი სულ ვაკიცდა. გებელსი, როგორც ბერლინის დაცვის უმაღლესი კომისარი, მისი უფროსიც იყო. მან პროტესტი განუცხადა ამის გამო პაუეს და მოსთხოვა ახსნა-ვანმარტება.

პაუემ იმის ნაცვლად, რომ დაეპტიმრებინა რემერი, უკველგვარი დავალებს ვარეშე გაუშვა. მერე კი გამოეძვდა. უნდადა კიბეებზე დაწვოდა, მაგრამ ამასობაში პავენი მოვირდა და გულამოვარდნილმა მიაყარა:

— გებელსი გობრძანებთ, დაუყვინებლოე გამოცხადდეთ მასთან, თუ ოც წუთში არ მიხვალთ, ძალით მივიყვანენ. იგი იბულებულია ესესელთა ნაწილებში ასტეხოს ვანგამო!

რემერმა უბრძანა პავესს, ყოველივე ეს გაემთავრებინა პაუეს თანდასრულებით. იგი ობიტანის მსახური იყო და არ იცოდა ეისთვის დაეჭვებინა.

ამასობაში პაუემ მოვიდა და პავენმა ერთხელ კიდევ გაიმეორა თავისი ნათქვამი.

პაუემ აერქალა რემერს გებელსთან წასვლა. პავენი კი მაშინვე გაქცა, რომ მინისტრისთვის მოეხსენებინა, თქვენი ბრძანება შეეასრულეო.

როცა ის დაუკითხავად შევარდა კაბინეტში, გებელსი ტელეფონით ლაპარაკს ამთავრებდა:

— ჰაილ, ჩემო ფიურერი! — ჩასძახა მან ბოლოს ყურმილში და პავესს მიუბრუნდა.

— თქვენი ბრძანება შესრულებულია! — გა-

შოკეეთა მან და მერე მისაღებში დაელოდა რემერს.

გაეილა 15 წუთი... 18..

... რემერი გამოვიდა კომენდანტურის შენობიდან.

— ტრიბუნალი ან რაინდის წყარი! — ფიქრობდა ის გზა და გზა. ეერ გადაწყვიტა, წასულიყო თუ არა გებელსთან. დაიბნა, სიტუაციაში ვერ გაერკვა; ვინ იყო ფიურერის მომხრე და ვინ მტერი? იქნებ გებელსიც მოლაღატა, ვინ იცის... უნდა გაერკვეს კი... და გადაწყვეტილება მიღებულა...

... გებელსის მისაღებში უამრავი ზალხი ირეოდა. აქ იყვნენ მინისტრები, გენერლები, მაღალი თანამდებობის მოხელეები და კუთხეში მიყუდებული ლეიტენანტი პავენი.

რემერი გიჟივით შემოვარდა, რვეოლვერი გაიძრო, და არაეისთვის არ უკეთხავეს, ისე შეიჭრა გებელსის კაბინეტში.

— ბატონო მინისტრო, გამარჯვებით რა ხდებდა? — მიამახა მან უზარმაზარ კაბინეტში აფორიაქებულ კაცუნას.

— ჭერ ის თქვათ, თქვენ თვითონ რა იყოთ?

რემერმა უამბო მას ყველაფერი, გარდა პანჯის ბრძანებისა დაუპატომრებინა ის.

— თუ ფიურერი მკვდარია... — თქვა მან ბოლოს.

— რას ამბობთ, ფიურერი ცოცხალია! — შეაწყვეტინა გებელსმა რემერს. — ეს-ეს არის ტელეფონით ველაპარავ მას. თავდასხმა ჩაიშალა!

რემერი საბტად დარჩა. მისთვის თავდასხმის ამბავიც მოულოდნელი იყო და შედეგიც ამიტომაც უთხრა გებელსს:

— მომეცით პატროსანი სიტყვა, რომ მართალს ამბობთ და ერთგული ხართ ფიურერის. გებელსმა „პატროსანი სიტყვა“ არ დიშურა, მაგრამ რემერმა მაინც უთხრა, თუ უბრძანა:

— შემართეთ ფიურერის შტაბთან!

გებელსმა დარეკა. ხაზთან თვითონ პიტლერს მივიდა. ინფორმაციის შემდეგ გებელსმა ურმიოლი რემერს გადასცა.

— ვესმით ჩემი? — მოესმა მას პიტლერის ხმა. რემერი საჩადაყლაპულივით გაივიზა.

— როგორც ხედავთ, მე ცოცხალი ვარ! თავდასხმა ჩაიშალა! სულმოკლე ოფიცრების

მცირერიცხოვან ხროვას უნდოდა ჩემი თავიდან მოშორება, მაგრამ ახლა ჩვენს ხელთ არიან და მალე გაუფრთხლებით იმ ჭარბანებს — ხომ ვესმით ჩემი? — ჩაეთიხა მისი პიტლერის დაარწმუნებელი ხარბი თუ არა, რომ ეს მე ვარ?

— დახ, ჩემო ფიურერი! — იყვირა რემერმა. გებელსი მას თვალს არ ამორებდა. პიტლერი კი განავრძობდა:

— აღადგინეთ ქალაქში სიმშვიდე. თუ საჭირო გახდა იარაღითაც. ამას გვაკლებთ პირადად თქვენ, ვიდრე ქალაქში. რაიხსფიურერი პიმლეჩი ჩამოვიდოდეს...

... ყოველგვარი იჭვი გაიფანტა და... პიტლერის ერთგული რემერი გაეშურა მიღებული ბრძანების შესასრულებლად... პიმლერი ჭერ კიდევ პაერში იყო.

ოპის შემდეგ მისი მფრინავი კაპიტანი როპერტი ყვებოდა:

— რაიხსფიურერი ისე იყო გააცეცლებული, სულ ცოფს ყრიდა, მაგრამ იმიტომ კი არა, პიტლერზე თავდასხმა რომ მოეწყო, იმიტომ, რომ უშედეგოდ დამთარდა, რადგან პიტლერის შემდეგ თვითონ უნდოდა ფიურერი გამხდარიყო.

ვინ იცის, იქნებ პიმლერს მართლაც ჰქონდა ამის იმედი. პიტლერივით ისიც ცრუმორწმუნე იყო. მან მიუნჰენში მოქებნა ასტროლოგი ველფი, რომელმაც თავის ღროზე „წინასწარმეტყველა“, 1944 წლის 20 ივლისს პიტლერის დიდ განსაცდელში ჩაეარდებო. სწორედ იმ დღეს მოხდა აფეთქება „მგლის ბუნავში“, მაგრამ პიტლერი გადარჩა. თუმცა იმავე ველფის „წინასწარმეტყველებით“ პიტლერი იმავე წლის ნოემბერში ავად გახდებოდა (პიტლერმა მართლაც ნოემბერში გადაიტანა მძიმე ოპერაცია) და მოკვდებოდა 1945 წლის 7 მაისამდე.

პიმლერს ისე სჭეროდა ყოველივე ამისა, რომ პოროსკოპების „დაუკითხავად“ ერთ ნაბიჯს არ დგამდა. მართალია, ამჯერად ცოტათი გააჯვრებელიც იყო „წინასწარმეტყველების“ შედეგზე, მაგრამ პიტლერის პირველ დამახებისთანავე გამოეშურა „მგლის ბუნავში“. აქ პიტლერმა უთხრა მას:

— ჩადიო ბერლინში და მოსპეთ კრაზანების ბუდე ბენდლერშტრასეზე!

პიმლერმა მარჯვენა ხელი წინ გაიშვირა და „ჩემი იმედი გქონდეთო“, დაიძახა. მერე სათვალეები გაიშორა და ბერლინისკენ გამოეშურა...

შპრისძიება



ქალაქში კი უკვე შეთქმულების მიერ გამო-
ძახებული სარეზერვო არმიის ნაწილები შემო-
დიდნენ. რემერი თავისი ლეგიონით წინ გადა-
დგა მათ და მორჩილება მოითხოვა. მართა-
ლია, იქ მაიორ რემერზე მაღალი სამხედრო
წოდების ოფიცრები იყვნენ, მაგრამ ამას მნიშ-
ვნელობა არ ჰქონდა. რემერი პიტლერის სახე-
ლით იძლეოდა განკარგულებებს. რაკეტები გა-
დასცემდნენ:

— ისმინეთ მაიორ რემერის ბრძანება... ვინც
წინააღმდეგობას გასწევს, დაიხვრიტება..

ზოგმა დაუფერა, ზოგმა არა. იქ, სადაც წი-
ნააღმდეგობა გასწევს, რემერმა ტანჯება გა-
ზავნა. მერე კომენდატურასაც შემოარტყა ალ-
ყა და გენერალ-ლეიტენანტ პაზუს უბრძანა, ტე-
ლეფონით დაეკავშირებოდა გებელს. რემერმა არ
იცოდა, პაზე რომ შეთქმულებთან იყო დაკავში-
რებული, ეგონა, სიტუაციაში ვერ გაერკვა და
დაიბნაო.

პაზემ იუკადრისა მაიორის ასეთი მბრძანებ-
ლური ტონი და დაავალა, დაუყოვნებლივ გა-
მოეხადებულაყო მასთან.

ამაზე რემერმა მშვიდად უპასუხა:

— ბატონო გენერალ-ლეიტენანტო, მე ვას-
რულებ ფიურერის განკარგულებას. ქალაქში
ფესრიგის დამყარება დავალბული მაქვს პი-
რადად შე. თქვენ კი ამაყმად ჩემი ქვეშევრდო-
ში ხართ და ვიბრძანებთ ჩემთან გამოცხადებას.

პაზე დანებდა. იგი ეახლა რემერს. რომელ-
მაც უთხრა:

— ფიურერი ცოცხალია და ესაც ფიცს იქვს
მიცემული, ერთგული უნდა იყოს მისი..

პაზეს ციგმა ოფლმა დაასხა და შიშისაგან
(„პაზე“ გერმანულად კერძოდებს ნიშნავს) სულ
ცვილივით დადნა. მერე, სხვა გზა რომ არ
ჰქონდა, შეასრულა რემერის ბრძანება და ში-
შით აჯანკალბული გაემართა გებელისაკენ. არ
იცოდა რა მოელოდა, არც ის, გებელსმა შე-
იცოცო თუ არა მისი დაბატმირების ბრძანება
რომ ჰქონდა გაცემული. კაბინეტში რომ შევი-
და, მუხლი სულ მოეკვთა:

გებელსის გვერდით კალტენბრუნერი იდგა!
რა ილაბარაყეს იქ, კაცმა არ იცის. გებელსი
და პაზე ომის შემდეგ ცოცხლები აღარ იყვნენ.
კალტენბრუნერისათვის კი ასეთი კითხვა ნორკ-
ნბერტში არ მოუციათ. პარაკესზე შეთქმულების
საკითხები არც იქცევა განსაკუთრებულ ყუ-
რადღებას. ამას უფრო შახტისა და პავენის
დამცველები ეტებოდნენ, ვითომ, ზომ ზედავთ,
ხელს უწყობდნენ შეთქმულებასო...

მათი საუბრის მხოლოდ უკანასკნელი ნაწი-
ლია ცნობილი...

...კარები გაიღო და გებელსმა გამოაყურებულ
ნერალი. გამოსასვლელთან ზელიც ჩამოართვა.

— შემძლია წაიღებ? — ჰკითხა რბილად პა-
ზემ.

— არა, იქნებ კიდევ დაგვიპირდეთ. იმე მოგ-
ცემთ ოთახს, შეგიძლიათ მოისვენოთ!

პაზე მიხვდა, რომ ეს დამატირებას ნიშნავდა.
მაგრამ რა ექნა, ვერ გაიტყეოდა, ვერც თავისი-
ანებს დაეშვიდობებოდა.

— ნება მომიცეთ შინ დაერეკო, რომ დამა-
გვიანდება, — თქვა მან სრულიად გატყეილი
ხმით.

— სიამოვნებით, ვთხოვთ! — მიუგო გებელ-
სმა თავიზიანად.

პაზემ მადლობა გადაუხადა და ამ მძიმე მომე-
ნტში ყველას განაოცრად ასეთი რამ უთხრა
გებელსს:

— შუადღის შემდეგ არაფერი მიჭამია, შეი-
ძლება იქ ეჭამო რამე?

გებელსმა აიღუტანტს უბრძანა:

— შირათეთი. გენერალს პეტტერბროდგა
და ერთი ბოთლი კარგი ღვინო!

მერე პაზეს მიუბრუნდა და ირონიულად
ჰკითხა:

— „მოზელს“ იწყებთ თუ „რაინეინს“. ბა-
ტონო გენერალი!

პაზე გაიყვანეს. კოჭლო გებელსი მარცხენა
ფეხზე შეტრიალდა და იქ მყოფთ მიმართა:

— ასეთება არაან ჩვენი მტრები! საქმე რომ
წახდება დედოკოს უმბახან, უნდათ ჩახეთქონ
რამე! შე კი უმაღ ცერ თათს მოვიკენებდო,
ვიდრე საქმელს ვთხოვდი კაცს, რომლის მოკ-
ვლა მინდოდა რამდენიმე წუთის წინ!

მერე რემერს მკუბრუნდა და რატომღაც ჰკუ-
თხა:

— რამდენი წლის ხართ, მაიორო?

— ოცდათორმეტის! — მიუგო რემერმა.

— ოცდათორმეტი წლისა მე უკვე ბერლი-
ნის ვულაიტერი და მინსტერი ვიყავი, — თქვა
მან და კაბინეტის კარები მიიხურა..

...ბენდლერმტრასეზე შტაუფენბერგი კიდევ
ერთხანს მძვინვარებდა, რაკეადა სამხედრო
ოქტებში. მოითხოვდა ოპერაცია „ეაღკირის“
ჩატარებას, მაგრამ, როგორც ჩანს, გასწირეს
„თანაშეთქმულებმა“, მარტო დასტოვეს. მართა-
ლია, სარეზერვო არმიის 50 ტელეტაიპი და 800
სატელეფონო ხაზი გადასციმდა მთელ იმპერია-
ში ბრძანებებს „ეაღკირის“ დაწყების შესახ-
ებ, მაგრამ ამოიღ. ეენასა და პარაზში კოლეც
დაეკავეს ესესელები, მაგრამ ამასობაში ფელ-
მარშალმა კაიტელმა თვითონ გასცა განკარგუ-
ლება „ეაღკირის“ გაქმების შესახებ. დაკვე-
ბული ესესელები დაუყოვნებლივ გაათაყისუ-

ფულს და ახლა ისინი შეუდგნენ იმათ დაპატი-
მრებას, ვინც ისინი დააკავეს. მონასტერი სულ
აირია.

მერე ჰიმღერის წარმომადგენელი მოვიდა ბენ-
დღერშტრასსეზე გადაცემული ესესელების თან-
ლებით და პოლკოვნიკი შტაუფენბერგი აეთხა.
ის მაინცე დააპატიმრეს. ჰიმღერმა და კალტენ-
ბრუნერმა ჟერ კიდევ არ იციოდნენ, რომ შეთქმუ-
ლების შტაბს ბენდღერშტრასსეზე იმყოფებო-
და. აქ მოდიოდნენ გენერლები, რომ ფრომპს-
გან გაეგოთ, რა ხდება. ისინი ჰოპნერთან მი-
ყავდათ. ერთერთმა გენერალმა კორტცელაიმმა
პრატიკურა ვანაცხადა. არ ისურვა ჰოპნერთან
ლაპარაკი. ესლავე ფრომპსთან მიმყოფენთო.
შეთქმულები იმუღებელი ვახდნენ, ისიც დაე-
პატიმრებინათ. კორტცელაიმმა გაქცევა სცადა,
მაგრამ კიბებზე წამოეწივნენ და სტაცეს ხელი...

...16 საათსა და 15 წუთზე ოფიციალური
ცნობა მოვიდა „შვლის ბუნაგიდან“ ჰიტლერის
გადარჩენის შესახებ. შეთქმულები დაიბნენ.
შტაუფენბერგი კი ყვიროდა, ტყუილით, მაგ-
რამ სხვები შეეპედნენ. იმედგაცრეებული ვი-
ცლებენი ერთხანს ესაუბრა ბესს, მერე შტაუ-
ფენბერგს უთხრა, „ყველაფერი ეს ღორბააო“,
და სულ წვიდა ბენდღერბლოკიდან.

მერე ისევ ახალი ცნობა მიიღეს, საღამოს
9 საათზე რადიოთი თვითონ ჰიტლერი გამოვიდა.
ამ დროს ბენდღერბლოკში 6 თუ 8 უნტერ-
ოფიცერი შევიკა ჰერბერის მეთაურობით.
ისინი შევიკარ თლბრიტთან, მერე შტაუფენ-
ბერგი დააპატიმრეს. შტაუფენბერგმა მინიც მო-
ხერბა ხელიდან გასხლტომოდა მათ და კიბებზე
ჩაირბინა. ჰერბერმა ზემოდან ესროლა მის და
მხარში დაქრა.

„რა მოხდა? ვინ ისერის? — იყვირა შტაუფენ-
ბერგმა და ჰირუეც ესროლა ჰერბერს. მერე
ისევ აირია ყველაფერი. „ფიურერამ მომხრე
ხარ, თუ წინააღმდეგია“ — უყვიროდნენ ერთმი-
ნეთს და ამის მიხედვით მოქმედებდნენ. ბოლოს
ჰერბერის მომხრეები დააკავეს. შტაუფენბერგი
ჰეფტენთან ერთად ჰოპნერთან შევიდა და აეთხა:

— სად არის ფრომპსი?
— ქვემოთ, თავის მოსასვენებელ ოთახში, —
მთევო ჰოპნერმა.

შტაუფენბერგმა და ჰეფტენმა კიბებზე ჩაი-
რბინეს და ფრომპსთან გაჩნდნენ. ფრომპსი უკვე
შეიარაღებული იყო და იმუქრებოდა:

— მე ხელში რევოლვერა მიჭირავს, ვი-
რბანებთ დაწყალოთ იარაღი!

ჰეფტენმა რევოლვერა დაუმიზნა, მაგრამ რა-
ტომღაც შტაუფენბერგმა აუკრა ხელი.
ნათქვამია: მგელს შეიბრალებ, ცხვარს დაე-
რავო. ასეც მოხდა.

— ვინც ოთახში ხარ, გაპატიმრებთ ყველას! —
იმახდა გადარჩენილი ფრომპსი. — იარაღი და-
წყვეთ მაგიდაზე!..

— მე არა მაქვს იარაღი... სიტყვა უკვე
გუნებაწამდარამა ჰოპნერმა.

იქვე მყოფმა ბეცმა კი ყველაფერი მოთქ-
დნულად მიმართა ფრომპსს: ვინც უნდა მოქმედ-
დეს...

— მე არ მჭირდება თქვენი ბრანება. ამ სანე-
დისწერა მდგომარეობიდან თვითონ ვაპოვა
გამოსავალი!

იგი მივიდა კუთხეში მიდგმულ სკივრთან,
ამოიღო რევოლვერი და ჩააწყო ტყვიები...
ფრომპსს შეეშინდა. მე არ მესაროლსოთ და
უყვირა:

— ლულა მიმართეთ თქვენსკენ!..

ბეცმა მის ბრანებას ყურადღება არ მიაქცია.
მის უკვე თვითონ ჰქონდა გადაწყვეტილება
მიღებული. რევოლვერი მომართა და სთქვა:

— ამ წუთებში მე ვფიქრობ იმ დროზე...

— ახლა მაგის დრო არ არის! — შეაწყვე-
ტინა ფრომპსა და რაეც უბრძანა:

— იმოქმედეთ!..

ბეცმა კიდევ რამდენიმე სიტყვა წარმოთ-
ქვა და ისროლა. ტყვია საფეთქელში მოხვდა,
დაჭრილი ნელ-ნელა ჩაეშვა საჯარბელში, მაგ-
რამ... არ მოკვდა.

— მივხამათ მაგ ბებერ ძალს!.. — უბრ-
ძანა ფრომპს ერთ-ერთ ოფიცერს, რომელმაც
ეს არ იცისრა...

— თქვენ კი, ვაეპატონებო — მიმართა ფრო-
მპსა დანარჩენ შეთქმულებს, — თუ რამ გაქვთ
მისაწერი თქვენიანებსთვის, გაძღვეთ რამდენ-
იმე წუთს. მობრძანდით აი, ამ მაგიდასთან,
სადაც თქვენ ყოველთვის ჩემს წინ იყავით...

პირველი ოლბრიტა მივიდა, მერე ჰოპნე-
რიც. სხვები სდუმდნენ. ფრომპსი გავიდა. იგი
შეხვდა სამხედრო სკოლის ბატალიონს, რო-
მელმაც ალვა შემოარტყა ბენდღერბლოკს და
მის მეთაურთან ერთად დაბრუნდა თავის კა-
ზინტში, სადაც შეთქმულები იყვნენ.

— აბა, ბატონებო, დამთავრეთ? — მიმართა
მან ოლბრიტსა და ჰოპნერს. დააჩქარეთ, რომ
სხვებს არ გაუჭირდეთ ეს.

ოლბრიტმა კონკერტი თხოვა. ჰოპნერმა
წერილი მაგიდაზე დადო.

ფრომპსი სწენაზე დადგა და გამოაცხადა:

— საგანგებო ტრიბუნალი ჩემი სახით აცხა-
დებს, რომ გენერალი ოლბრიტი, პოლკოვნი-
კი მერე ფონ კეირინჰაიმი, პოლკოვნიკი, რომ-
ლის გვარის წარმოთქმაც არ მსურს — მიუთი-
თა მან შტაუფენბერგზე და ეს უფროსი ლეი-
ტენანტი (ჰეფტენი) ისეზბან სიყვდილით.

იგი მიუბრუნდა ახალგაზრდა ლეიტენანტს და
უბრძანა:

— ჩაიყვანეთ ეზოში და განაჩენი მოიყვანეთ
სისრულეში.

ფრომპსი გავიდა მეზობელ ოთახში, სადაც
დაჭრილი ბეცს ჟერ კიდევ ებრძოდა სიკვდილს
და თხოვლობდა რევოლვერი მომეციოთ. მინ-

ცეს... ბეკმა მეორედ ისროლა თავში. მაგრამ...
შაინც არ მოკვდა.

ფრომმა ასეთივე წინადადება მისცა პოპნერს.
და რუკების ცარიელ ოთახში შეიყვანა.

— გინდა თავი მოიკალი, გინდა დაგაპატიმ-
რებენ — უთხრა მან „თავის შეგობარს“.

პოპნერმა პატივობა არჩია.

ღუთის ანაბარა მივლბელი ბეკი ეი ისევე
სიკვდილს ებრძოდა.

ფრომმა ვერ აიტანა ეს და უბრძანა ოფი-
ცერს, მისთვის „სამოწყალო ტყვია“ გაემტე-
ბინა. ვერც ამ ოფიცერმა იყარა და თავის
ფელდფებელს დაავალა ეს. ფელდფებელი მო-
ვიდა და ბირდაპირ შებღმი დაახალა ტყვია.

ოთხი სიკვდილმისჯილი ეზოში ჩაიყვანეს,
კედელთან დაყენეს და ავტომობილების ფარე-
ბი მიანათეს. ოღბრიტი მწვიდად იდგა. ახალ-
გაზრდა ჰეტენი მძიმე შთაბეჭდილებას ახდენ-
და. შტაუფენბერგს ამაყად ეკვირა თავი, კვირინ-
პიიშაი... ბრძანება რომ გაისმა: „ცეცხლი“
კვირინპიიში წინ აფეარა მის საყვარელ შტაუ-
ფენბერგს, რომელმაც მოასწრო დაეჭაბა:

— გაუმარჯოს წმიდათა წმიდა გერმანიას!..

...გვიან ღამით პოლკოვნიკი სკორცენი და ზი-
სი ესესელები შეიჭრნენ ბენდლერბლუკში. ბე-
თერმე ექსპრესით მილიოდა ვენისაკენ, მაგრამ
გზაში შეატყობინეს თავდასხმის ამბავი და
დააბრუნეს.

სკორცენი გამოცდილი იყო ასეთ საქმეებში.
იგი დაერია ყველას, ვინც ბენდლერშტრასსზე
იმყოფებოდა და დააპატიმრა. აქა-იქ სროლის ხმა
ისმოდა. მდივანი და შემანქანე ქალები წიოდ-
ნენ. სკორცენმა გაამწყრივა დამატორებულები,
საკუთარი ხელით ჩამოგლიჯა ყველას ორდენე-
ბი, ეპოლეტები და რკინის შეზარადში ჩაყარა.
ამ დროს რადიოში პიტლერას ხმა გაისმა.

სკორცენმა ფეხზე დგომით მოასმენინა შეთ-
ქმულებს ფიურერის სიტყვა. შერე თვითონ
დაიძაბა:

— ჩვენს ფიურერს, ზიგ ჰაილ!..

შეთქმულებიც იძულებული იყვნენ ეყვირათ:

— ზიგ ჰაილ...

რამდენიმე კაცი დახვრიტეს, სხვები ორ-
ორად შეკრეს, საბარგო მანქანებში ჩაყარეს
და გესტაპოში გაგზავნეს...

□ გაბრძობა იმნება □

„რუსთაველის ესთეტიკური სამყარო“

გახულ წელს, გენიილერი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის — შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებში, რომელიც ჩვენი ხალხის ნამდვილ ეროვნულ დღესასწაულად გადაიქცა, სხვა მრავალ რუსთაველოლოგურ გამოკვლევებთან ერთად გამოვიდა ავად. გ. ჭიბლაძის დიდტანაინი მონოგრაფია „რუსთაველის ესთეტიკური სამყარო“.

გ. ჭიბლაძეს გუთუნის არა ერთი და ორი საყურადღებო გამოკვლევა, რომლებშიც ყოველმხრივ და ღრმამეცნიერულად არის გაშუქებული რუსთაველის ესთეტიკისა და პოეტის ცალკეული საყენაო საკითხები. ჭერ კიდევ 1938 წელს, როცა „ვეფხისტყაოსნის“ გენიალური ავტორის ესთეტიკური სამყარო თოქქის ხელშეუხებ ყაშირს წარმოადგენდა, გ. ჭიბლაძემ თავის საყენადიდატო დისტრატიაში „პრობლემა ბუნებისა და ხელოვნების შვენიერებისა“ (ცალკე წიგნად გამოვიდა 1940 წელს) აღნიშნა და ჩამოაყალიბა რუსთაველის ესთეტიკის რამდენიმე ზოგად-თეორიული პრინციპი.

1948 წელს (ხოლო შემდეგ 1955 წ.) გამოვიდა გ. ჭიბლაძის ფუნდამენტალური გამოკვლევა „ხელოვნება და სინამდვილე“, რომელშიც თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი არამარტო რუსთაველის ესთეტიკას, არამედ რუსთაველის შემდეგდრონდელი ესთეტიკური თეორიების განხილვასაც.

რუსთაველის ესთეტიკურ პრობლემატიკას გ. ჭიბლაძე კვლავ უზრუნველბდა თავის უაღრესად საინტერესო და ფართომდანიან წიგნში „ესთეტიკური თეორიის საკითხები“ (1961 წ.). მართალია, აქ წარმოდგენილი რუსთაველოლოგური გამოკვლევა (ჩვენ მას სრულიად შეგნებულად ექვემდებარება გამოკვლევას) მიძღვნილია გ. ნადირაძის მონოგრაფიის „რუსთაველის ესთეტიკის“ განხილვისადმი, მაგრამ იგი თავისი მნიშვნელობით შორს სცილდება ჭვეთებისთვის რეკენზიის ფარგლებს. აღნიშნულ გამოკვლევაში გ. ჭიბლაძე იძლევა არამარტო გ. ნადირაძის დასახელებული შრომის ყოველმხრივ დახასიათებასა და შეფასებას.

ქართული პოეტური ხელოვნების მართლმეტყველობი გვირგვინის „ვეფხისტყაოსნის“ და მისი

გენიალური შემოქმედებისადმი უდიდესი საყვართლის გრძობითაა გამსჭვალული გ. ჭიბლაძის გენიანდელი წერილები: „პოეტური კიდენციები რუსთაველზე“, „რუსთაველის პრეზიის პირველი ლაურეატები“, „რუსთაველი და თანამედროვეობა“ და სხვ.

ასევე კვლევა-ძიების შედეგი არის გ. ჭიბლაძის დიდტანაინი მონოგრაფია „რუსთაველის ესთეტიკური სამყარო“.

ცნობილია, საერთოდ რუსთაველის ესთეტიკური მრწამის შესწავლის უდიდესი სირთულე. რუსთაველი ხომ, უწინარეს ყოვლისა, პოეტია და, მამასადამე, მისი ესთეტიკური მრწამსიც. განსხვავებულად, ვთქვათ, არისტოტელესაგან, საძენბია არა ესთეტიკურ ტრაქტატებში ან ფილოსოფიურ თხზულებებში, არამედ „ვეფხისტყაოსნის“ საოცრად პოეტურსა და მრავალფეროვან მხატვრულ ქსოვილში. აღნიშნული გარემოება, ცხადია, განსაკუთრებული სიმძნელების წინაშე აყენებს რუსთაველის ესთეტიკაზე მომუშავე ყოველ მკვლევარს. „თუ ჩვენ, — წერს საყენებით სამართლიანად გ. ჭიბლაძე — მხატვრულ ნაწარმოებში ყველაფერს ლოკურ ცნებაში დავიყვანოთ, შესაძლოა პარადოქსების ისეთ ქსელში ვავხვებით, საიდანაც გამოსავალს ვეღარ ვიპოვებთ და ვერავითარი ფილოსოფიური არაიდანაც ვეღარ გვიშველის“.

მაგრამ რუსთაველის ესთეტიკაზე მუშაობის მთელი სირთულე მხოლოდ ამით როდი ამოიწერება. ამ საკითხთან დაყვანილობით იმდენად მზერი ითქვამ და დაწერა, რომ ახლა აღბათ მათი უზნალო ნამოთლევი კი ძალიან გაძნელებოდა. თვით ავად. გ. ჭიბლაძის ზემოთდასახელებული შრომების შესახებ რომ არაფერი ვთქვათ, რუსთაველის ესთეტიკური მრწამის შესწავლას არა ერთი და ორი საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნეს: მ. გოგობერიძემ, ე. ნოზაძემ, ე. უკვინაძემ, შ. ნუტუბიძემ, ა. ბარამიძემ, მ. დედუჩიამ, შ. ხიდაშელმა, ა. გიურჯილამ, შ. დლონტმა და ბუე-მა სხვამ. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი რუსთაველოლოგას ამ მხრივ დასდო რუსთაველის ესთეტიკის ერთ-ერთმა კეთილმინდობიერმა მკვლევარმა გ. ნადირაძემ. მისი ფუნდამენტალური გამოკვლევის („რუსთაველის ესთეტიკა“) შემდეგ, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე გვიმონდა გაცერით ლამარაკი, თოქქოსდა აღარაფერი დარჩა ვასა-

კეთებელი. მართალია, რუსთაველი — აზრისა და იდეების ეს დაუშრეტელი ოკეანე, მარად ამოუწურავი რჩება, ვითარცა „თვით სამყაროს ანტილოგიური და გნოსეოლოგიური გააზრება“ (გ. ჯიბლაძე), მაგრამ არაჩვეულებრივად მახვილი ალღო უნდა ქონდეს მკვლევარს, რათა თავი დააღწიოს ერთზე უკვე თქმულისა და მიღწეულის განმეორებას. გ. ნადირაძის მონოგრაფიის რომ განიხილავს გ. ჯიბლაძე ერთ ადგილას შენიშნავს: „...ჩვენ გვეშინოდა ვიორი ნადირაძეს იოლი ვაა არ ბერძნია, არ დაკმაყოფილებულყო იმით, რაც უკვე არის, და თავისი კვლევა-ძიება არ შემოეფარებლა მარტოოდენ მხატვრული სახეების ანალიზით, უკვე მოკვლეულა თუ მოკვლეულა მსოფლმხედველობითი მონაცემების საფუძველთა ვითარებისწინებით“. მსგავსი სამიზნოება რუსთაველზე მომუშავე ყველა მკვლევარს მოელის და ცხადია იგი იღგა თვით გ. ჯიბლაძის წინაშეც.

მაგრამ გ. ჯიბლაძე, სძლეეს მის წინაშე მღვარ ყოველგვარ სიძნელეს და გვთავაზობს მონოგრაფიას, რომელიც, წარმოადგენს სრულად ახალსა და წარმატებით წინ გადადგმულ ნაბიჯს რუსთაველის უმდიდრესი ესთეტიკური სამყაროს შესწავლის გზაზე.

„სრულიად ახალს“ ცნებას რომ ვიყენებთ, ცხადია, ეს ისე არ უნდა გაეგოთ, თითქოს აქად, გ. ჯიბლაძის სარტყელზეო მონოგრაფიის მთელი ტექსტი პირველად ქვეყნდებოდეს. მაგალითად, მონოგრაფიაში ცალკე თავად შესული „რუსთაველის ესთეტიკური პრობლემებიკა“ და ძირითადი ტექსტის ზოგიერთი პარაგრაფი აღებულია გ. ჯიბლაძის ადრინდელი (ჩვენსა მერს შემთ უკვე მოხსენებული), შრომებიდან: „ხელოვნება და სინამდვილე“ და „ესთეტიკური თეორიის საკითხები“, ხოლო წიგნისადმი დამატებების სახით დართულ წერილებს პერიოდულა პრესის ფურცლებზე შევხედრივართ. და ამდენად „რუსთაველის ესთეტიკურა სამყარო“ გ. ჯიბლაძის რუსთაველოლოგიური ძიებების თავისებურ შეჯამებას წარმოადგენს და ამდენად მასში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი გამოკვლევა უნდა შესთლყო და შეირე: მათ (ამ გამოკვლევებს) მონოგრაფიაში სრულიად განსაკუთრებული ფუნქციები ენიჭებათ. სხვა დანარჩენის შესახებ რომ არაფერი ვთქვათ, ადრინდელი შრომებიდან ვაღმოტანილი ცალკეული თავები აქ ზოგად-თეორიული წინამძღვრების ანუ საყრდენის როლს თამაშობენ, რომელზედაც შემდგომ ახალი შენობა აღმართული.

რუსთაველის ესთეტიკური სამყარო მონოგრაფიაში სამი ძირითადი ასპექტის — საკუთრივ ესთეტიკის, ეთაქსისა და პოეტის განასერშია წარმოდგენილი. ეს საკითხისადმი საე-

სებით მართებული მიდგომაა, საქმე არა მხოლოდ ის არის, რომ „ვეფხისტყაოსანში“ აღორძინების ეპოქის მაღალ-ესთეტიკურ იდეალთან ერთად ჩამოყალიბებულა ზოგადსაქციობრიო მორალის უმთავრესა პრინციპები, არამედ ისიც, რომ მათ (ზნეობრივ ღირებულებებს) რუსთაველთან ესთეტიკური ფენომენების მნიშვნელობა გააზნიათ. იშვიათად თუ შეიძლება დაიძნოს მეორე შემოქმედი მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში, რომელთანაც ისე მჭიდროდ იყოს ერთმანეთში შერწყმული ეთიკური და ესთეტიკურა, ზნეობრივი და მშვენიერი, როგორც ეს რუსთაველთანაა. რაც შეეხება პოეტის, რუსთაველის მთელი იდეურ-ესთეტიკური კონცეფცია თავის სრულ ხორცშესხმასა და განხორციელებას სწორედ მის თვალსაჩინო მხატვრულ ქსოვილში პოულობს. „რუსთაველის გენიალურ პოემაში. — წერს გ. ჯიბლაძე, — მხატვრული სახეები მარტოოდენ პოეტურ კადენციებს კი არ წარმოადგენენ, ავტორი მათში აქსოვს თავისი დროის ყველაზე მოწინავე აზრებს და „ვეფხისტყაოსანში“ არამარტო უზნადო მხატვრული ძეგლია, არამედ, ხელოვნების ენაზე თავისი დროის მეცნიერულ განზოგადებასაც იძლევა“.

ასპექტთა მრავალმხრივობის გამო მონოგრაფიაში დამსული და განხილული საკითხების სფერო იმდენად ფართოა და მრავალფეროვანი, რომ აქ მათი მოკლე, ზოგად-ანოტაციური მამოხილავა კი ყოველად შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ შეგნებულად ავუღვით გვერდს მონოგრაფიის ბევრ უაღრესად საყურადღებო პრობლემას (მათ კრიტიკულ ანალიზს) და წიგნის ცალკეულ თავებში ვამტკებულთ ძირითადი საკითხებით შემოვიფარგლებით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დაინტერესებულ მკითხველს მაინც შეუძლია საქმის კერაში შევიდეს და მონოგრაფიის საერთო დამაზონზე გარკვეული წარმოდგენა შეიმუშოს.

გამოკვლევაში „რუსთაველის ესთეტიკური პრობლემებიკა“ და პირველი თავის შესავალ ნაწილში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ Ars poetica და რუსთაველის ესთეტიკის სხვა მნიშვნელოვანი პრინციპები. აქვეა მოცემული რუსთაველის შემდგომი დროინდელი ქართული ესთეტიკური აზროვნების ზოგადი დამახასიათებელი, ხოლო პირველი თავის მთელი უმთავრესი ნაწილი დამოძობილი აქვს „ვეფხისტყაოსნის“ ისეთი მხატვრული ხერხების განალიზებას, როგორიცაა მხატვრული მონოლოგიები, დიალოგები, თხრობის მანერა, ემბსტოლარული ხერხი, გმირებისა და სიტუაციების მოქმედებაში ჩვენება, მხატვრული დეტალები, ლირიკული პასაჟები და ა. შ.

მეორე თავში რუსთაველის პოეტის განხილულია. მესამე თავში განხილულია რუსთაველის

ეთიკური შეხედულებანი. რუსთაველის ეთიკის ზოგადი დიხასიათებისას ავად. გ. ჯიბლაძე შრომის ამ ნაწილში არყვეს ისეთ კერძო (კონკრეტულ) საკითხებსაც, როგორცაა: აღამაინისა და სიკეთის ცნებები „ვეფხისტყაოსანში“, სიყვარულის არება და გამქდავება, სიყვარული და შევობრობა, პატრიოტული გრძნობა, რუსთაველური აღზრდის იდეები და ა. შ.

როგორც ხეშთათუვე ნათქვამი იყო, პოეტისა და ეთიკის პრობლემების კვლევას ავად. გ. ჯიბლაძის სარტეცხიო ნაშრომში დაქვემდებარებული ფუნქცია გააჩნია. ერთი და მეორეც, ეთიკაც და პოეტისაც აქ პირველ რიგში რუსთაველის უმდიდრესი ესთეტისკური სამყაროს შთელა სისახესთ ვადამილს ამოცანებს უმსახურებინა. მაგრამ, ამასთან ერთად, ისინი სრულიად დამოკიდებულ მნიშვნელობასაც ინახაუნებენ. მართალია რუსთაველის ეთიკისა და პოეტის (გამსაკუთრებით ამ უკანასკნელის) შესახებ ჩვენში საკმაოდ ბევრი დაწერა, მაგრამ აღნიშნული პრობლემების ასე ფართო

გამოქება ვერ არცერთ მკვლევარს არ მოუცია. დასასრულ, არ შეიძლება ხაზი არ გაესესას ავად. გ. ჯიბლაძის სარტეცხიო შრომის უდიდეს ერთ, უდიდესად საყურადღებო თვისებურებამაშის ყველა ნაშრომს და მათ შორის სარტეცხიო მონოგრაფიასაც წითელი ზოლით გასდევს თანამედროვეობისა და მარქსისტული პარტიულობის შადლი სტელისყვეთება. რუსთაველი გიბლაძისათვის მსოფლიო ესთეტისკური აზროვნების ერთ-ერთი უდიდესი ფიგურაა, მაგრამ, ამასთან, იგი არასოდეს არ იფიწყებს, რომ ესთეტისკისა და ხელოვნების თეორიის ყველა საკვანძო საკითხები თავის სამდიელსა და კვშმარტად მეცნიერულ გადაწყვეტას მხოლოდ მარქსიზმში პოულობენ.

ჩვენ ვეჭვრა, რომ ავად. გ. ჯიბლაძის მონოგრაფია „რუსთაველის ესთეტისკური სამყარო“ საბატო ადგილს დაიჭერს ქართულ ესთეტისკურ და რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში.

ბ. ნაბარტინი

კიდევ ერთი ფურცელი რუსეთ-საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობიდან

გამოჩენილმა რუსმა პოეტმა ი. პ. პოლონსკიმ (1819-1898) დაახლოებით ხუთი წელი გაატარა-საქართველოში (1846-1851). იგი აქ გავრცულ ქართულ სინამდვილეს, სწავლობდა ქართულ ფოლკლორს, ისტორიას, ლიტერატურას, ფიჭრობდა „ახალი მხარის“ მომავალზე და მთელს რიგი ნაწარმოებები მიუძღვნა მას. თბილისში დაიწყო ი. პოლონსკის შემოქმედებისა და ცხოვრების ახალი, ნათელი პერიოდი; ისე როგორც რუსეთის შრავალი სხვა პოეტისათვის, ი. პოლონსკისათვის საქართველო გადაიქცა „პოეტური ტალანტის აკნად“; პოეტმა უძღვრა საქართველოს ბუნებას, გმირულ და შრომისმოყვარე ქართველ ხალხს, მის შრავალურ კუნოან კულტურას. ახლაც გამოვიდა ი. პოლონსკისათვის წიგნი, რომელიც შეეხება პოლონსკის ურთიერთობებს საქართველოსთან.

სხვა მკვლევარები რუსულ-ქართული ურთიერთობის ისტორიის ამ მონაკვეთს ამ წიგნის გამოხვედამდე შეხებიან. საბჭოთა პერიოდში იყო ცდები მეცნიერულად გაეშუქებინათ მთელი რიგი მამენტები, რომლებიც დაკავშირებული იყო პოლონსკის შემოქმედების კავახიურ პერიოდთან. ე. შადურის, ბ. ეიხენაუშის, ე. გოლიცევის, ე. ორლოვის, პ. ორლოვის ე. კუმბერძინის ნაშრომებში მოცემულია პოლონსკის

ზოგიერთი ნაწარმოების ისტორიულად სწორი შეფასება, ამ ნაწარმოებებისა, რომლებიც მწერალმა შექმნა საქართველოში ყოფნისას და ამჟღავნებენ პოლონსკის შემოქმედების ამ პერიოდისთვის დამახასიათებელ ტენდენციებს; მითითებულია რა წვლილი შეიტანა მწერალმა რუსეთ-საქართველოს ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებაში.

მაგრამ, ცხადია, რომ შესავალ წერალებში, ცალკეულ თავებში შევსებული იყო ყოველმხრივ ყოფილივი განხილული და შესწავლილი პოლონსკის ურთიერთობა საქართველოსთან. მკვლევარები მხოლოდ საკითხის წამოჭრით ან თემის ცალკეული პრობლემების დამუშავებით ცნოფილადმოდნენ. ი. ბოგომოლოვამდე სხე-ცალკურად ამ თემისთვის ხელი არავის მოუკიდა. სხვათაშორის, სწორ მონაზრებას გამოთქვამს მკვლევარი, როცა მიუთითებს: „ნაშრომების უქონლობა, რომლებიც მთლიანად მიძღვნილი იქნებოდა პოლონსკის ურთიერთობისადმი საქართველოსთან, არა თუ აღიარებდა ჩვენს წარმოდგენას რუსეთ-საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიაზე, არამედ უარყოფით გავლენას ახდენს პოეტის მთელი შემკვიდრების შესწავლაზე“.

ი. ბოგომოლოვის წიგნი არის პირველი მონოგრაფია, რომელიც შეეხება პოლონსკის საქართველოში ცხოვრებისა და შემოქმედების ხანას. ნაშრომი დაწერილია უკვე ცნობილი მონაკვეთების შესწავლის საფუძველზე და აგრე-

თვე ამ ურიცხვი საბუთების დამუშავების ნიადაგზე, რომლებიც ინახება მოსკოვის, ლენინგრადისა და თბილისის არქივებში და რომელთა გარეშე შეუძლებელია ამ თემაზე სერიოზული გამოკვლევა დაწერილიყო. ერთადერთად ავტორი მიმართავს პერიოდულ პრესაში გაფანტულ მასალას, რითაც ჩვენ საშუალება გვაძლევს უფრო ზუსტად აღვადგინოთ პოლონსკის ურთიერთობა საქართველოსთან და ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან. ამრიგად, საბრეწვითი წიგნის ავტორმა შეკრიბა და ისტუმპირა ცალკე გაუქვთა მასალას თემაზე: „პოლონსკი და საქართველო“.

ა. ბოგომოლოვის ნაშრომი ფართოდ აშუქებს თემებს: თუ რა იყო მიზეზი პოლონსკის ჩამოსვლისა საქართველოში, რა წრეში ტრაილებდა პოეტო, მისი ურთიერთობა ქართველ მოღვაწეებთან (ალ. ჭავჭავაძის ოჯახთან, დ. ყიფიანთან, გ. ერისთავთან, პ. იოსელიანთან, მ. იყო ორბელიანთან და სხვა), სხვა ერისმედიებთან ურთიერთობა (მ. ახუნდოვი, ე. სოლოგუბი, ტ. ლადა-ზაბოლოცი და სხვ.) და ნაყლებ ცნობილი რუს მწერლებთან, რომლებსაც კავშირი ჰქონდა საქართველოსთან. ბ. ბოგომოლოვი აზუსტებს ამ მოღვაწეების საქმიანობასთან დაკავშირებულ ფაქტებს და მიანიშნა, რომ მონაწილე საზოგადოებას დადებითი გავლენა მოუხდენია პოლონსკზე. წიგნში აგრეთვე გაშუქებულია სხვა საკითხებიც: პოლონსკი და თბილისის პრესა, პოლონსკის ურთიერთობა თბილისის თეატრთან, ქართული ფოლკლორის, ლიტერატურისა და ისტორიისადმი პოეტის დამოკიდებულება. წიგნში გაანალიზებულია პოლონსკის ნახატები, თუ როგორ ცდილობდა პოეტო გადმოეცა თავისი ნაშრომები და ნახატებისა და მხატვრულ ნაწარმოებებსში.

შეიძლება ითქვას, საბრეწვითი ნაშრომის ყველაზე საუკეთესო თავებია ისინი, რომლებშიც გაანალიზებულია პოლონსკის მიერ საქართველოში და საქართველოში შექმნილი ლექსები, პოემები, დრამატული და პროზაული ნაწარმოებები. ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პოლონსკის პეიზაჟური და სამოქალაქო ლირიკა გავრცელება იყო რუსული ლიტერატურის ტრადიციებისა. „ახალი მხარე“ პოლონსკის წარმოდგენას არ ჰგავდა იმ პირობით ქვეყანას, როგორცაა წარსული საუკუნის 30-იანი წლების რომანტიკოსი პოეტები უმღეროდნენ. ეს არის რეალური საქართველო, რომლის ზოგიერთი თავისებურების დინამიკა რუსმა პოეტმა შესწლო. თანაც ი. პოლონსკიმ შესწლო ახალ ეტაპზე აყვანა ქართული თემის შესწავლა რუსულ ლიტერატურაში.

წიგნში უერთდებითაა განხილული პოლონსკის ქართული ნარკვევები, აგრეთვე უცნობი ნაწარმოებები, რომლებიც საქართველოში დაწერილა და 1847-48 წწ. „ზაკავკასიის ვესტნიკი“

შია გამოქვეყნებულა. ავტორი წიგნში ეხილავს მასალას, რომლითაც მტკიცდება, რომ ი. პოლონსკი თავისი დიდი წინამორბედების ტრადიციებს აგრძელებდა. ამავე დროს მკვლევარი პოლონსკის პოეზიას უყავშირებს ქართულ ჟღერებს, ამტკიცებს ქართული ფოლკლორული ელემენტების გავლენას პოეტის ცალკეულ ნაწარმოებებზე, ლამაზაკობს თუ როგორი კეთილისმყოფელი გავლენა იქონია პოლონსკიზე ნ. ბარათაშვილის, გ. ერისთავის და ალ. ჭავჭავაძის ნაწარმოებების გაცნობამ.

ბ. ბოგომოლოვის წიგნის ღირსება ცხადია. ავტორის მიერ შეკრებილი მასალა ფართო და მრავალფეროვანია. ძნელია ითქვას, მიავლენა თუ არა შრომის ავტორმა თემასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ი. პოლონსკის ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითადი ფაქტები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს პერიოდთან, შეკრებილი და შესწავლილია და თუკი რაიმე ახალი აღმოჩნდება, წიგნში გამოტანილი პრინციპული დასკვნები, კვლევის მეთოდოლოგია, შინაირი შეიკვლება.

წიგნში დიდი ყურადღება ეთმობა კვლევის ელტერას. კერძოდ, წიგნის მეცნიერულ-საენოზარო აპარატურას, რომელიც არათუ სხვათაშორის ერთეის ნაშრომს, როგორც დანამატი, არამედ წარმოადგენს შრომის შემადგენელ ორგანულ ნაწილს. საენოზარო აპარატურის შედგენა უნის ერთ-ერთი მთავარი საკითხ-თავანია. ეს გამოიხატება ყოველი სქოლიოს, ციტატის, თარიღის თუ ფაქტის სისწორეში. ასეთი მეთოდოლოგიით ხელმძღვანელობა ნათელ წარმოდგენას გვაძლევს გამოკვლევის აკურაციანობაზე. ბ. ბოგომოლოვი ცდილობს ამ მეთოდოლოგიური მონაცემების საფუძველზე აავსოს თავისი ნაშრომი, რაც წიგნს საინტერესოს ხდის არა მხოლოდ შინაარსის თვალსაზრისით, არამედ კვლევის მეთოდოლოგიით, ყველა ენიც კი ი. პოლონსკის საკითხს შეხებია, ნახსენება საბრეწვითი წიგნში.

ნაშრომში ი. პოლონსკის ნახატების ილუსტრაციებია დაბეჭდილი, რომლებიც პოეტმა საქართველოში შექმნა. ბევრი მათგანი პირველად ქვეყნდება.

გვიჩნდა რამდენიმე შენიშვნა მივცეთ ავტორს. VIII თავი, რომელიც ეძღვნება ი. პოლონსკის დრამის — „ღარჯანი, იმერეთის მეფე“— შესწავლას, მიუხედავად ახალი მასალების მიყვანისა, რამდენადაც ამოვარდნილია წიგნის არქიტექტონიკიდან. ამ ყველაზე ნაკლებად ჩანს თხრობის ანალიზის საფუძვლიანობა, რაც საერთოდ დამახასიათებელია ავტორისათვის. ამ თემაზე არსებობს ქართველი მწერლების ნაწარმოებები. საჭირო იყო პოლონსკისა და ავ. წერეთლის დრამების პარალელური ანალიზი, აგრეთვე ავ. წერეთლის ცნობილი აზრისათვის

ანგარიშს გაწევა პოლონსკის აღნიშნულ დრა-
მაზე.

როგორც აღნიშნეთ, წიგნი უხვი მასალა
თავმოყრილი. ჩანს ო. ბოგომოლოვი ცდილა
ერთიანად ამოეწერა თავმოყრილი მასალა. შე-
იძლება თუ არა თავი შეეკავებინა ავტორს
და ზოგიერთი რამ არ შეეტანა წიგნში? ვფიქ-
რობთ, რომ შეიძლებოდა და ამით წიგნი არც
არაფერი დააკლებოდა.

ტ. ფედინს სამართლიანად მიაჩნია: ლიტერა-
ტურული ცხოვრების მრავალი ფაქტი ნაწი-
ლობრივ იმის გამო გაიფანტა, რომ ისინი არა-
ვის არ შეუტრებიოა, ამიტომ გასაგებია დაცი-
ნებული ინტერესი მონაცემების შეკრებისადმი,
რაც ამდღარებს ჩვენ წარმოდგენას ლიტერა-
ტურის ისტორიულ პროცესზე. ლიტერატურ-
რათმკოდნეთა მსდელობის შედეგად შეცნიე-
რულ ხმარებაში გამუდმებით შემოდის ახალა
ფაქტები, დგინდება ახალი მონაცემები, საინ-
ტერესო მიკვლევები. მაგრამ მიუხედავად ამ
დაჩვის ასეთი წარმატებისა, საქირთა ვაითონ-
ვალისწინათ შემდეგი ვარკობება: მასალის შეკ-
როვებასაც აქვს თავისი საზღვარი და ვარკვე-
ულ სტადიაზე წერტილი უნდა დაესვას, თო-
რემ წერილობანების შეკრება შეიძლება თვით-
მისნად იქცეს.

წიგნში გამოქვეყნებული მასალების მეტიწი-
ლი ეხება შწერლის ბიოგრაფიულ მონაცემებს.
წრეს, რომელშიც ტრიალებდა პოლონსკი, იმ-
დროინდელი თბილისის ცხოვრებას, დაწერი-
ლებითაა შესწავლილი შწერლის სტატისტიკე-
რი ნარკვევი და ა. შ. უფრო ნაკლებად ადგილი
უკავია პოლონსკის მხატვრული ნაწარმოებე-
ბის წყაროებს, როგორც აუცილებელიც არ

უნდა იყოს ლიტერატურისმკოდნეობისა და
ისტორიული წყაროების შესწავლა, მაინც ვე-
ლახე ძვირად ფასობს ლიტერატურული წყა-
როები. მსდველონაში ვვარკვს მათი მრთობრ-
ციული თანაფარდობანი.

ავტორის უტრადლებით შეუსწავლია და დაუ-
მეშავებია პოლონსკის შესახებ არსებული ფაქ-
ტები, რომლებსაც თუნდაც რამე სოციალური
ელერადობა ვარანდა და მაინც ავტორის ინტერ-
პრეტაციით პოლონსკი უფრო რადიკალურ მი-
ღეწედ გამოიუტრება, ვიდრე იგი სინამდვი-
ლში იყო.

ასეთია ჩვენი ზოგადი შენიშვნები.
ავტორი მონოგრაფიას შემდეგი საუტრადლე-
ბი სიტუაციით ამთავრება: „ქართველ ხალხს
არაიენ არ დაუვიწყინა ვინც ემსახურებოდა მის
საუტენოვან სწრაფვას რუს ხალხთან მეგობრო-
ბაში; არ დაუვიწყია მას პოლონსკიც, რომელ-
მაც თავისი წვლილი შეიტანა ამ ეუთოლშო-
ბილურ საქმეში. ეუთოლშობილურად სწერდა
იგი საქართველოს როლის შესახებ თავისი რე-
სი თანამემამულეების ბედისტრიალში. მთლია-
ნად იზარებდა თავისი საუვარელი ხალხის
ფიქრებსა და მისწრაფებებს“. „პოლონსკი იყო
უწყვეტი ვარკვის ბრწყინვალე რგოლი ირა
მომე ხალხის მრავალსაუტენოვან მეგობრულ
ურთიერთობაში“. ამის ნათელი დამასტრებაი
ო. ბოგომოლოვის წიგნი „პოლონსკი საქართვე-
ლოში“.

ამგვარად, რუსეთ-საქართველოს ლიტერატურ-
ულ-საზოგადოებრივ ურთიერთობათა წიგნში
კიდევ ერთი ფურციელი ჩამწერა.

დიმიტრი თხახალი

განახლებული სამშობლოსა და ხალხთა მეგობრობის მომღერალი

დასრულდა გამოჩენილი ქართველი პოეტისა
და საზოგადო მოღვაწის ტიციან ტაბიძის თხზუ-
ლებათა სამტრამეულის გამოცემა. ეს არის ამ შე-
სანიშნავი შწერლის ლიტერატურული შემკვილ-
რობას შედარებით სრული გამოცემა. მასში,
ვარდა ორიგინალური ლექსებისა, მოთავაბულ-
ლი თარგმანები, ნოველები, ნარკვევები, ლიტე-
რატურულ-კრიტიკული წერილები, პუბლიცის-
ტური მიმოხილვები და მოგონებები. შეიძლება
იარკვას, ასე სრულად მანამდე არ ყოფილა ერო-
ილად თავმოყრილი ტ. ტაბიძის ნაწერებები. ეს სამ-
ტრამეული მოთხველს აძლევს საშუალებას გაო-
თვალისწინოს, თუ რამდენად მრავალფეროვანი
და თავიანებური შემოქმედი იყო ტ. ტაბი-
ძე.

პირველ ყოვლისა, მკითხველს თვალში ეცე-

ტიციან ტაბიძე, თხზულებანი, ტომი მესამე.
„ლიტერატურა და ხელოვნება“. 1966.

მა, თუ როგორ აღფრთოვანებული იყო მწერა-
ლი ჩვენი ქვეყნის გრანდიოზული მშენებლო-
ბით. იგი წერს ნარკვევებს ახალ მცხეთაზე,
ორპირზე, ტყეარჩულზე, ახალ კოლხიდაზე. ამ
ომპროვად წლის წინათ ტ. ტაბიძე წერდა
ზაქესის ვახანის შესახებ: „დღეს არ უნდა დი-
დი ფანტაზია და დიდი რწმენა იმის დაცრე-
ბას, რომ ელექტროფიაცია ეკვე მომხდარი
ფაქტია. ამას დღეს ყველა ჩვენთაგანი ვარკრობს.
ელექტროფიაციის რკალმა უწია საქართვე-
ლოსაც. იხსნება ზემო ავჭალის პიდროსადგე-
რი. ეს არის ახალი მცხეთის დღესასწაული. ეს
არის ახალი ეპოქა ქართველი ერის ისტორია-
ში“. ეკვე ცხადი შეიქნა, თუ როგორ ამილ-
და, როგორ წაიდა წინ საქართველო, როგორ
მომრავლდა ჩვენში პიდროსადგურები, ტ. ტა-
ბიძე ყოველივე ამას შეიკობდა პირველ ქესში
და ეს აღფრთოვანება მას: „მწელი წარმოსად-
გენია, იყოს საქართველოში ისეთი შერით და-

ბრძანებული ადამიანი, ...რომელიც ვერ იგრძნობს დღეს ახალი ცხოვრების მჯივრეკვას და არ დაიდრება სიხარულის გრძობით, ცოცხლად მკედარია და დამპალ, ზედმეტ ხორცად აწევს საქართველს.*

პოეტი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ შრომელთა მარჯვენით და ერთუზიანებით აშენდა სინათლის ეს დიდი ეკრა.

ტ. ტაბიძე მიუთითებდა მწერლებს: „ქართველთა მწერლობამ შრომის დადებას, რომელიც გულდობაზე სამი გაფრენით მტრია — უნდა მიუმატოს კიდევ ერთი გაფრენა შთავგონებისა და სიყვარულისა. მაშინ ასრულდება მწერლობა თავის შოველვობას ხალხს წინაშე და მხოლოდ მაშინ ექნება მას შედეგებელი კავშირი ახალ ეპოქასთან“ . როგორ გულწრფელად და პირდაპირ არის მიმართული ეს შთამბეჭდავი სიტყვები ქართული მწერლობისაკენ, მისი ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის მიერ.

ქართველი მწერლებიდან ტ. ტაბიძე ერთი პირველთაგანი გამოეხატრა ლექსებით და ნარკვევებით კოლხიდის გარდაქმნის გრანდიოზულ გეგმებს, ახალი კოლხიდის დაბადებას: მწერლად, უპირველეს ყოვლისა, უფრადლებას აქცევს ცოცხალ ადამიანებს, მათ თავდადებულ ბრძოლასა და შრომას, „მართალია, საერთოა მათი სოციალისტური შეტევის ფრონტი, მაგრამ სხვადასხვა სექტორიც აქვს: ჩაქვში, ოზურგეთში, ჩიხის პლანტაციებზე და ჩიხის ფაბრიკებში, ბზიფისა და ენგურის ტყეებში, ან ტყუარბელის ქვანახშირის მღაროებში, ზოგი ბათუმის ახსავის უზარმაზარ ქარხანაში, ქალაქილისა და პალიასტოვის საირიგაციო პუნქტებში, შაგონისა და საჭილას ხე-ტყის ქარხნებში, ქუთაისის, ოზურგეთის, ზუგდიდის, აბრეშუმის და დელდინის ქარხნებში და თამბაქოს პლანტაციებზე, სამანქანო-სატრანსპორტო, ან კლიმატურ სადგურებზე, კოლმეურნეობათა ან, როგორც უბრალოდ ეძახიან, კოლექტივების ყანებში, და ეინ მოსთელის კიდევ რამდენია და სადაა გაფანტული მუშათა რაზმები, რომელნიც შეერთებულნი ქმნიან ახალი კოლხიდის საფუძველს“. ასე ფართო ფონზე, საქართვე-

ლოს სხვადასხვა კუთხის, სხვადასხვა ქალაქისა და სოფლის ადამიანების საბულოვანი შრომით იზადებოდა ვანახლებული კოლხიდა და ყოველივე ეს ღრმად, დაფიქრებულად შენიშნა და ასახა ჩვენმა მწერალმა.

საგულისხმოა, რომ ტ. ტაბიძე საქმოდ სრულად ასახავს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიმდინარე გარდაქმნის, გადაბადების პროცესს, ეს გარემოება კიდევ უფრო საგულისხმოა და საინტერესოს ხდის ამ ნარკვევებს.

ყოველ უნდა გამოიყოს ვრცელი ნარკვევი საბჭოთა სომხეთზე. მისში მოთხრობილია ქართული მწერლების მრავალრიცხოვანი დედაგაციის გამგზავრება სომხეთში, ქართველ მწერლებთან ერთად ყოფილა აზერბაიჯანის მწერლების დელუგაციაც. ეს იყო საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მწერლების ურთავრთ-გაციონებისა და კულტურული კავშირის განმტკიცების საუკეთესო მავალითი, ამ გარემოებაზე ხაზგასმით მიუთითებდნენ შეხვედრისა და მისალმების დროს, ყარგად უთქვამს ამ შეხვედრისას სეფანის ტბასთან ცნობილ სოჭებ მწერალს დერენჯა დემირჩიანს: „განა, უნდა თქმა, რომ ჩვენ გეხარია მოძმე რესპუბლიკების საუკეთესო მწერლების სტუმრობა? ჩვენი გულებიც ისევე სუფთა უნდა იყოს, როგორც სეფანის ტალღები, რომ მრავალ ხალხს გაუთავილოთ ახალი ცხოვრების შეგნება და ჩვენერთ მოძმე ხალხთა შორის მეგობრობისა და ერთიანობის გრძობა.“

მესამე ტომში მოთავსებულა ტ. ტაბიძის თარგმანები: პუშკინის, ბუნინის, ბალმონტის, სოლოგუბის, ბლოკის, ბოდლერის, ვერლენის, აეტიქი ისაიანის, ლუი არაგონის, ბეხერის, ჰექმეთისა და პილამის ნაწარმოებებიდან. ამ თარგმანების უმეტესობა შესრულებულია მალა დონეზე. ჩვენი აზრით, საგანგებო ნარკვევის ღირსია ტ. ტაბიძის მოღვაწეობის ეს შხარე.

საერთოდ, ეს ტომი კიდევ უფრო ამდირებს ჩვენს წარმოდგენას ტ. ტაბიძის დამსახურებაზე ქართული კულტურის წინაშე.

შალვა რაბიანი

80 80 80.


И Н Д Е К С
76128

«М Н А Т О Б И»

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО «ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»